საქართვ... ...ქედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული 29 სექტ... –5 ოქტომბერი №39 (718) * ფასი 1,50 ლარი



რა აკლია ქართველ საზოგადოებას ყველაზე მეტად და სად გახდა პარლამენტის თავმჯდომარე ავთო ვარსიმაშვილის მისახედი

გვ. 82

გვ. 71

რა სიურპრიზებს უკეთებს მზია ორველაშვილს უკრაინელი ქორეოგრაფი ქმარი და რატომ მალავდნენ სიყვარულს ისინი დიდი ხნის განმავლობაში

გვ. 18

როგორ შეიცვალა პანჩოს მარტოხელა ცხოვრება და ვინ აუნთო მას ნაპერწკლიდან ალი

## კვირის ფრაზები

* ამერიკელებისთვის ვიყავი საბჭოთა ცხოველი, რომელიც მეტყველებდა
* არასდროს გამიუპატიურებია ქალი, თუ თვითონ არ გამაუპატიურა
* აბორტის მერე ბოთეს ხელისგულზე ვატარებდი
* ჩვენი სამსახური იყო და, არ შეიძლება, სამსახურში, თანაც შენს მასწავლებელთან, რომანის გაბმა



როდის ხვდება მარიამ პახელიშვილი სხვა განზომილებაში და რატომ არის ის ამბიციური მომღერალი

გვ. 79



გვ. 22

რატომ გაახმო გიგი გაჩეჩილაძემ ზაზუნა მზეზე და საიდან მოხვდა მის სტუდიაში სამი წლის არისტოკრატი გოგო, სახელად „ბოთე“



როგორ აღმოჩნდა თამუნა ზაუტაშვილის ქუდი შერონ სტოუნის პირად კოლექციაში

გვ. 74



გვ. 23

რისი თავიდან აცილება უნდოდა მაკა ძაგანიას ქორწინების გასაიდუმლოებით და როგორ დაარღვია მან „ცნობილების წესი“

# იღბლიან კვირას გისურვებთ!



# ნუტრიბენი

## იმიტომ რომ თქვენი ბავშვი იმსახურებს საუკეთესოს

**დედის რძის უნიკალურობა და სარგებლიანობა მტკიცებას არ საჭიროებს. დედის რძე იდეალური საკვებია 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.**
**მაგრამ ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ხერხდება ბავშვის ბუნებრივ კვებაზე გაზრდა და საჭირო ხდება ბავშვის გადაყვანა შერეულ ან ხელოვნურ კვებაზე, რისთვისაც შექმნილია დედის რძესთან მიახლოებული ადაპტირებული ნარევები.**

ნუტრიბენი გთავაზობთ რძის ადაპტირებულ ნარევებს, რომლებიც კლასიფიცირებულია ბავშვის ასაკის მიხედვით (N1, N2, N3 რძე) და შეიცავს საკვებ ნივთიერებებს (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) ისეთი თანაფარდობით, როგორც ბუნებრივად წარმოდგენილია დედის რძეში, რაც მნიშვნელოვანია ფიზიოლოგიური პროცესების სწორად წარმართვისთვის. ნუტრიბენის რძის ადაპტირებული ნარევები გამდიდრებულია პრებიოტიკებით, რაც ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოწესრიგებას, აძლიერებს იმუნურ სისტემას. ნუტრიბენის ადაპტირებული ნარევები შეიცავს ასევე დედის რძეში შემავალ სხვა ე.წ. "ფუნქციურ ინგრედიენტებს" (ნივთიერებები, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზმისთვის სასარგებლო სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესებში), როგორიცაა ნუკლეოტიდები, ინოზიტოლი, ლინოლინისა და გრძელჯაჭვიანი პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები (DHA, ARA), ვიტამინები და მიკროელემენტები და ა.შ. ნუტრიბენის ადაპტირებული ნარევები, დედის რძის შემდეგ, საუკეთესო საკვებს წარმოადგენს და უზრუნველყოფს ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, საჭმლის მომნელებელი, იმუნური, მხედველობის, სასუნთქი და ცენტრალური ნერვული სისტემების სწორ ფორმირებას, ახდენს ყაბზობის და ინფექციური ფაღარათის პრევენციას, ხელს უწყობს ფილტვის ქსოვილის მომწიფებას, ბადურის ჩამოყალიბებას, აძლიერებს იმუნიტეტს.

ნაადრევი (36 კვირამდე გესტაციური ასაკის) და მცირეწონიანი (<2500გ) ახალშობილებისთვის ნუტრიბენს აქვს მაღალკალორიული, სწრაფადათვისებადი ნახშირწყლების შემცველი ფორმა "ნუტრიბენ პრე", რომელიც უზრუნველყოფს წონის სწრაფ მატებას.

სტანდარტული ადაპტირებული ნარევების გარდა, ახალშობილთა ასაკში ყველაზე გავრცელებული პრობლემების მოსაგვარებლად, ნუტრიბენი აწარმოებს სპეციალურ ნარევებს, რომლებიც სტანდარტული ნარევებისგან განსხვავდება სხვადასხვა ნივთიერებების შემადგენლობის და/ან თანაფარდობის მხოლოდ ისეთი ცვლილებებით, რაც აუცილებელია არსებული რობლემის მოსაგვარებლად.

ხელოვნურ და შერეულ კვებაზე მყოფ ახალშობილებში ძალიან ხშირია ყაბზობა. ნუტრიბენის მიერ მოწოდებული სპეციალური ადაპტირებული ნარევი - "ნუტრიბენ AE - კომფორტული მონელება" შეიცავს ბუნებრივად დედის რძეში არსებულ პალმიტინის მჟავას, რომელსაც აქვს განავლის დამარბილებელი მოქმედება და ამცირებს ყაბზობას. ნუტრიბენ კომფორტული მონელების დახმარებით ახალშობილის განავალი ხდება ფაფისებური და ემსგავსება ბუნებრივ კვებზე მყოფი ბავშვისას.

ახალშობილებში მუცლის კოლიკა ყველაზე გავრცელებული პრობლემაა. "ნუტრიბენ AC - ანტიკოლიკა" სპეციალურად არის შექმნილი მუცლის კოლიკის ეფექტური მკურნალობისთვის. იგი შეიცავს ადვილად მონელებად და ათვისებად საკვებ ნივთიერებებს, რითაც იოლდება საჭმლის მონელება და მცირდება აირების წარმოქმნა. ნუტრიბენ ანტიკოლიკა ხსნის შებერილობას, მუცლის ტკივილს, უზრუნველყოფს მშვიდ ძილს.

გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი, ე.წ. "ამოქაფება" ახალშობილთა ხშირი პრობლემაა. კვების წესების დაცვის (კვების დროს და შემდეგ ბავშვის დაჭერა ვერტიკალურ მდგომარეობაში, შედარებით მცირე ულუფებით კვება) მიუხედავად, ახალშობილებს ამოქაფება მაინც აწუხებთ. ამოქაფება შემაწუხებელია, როგორც ბავშვისთვის, ისე დედისთვის, ზოგჯერ კი წონის დეფიციტის მიზეზიც ხდება. ინტენსიური ამოქაფების სიმძიმის და ეპიზოდების შესამცირებლად ბავშვს უნდა მივცეთ სპეციალური ადაპტირებული ნარევი - "ნუტრიბენ AR - ანტირეფლუქსი". იგი შეიცავს ჯანმრთელობისთვის აბსოლუტურად უსაფრთხო ბუნებრივ შემასქელებელ ნივთიერებას - კერატის ხის გუმფისს, რომელიც ზრდის საკვების ვისკოზურობას და ამცირებს ამოქაფებას. ამდენად, ნუტრიბენ ანტირეფლუქსით შესაძლებელია მარტივად და უსაფრთხოდ დაიცვათ ახალშობილი ამოქაფებით გამოწვეული დისკომფორტისგან.

ახალშობილებისთვის, რომელთაც აღენიშნებათ ძროხის რძის ცილის მიმართ ალერგია და/ან აუტანლობა, ლაქტოზას აუტანლობა, ატოპური დერმატიტი, ნუტრიბენი აწარმოებს ასევე სპეციალურ ადაპტირებულ ნარევს "ნუტრიბენ H1 - ჰიპოალერგიული", რომელიც შეიცავს სრულად ჰიდროლიზებულ ცილას, დედის რძეში შემავალ რძემჟავა ბაქტერიებს და არ შეიცავს ლაქტოზას. რადგან სრული, მაქსიმალური ჰიდროლიზით ცილა იშლება მცირე ზომის და წონის პეპტიდებად, რომელთაც არ აქვთ ალერგიის გამოწვევის პოტენციალი, ნუტრიბენ ჰიპოალერგიულის მიღებისას ალერგიის განვითარების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. ნუტრიბენ ჰიპოალერგიული საუკეთესო არჩევანია ალერგიული ბავშვებისთვის. ნუტრიბენ ჰიპოალერგიული იძლევა საშუალებას, თავიდან ავიცილოთ ალერგია რძის ცილის მიმართ და ასევე, აწესრიგებს თანდართული ლაქტოზის აუტანლობით ან სხვა ფაქტორით გამოწვეულ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემებს. ნუტრიბენ ჰიპოალერგიული შეიცავს გლუკოზას, რის გამოც სხვა ჰიპოალერგიული ნარევებისგან განსხვავებით აქვს სასიამოვნო გემო.

კომპანია ნუტრიბენი 50 წელზე მეტია აწარმოებს შემადგენლობით დედის რძესთან მაქსიმალურად მიახლოებულ, ადაპტირებულ ნარევებს. ნუტრიბენი 1939 წელს დაარსდა ესპანეთში და დღეისთვის ერთერთი უმსხვილესი კომპანიაა ევროპაში, რომლის პროდუქცია წარმოდგენილია ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ნუტრიბენი სთავაზობს მომხმარებელს მხოლოდ ხარისხიან და ბიოლოგიურად სუფთა, არაგენმოდიფიცირებულ პროდუქციას.

კომპანია ახორციელებს უმკაცრეს კონტროლს თავის პროდუქციაზე, რაზეც მოწმობს მისი ხარისხის ეროვნული და საერთაშორისო სერთიფიკატები ISO, ACERTA, ENAC. ნუტრიბენის ყველა პროდუქტი დამზადებულია ESPGHAN - ევროპის პედიატრთა, გასტროენტეროლოგთა, ჰეპატოლოგთა და ნუტრიციოლოგთა საზოგადოების რეკომენდაციების მიხედვით.

ნუტრიბენის პროდუქციას გააჩნია ფართო ასორტიმენტი. რძის ადაპტირებული ნარევების გარდა, ნუტრიბენი აწარმოებს სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურებით გამდიდრებულ საბავშვო ფაფებს, მზა სადილებს, ხილფაფებს, წვენებს, ორცხობილას, ხსნად ჩაის.

ნუტრიბენის პროდუქცია უკვე წარმოადგენილია საქართველოში ფარმადეპოს სააფთიაქო ქსელში.

**როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბავშვს რძე არ ჰყოფნის და სჭირდება დამატებითი საკვების მიღება?**

1. ხშირად ტირის, ჭამის დროს წყნარდება.
2. ამცირებს კვებებს შორის შუალედს.
3. არ იმატებს წონაში ან აქვს მცირე ნამატი.
4. შემცირებული აქვს შარდვა და/ან დეფეკაცია.
5. კანი გამომშრალი და დანაოჭებული აქვს.

სტატია მოამზადა:
პროგრესულ ექიმთა გაერთიანება
www.Med-Doctor.net



# დეველოპერულმა კომპანია m²-მა ახალი პროდუქტის ხაზი – „ოპტიმა" და მისი პირველი პროექტი – „ოპტიმა ისანი" წარადგინა

## „ოპტიმა ისანის" ახალი პროექტი – გარემონტებული ბინები 29 ათას დოლარად

დეველოპერული კომპანია m² საზოგადოებას ყოველთვის სთავაზობს საინტერესო და ინოვაციურ პროექტებს. კომპანია დაარსების დღიდან გამოირჩევა სამშენებლო ბაზარზე სიახლეთა დამკვიდრებითა და მომხმარებელზე მორგებული სამშენებლო პროექტებით. კომპანია საქართველოში ამკვიდრებს ხარისხიანი და კომფორტული ცხოვრების სტანდარტს. ნოვატორული მიდგომები, ხელმისაწვდომი ფასები, საიმედოობა, მაღალი ხარისხი განსაზღვრავს კომპანიის წარმატებას, რაც მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაში გამოიხატება.

დეველოპერულმა კომპანია m²-მა თბილისში დაიწყო ახალი კონცეფციის სამშენებლო პროექტი – „ოპტიმა ისანი." კომპანიის წამყვანი სპეციალისტები დიდი ხნის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდნენ, რომ ბინის შეძენის მსურველებისთვის ოთახების ოპტიმალური გეგმარება და ახალაშენებულ სახლში გარემონტებული ბინები ყველაზე დაბალი ფასით შეეთავაზებინათ. m²-ის ტრადიციული ხელწერა – მაღალი ხარისხი, კომფორტული გარემო, ენერგოეფექტური ბინები – ახლა უფრო ბევრისთვის გახდა ხელმისაწვდომი. ოროთახიანი გარემონტებული ბინის შეძენა უკვე მხოლოდ 29 ათას დოლარად არის შესაძლებელი. 238-ბინიანი სამშენებლო კომპლექსი „ოპტიმა ისანი" თბილისში, მოსკოვის გამზირის №14ა-ში მდებარეობს და ორი დამოუკიდებელი კორპუსისგან შედგება, რომლებიც 5,237 კვადრატულ მეტრზე განთავსდება.

საცხოვრებელი კომპლექსი „ოპტიმა ისანი" m²-ის ახალ, ოპტიმალურ სამშენებლო ხაზს ეკუთვნის, რომლის ფარგლებშიც კომპანია თავისი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ და მომხმარებელზე მორგებულ სამშენებლო პროექტებს განახორციელებს თბილისის სხვადასხვა უბანში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ m²-ის მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს ბინა „საქართველოს ბანკის" უფრო გრძელვადიანი – 20-წლიანი იპოთეკური სესხით. მაგალითისთვის, ოროთახიანი ბინის შეძენა „ოპტიმა ისანის" საცხოვრებელ კომპლექსში თვეში 213 ამერიკული დოლარიდან იქნება შესაძლებელი; სამოთახიანისა – 329 ამერიკული დოლარიდან, ხოლო ოთხოთახიანის – 495 ამერიკული დოლარიდან.

რაც შეეხება ბინას, ის სრულად გარემონტებული ბარდება მომხმარებელს. გარემონტებულ ბინაში კი ოჯახს დახვდება სამზარეულო



– ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით. საცხოვრებელი კომპლექსი აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით: ავტოსადგომით, გასართობით, მოსასვენებელი, სათამაშო მოედნითა და რეკრეაციული ზონებით. დამატებითი კომფორტისთვის საცხოვრებელი კომპლექსი უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებითა და ეზოსა და კომპლექსის მოვლისა და დასუფთავების მომსახურებით.



**ირაკლი ბურდილაძე** ***(m²-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე):*** თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ 238-ბინიანი სამშენებლო კომპლექსი „ოპტიმა ისანი" თბილისში, მოსკოვის გამზირის №14ა-ში მდებარეობს და ორი დამოუკიდებელი კორპუსისგან შედგება, რომლებიც 5,237 კვადრატულ მეტრზე განთავსდება. ჩვენ არა მარტო უმაღლესი ხარისხის ენერგოეფექტურ ბინებს ვთავაზობთ ჩვენს მოსახლეობას, არამედ, ჩვენი მიზანია, მათი შეძენა უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ. მოსკოვის პროსპექტის დასაწყისში არსებული მშენებარე კომპლექსი (ორი კორპუსი), რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, სწორედ რომ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებლისთვის. მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა ჩვენი კომპანიის პრიორიტეტია. დაბალი ფასები ოპტიმალური დაგეგმარებითა და ამ უბანში მიწის ფასით არის გამოწვეული და, შესაბამისად, ეს არ იმოქმედებს მშენებლობის ხარისხზე; უფრო მეტიც, „ოპტიმა ისანი" ენერგოეფექტური პრინციპებით შენდება, რაც მობინადრეს კომუნალური გადასახადების 23-მდე პროცენტით შემცირების (დაზოგვის) საშუალებას აძლევს. მეტი ოპტიმალურობისა და ხელმისაწვდომობისთვის „საქართველოს ბანკი" მომხმარებელს სთავაზობს სრულიად ახალ, 20-წლიან იპოთეკურ სესხს, რათა ახალაშენებული ბინის ისედაც დაბალი საფასური უფრო ადვილად გადასახდელი გახდეს. თვეში 213 დოლარის შენატანით, თქვენ შეგიძლიათ, იცხოვროთ სრულიად ახალ სახლში, სადაც მხოლოდ ავეჯისა და პირადი ნივთების შეტანა დაგჭირდებათ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, თანხის მთლიანად გადახდის შემთხვევაში, მოქმედებს 10-პროცენტიანი ფასდაკლება. მშენებლობა 2016 წლის ივნისში დასრულდება, მაგრამ, m²-ის ტრადიციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დროზე ადრე დავასრულოთ, რადგან, ჩვენ მიერ აშენებულ სამშენებლო კომპლექსებზე დიდი მოთხოვნაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებლობა, დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია „ალდაგში", ხოლო რისკები, გადაზღვეულია მომხმარებლის მაქსიმალური დაცულობის მიზნით, ACE Furopian Group-ში.

**სოფი ლორია**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47







**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – **ნინო ხაჩიძე**, ჟურნალისტი – **თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე**

დაიჯესტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე**
სპორტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა ახობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტები: **თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი**
მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**

დირექტორი: **გუგა ახობაძე**
ოფისმენეჯერი: **ინგა კერვალიშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჟავანაძე**
ვებ-გვერდის მოდერატორი: **საბა კარანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# უძლეველი ფასები

## ვინ უნდა გაყიდოს მწვანილი

პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებითა თუ ბუნებრივად, **ორ კვირაზე მეტია, რაც ამ ცოდვილ მსოფლიოში ნავთობი გაიაფდა**, იმდენად, რომ **რფ-ის ოპონენტები ხელებს იფშვნეტენ რუსული ეკონომიკის ჩამოშლის მოლოდინში,** ოღონდ ისაა, რომ **ქართულ ბაზარზე საწვავის ფასს მსოფლიო ბაზარზე არსებულმა ფასთა ცვლილებამ ძვრაც ვერ უყო** (ან კი როგორ შეძლებდა, როდესაც არც არასდროს უყვია?!).

მეორე მხრივ, **არც ჩვენებური მენავთობეები უარყოფენ, რომ ნავთობის ღირე-**



**ბულებამ დაიწია** და, თუ მთელი **აგვისტოს განმავლობაში ერთი ტონის ფასი 935 აშშ დოლარიდან თვით 960 აშშ დოლარამდე მერყეობდა**; 10 სექტემბრიდან **ფასი ქვემოთ წამოვიდა და 900-დოლარიან ნიშნულს მიეახლა**, დიზელის კი, საერთოდაც – 813-ს. –

არ უარყოფენ, ოღონდ, **ჩვეულებისამებრ, გვარწმუნებენ, რომ, ვიდრე ძვირად შეძენილს არ ამოყიდიან, საწვავს ვერ გააიაფებენ** (იმიტომ, რომ ასეთია ქართული ბიზნესის ლოგიკა – მოგება წაგების ძმა არ არის). მაგრამ, **რაკი ჩვენ არ ვიცით, რა ოდენობის საწვავი აქვთ ძვირად ნაყიდი** (იქნებ უკვე გაყიდეს კიდეც), ბუნებრივია, **ჩვენს ქვეყანაში საწვავის გაიაფება მეორედ მოსვლასავითაა – არავინ იცის, როდის გვეწვევა.**

ხოლო, თუ **ჩვენებურ მენავთობეთა ლოგიკას გავიხსენებთ, ვერ ვაიაფებთ,** რადგან **ძვირად გვაქვს ნაყიდიო**, ვფიქრობ, **ბენზინგასამართ სადგურებში მწვანილისთვის დახლები უნდა დაიდგას**, ვინაიდან, ჩვენს **დიდ მენავთობე ბიზნესმენთა ლოგიკა**, როგორც ჩანს, **მემწვანილეთა მცირე სავაჭრო ლოგიკას ვერა და ვერ გასცდენია**.

# დემოკრატიულად განუმეორებლები

## „გასაღები“

არავინ დავობს, რომ არასამთავრობო სექტორი ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და თუმცა ჩვენ **წარმოდგენაც არ გვაქვს, რა პროექტებში ილებენ ისინი დაფინანსებას, გვჯერა, რომ მათი ღვწა დემოკრატიის განვითარებისკენაა მიმართული.**



ხოლო, **რაკი გვჯერა, მათ კი – ჩვენზე მეტად საკუთარი დემოკრატიული განუმეორებლობის,** სავსებით ბუნებრივია, რომ **მათ ნააზრევს გულისყურით ვუსმენთ,** შესაბამისად, **ისინიც გვანებივრებენ თავიანთი შეფასებებით, დასკვნებითა და კვლევებით;** ცხადია, **საკანონმდებლო ინიციატივებითაც.** –

ამ კონტექსტში **კარგა ხანია, დავაა** (მთავრობასა და არასამთავრობოებს შორის), **თუ ვის უნდა ჰქონდეს აბონენტების მონაცემებზე პირდაპირი წვდომა: მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებს თუ სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს?!** არასამთავრობო სექტორი დარწმუნებულია, რომ იმ **ფარული მიყურადების აპარატურის „გასაღები“,** რომელიც წინა ხელისუფლებამ იძულებით შეაძენინა მობილურ ოპერატორებს, **სწორედ მობილურ ოპერატორებს უნდა დარჩეთ.**

სახელდობრ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელი ქ-ნი **გიგაური გვამუნათებს,** ჩვენ რა, მთავრობას ამუნათებს: **„უცხოელი ექსპერტები ამბობენ, რომ, თუ თქვენ ხართ დემოკრატიული სახელმწიფო, მაშინ „გასაღები“ იქნება მობილური ოპერატორების ხელში“.**

მე არ ვიცი, რა კავშირია დემოკრატიის ხარისხსა და ამ საქმეს შორის, მაგრამ დაზუსტებითაა ცნობლილი, რომ არავინ უწყის, **რომელი ქვეყნის სპეცსამსახური დგას თუ არ დგას ამა თუ იმ ფიჭური კავშირგაბმულობის უკან. ამის გათვალისწინებით კი,** დემოკრატიისა რა გითხრათ, თუმცა **ლოგიკურად გამოდის**, რომ, წესითა და რიგით, **„გასაღებს“ სახელმწიფო უკეთ დაიცავდეს, ვიდრე კერძო კომპანია.** და, ბოლოს და ბოლოს, თუ მოგვისმენენ, **მშობლიური სპეცსამსახურები მაინც მოგვისმენენ.** –

# დამუქებულში

## „ბონდ, ჯეიმს ბონდ“

კარგა ხანია, **უბრალო მოკვდავთ ჩამუქებულშუშებიანი ავტოებით სრიალი აღგვიკვეთეს** და **აქამომდე დაბურულად ოდენ სრულიად სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები გადაადგილდებოდნენ** (ზედაც, უპრაგონოდ არღვევდნენ საგზაო მოძრაობის წესებს) **და მათი ამოცნობაც ფრიად გაადვილებული გახლდათ.**

თუმცა, ხანი გამოხდა და **დაბურულმინიან ავტომფლობელთა ვინაობა შემცირდა**, რაკი შს მინისტრმა ცვლილება შეიტანა შესაბამის ბრძანებაში, რომელიც მინების დამუქების წესს ეხება. ამდენად, **ლამის დათითოკაცდა იმ პირთა ნუსხა, რომლებიც ამიერიდან ცხოვრებას თავიანთი ავტოების მუქი შუშებიდან დააქცერდებიან**.



ესენი გახლავან: საქართველოს პრეზიდენტი; პრემიერ-მინისტრი; პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები; პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები; მინისტრი და მისი მოადგილეები; სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილეები; პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი მოადგილე; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები; დაზვერვის სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები; პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი; მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი; პარლამენტის აპარატის უფროსი; მთავარი პროკურორი და მისი მოადგილეები, თბილისის პროკურორი და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების პროკურორები; შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და მისი მოადგილეები; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები; სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე; ეროვნული ბანკის პრეზიდენტი; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; გენერალური აუდიტორი; თბილისის მერი.

ჩამონათვალი მოწმობს, რომ **ჩამუქებული მინები აწ უკვე მხოლოდ ბობოლათა შორის ბობოლათა პრეროგატივაა,** ხოლო, **რაკი სია დიდიც არ არის**, ჩვენ **ყოველთვის გვეცოდინება, ვინ გვემალება შავი შუშების იქით.** –

# კმაყოფილების ხიბლში

## ვინ უნდა იხალოს ქვა თავში?

ისე მოხდა, რომ გასულ კვირას **დღის სინათლე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმაც იხილა**: ის ილია ჭავჭავაძის მკვლელობას ეხება.



თემის **პატრიოტული პათოსისა და მტკივნეულობის გათვალისწინებით**, ცხადია, მან **დიდი ინტერესიც გამოიწვია,** მით უფრო, რომ **დანამდვილებით ჯერაც ვერ გაგვირკვევია, ვინ და რატომ მოკლა ილია**, ოღონდ ისიცაა, რომ ჩვენს **ილიას ლოგინში სიკვდილი არ მოუხდებოდა** (თუმცა სხვა თემაა, ჩვენ როგორ „გვიხდება" მისი მკვლელობა).

ასეა თუ ისე, **კმაყოფილება ეტყობა თვით შსს-საც**, იმდენად, რომ შსს-ს **არქივის დირექტორმა** ბ-ნმა ომარ **თუშურაშვილმა ესეც კი ბრძანა:** „თვით **მკვლელობის სცენა,** მგონი, **კინემატოგრაფში პირველად აისახა** და **ილია ჭავჭავაძის სახე ჩვენს მომავალ თაობას შეიძლება ამ ფილმიდანაც დაამახსოვრდეს**."

პრინციპით, ყვავს თავისი ბახალაო, ჩვენთვის **გასაგებია**, რომ ბ-ნი **თუშურაშვილი ხიბლშია** (ფილმი ხომ შსს-ს პირმშოა?!), თუმცა აქ კი ცოტა გადაუჭარბებია, ვინაიდან, **თუ მომავალ თაობებს ილია ჭავჭავაძის სახე**, რაც უნდა შესანიშნავი, მაგრამ მაინც **ფილმიდან დაამახსოვრდა**, მეც, თქვენც და, რა თქმა უნდა, ბ-ნ ომარსაც, **თავში ქვის ხლის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია**. –

# რა ღირს კადიროვი?

## არც ერთი იყო ბერძენი და არც მეორე – ისლამისტი

გასულ კვირას ისე მოხდა, რომ **ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი** (რომელსაც ჩვენს სიყვარულს ვერა და ვერ დავაბრალებთ) **ორი სახელშეცვლილი, მაგრამ მაინც ქართველის ყურადღების ცენტრში მოექცა.**

ერთი, **ოდესღაც ჯარჯი ზვიადაური** (აწ ილიას ილიადისი) **ჩეჩნეთის პრეზიდენტს სახლეში ეწვია** და, **ვიდრე ის აღტაცებული** (თითქოს გულით საყვარელი ენახოს) **შესციცინებდა** ბ-ნ **კადიროვს, ოდესღაც თარხან ბათირაშვილმა** (აწ აბუ ომარ ალ-შიშანმა), პირველი ტერორისტული ისლამური სახელმწიფოს სახელით, გამოაცხადა, რომ **5 მილიონს იხდის რამზან კადიროვის თავში** (მისი **გარემოცვის,** სულ 11 ადამიანის, **გასაღებისთვის დაწესებული თანხა კი ნახევარი მილიონიდან 4 მილიონამდე მერყეობს**).



იმის გათვალისწინებით, რომ **ზემოხსენებულმა რამზანმა პრესკონფერენცია მოიწვია და** (თუმცა ჯილდოები არ უხსენებია, მხოლოდ იმ მუქარას შეეხო, რომელიც კავკასიისა და ჩეჩნეთის გაწმენდას ეხებოდა) **განაცხადა, რომ არ ეშინიათ** და, **ისლამისტებს, სადაც მისწვდებიან, იქ გაანადგურებენ**, უნდა ვივარაუდოთ, რომ **არც მთლად უშიშობაა.**

მართალია, **ისლამური სახელმწიფო ჩვენთვისაც საშიშია** (მიუხედავად თარხან ბათირაშვილის ჩვენებურობისა) და როგორც ილია იტყოდა, ფხანა ქეცმა იცისო, **დაქიჩმაჩებული კადიროვის დანახვამ გული კი მოგვფხანა**. –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# „მე ის თამრო ვარ"

## ანუ შენ რომ ჩემი სისხლი არ დაგილევია

**ბ-ნი შაშკინი კვლავ არ სწყალობს ცოცხალ ჟურნალისტებს** (ან კი როგორ უწყალობებს რამეს, როდესაც მინისტრობის პერიოდში სათოფეზე არ იკარებდა?!), ამიტომაც თანამოაზრეების კვალდაკვალ **საზოგადოებასთან ვირტუალური სივრციდან ამყარებს კომუნიკაციას** (აი, სად გავარდა ტექნიკა?!).



შესაბამისად, **ის სოციალური ქსელით გამოეხმაურა ინფორმაციას ინტერნეტსივრცეში შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში შეუარცხმყოფლის დასჯის პერსპექტივის შესახებ**, თანაც, ისე აღშფოთებული ბრძანდებოდა, **თითქოს ჩემი ინიციატივა იყო საჯარო სკოლებში დირექტორ-მასწავლებელთა გასაკონტროლებლად მანდატურების ჩასმა**, რომელთა უჩუმრად **საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბუზებიც კი უხმაუროდ დაფრინავდნენ** (ბზუილით რომ არავინ შეეწუხებინათ).

სახელდობრ, ბ-ნი **შაშკინი უბნობს, „მთავრობა დიდი მონდომებით ცდილობს გაანეიტრალოს სოციალურ ქსელებში არსებული ნეგატივი.** ბოტების, ჩინოვნიკების და პარტაქტივის რესურსი უკვე აღარაა საკმარისი. ამიტომ, **ახლა ცდილობენ, სისხლისსამართლებრივი ზომები დააწესონ ინტერნეტისთვის, რაც თავისთავად უტოპიაა.**"

მე არ შევუდგები **ექსმინისტრის ნააზრევის ოპონირებასა და ანალიზს** (უბრალოდ, არ ღირს, პრინციპით: **„შეაყარე კედელს ცერცვი"** – ), **მის ციტირებას გავაგრძელებ**. კერძოდ, იგი ყველაზე მეტად შემდეგს დაუღონებია: „ჩემს პოსტებზე ბოლო კვირას სხვადასხვა ბოტების და ჩინოვნიკების სახელით იდება ერთი და იგივე შინაარსის ტექსტი: **„ეს ის შაშკინი არ არის, რომელიც სისხლის დალევით იმუქრებოდა?!"**

ამიტომაც შემოგვძახა – ჩვენ რა, **ამის დამწერთ შეუძახა**: „კი (უნდა იყოს, „დიახ", ბატონო განათლების ექსმინისტრო), **მე ის შაშკინი ვარ, რომელმაც საჯარო სკოლის დირექტორებს ხუმრობით ვუთხარი, სკოლების რემონტების და ბავშვების კუთვნილი ფული სახლში არ წაიღოთ, თორემ თქვენს სისხლს დავლევთქო** (უნდა იყოს – „მეთქი", ზედაც, დეფისით). ხუმრობით ნათქვამმა სიტყვებმა სახელმწიფო **ბიუჯეტს 1 წელიწადში მარტო სკოლის ვაუჩერებისგან 20 მილიონი ლარი დაუზოგა.**"



შესაბამისად, **თუ ექსმინისტრის ლოგიკას მივყვებით**, ხომ წარმოგიდგენიათ, **რამდენს დაზოგავდა ბიუჯეტი, ბ-ნ შაშკინს თითო-თითო დირექტორის, თუნდაც, 50-50 გრამი სისხლი რომ დაელია?!**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**რაკი 2014 წელი იწურება და სწორედ ამ დრომდე იყო გამოცხადებული მორატორიუმი უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე, რაც, მართალია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" დემოკრატიის დროშის ქვეშ გაასაჩივრა (თითქოს რამდენიმე თვე რამეს წყვეტდა), მთავრობამ უკვე მოამზადა შესაბამისი ცვლილებები, რომლებმაც საქართველოში უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის პროცესი უნდა დაარეგულიროს. ჯერჯერობით გადაწყდა, რომ უცხოელებს საქართველოში ეზღუდებათ მიწაზე საკუთრების უფლება 5-კილომეტრიან სასაზღვრო ზონაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზიდან 12-კილომეტრიან მონაკვეთზე. დგინდება მათ მიერ შეძენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი: 5-დან 200 ჰექტრამდე. 200 ჰექტარზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთის გასხვისება მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით იქნება შესაძლებელი. აგრეთვე, დგინდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლება შემდეგი რიგითობით: 1. სახელმწიფო; 2. კოოპერატივი; 3. ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ან ადგილობრივი კომლი; 4. საქართველოს მოქალაქე, კომლი, საქართველოს მოქალაქეების მიერ დარეგისტრირებული იურიდიული პირი, ერთობლივი საწარმო, უცხოელი, საქართველოში უცხოელთა მიერ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირი და სხვა. როგორ აფასებენ წარმოდგენილ პროექტს პროფესიონალები, რომლებიც წლებია, ამ საკითხზე მუშაობენ. არის თუ არა გათვალისწინებული მათი რეკომენდაციები და იცავს თუ არა აღნიშნული პროექტი მიწის რესურსს განიავებისგან, – თემას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ პაატა კოღუაშვილთან ერთად განვიხილავთ.**

# რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ უცხოელებს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად და ვის მიენიჭება უპირატესობა მიწის შეძენისას



**თუ საქართველოს მოქალაქესთან ქორწინებაში მყოფი უცხოელი განქორწინდება, უცხოელმა ეს მიწა, უპირატესი შესყიდვის უფლებიდან გამომდინარე, უნდა მიჰყიდოს ყოფილ მეუღლეს**

**– მართალია, საპარლამენტო განხილვებისას პროექტში ცვლილებები შევა, მაგრამ, რადგან ზოგადი კონცეფცია ცნობილია, რას ეთანხმებით და რას არ ეთანხმებით მთავრობის მიერ შემუშავებულ ცვლილებებში?**

– ის დოკუმენტი, რომელიც მე მქონდა, შეიმუშავა საქართველოს მთავრობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა იუსტიციის მინისტრი. ამ დოკუმენტის მომზადებაში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და იუსტიციის სამინისტროები, საქართველოს პარლამენტის როგორც იურიდიული, ისე აგრარული კომიტეტები და სხვა დაინტერესებული უწყებები. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ დოკუმენტი თითქმის მისულია იმ კონდიციამდე, რაც აქვთ თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, ამასთანავე, გათვალისწინებულია ის ძირითადი რეკომენდაციები, რაც კომისიას მიაწოდეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა. რა არ იქნა გათვალისწინებული ჩვენი რეკომენდაციებიდან: ჩვენ მოვითხოვდით, რომ პროექტში ჩადებულიყო სასოფლო-სამეურნეო მიწების აბსოლუტური გამოყენების უფლება.

**– რას ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო მიწების აბსოლუტური გამოყენება?**

– მოვითხოვდით, გაკეთებულიყო ჩანაწერი, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწისთვის კატეგორიის შეცვლა განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, დაუშვებელია და ის გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ დანიშნულებისამებრ. სამწუხაროდ, ეს ჩანაწერი არ არის, მაგრამ მსგავსი ჩანაწერი აუცილებლად უნდა იყოს. იმიტომ რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს მიწაზე აბსოლუტური უფლება. უცხოელს არ უნდა ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო მიწისთვის კატეგორიის შეცვლის საშუალება. ეს დაუშვებელია. ერთი რამ უნდა დაიმახსოვროს საქართველოს მთავრობამ: კაცობრიობა შევიდა კრიზისულ ფაზაში, როდესაც ინტენსიური სავარგულები ამოწურვის პირასაა, ანუ ახალი მიწების ათვისება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუ არ განხორციელდა ისეთი ფანტასტიკური პროექტები, როგორიცაა უდაბნოების ათვისება და ტყეების გაჩეხვა. მეორე კატეგორიულადაა დაუშვებელი, პირველი კი იმდენ თანხას მოითხოვს, რომ ვერავინ შეძლებს არსებული დაძაბულობიდან გამომდინარე. პლუს ამას, უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში დასრულდა იაფი საკვების წარმოების ეპოქა. ფასები იზრდება და კიდევ უფრო გაიზრდება, კრიზისი კი კიდევ უფრო მწვავედ იფეთქებს 2050 წლისთვის. ამიტომ მიწა სასიცოცხლო ბაზაა ნებისმიერი ერისთვის და ამის განიავება დაუშვებელია. გერმანიაში ორჯერ განიხილეს ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში და ორჯერვე ითქვა, რომ მიწა არ არის ჩვეულებრივი საქონელი და ამ საკითხის მინდობა არასამთავრობოებისთვის თუ სხვა ორგანიზაციებისთვის დაუშვებელია. შვეიცარიამ საოცარი რამ ჩაწერა – არ დავუშვებთ შვეიცარიის მიწის გაუცხოებას, ავსტრიამაც იგივე ჩაწერა. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსაც, უნგრეთი, რუმინეთი, ბალტიისპირეთი, არაჩვეულებრივი ჩანაწერები აქვთ და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეების გარდა, არავის აქვს უფლება, იქ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ტყე შეისყიდოს. ამიტომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ რომის პაპზე კათოლიკენი და უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც იქცევა თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოები.

**– კიდევ რას ითხოვდით და რა არ გაითვალისწინა სამთავრობო კომისიამ?**

– მოვითხოვდით, რომ მინიმალურ და მაქსიმალურ შეზღუდვასთან ერთად შემოგვეტანა ზოგადი შეზღუდვის მექანიზმიც. მაგალითად, თუ პროექტით დადგენილია, რომ მინიმალური ოდენობაა 5 ჰექტარი და მაქსიმალური – 200, შეიძლება, დავამატოთ, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია, რომ უცხოელებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა შეიძლება, შეიყიდონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის 5 პროცენტი. ეს არ არის პატარა ციფრი – 150 000 ჰექტარზე მეტია. ამდენად, როგორც კი უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები ერთობლივად შეისყიდიან 150 000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, უცხოელს აღარ ექნება მიწის შესყიდვის უფლება. მსგავსი შეზღუდვა ბევრ ქვეყანას აქვს. იმავე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არის ჩანაწერი, რომ მყიდველმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მიწაზე სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება გერმანიის პოლიტიკურ-სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებთან. კანონში რომ ჩავხედოთ, იმდენი ნებართვაა საჭირო, ვერც წარმოიდგენთ. ჩვენ კი მსგავსს არაფერს მოვითხოვდით. სხვათა შორის, ამ თემაზე პირველად მუშაობა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დავიწყე და ბოლო 2 წლის განმავლობაში პირადად მე, ათი წერილი დავწერე ამ თემაზე და კიდევ ამდენივე საგაზეთო წერილი, ჩემმა მეგობრებმაც. ჩვენ გავუგზავნეთ ეს მასალა, მაგრამ ჩვენი რჩევები გაზიარებული არ არის.

**– მინიმალური ოდენობა – 5 ჰექტარი, მისაღებია თქვენთვის?**

– არასწორად მიმაჩნია მინიმალურ ზღვრად 5 ჰექტარი და რატომ: საქართველოს სოფლის მეურნეობასა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდს აქვს ერთი უდიდესი პრობლემა – დანაწევრება და ჩვენი მთავარი ამოცანაა, როგორმე დავძლიოთ ეს დანაწევრება. ამიტომ ჩვენ უკვე ვამუშავებთ კანონს საქართველოში მიწის კონსოლიდაციის შესახებ. ვინ მოდის ჩვენთან, ძირითადად, მიწის შესაძენად? ღატაკი ინდოელები, რომლებიც კმაყოფილები იქნებიან, თუკი იყიდიან 5 ჰექტარს და თავის მრავალშვილიან ოჯახს გამოკვებავენ. ჩვენ ამას არ უნდა დავთანხმდეთ და მინიმუმად უნდა დავაწესოთ 10-15 ჰექტარი, რაც, გარკვეულწილად, რეგულაციაცაა, რადგან საქართველოს რიგ მხარეებში, სპეციფიკური თავისებურებიდან გამომდინარე, ეს ძალიან რთული გასაკეთებელი იქნება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ არაფერი გვჭირს სამათხოვრო და ხელის გასაწვდენი, რომ ვიღაც უცხოელის გამოცდილების სამადლოდ ვიყოთ. ან ვისი გამოცდილება უნდა გავიზიარო? მავანი გერმანელი არქიტექტორის, რომელმაც არქიტექტურას თავი დაანება, 8 ჰექტარი სათბური აქვს გარდაბანში და მისგან ვისწავლო რამე?!

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ლამარა სისვაძე**, *73 წლის. თბილისი*

**დიაგნოზი**: კოქსართროზი, მეოთხე ხარისხის. ძალიან დიდი ხანია, მაწუხებს ტკივილი მარჯვენა თეძოსა და საზარდულში, გადამცემდა მუხლში. ორი წელია უკვე, მოძრაობაც შემეზღუდა, დავკოჭლდი, ფეხიც დამიმოკლდა და ჯოხითაც მიჭირდა სიარული. ღამით ტკივილი არ მაძინებდა. გადამიღეს და მეოთხე ხარისხიაო... ხელოვნური სახსარი მირჩიეს. ჩემს ასაკში ოპერაციას ვერ გავრისკავ, თან ძალიან ძვირია. ისევ მკურნალობა ვარჩიე. მოვმართე ამ კლინიკას, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვიცი, რომ ახალ სახსარს ვერც ერთი ექიმი ვერ ჩამიდგამს, მაგრამ... ტკივილები თითქმის აღარ მაქვს. მშვიდად მძინავს, დავდივარ, ვფუსფუსებ ოჯახში, ჯოხიც იმდენად აღარ მჭირდება, არადა, ჯერ მხოლოდ მეშვიდე პროცედურაა. მარჯვენას დავულოცავ მანანა ექიმს.

**დავით ტოხორაშვილი**, *56 წლის. რუსთავი.*

**დიაგნოზი**: კისრის ოსტეოქონდროზი, დისკოზი. ორი წლის წინ სიმაღლიდან გადმოვვარდი. დავიზიანე ხერხემალი და კისრის მალები. საავადმყოფოშიც ვიწექი, მერე, თითქოს, არა მიშავდა. წელს კი ახალი ძალით შემომიტია ტკივილებმა – კისრიდან გადამცემდა მხარში, ბეჭში და იდაყვამდე ჩამოდიოდა. ბოლოს თითების დაბუჟებაც დამეწყო, თითქოს ხელში ძალაც დამიქვეითდა.



ნეიროქირურგმა ოპერაცია მირჩია. ახლობელმა კი ქალბატონ მანანასთან მომასწავლა – სცადე, რას კარგავო. ნეტავი, ყველა ცდამ ასე გამიმართლოს. საუცხოო შედეგი მივიღე. ორ დღეში ტკივილები მომეხსნა, კისრის მოძრაობა გამითავისუფლდა, კიდევ 3-4 დღეში დაბუჟებაც შემცირდა. დიდი იმედით ვაგრძელებ მკურნალობას. დარწმუნებული ვარ, ოპერაცია აღარ დამჭირდება, რისთვისაც ვმადლობ უფალს და მანანა ექიმს.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში", სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**თემურ კემულარია**, *39 წლის. თერჯოლა.*

**დიაგნოზი**: ანალური ნაპრალი, კოლიტი. ერთი კურსი დავამთავრე. მართლა მაგრები არიან, ყველა ოპერაციას მეუბნებოდა. ყველა ტკივილი მომეხსნა, კუჭის მოქმედება გამომისწორდა. სისხლდენაც შეწყდა. ეს ყველაფერი მხოლოდ ნატურალური მალამოებით. ულრმესი მადლობა მანანა ექიმს და მის შვილს – სოსო ექიმს.

**მარიამ დონაძე**, *51 წლის.*

**დიაგნოზი**: დისბაქტერიოზი, ჰემოროიდული დაავადება – მესამე ხარისხი. აქ ისეთი რწმენით მოვედი, ვიცოდი, შედეგს მივიღებდი. აქ განიკურნა ჩემი ძმა, რძალი და კიდევ რამდენიმე ახლობელი. ძლიერი ტკივილი მქონდა, საშინელი. გამაყუჩებული არ მიხსნიდა. ამას გარდა, მქონდა დიდი ზომის, გართულებული კვანძები. ზოგჯერ სისხლდენა, წვა, ქავილი. კუჭ-ნაწლავის სისტემა მთლიანად არეული... დისბაქტერიოზი, მოუნელებლობა, ჭვლები, შებერილობა, გასტრიტი, ქოლეცისტიტი. მოკლედ, ეს ყველაფერი 10 დღეში თუ მოგვარდებოდა, ვერავინ იფიქრებდა. დღეს მეორე კურსის მალამოები მიმაქვს. თავს შესანიშნავად ვგრძნობ, სიტყვები არ მყოფნის. თავიდან დავიბადე.

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

საერთოდ, გადამთიელების იმედზე ყოფნა და არსებობა შეურაცხმყოფელია ისეთი ერისთვის, როგორიც ჩვენ ვართ. სახელმწიფო ვალდებულია, დაეხმაროს გლეხობას და წელში გამართული გლეხობა არათუ თავის ერს გამოკვებავს, არამედ ამ ქვეყნის ბიოპოტენციალი 8-10 მილიონი ადამიანის გამოკვებაა და არ გვაქვს ჩვენ ეს პრობლემა.

**– ერთია, რომ ამის პრობლემა არ გვაქვს და, მეორე, რომ ის ღარიბ-ღატაკი ინდოელიც კი ჩამოდის და ამუშავებს მიწას, ისიც და ჩვენი გლეხიც ხომ თანაბარ პირობებში არიან? არადა ის ახერხებს თავისი ოჯახის ამ მიწით გამოკვებას, ჩვენი გლეხობა ვერ ახერხებს. რატომ?**

– ბოლო 25 წელი უმძიმესი წლებია ჩვენი ქვეყნისთვის, იმიტომ რომ, სოციალური ფორმაცია შეიცვალა. მიწის რეფორმა არ ჩატარებულა, მიწის საკუთრებისადმი დამოკიდებულება შევცვალეთ, ამას სახელმწიფომ მხარი ვერ დაუჭირა, გლეხი იყო სხვის იმედად, ახლა გაღატაკდა...

**– ვთქვათ გულწრფელად, ამდენი მიწა მოცდენილია და ინდოელს ვეუბნებით, რატომ ამუშავებო.**

– რა თქმა უნდა, მიწა მაშინვე მონახავს თავის დამმუშავებელს, მაგრამ ჯერ, მოდი, ქართველ გლეხკაცს მივცეთ შანსი. მისცა ეს შანსი მას ვინმემ?!

**– არა, მაგრამ ინდოელსაც არ აქვს ეს შანსი და მაინც ამუშავებს. გული მწყდება უბრალოდ.**

– ინდოელი ზუსტად იმ მდგომარეობაშია, როგორშიც აქედან გაქცეული ქალები და კაცები. ქვეყანაში გატარებული რეფორმის ადეკვატური სოფლის მეურნეობის გაძლოლის სისტემა უნდა ჩამოგვეყალიბებინა. დღემდე არ შექმნილა ეს სისტემა და ჩემი ბოლო 15-წლიანი წერა-კითხვა მხოლოდ და მხოლოდ იმას ეძღვნება, რომ ეს სისტემა ჩამოვაყალიბოთ. ჩადით ქართლში: იმ შხამ-ქიმიკატებმა, რომლებსაც გლეხობა იყენებს, მთელი მოსავალი გაანადგურა. აბა, გაბედოს ვინმემ განვითარებულ სამყაროში და თავისი გემოვნებით შეასხას პესტიციდები, ასეთი რამ არსად ხდება ჩვენ გარდა. იმის გამო, რომ გაუბედურებულია გლეხობა, ამას თავისით აკეთებს, რის გამოც ქართლში მთელი მოსავალი ჩამოცვივდა და ძირს ყრია. ამიტომ სისტემაა შესაქმნელი და ეს სახელმწიფოს ფუნქციაა.

**– როგორ აფასებთ ჩანაწერს, რომ სასაზღვრო 5-კილომეტრიან ზონაში უცხოელებს ეკრძალებათ მიწის შეძენა?**

– მანამდე გეტყვით, რომ ძალიან კარგია, რაკი უცხოეთში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს არ აქვთ საქართველოში მიწის შეძენის უფლება. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელსაც ჩვენ ასე ვაკრიტიკებთ, თავის გადაწყვეტილებაში თითქოს დასცინა მთავრობას და პარლამენტს – რა პრეტენზიებს მიცხადებთ, როდესაც უცხოურ იურიდიულ პირებს მიწას მიჰყიდითო. არსად არ არსებობს მსოფლიოში ასეთი უფლება. ამდენად, სწორი ჩანაწერია, რომ მხოლოდ საქართველოში დარეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელშიც ქართველის წილი 50 პროცენტზე მეტია, შეუძლია მიწის შეძენა. მეტიც, ჩვენ აუცილებლად უნდა შემოვიტანოთ ისეთი ფორმა, როგორიცაა მიწის გრძელვადიანი გასხვისება-იჯარა, იმიტომ რომ, უცხოელს არ უნდა ყიდვა, აიღებს მიწას 49-წლიანი იჯარით. შეიძლება, 20 წლის შემდეგ შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება და ის უფლება გაასხვისოს. როგორც იქნა, 5-კილომეტრიან სასაზღვრო ზოლში გასხვისებაც იკრძალება, თუმცა მე იქვე დავაყენე საკითხი, რომ ზოგიერთ ადგილას, მიწის სტრატეგიული დანიშნულების გათვალისწინებით, შესაძლოა, ეს მანძილი გაიზარდოს. ოღონდ არის ერთი მუხლი, რომლის დარბილებაც შესაძლებელია. კერძოდ, ჩანაწერია, რომ, თუკი საქართველოს მოქალაქესთან ქორწინებაში მყოფი უცხოელი განქორწინდება, უცხოელმა ეს მიწა, უპირატესი შესყიდვის უფლებიდან გამომდინარე, უნდა მიჰყიდოს ყოფილ მეუღლეს. ჩემი აზრით, თუ ეს უცხოელი საქართველოს მობინადრეა, ეწევა ამ საქმიანობას, უნდა ჰქონდეს საქმიანობის გაგრძელების უფლება და ამიტომ უნდა იყოს ასეთი ჩანაწერი: თუ გადაწყვეტს მიწის გასხვისებას, მაშინ უნდა ჰქონდეს მის ყოფილ მეუღლეს უპირატესი შესყიდვის უფლება. ერთი სიტყვით, მთლიანობაში ეს დოკუმენტი მისაღებია და დიდ მადლობას ვეუბნები სახელმწიფო უწყებებს, თუმცა ჩვენ არ ვიცით, რას მოიმოქმედებს პარლამენტი, იმიტომ რომ, ძალიან მეპარება ეჭვი რამდენიმე ადამიანის ქცევაში. მაგრამ, თუ მთავრობის პოზიცია იქნება მყარი, მაშინ ის ხალხი, რომლებიც ჩემს ეჭვს იწვევს, ბევრ რამეს ვერ გაბედავს. ამის სრულყოფა შემდგომ ყოველთვის შეიძლება. ჯერჯერობით ჩვენი მიზანია, გლეხკაცი დავაყენოთ ფეხზე და არავის სამადლო არაფერი დაგვჭირდება.

**ნინო ხაჩიძე**

**მიუხედავად იმისა, ჩვენ გარშემო საგარეო გამოწვევების სახიფათო რკალი იკვრება: პირველი ტერორისტული ისლამური სახელმწიფოს შექმნით დაწყებული და „ნატოში“ არმიღებაზე გასული ჩრდილოური საფრთხით დამთავრებული, ქართული მედია, ძირითადად, იმას დარდობს, ხომ არ უკვეცავს მთავრობა პრეზიდენტს უფლებამოსილებებს და ზომაზე მეტად ხომ არ ავიწროებს. ამ სამწუხარო რეალობისა და შესაბამისი საინფორმაციო შიმშილის გათვალისწინებით, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან, იურისტ ირაკლი კობახიძესთან ერთად განვიხილავთ, რა უფლებამოსილებებს ანიჭებს მოქმედი კონსტიტუცია საქართველოს პრეზიდენტს და რა ქმედებები შედის თუ არ შედის მის კომპეტენციაში.**

# დაარღვია თუ არა მთავრობამ პრეზიდენტთან მიმართებაში საქართველოს კონსტიტუცია და მიიწერს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი იმაზე მეტ უფლებას, ვიდრე კონსტიტუცია ანიჭებს

**– რას ამბობს ჩვენი დღეს მოქმედი კონსტიტუცია, რა უფლებამოსილებები აქვს მოქმედ პრეზიდენტს?**

– საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს საკმაოდ შეზღუდული უფლებამოსილებებით, თუმცა ინარჩუნებს საკმაოდ მაღალ სტატუსს: ის არის სახელმწიფოს მეთაური, ის წარმოადგენს ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში, ის არის შეირაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ ეს ყველაფერი შეგვიძლია, აღვიქვათ, როგორც მაღალი, ოღონდ სიმბოლური სტატუსი.

**– რას ნიშნავს, როდესაც ვამბობთ, რომ პრეზიდენტს აქვს მაღალი, მაგრამ სიმბოლური სტატუსი? მას აქვს ეს ფუნქცია, მაგრამ რეალურად მისი განხორციელება არ ევალება?**

– მნიშვნელოვანია ერთი რამის განსაზღვრა: უშუალოდ სტატუსიდან არ გამომდინარეობს უფლებამოსილებები. ანუ, თუ ადამიანი არის სახელმწიფოს მეთაური, ეს არ ნიშნავს, რომ ის პასუხისმგებელია ქვეყნის მართვაზე; ასე რომ, თუ პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ მას ექვემდებარება სამხედრო ძალები და ასე შემდეგ. კონსტიტუციურ სამართალში სტატუსს აქვს მინიჭებული სიმბოლური მნიშვნელობა. რაც შეეხება პოლიტიკურ ძალაუფლებას: ის გამომდინარეობს არა სტატუსის განმსაზღვრელი ნორმებიდან, არამედ – უფლებამოსილებების დამდგენი კონსტიტუციური დებულებებიდან.

**– რას ამბობს პრეზიდენტის უფლებამოსილებებზე კონსტიტუციური დებულებები?**

– ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან საგარეო და თავდაცვის უფლებამოსილებები, რადგან საქართველოს პრეზიდენტისთვის ამ ორი მიმართულებით არის დადგენილი გარკვეული კომპეტენციები. რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს: კონსტიტუციით ხაზგასმითაა დადგენილი, რომ საგარეო პოლიტიკაზე ექსკლუზიურად არის პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობა, იმიტომ რომ, საქართველოს მთავრობა ახორციელებს საგარეო პოლიტიკას. ეს არის ფუნდამენტური მნიშვნელობის კონსტიტუციური ნორმა, რომელიც საგარეო პოლიტიკის კუთხით ანაწილებს უფლებამოსილებებს მთავრობასა და პრეზიდენტს შორის.

პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, აქვს ქვეყნის წარმომადგენლობის უფლება; მთავრობასთან შეთანხმებით საერთაშორისო მოლაპარაკებების უფლებამოსილება და, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერის უფლებამოსილება, თუმცა ის ამავდროულად, მთლიანადაა შეზღუდული მთავრობის თანხმობით. მთავრობის თანხმობის გარეშე პრეზიდენტი მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას, აწარმოოს რამე მოლაპარაკება საერთაშორისო დონეზე ან დადოს რამე ტიპის საერთაშორისო ხელშეკრულება. როგორც უკვე აღვნიშნე, უპირველესი, უპირატესი უფლება საგარეო პოლიტიკური მიმართულებით, ეკისრება ექსკლუზიურ აღმასრულებელ ორგანოს – მთავრობას, ამდენად, ამ სფეროში პრეზიდენტის როლი არის არსებითად სიმბოლური. სწორედ ეს არის აღნიშნული ვენეციის კომისიის დასკვნაში. მოგეხსენებათ, 2012 წელს ვენეციის კომისიამ შეაფასა ახალი კოტსტიტუციური მოდელი და ხაზგასმით აღინიშნა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები საგარეო პოლიტიკის სფეროში, ამ ახალი სისტემის მიხედვით, არის მთლიანად სიმბოლური. ანუ საგარეო პოლიტიკის სფეროში პრეზიდენტს ენიჭება არსებითად სიმბოლური ფუ-



საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ მას არ ექვემდებარება არც თავდაცვის სამინისტრო და არც სამხედრო ძალები

ნქციები. რაც შეეხება თავდაცვის ფუნქციას...

**– სანამ თავდაცვის ფუნქციაზე გადავალთ, დავაზუსტებ: შესაბამისად, კონსტიტუციით, თუ მთავრობა გადაწყვეტს, რომ პრეზიდენტი ამა თუ იმ მოლაპარაკებასა თუ შეხვედრაზე არ უნდა წავიდეს, ის არ უნდა წავიდეს, თუ მთავრობა გადაწყვეტს, რომ პრეზიდენტი უნდა წავიდეს, ის უნდა წავიდეს?**

– დიახ, ერთი მხრივ, მთავრობის თანხმობის გარეშე პრეზიდენტს არ აქვს შესაძლებლობა, გამართოს მოლაპარკება ან რამე ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი და, მეორე მხრივ, საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელია მთავრობა და არა პრეზიდენტი. მაგალითად, ავიღოთ ევროინტეგრაციის კურსის, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ აირჩია, განხორციელებაზე და საქართველოს ევროინტეგრაციაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. აქედან გამომდინარე, მთავრობას აქვს არა მხოლოდ უფლება, რომ თვითონ გამოვიდეს საგარეო ურთიერთობების მონაწილედ, არამედ ის პასუხისმგებელიც არის, რომ თავად წარმართოს ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება ამ მიმართულებით. ასე რომ, მთავრობას არა მხოლოდ აქვს უფლება, რომ პრეზიდენტს არ მისცეს საგარეო ურთიერთობებში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობა, არამედ მთავრობას პასუხისმგებლობაც ეკისრება ამ მიმართულებაზე და, შესაბამისად, ის მოწოდებულია, არსებითად თავის თავზე აიღოს ყველა ის მოქედება, რომელიც დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე.

**– რადგან ეს თემა დიდი გაუგებრობების საფუძველია, კიდევ ერთხელ დავაზუსტებ: იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრეზიდენტი მოაწერს ხელს რამე საერთაშორისო დოკუმენტს, აწარმოებს რამე საერთაშორისო მოლაპარაკებას, ხელმოწერილის და მოლაპარაკების შესრულებაზე პასუხისმგებელია მთავრობა და არა პრეზიდენტი.**

– არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ფორმალურად ვინ გააფორმებს ხელშეკრულებას, პასუხისმგებელი საგარეო პოლიტიკაზე მაინც მთავრობაა. რადგან, მაგალითად, პარლამენტმა შეიძლება, დააყენოს მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხი და ამ უნდობლობის საფუძველი შეიძლება, გახდეს მათ შორის ის, რომ არასწორად წარიმართა საგარეო დონეზე მოლაპარკებები და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ის მოლაპარაკება პრეზიდენტმა წარმართა თუ მთავრობამ. გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობაა პასუხისმგებელი საგარეო პოლიტიკის კარგად განხორციელებაზე, ის მათ შორის იმაზეცაა პასუხისმგებელი, რომ გარკვეული კომპეტენცია გადასცა პრეზიდენტს, როდესაც არ უნდა გადაეცა და თავის თავზე უნდა აეღო შესაბამისი მოლაპარკების წარმოება. რადგან საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელია მთავრობა, ეს პასუხისმგებლობა მოიცავს იმ შესაძლო კომპეტენციებსაც, რომლებიც ამ სფეროში შეიძლება, გადაეცეს პრეზიდენტს.

**– პრეზიდენტის თავდაცვის უფლებამოსილებებზე საუბრობდით.**

– თავდაცვის სფეროში პრეზიდენტს შედარებით მეტი კომპეტენცია აქვს განსაზღვრული. თუმცა, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ყველა ეს კომპეტენცია ხორციელდება მთავრობის ან პარლამენტის ჩარევით. მაგალითად, ავიღოთ საომარი მდგომარეობის გამოცხადება: ის საჭიროებს პარლამენტისა და მთავრობის თანხმობას, იგივე ეხება სხვა ქმედებებსაც: საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარების შემოსვლას, გადაადგილებას და ასე შემდეგ. ანუ თავდაცვის სფეროშიც პრეზიდენტის კომპეტენციები არის არსებითად შეზღუდული და ძირითადად, ეს შეზღუდვა გამოიხატება მთავრობის ან პარლამენტის თანხმობის დათქმაში. ამის გარეშე პრეზიდენტი დამოუკიდებლად ამ კომპეტენციებს ვერ განახორცი-

ელებს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელია საშინაო საქმეებზეც და საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია თავდაცვა – ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა, სამხედრო აღმშენებლობა და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტრო ექვემდებარება საქართველოს მთავრობას და არა – საქართველოს პრეზიდენტს. შესაბამისად, შეიარაღებული ძალებიც ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შემდეგ – საქართველოს მთავრობას. ანუ მართალია, საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს მაღალი სტატუსით და ის არის საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ მას არ ექვემდებარება არც თავდაცვის სამინისტრო და არც სამხედრო ძალები და, შესაბამისად, ის სიმბოლურად ატარებს მთავარსარდლის სტატუსს.

**– თუ აქვს პრეზიდენტს, კონსტიტუციით, რამე ფუნქცია, რომელიც არ არის სიმბოლური და მას პარლამენტისა თუ მთავრობის თანხმობის დათქმის გარეშე, დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილებს მიღება?**

– არის ასეთი უფლებამისლება, მაგალითად, მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება. მართალია, აქაც ჩართულია სხვადასხვა უწყობა, თავდაპირველად საკითხს უდოს კომისია განიხილავს, თუმცა გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი და ეს არის მისი დისკრეციული უფლებამოსილება. მოქალაქეობის მინიჭებაც პრეზიდენტის უფლებამოსილებაა: თუმცა ამ შემთხვევაშიც მას სამთავრობო დაწესებულება უმზადებს გადაწყვეტილების პროექტებს, მაგრამ შემდეგ პრეზიდენტი იღებს თავის საბოლოო გადაწყვეტილებას. ასევე, პრეზიდენტს შეუძლია, ვეტო დაადოს კანონებს, თუმცა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ, 2010 წლის ცვლილებებით, ვეტოს ეს უფლება არსებითად შეიცვალა და, თუ მანამდე პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოს სამი მეხუთედის უმრავლესობით გადალახავდა, ახლა უკვე საჭიროა აბსოლუტური უმრავლესობა, 76 დეპუტატი, ანუ გამარტივდა ვეტოს გადალახვა და ამ კუთხითაც პრეზიდენტის კომპეტენცია მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ანუ პრეზიდენტს აქვს გარკვეული კომპეტენციები, რაც დამახასიათებელია საპარლამენტო რესპუბლიკებისთვის. მთლიანობაში რომ შევაჯამოთ, რა მივიღეთ 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად: პრეზიდენტს ჰქონდა სრული ძალაუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მთავრობა იყო ერთგვარი დამხმარე ორგანო და ცვლილებების შემდეგ მისი ძალაუფლების, სულ მცირე, 95 პროცენტი მთლიანად გადავიდა მთავრობის ხელში. სწორედ ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმე გვაქვს არა ნახევრად საპრეზიდენტო მოდელთან, როდესაც პრეზიდენტი სანახევროდ ინარჩუნებს თავის ძალაუფლებას, არამედ ჩვენ მივიღეთ არსებითად საპარლამენტო მოდელი, როდესაც ძალაუფლების უდიდესი ნაწილი გადასულია პარლამენტის მიერ მთავრობის ხელში.

**– პრეზიდენტმა გასულ კვირას გვითხრა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაითხოვს პარლამენტს. პარლამენტის დათხოვნის პროცედურა კონსტიტუციითაა გაწერილი და ეს ფუნქცია მინიჭებული აქვს პრეზიდენტს. რა შემთხვევაში აძლევს პარლამენტის დათხოვნის უფლებას კონსტიტუცია პრეზიდენტს და მისი ეს ფუნქცია არსებითია თუ ისევ ფორმალური?**

– აქაც უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის მხოლოდ ფორმალური უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, ანუ მას არ აქვს მინიჭებული დისკრეციული კომპეტენცია. პარლამენტის დათხოვნა შეუძლია მხოლოდ ორ შემთხვევაში. პირველი, როდესაც მთავრობა უფლებამოსილებას მოიხსნის არჩევნების შემდეგ ან გადაყენებულია, ან გადამდგარი. რის შემდეგაც იწყება მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირება და, თუ პარლამენტი ვერ აყალიბებს მთავრობას, ამ დროს პრეზიდენტი არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ, ვალდებულია, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები. ანუ ამ კუთხით პრეზიდენტს არანაირი დისკრეცია არ ენიჭება, უბრალოდ, თუ პარლამენტი უუნაროა, ჩამოაყალიბოს მთავრობა, პრეზიდენტმა უნდა დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები, რომ კრიზისი განიმუხტოს.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას: ეს არის

**პრეზიდენტის ადმინისტრაციამ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუცია და ამის გამო წარმოიშვა კონფლიქტი. რასაც იყენებს პოლიტიკური ოპოზიცია და აფორმებს, როგორც ბრძოლას პრეზიდენტის წინააღმდეგ**

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, ანუ, თუ პარლამენტი წამოიწყებს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურას და ამ პროცედურას ვერ მიიყვანს ბოლომდე, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს ენიჭება პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მისი ეს კომპეტენცია არის შეზღუდული პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციის დათქმით. ანუ პრეზიდენტი მოკლებულია შესაძლებლობას, რომ თავისი ინიციატივით დაითხოვოს საქართველოს პარლამენტი, ფაქტობრივად, ამ გადაწყვეტილების მიღება საქართველოს მთავრობის თანხმობით და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნიციით არის შესაძლებელი.

**– რას ნიშნავს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაცია?**

– კონსტრასიგნაცია ნიშნავს პრეზიდენტის შესაბამისი აქტის თანახელმოწერას პრემიერ-მინისტრის მიერ, ანუ, ფაქტობრივად, საჭიროა ორი ხელმოწერა, პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის, რომ პარლამენტის დათხოვნამ იურიდიული ძალა შეიძინოს.

**– ანუ პარლამენტის დათხოვნას სჭირდება პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედება?**

– თუ პრემიერ-მინისტრი არ არის თანახმა პარლამენტის დათხოვნაზე, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტს ვერ დაითხოვს. ზოგადად, ფრაზა, თუ კრიზისი შეიქმნა, დავითხოვ პარლამენტსო, შესაძლოა, არასწორად იქნას გაგებული და არაიურისტს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა. არადა, რეალურად, ეს ასე არ არის. რეალურად, პრეზიდენტი ვერ წყვეტს, დაითხოვოს თუ არა პარლამენტი, კონსტიტუციითაა მკაცრად განსაზღვრული შემხთვევები, თუ როდისაა პარლამენტი დასათხოვი და პრეზიდენტს ენიჭება ფორმალური კომპეტენცია, დაითხოვოს ის.

**– თქვენი საუბრიდან გამომდინარეობს, რომ, თუ პარლამენტი თავად არ შექმნის კრიზისულ ვითარებას, მას ვერავინ დაითხოვს?**

– დიახ, თუ ნდობას ან უნდობლობას არ გამოუცხადებს მთავრობას. შესაბამისად, თუ პარლამენტს ეს პრობლემები არ შეექმნება, მას ვერავინ დაითხოვს.

**– მოარული მოსაზრებით, მთავრობა თითქოს ზღუდავს და ჩაგრავს პრეზიდენტს, მაგრამ თქვენი განმარტებები ნათლად აჩვენებს, რომ მთავრობა იქცევა ისე, რაც წერია კონსტიტუციაში. შეგიძლიათ, დაასახელოთ ერთი შემთხვევა მაინც, როდესაც მთავრობამ კონსტიტუცია დაარღვია პრეზიდენტთან მიმართებაში და ის შეავიწროვა?**

– დღემდე იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მთავრობას აბრალებდნენ პრეზიდენტის როლის დაკნინებას, მისი უფლებამოსილების უსამართლოდ შეზღუდვას. თუ გადავხედავთ თითოეულს, არც ერთ შემთხვევაში მთავრობა არ მოქცეულა კანონის ან კონსტიტუციის ფარგლებს მიღმა. ასოცირების შეთანხმება იყო უპირატესად მთავრობის მიერ ხელმოსაწერი დოკუმენტი; ისევე, როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების სამიტზე მთავრობას ჰქონდა უპირატესობა, მიეღო მონაწილეობა. მე ვიტყოდი, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუცია და ამის გამო წარმოიშვა კონფლიქტი. ხშირად ეს პოლიტიკური სპეკულაციის საგანი ხდება, რასაც იყენებს პოლიტიკური ოპოზიცია და აფორმებს, როგორც ბრძოლას პრეზიდენტის წინააღმდეგ, როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებას, თუმცა, გავიმეორებ, კონსტიტუციასთან ასეთ შეფასებებს არაფერი აქვს საერთო და ეს არის შეგნებული თუ შეუგნებელი სპეკულაციები.

**– მე ვიტყოდი, დეზინფორმაცია.**

– დიახ, მოსახლეობა დღემდე ვერ იღებს სწორ ინფორმაციას კონსტიტუციის შესახებ და ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონსტიტუციის არასწორი ინტერპრეტაცია.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს ფიზიკური პირი, რომ სახელმწიფოსგან მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული 5 000 ლარი მიიღოს

*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამა, რომლის მიზანიც მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობაა 10 ოქტომბერს ამოქმედდება. საერთო ჯამში, ამ საქმისთვის 20 მილიონი ლარია გამოყოფილი და სახელმწიფო იმედოვნებს, რომ ეს თანხა გამოიღებს შემდეგ შედეგს: გაიზრდება რეგიონული ბიზნესის კონკურენტუნარიანობა; შემცირდება რეგიონის მკვიდრთა მიგრაცია დედაქალაქსა და უცხოეთში; რეგიონში თანამედროვე ბიზნესპრაქტიკა დამკვიდრდება; მოხდება რეგიონალური პროდუქციის დივერსიფიკაცია; მოიმატებს მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქციაზე და შეიქმნება დამატებით სამუშაო ადგილები.*

*პროგრამა 26 თვის განმავლობაში განხორციელდება და მასში ჩართვა შეუძლია ფიზიკურ პირს, რომელიც პროგრამაში ჩართვისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად სარგებლობს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით. კერძოდ: მიკრო-ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს; მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებს; ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებს. პროგრამა თანადაფინანსების პრინციპით მოქმედებს: დამწყებ და უკვე მოქმედ მეწარმე სუბიექტებს მაქსიმუმ 5 000 ლარით დააფინანსებს, სამი მეწარმე სუბიექტისგან შემდგარ ჯგუფს კი – მაქსიმუმ 15 000 ლარით. მეწარმე სუბიექტების თანამონაწილეობა 20 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს. პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს მცირე მეწარმეების ტექნიკურ დახმარებას ტრენინგების, სტაჟირებებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით. პროგრამა თბილისის გარდა მთელ საქართველოს მოიცავს, თავის მხრივ კი, სამიზნე რეგიონები 4 ლოტადაა დაყოფილი: აჭარა, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი, სავარაუდო ბიუჯეტით, 6 მილიონ 100 ათასი ლარი. კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, სავარაუდო ბიუჯეტით 5 მილიონი ლარი. იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სავარაუდო ბიუჯეტით 4 მილიონ 520 ათასი ლარი. სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, სავარაუდო ბიუჯეტით – 4 მილიონ 380 ათასი ლარი. თანხას გაცემს არა სახელმწიფო, არამედ კერძო ორგანიზაციები, რომლებსაც სახელმწიფო შეარჩევს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. თავის მხრივ, ორგანიზაცია შეარჩევს ბენეფიციარებს; ამასთან, დაეხმარება მათ ბიზნესგეგმის შედგენაში და შეარჩევს მეწარმე სუბიექტებს ტრენინგის ეტაპისთვის. საბოლოოდ, კერძო ორგანიზაცია დაამტკიცებს პროექტს დასაფინანსებლად და მასში მონაწილეებს გაუწევს კონსულტაციებს, ტრენინგებს და სხვა ტიპის ტექნიკურ დახმარებას.*

***ჯერჯერობით უცნობია, რომელი ორგანიზაციები შეარჩია სახელმწიფომ პროგრამის განმახორციელებლებად, რადგან განაცხადის შეტანის ვადა გასული კვირის ბოლოს ამოიწურა, მაგრამ, რაკი პროგრამა 10 ოქტომბრიდან უნდა ამოქმედდეს, აფბას პრეზიდენტთან, ნოდარ ჭიჭინაძესთან ერთად გავარკვევთ, ვის და როგორ შეეძლება აღნიშნული პროგრამით სარგებლობა.***

– სამინისტროს პროექტის არსი საკმაოდ მკაფიოდ აქვს განმარტებული, ჩემს პოზიციას ვიტყვი, რამდენად კარგი პროექტია და რა შედეგს მოიტანს. ორი აზრი არ არსებობს, დღეს სოფლად ცუდი მდგომარეობაა და სოფელი განვითარებას საჭიროებს. მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც დიდია სოფლიდან ქალაქებში მოსახლეობის მიგრაცია და მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ადგილზე გარკვეული ინიციატივები წაახალისოს, მით უმეტეს, რომ 5 000 ლარი არ გულისხმობს რამე დიდი საწარმოს შექმნას. ეს არის იმ ტიპის საქმიანობის კომერციალიზაცია, რასაც სოფლებში ეწევა მოსახლეობა, რომ ბიზნესის ჩანასახები გაჩნდეს რეგიონებში, რაც პერსპექტივაში გამორჩეულ ნიჭიერ ადამიანებს საშუალებას მისცემს, შესაბამისი უნარები



**არ გამოვა, მე მოგცე 5 000 ლარი და შემდეგ, რაც გინდა, ის გააკეთო. იმიტომ რომ ცდუნება დიდი იქნება. დავამატებ ამ 5 000 ლარს ჩემს 1 000-ს, ვიყიდი მანქანას და „ვიტაქსავებ“. ანუ ეს რისკი არის**

განივითარონ და თავიანთი ბიზნესები შექმნან. მით უმეტეს, რომ ამ პროექტს თან ახლავს საკონსულტაციო ნაწილიც, რაც მათ უნარების განვითარებაში დაეხმარება. ამდენად, დადებითად შევაფასებდი, კარგი წამოწყებაა.

**– სქემა როგორია? სამინისტროს საიტზე არ არის განმარტებული, ვინ ვისთან მიდის, რა პროცედურებს გადის კონკრეტულად, რომ მიიღოს ეს 5 000 ლარი, თუ აქვს თავად 1 000-ც.**

– რამდენადაც ვიცი, საქართველოს რეგიონები, თბილისის გარდა, ლოტებადაა დაყოფილი, რომლებზეც უნდა გადანაწილდეს 20 მილიონი. ამ თანხების ათვისება, მათი მიტანა უშუალოდ ბენეფიციარებამდე, დაინტერესებულ ადამიანებამდე უნდა მოხდეს სხვადასხვა არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ. ეკონომიკის სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც სხვადასხვა კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას და გამარჯვებულები თავიანთ თავზე აიღებენ ამ თანხის განაწილებას. მათვე დაევალებათ საკონსულტაციო მომსახურების გაწევაც.

** იქ, სადაც ფულია, თან, ასეთი მუქთა ფული, კორუფციისა და თავისიანის გაყვანის რისკი იქნება, თუმცა მთავარია, წარმოდგენილმა პროექტებმა დააკმაყოფილოს ის კრიტერიუმები, რასაც ითხოვს სახელმწიფო ბენეფიციარისგან**

**– ფაქტია, რომ მოთხოვნა მეტი იქნება, ვიდრე გამოყოფილი 20 მილიონია.**

– მოთხოვნა გაცილებით მეტი იქნება, თუმცა განსაზღვრულია ცალკეული კრიტერიუმები, თუ რა ტიპის პროექტები უნდა დაფინანსდეს უპირველესად. სახელმწიფო განსაზღვრავს პირობებს, უბრალოდ კონკურსში გამარჯვებული კომპანიები, რომლებმაც თანხა უნდა გაანაწილონ, უზრუნველყოფენ ამ თანხის უშუალოდ ბენეფიციარებამდე მიტანას. ასევე, ეს კომპანიები დაეხმარებიან კონკრეტულ ადამიანებს ამ თანხის მიღებასა და სწორად განკარგვაში.

**– სახელმწიფო თავად რატომ არ ანაწილებს ამ თანხას? შუამავალი ხომ ზედმეტი ხარჯია?**

– სახელმწიფოს შეიძლება, არც ჰყავდეს ასეთი კადრები ან ჰყავდეს და ისინი სხვა საქმით იყვნენ დაკავებულნი. შუამავლები იმ კრიტერიუმების მიხედვით შეარჩევენ პროექტებს, რაც დააწესა სახელმწიფომ. ბუნებრივია, მათი ინტერესიც არის, თუმცა დაკონკრეტებული არ არის ოდენობა. ლოგიკურად, მათი მომსახურების თანხაც შედის იმ 20 მილიონში, რადგან სხვა ინფორმაცია არსად მინახავს. გასულ კვირას დასრულდა განაცხადების მიღება და თავად პროგრამა 10 ოქტომბრიდან უნდა ამოქმედდეს, ესე იგი, იმ დროისთვის შერჩეულნი იქნებიან შუამავალი კომპანიები. ჯერჯერობით არსადაა დაკონკრეტებული, როგორი ურთიერთობა იქნება ბენეფიციარსა და ამ კომპანიებს შორის. სახელმწიფო შუამავლების გარეშეც შეძლებდა ამის გაკეთებას, მაგრამ, მაგალითად, შუამავლად შეიძლება, მონაწილეობა მიიღოს რომელიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, რომელიც დასპეციალიზებულია სოფლის მეურნეობის დაკრედიტებაზე. ამ დარგთან ურთიერთობის მეტი გამოცდილება აქვს და სახელმწიფოზე უკეთ შეუძლია, განათავსოს გამოყოფილი თანხა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოსაც შეუძლია იგივე – დაიქირაოს კადრები, თვითონვე შექმნას შუამავალი რგოლი, მაგრამ ეს მაინც მოითხოვს ხარჯს, ამიტომ უმჯობესია, რომ შუამავალი რგოლის სახით მოიწვიოს კერძო კომპანიები და მათაც მისცეს შანსი. მიდგომა ასეთია, კერძო სექტორმა შეაფასოს პროექტები და არა სახელმწიფომ და ეს მიდგომა ჩემთვის მისაღებია, რადგან კერძო სექტორს ამ სფეროში საქმიანობის უფრო დიდი გამოცდილება აქვს, ვიდრე სახელმწიფოს.

**– სანამ ეს დადგინდება, ავუხსნათ მკითხველს, რა ტიპის პროექტებს დააფინანსებს სახელმწიფო 10 ოქტომბრიდან შუამავალი კომპანიების მეშვეობით?**

– პროექტი მოიცავს ნებისმიერ საქმიანობას: ამ საქმიანობის ავტორი შეიძლება, იყოს როგორც სოფლად, ისე ქალაქად მცხოვრები ადამიანი, რომლის იდეაც ეხება სოფელში რამე საწარმოსა თუ მეურნეობის განვითარებას, რომ იქ შეიქმნას ეკონომიკური აქტივობა და დოვლათი. ანუ ამ შემთხვევაში ადამიანის საცხოვრებელ ადგილსა და სტატუსს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ მან ეს პროექტი განახორციელოს რეგიონებში. საქმიანობის ზუსტი ჩამონათვალი არ არსებობს, მაგრამ, ლოგიკურად, ეს იქნება სოფლის მეურნეობა, იმიტომ რომ თანხით, რომლის გაცემასაც ეს

ა ქ ც ი ა
სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ
„ანტროპოსში“
უ ფ ა ს ო დ
გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის“ მეშვეობით.
დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.
დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.
გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ
ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!

საშემოდგომო აქცია!
უფასოდ!!!
• გინეკოლოგის კონსულტაცია
• რევმატოლოგის კონსულტაცია (პროფესორი, მედიცინის დოქტორი ოლგა ანთელავა)
სამშაბათობით და ხუთშაბათობით 13.00-დან 14.00-მდე
კონსულტაციები მხოლოდ წინასწარი ჩაწერით:
• ანგიოლოგი (პროფესორი, მედიცინის დოქტორი სერგო ჯაიანი)
• გასტროენტეროლოგი (მედიცინის დოქტორი ბადრი ცუცქირიძე)
• თერაპევტი (მედიცინის დოქტორი დემურ ჭაფანძე)
უფასო კონსულტაციები შაბათობით (13.00-დან 14.00-მდე)
საყოველთაო დაზღვევა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ „ანტროპოსში“!
მხოლოდ ჩვენთან – დაზღვეულ პაციენტებს შემოგთავაზებთ გამოკვლევებისა და მკურნალობის უნიკალურ დამატებით პაკეტს:
• დინამიკური დაკვირვება პაციენტის ჯანმრთელობაზე მონიტორული დიაგნოსტიკური სისტემის, „ანტროპოსის“ გამოყენებით, 80 %-იანი ფასდაკლება
• ფიზიოთერაპია – 50 %-იანი ფასდაკლებით
• სტომატოლოგია – თერაპიული მკურნალობა – 50 %-იანიფასდაკლებით:
- კბილის ამოღება პროთეზირებისას -უფასო
- პროთეზირება -25%-იანი ფასდაკლებით
ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.

პროექტი ითვალისწინებს, ვერ გახსნი დიდ საწარმოს.

**– დიდს ვერა, მაგრამ შესაძლოა, გახსნა სალონი, თონე, გამოუშვა გაზეთი?**

– ალბათ, სამიზნე აუდიტორია ამ შემთხვევაში არის სოფლის მეურნეობა. მაგალითად, ადამიანებს ჰყავთ საქონელი და მათ ამ თანხით შეუძლიათ, შეიძინონ რძის გადამამუშავებელი დანადგარი ან ყურძნის გადამამუშავებელი დანადგარი, ვისაც აქვს ვენახი. მე პირადად რაჭაში მაქვს სოფელი და საკმაოდ ძველი მეთოდებით იწურება ღვინო.

**– ჩვენი წინაპრებისდროინდელი ტექნოლოგიური განვითარების დონეზე ვართ დღესაც.**

– ამიტომ შეიძლება, სოფლად რამე გადამამუშავებელი ნახევრად ავტომატური დანადგარი შეიძინონ. სწორედ აქ სჭირდება კონსულტაცია გლეხს. ამას გარდა, მეღვინეობის სფეროში დასაქმებულებისთვის საინტერესო იქნება ღვინის შესაფუთი ნახევრად ავტომატური აპარატი, რომელიც ძვირი არ ღირს, რომ თავიანთი ღვინო ლამაზად შეფუთონ და უფრო ძვირად გაყიდონ. ანუ თავიანთი საქმიანობის კომერციალიზაცია მოახდინონ, ნაცვლად იმისა, რომ ყურძენი ჩააბარონ. მით უმეტეს, რომ მეწარმეთა ჯგუფისთვის სახელმწიფოს 15 000 ლარი აქვს გათვალისწინებული, თუ ამას თანადაფინანსების 20 პროცენტსაც დავამატებთ, ეს არც თუ მცირე თანხაა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი დონის გათვალისწინებით. ამ თანხით სავსებით შესაძლებელია მიკროწარმოების შექმნა. აქვთ სრული თავისუფლება: შეიძინონ სასუქი, საკვები პირუტყვისთვის, გადააიარაღონ თავიანთი მეურნეობა და ასე შემდეგ.

**– ერთია, რომ სახელმწიფო გასცემს ამ თანხას და კონსულტირების ვალდებულებასაც იღებს, მაგრამ მეორეა მონიტორინგი: მე ვაჩვენებ, რომ მაქვს 1 000 ლარი, დავწერ პროექტს, ავიღებ 5 000 ლარს და ვიყიდი მანქანას ან წავალ სამოგზაუროდ. ეს ფული ხომ საჩუქარია, არავინ მთხოვს მის დაბრუნებას?**

– დიახ, ასეთი მაგალითი ბევრი გვსმენია და ამიტომ, ბუნებრივია, დგება, როგორი უნდა იყოს ამ თანხის მიზნობრივად გამოყენების მექანიზმი. არ მახსენდება, რომ ეკონომიკის სამინისტროს ვებ-საიტზე მითითებულ ინფორმაციაში იყოს ეს აღნიშნული.

**– არც მე.**

– წესით, უნდა იყოს, რადგან არ გამოვა, მე მოგცე 5 000 ლარი და შემდეგ, რაც გინდა, ის გააკეთო. იმიტომ რომ ცდუნება დიდი იქნება. დავამატებ ამ 5 000 ლარს ჩემს 1 000-ს, ვიყიდი მანქანას და „ვიტაქსავებ“. ანუ ეს რისკი არის.

**– ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ფულის დიდი ნაწილი დაიკარგება და ჰაერში აღმოჩნდება გასროლილი. თქვენ რას ფიქრობთ?**

– თუ დაკარგვაში იმას გულისხმობენ, რომ ჩაიდება პროექტში, რომელიც არ გაამართლებს, სხვა საკითხია. გამოუცდელობის გამო დიდია რისკი, რომ ვერ გაამართლოს ამა თუ იმ პროექტმა, წარმატებულ ბიზნესმენსაც კი მოსდის შეცდომები, არათუ ახალბედებს. მეტიც, ახალბედების შემთხვევაში რისკი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე პროექტისთვის „აწარმოე საქართველოში“, რადგან იქ გამოცდილი მეწარმეები და ბიზნესმენები იღებენ მონაწილეობას. როდესაც ნულიდან იწყებს ადამიანი, ბუნებრივია, იქნება წარუმატებლობის ფაქტები და არც თუ ცოტა.

**– ახსენეთ, რომ დიდი პროექტების განხორციელებისას კრედიტები გასცეს ბანკებმა ჩვეული წესით, რამაც გააჩინა ლეგიტიმური ეჭვი, რომ ისევ და ისევ უმეტესად ბანკებმა იხიერეს ამ სამთავრობო იაფიანი კრედიტებით.**

– რა თქმა უნდა, ამის რისკიც არსებობს, თუმცა ნორმალურ სიტუაციასა და გარემოში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ საქართველოში ასეთი რისკი ნამდვილად არსებობს. იმიტომ რომ არ არსებობს მიმართულება და დარგი, სადაც საბანკო სექტორს არ ჰყავდეს თავისი შვილობილი კომპანია და არ ჰქონდეს თავისი ინტერესი. ასე რომ, ეს რისკი მაინც არსებობს.

**– მიკროსაწარმოების შექმნის პროექტში არსებული შუამავალი კომპანიების შემთხვევაშიც იქნება ეს რისკი.**

– რისკი აქ უფრო დაბალია, რადგან ისინი შეირჩევიან ღია კონკურსის წესით. შუამავალი კომპანია შეიძლება, იყოს არა მარტო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არამედ არასამთავრობო ან საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ ადამიანური რესურსი საკონსულტაციო თუ პროექტების მიმართულებით. ერთი სიტყვით, ყველა ის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს კომპეტენცია, შეარჩიოს პროექტი და იყოს ფინანსების გამტარი. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, იქ, სადაც ფულია, თან, ასეთი მუქთა ფული, კორუფციისა და თავისიანის გაყვანის რისკი იქნება, თუმცა მთავარია, წარმოდგენილმა პროექტებმა დააკმაყოფილოს ის კრიტერიუმები, რასაც ითხოვს სახელმწიფო ბენეფიციარისგან. მისცენ თანხა თავიანთ ნათესავსაც შუამავალმა კომპანიებმა, თუკი ის წარმოადგენს კარგ პროექტს.

**ნინო ხაჩიძე**

**ტელეწამყვანი და ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე, რომელმაც ბოლო დროს მსახიობის ამპლუაც მოირგო, ეპატაჟურ და არაორდინარულ ტიპაჟად იმ დროსა და რეჟიმში ჩამოყალიბდა, როცა საბჭოთა კომპრომისებში უწევდა ცხოვრება. თამამი ექსპერიმენტები და ცოტა ავანტიურა საკუთარ ცხოვრებას არც მოგვიანებით დააკლო. პიონერი იყო მათ შორის, ვინც თბილისში ინგლისურის პედაგოგობა დაიწყო და ასევე პირველი, ვინც ცნობილ ამერიკულ ტელეარხზე რეპორტიორად მოხვდა. 65 წლის ასაკში მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა ისწავლა, ცოტა უფრო გვიან იცეკვა პროფესიონალებთან ერთად, ფიქრობს, რომ „სწორება სწავლაზე" მისი ხასიათის დამსახურებაა და იმ მძიმე წრთობის, რისი გადატანაც ადრეული ასაკიდან მოუხდა.**

# რატომ ასწავლიდა ნუგზარ რუხაძე ინგლისურს მანეთად და რა იყო მისი ცხოვრების ყველაზე დიდი ავანტიურა

**ნუგზარ რუხაძე**: სულ იმას ვეკითხები ჩემს თავს, იმ ჩაკეტილ სივრცეში, რომელშიც გავატარეთ ცხოვრება, ასეთ თავისუფალ ადამიანად როგორ ჩამოვყალიბდი და ამით, სიმართლე გითხრათ, ვტრაბახობ კიდეც. სოციალიზმსა და კომუნიზმს გონებრივად გადაურჩნენ ისინი, ვისაც ერთგვარი დამოუკიდებელი აზროვნება ახასიათებდათ, თუმცა, ამას კარგად მალავდნენ. ჩემი თაობის ბიჭები და გოგოები, თითქოს ვილებდით იმ ყველაფერს, რასაც კომუნისტური საზოგადოება გვთავაზობდა, მაგრამ მაინც აზრზე ვიყავით – ვკითხულობდით, ვწერდით, უცხოეთში დავდიოდით, თუმცა ამისთვის კომპრომისზე წასვლა გვიწევდა. კომპრომისი რა იყო – სამშობლოს სასარგებლოდ უნდა გაგეკეთებინა რამე, უნდა ყოფილიყავი რეჟიმის მორჩილი, არ უნდა გქონოდა ამბოხების სურვილი. მე რომ უცხოეთში წავსულიყავი, ჩემს დახასიათებაზე ხელი უნდა მოეწერა რაიკომის მდივანს, პროფკავშირის თავმჯდომარეს და კომკავშირის მდივანს. ეს არ მომწონდა, მაგრამ, რომ მინდოდა წასვლა? თავისუფალი ადამიანისთვის, რომელსაც თქვენი თაობა მიეკუთვნება, ამაზე საუბარი ადვილია, მაგრამ ჩვენთვის, მიზნის მისაღწევად სხვა პირობები იყო. პატარა დათმობებზე წასვლა არ იყო დიდი ტრაგედია. უფრო მეტს გეტყვით, მე ვმუშაობდი კომკავშირის „ცეკაში". ახლა კომკავშირი რომ რაღაც საშინელება და გინება ჰგონიათ, ასეც კი არ იყო. კომკავშირი იყო მაგარი „ზარიამი," კარგი ცხოვრება, მაგარი გოგოები და ბიჭები, კარგი ურთიერთობები. არაფერს არ ვიკლებდით. კომუნიზმში ცხოვრება იყო არასიმპათიური, მაგრამ მაინც ყველა პოულობდა თავის გზას. ახლა რა არ მივდივართ კომპრომისებზე? მე ძალიან მეხმარებოდა ჩემი ოჯახიც. ინტელიგენტის ოჯახში გავიზარდე, მამა კომუნისტური პარტიის წევრი იყო, ძალიან თავშეკავებული, კულტურული კაცი, თანაც ძალიან მშრომელი. თანამდებობის პირი იყო, მაგრამ ფალიაშვილზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, სარდაფში ხან ღორებს ზრდიდა, ხან – ქათმებს. არ შეეძლო გაძლება შრომის გარეშე. დედაც ასეთი იყო, გეგმიანი, მოწესრიგებული. ეს თვისება მეც გამომყვა. მიჯაჭვული ვარ გეგმაზე, დროის კალკულატორი ვარ. დროის თვლა ისევე აუცილებელია ჩემთვის, როგორც ფულის, რომელიც ჯიბეში მაქვს. მაშინ ჩვენი მშობლები, იმაზე ფიქრში, როგორ შეენარჩუნებინათ თავი და სიცოცხლე, ისე რომ, არ დასჭირვებოდათ მოპარვა, გულის ხეთქვაში ცხოვრობდნენ. იმ წესებმა, რასაც კომუნისტური წყობა მას სთავაზობდა, ინფარქტამდე მიიყვანა მამა და 43 წლის ასაკში გაუსკდა გული. ვფიქრობ, რომ დარდისგან დაემართა ეს.

**– როგორ გააგრძელეთ ცხოვრება მამის გარდაცვალების შემდეგ?**

– ძალიან რთულად. პატარა ბიჭი ვიყავი, მამაჩემის ორმოცზე თხუთმეტი წლის გავხდი. ჩემი და ცხრა წლის დარჩა, მამად გადავიქეცი მისთვის. ხომ იცით, ქართველი დედების ამბავი, დედაჩემი 39 წლის ასაკში დაქვრივდა. დედა რომ გეტყვის, ახლა შენ ხარ ოჯახის უფროსი, დიდიც და პატარაც, მამის როლი უნდა ითამაშოო. ისე „დამგრუზეს" მოვალეობებით, რომელიც შინაგანად სულაც არ მინდოდა 15 წლის ბიჭს, თითქოს ხუთასტონიანი გირა დამადეს და გამსრისეს. არადა, მე კარგად ვიზრდებოდი, მამას მინისტრის მოადგილის რანგი ჰქონდა, სკოლაში მანქანით დავყავდი, მაგრამ ერთ დღეს ეს ყველაფერი გაქრა. ბუნებით



ამერიკელებისთვის ვიყავი საბჭოთა ცხოველი, რომელიც მეტყველებდა

ვიყავი ბავშვი, რომელიც პასუხს აგებდა ყველაფერზე და მართლა ჩემს თავზე ავიღე ოჯახზე მზრუნველობა. მეათე კლასის მოსწავლე ფულის საკეთებლად წავედი. ინგლისური კარგად ვიცოდი, დავიწყე მეზობლების განათლებაზე ზრუნვა, მანეთად ვასწავლიდი ინგლისურს. ეს ფული დედაჩემთან მომქონდა, რომ პური ეყიდა. როცა ჩემი ძმაკაცები რუსთაველზე ლალობდნენ, მე ინგლისურის გაკვეთილებს ვატარებდი, რომ ფული მეშოვა. მთელი სტუდენტობა ფულს ვაკეთებდი. 15 წლის ასაკში რომ დავიწყე ფულის შოვნა, დღემდე არ გავჩერე-

**მე რომ არ მცოდნოდა თბილისის ქუჩა, რომ არ მყოფილიყავი ათასჯერ გალახული და გაპერტყილი, ამერიკულ ტელევიზიაში ვერაფერსაც ვერ მივაღწევდი**

ბულვარ. ამიტომაც ვერ ვეგუები, ახალგაზრდა კაცები წუწუნს რომ იწყებენ, რა ვქნა, სამუშაო არ არის ამ დაქცეულ ქვეყანაშიო. როცა გაქვს ხელი, ფეხი, განათლება, აზროვნება, არაფერი არაა პრობლემა.

**– როდის გახდა მანეთიანი გაკვეთილები თუმნიანი?**

– დროთა განმავლობაში მოვიპოვე სახელი. იქამდეც მივედი, თავს უფლებას ვაძლევდი, უარი მეთქვა გაკვეთილების ჩატარებაზე და მოსწავლეები სხვისთვის გამეგზავნა. მერე პრაქტიკამ მოიტანა ის, რომ მარკეტინგულად დავიწყე საქმისადმი მიდგომა. იმის მიუხედავად, რომ ჩემი ნასწავლი ინგლისური ძვირი ღირდა, არ თავდებოდა სწავლის მსურველთა რიგი. ასე რომ, ტყუილია სტერეოტიპი, რომ ჩვენთან ხარისხს ფასი არ აქვს.

**– ამ ინგლისურის წყალობით ამერიკის სატელევიზიო არხის წამყვან რეპორტიორად იქეცით.**

– ჩემი ამერიკაში მოხვედრა იყო შემთხვევითი, აქ არც ჩემი ნიჭი იყო გადამწყვეტი, არც გაქანება და არც ჟურნალისტური უნარები. როდესაც ჩვენს ქვეყანაში „პერესტროიკა" დაიწყო, გაჩნდა გარე სამყაროსთან ურთიერთობის აუცილებლობა. პირველად ამერიკაში წავედი 1987 წელს, მე ვიყავი დელეგაციის წევრი. ჩვენ მოვხვდით იმ ამერიკელთა შორის, რომელთა ხელშიც იყო გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ეს იყო ორგანიზაცია „მეგობრული ლაშქარი", რომელიც აწარმოებდა მიმოსვლას ოჯახების დონეზე მსოფლიო მასშტაბით. ჩვენს სტუმრობას მოჰყვა წინადადება მასპინძელი მხარისგან ჟურნალისტების გაცვლის თაობაზე. მაშინ მე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ვიყავი, დიდი ჟურნალისტური გამოცდილება არც კი მქონდა. ერთი წლის შემდეგ, მე ამ ორგანიზაციის გაცვლითი პროგრამით მოვხვდი ატლანტაში, ცნობილ მეთერთმეტე არხზე. 42-43 წლის ვიყავი. ამერიკაში ნამყოფი კი ვიყავი, მაგრამ უკვე სამუშაოდ და საცხოვრებლად იქ გადასული, მივხვდი, რომ ეს იყო სულ სხვა სამყარო. როცა ჩემი პირველი სიუჟეტი ეთერში გავიდა და სტუდიაში შევედი, მთელი სტუდია ფეხზე ადგა და ტაში დამიკრა. ჩემი პირველი რეპორტაჟი შეიძლება, სულ არ იყო ტაშის ღირსი, მაგრამ ამ ტაშით გამათამამეს, მომეფერნენ, გზა გამიხსნეს. იცით, როგორ მომიარეს ამერიკელებმა? პირველსავე დღეს, და ამის მოწმე იყო ზაზა დარასელი, როცა ტელევიზიიდან გარეთ გამოვედით, ტელეკომპანიის პრეზიდენტმა მკითხა იქვე გაჩერებულ მანქანაზე: ამ მანქანას ხედავო? შავი, გაკრიალებული ფორდი იყო. პრეზიდენტმა გასაღები მომცა და მითხრა: ახლა იცი, რა უნდა გააკეთო? წადი რა დაიკარგეო! ვიარე ატლანტაში იქით-აქეთ და დავბრუნდი ისევ უკან. არც მე მოვქცევივარ უმადურად ამ ადამიანების სიკეთეს. მე თავი დავდე ამ სამუშაოზე. ჩემში გამოვიწვიე ჟურნალისტი და ამ განწყობითა და გამოწვევით გავაგრძელე მუშაობა მეთერთმეტე არხზე.

**– ქართული ხასიათი როგორ გადგებოდათ ოკეანის გაღმა დამკვიდრებაში?**

– მე რომ არ მცოდნოდა თბილისის ქუჩა, რომ არ ვყოფილიყავი ათასჯერ გალახული და გაპერტყილი, თავადაც რომ არ მყოლოდა ნაცემი ვინმე, ჩემიანი; რომ არ მესწავლა იმ სკოლაში, სადაც ვსწავლობდი, რომ არ მყოლოდა ის მეგობრები, ის ბებია და ბაბუა; მე რომ არ მქონოდა ის სოფელი, ძაღლით, ცხენით, თევზებისა და გველების დაჭერით, ფეხშველა სიარულით, ეკლის შერჭობით, ცხენიდან ცხენზე, ცხენიდან ღობეზე და პირიქით ხტომით, ეს ყველაფერი რომ არ მქონოდა განცდილი, იქ ვერაფერსაც ვერ მივაღწევდი. მე იქ ჩავიტანე ის, რაც ამერიკელებისთვის იყო სრულიად უცხო. მე იქ ვსვამდი შეკითხვებს, რომელიც ამერიკელებს არასდროს დაესვათ თავისი რესპონდენტებისთვის. მაგალითად, ჩემს პირველ სიუჟეტზე, როცა მშენებლობის მუშას შემახვედრეს, მე მას ვკითხე: გეამაყება, მუშა რომ ხარ? ამერიკელებისთვის ეს ისეთი უცნაურობა იყო, ეს შეკითხვა გაზეთებში მოხვდა. სკოლაში ვიყავი სიუჟეტზე. ვხედავ 15 წლის გოგოს საყურით, მაკიაჟით, მანიკიურით. ვკითხე, ეს საყურე და მანიკიური რად გინდა-მეთქი? მომწონსო – მიპასუხა. სიუჟეტის ბოლოს, დასკვნით კომენტარში ვთქვი: ეს ბავშვი ჩქარობს, რომ გახდეს ქალი. ქალი რომ გახდება, ბავშვობა მერე მოუნდება-მეთქი. ჩემი ეს სიტყვები ისე მოედო იქაურობას, როგორც კიბო. ერთხელ კენედის კონცხზე ვიყავი, შატლ „კოლუმბიას" უშვებდნენ კოსმოსში. რადგან უკვე იცოდნენ, რომ მათ წრეში იყო საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული, საბჭოთა ცხოველი, რომელსაც საუბარი შეეძლო, ჟურნალისტების მთელი კორპუსი ჩემთან მოვიდა, უამრავი კამერა დამიდგა წინ. იმ დღეს გავხედე ცას და ვთქვი მხოლოდ ერთი ფრაზა: „კიდევ ერთი ჯაშუში ცაში." ამას ისეთი რეაქცია ჰქონდა, შატლი ვიღას ახსოვდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორივე სანაპიროზე, მარცხნიდან მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ, არ დარჩენილა გაზეთი ჩემი ფრაზა პირველ გვერდზე რომ არ გამოექვეყნებინა ***(იცინის).***

**– და ამის მიუხედავად, ერთ დღეს, არც მეტი არც ნაკლები გამოიქეცით იქიდან.**

– თუმცა, ვიტყვი, რომ ამერიკულმა კულტურამ დააგვირგვინა ჩემი ზრდა და პიროვნების ჩამოყალიბება. ამერიკამ გახადა მინიმუმი დისტანცია ჩემს აზროვნებას და შედეგს შორის. მე ველარ ვიტან გრძელ ამბავს მოფიქრებულიდან შედეგამდე და ამას ჩემს იმერულ-გურულ ხასიათსაც დავუმატებ, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ჩქარი და შედეგზე ორიენტირებული ვარ. რაც შეეხება თქვენს ნახსენებ „გამოქცევას", მე ამას უფრო დაბრუნებას ვუწოდებ. ეს ამბავი რომანტიულიც არის და ფილოსოფიურიც. მე ამერიკაში მქონდა კომპიუტერული ფირმა, საკმაოდ კარგად ვცხოვრობდი. ჩემი სახლი იდგა მერლინში, ქალაქის პარკში, ნამდვილი ედემის ბაღი იყო. ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა ზაზა შენგელიამ შემომითვალა, ჩამოდი და ჩვენთან იმუშავეო. ეს ჭია რომ შემიჩნდა, კინალამ გავგიჟდი. ერთი თვე დავდიოდი და წრეებს ვარტყამდი სახლს. დავდიოდი და ვფიქრობდი, წამოვსულიყავი თუ არა. კინალამ გავაფრინე, რადგან ის ერთი თვე მეტი არაფრით მიცხოვრია. ბოლოს ჩემს თავს ვკითხე: ბედნიერი ხარ? ჩემმა ეგომ შიგნიდან მიპასუხა, არაო. რატომ? – კიდევ ვკითხე. აი, იმ ხმამ როგორც კი მითხრა, წადი შენს ფესვებშიო, ამის გაფიქრება და ზუსტად სამ დღეში ყველაფერი ჩალაგებული მქონდა, უკანასკნელი საშლელიც კი. 15 წლის შემდეგ უკანმიუხედავად დავტოვე ამერიკა და თბილისში წამოვედი.

**– როგორც ჩანს, ავანტიურისტიც ხართ. ასე იოლად რისკავდით და ატარებდით ექსპერიმენტებს საკუთარ ცხოვრებაზე?**

– ნამდვილად ასეა, ჩემში არის ავანტიურიზმი, კარგი გაგებით. ჩემი ავანტიურისტული ბუნება ბოროტად, სხვის დასამარცხებლად არ გამომიყენებია. სრულიად უშიშარი ბუნება მაქვს, არასდროს მიჭირს სიახლეებზე წასვლა. 65 წლის ასაკში ისე ვისწავლე აკორდეონზე დაკვრა, რომ 130-მდე ნაწარმოების დაკვრა ვიცი. „დაისის" უვერტიურას უშეცდომოდ, გამართულად ვუკრავ აკორდეონზე. მეტი რა ვქნა? არ შევუშინდი და პოპულარულ პროექტშიც კი ვიცეკვე. სწავლება იყო და არის ჩემი არსი. საკუთარ თავზე ბევრი თამამი ექსპერიმენტი მაქვს ჩატარებული, რამაც მომცა მთავარი – ცხოვრება ძალიან საინტერესოდ გამატარებინა. ცოდვილი ვიქნები, რომ ვთქვა, ცუდად ვიცხოვრე-მეთქი. მქონდა ბევრი სირთულე, რაც გადავლახე, შეიძლებოდა უფრო ნაკლები შეცდომები დამეშვა. უფრო მდიდარი, ჯანმრთელი, მაგარი კაცი ვიქნებოდი, ბევრი რამ რომ არ გამეკეთებონა. ჩემი შეცდომების კრებული მქონდა, ჩემს შეცდომებს „ვაგროვებდი". როცა ვუყურებ იმ კრებულს, გული მისკდება და იცით, რატომ? იმდენი შეცდომა მაქვს გამეორებული, იმ კრებულმა გამახსენა, თორემ ამას რას წარმოვიდგენდი.

**თამუნა სამადაშვილი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ
მიიღეთ
ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



# „თბილისელები“ სტუმრად ავტორიზებულ, ბრენდირებულ ინგლისურ სკოლაში „ნინო“

ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინო“ ერთ-ერთი პირველი კერძო საშუალო სკოლაა საქართველოში, რომელმაც ფუნქციონირება 1992 წელს დაიწყო. სკოლის მისიაა: ინტელექტუალური, განათლებული, შრომისმოყვარე, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, ქრისტიანული სულისკვეთების მამულიშვილების აღზრდა. სკოლა გამოირჩევა საკუთარი ტრადიციებით, რაც სკოლის მრავალწლიანი წარმატების საფუძველია, დაკომპლექტებულია უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე, სერტიფიცირებული პედაგოგებით. ჩვენთან ინგლისური ენის შესწავლა პირველი კლასიდან იწყება და მისი სწავლება კვირაში 10-საათიანი დატვირთვით მიმდინარეობს. მესამე კლასიდან ბავშვები რუსული ენის დაუფლებას იწყებენ, ხოლო მეხუთედან – გერმანული და ჩინური ენებისა. სკოლაში სწავლება პროფილური ხასიათისაა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რვა საატესტატო საგნის (ქართული ენა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია) გაღრმავებული სწავლებით. სკოლა გარანტირებულ ცოდნას აძლევს მოსწავლეებს სახელმწიფო ატესტატის მისაღებად და შემდგომ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად. თითოეულ ჯგუფში 15 - 20 მოსწავლეა. ჩვენი სკოლადამთავრებულები ასევე წარმატებით აგრძელებენ სწავლას საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, სკოლა ამზადებს მოსწავლეებს **TOEFL**-ისა და **SAT**–ის ტესტების ჩასაბარებლად. ინგლისურში მაღალი დონის მოსწავლეები ფლობენ **B2, UPPer-intermediateda Advanced Level**-







* სადვთო სჯულს ასწავლის მამა პანტელეიმონი.
* სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, ექიმი და ექიმი-მასაჟისტი, სკოლას

* სკოლა პირველკლასელებს უფასოდ ურიგებს სახელმძღვანელოებს. მე-11 და მე-12 კლასის ფრიადოსანი მოსწავლეები თავისუფლდებიან გადასახადისგან.
* სკოლაში მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებს საცურაო აუზი, მწვრთნელისა და ექიმის მეთვალყურეობით.
* აქვე, 4-5 წლის ბავშვებისთვი-

ს. ჩვენს სკოლაში სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც, მათთვის გახსნილია ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები.

* სამსახურით დაკავებული მშობლებისთვის დიდი პოპულარობით სარგებლობს გახანგრძლივებული ჯგუფები საღამოს 6 საათამდე, სათანადო კვებით. სკოლაში ფუნქ-

ემსახურება სასკოლო ავტობუსები. საქართველოს მასშტაბით ჩვენთან ყველაზე დაბალი გადასახადის განაკვეთ-





ია. ამასთან, დაწესებულია შეღავათები: მრავალშვილიანი დედებისთვის, ობოლი, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის.

ის არსებობს მოსამზადებელი ჯგუფები (კერძო ბაღი), ისინი ავტომატურად ჩაირიცხებიან პირველ კლასში.

**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სკოლაში!**

*თქვენი კეთილი მასპინძელი სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ლამარა ქოქიაური.

**ეკა პატარაია**

ციონირებს მათემატიკის, ქართული ცეკვის, მუსიკის, ჭადრაკის, ხატვის, კარატეს, ფეხბურთის სექციები.



**ელ-ფოსტა:**
**lqogiauri@yahoo. com;**
**nino-gogiauri@mail.ru;**
**ვებ-გვერდი:**
**http://ninoskola.ge/**
**მის: ვარკეთილი, ზემო პლატო;**
**მე-2 მ/რ; 11ა.**
**ტელ: 2-760595;**
**577257177; 599906011.**

# როგორ დააგროვებს მილიონზე მეტ ლარს ირინა მილორავა სემეკის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავა 1975 წლის 13 აპრილსაა დაბადებული. სემეკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქ-ნი მილორავას ბიოგრაფია მეტად პოეტურადაა აღწერილი (მე ვიტყოდი, ცოტა საბჭოური ელფერითაც), თანაც, ზედმეტი კონკრეტიკის გარეშე. კერძოდ: ირინა მილორავას უმაღლესი განათლება აქვს – „სამართალმცოდნეობისა და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. პროფესიული საქმიანობა დაიწყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც 1996-2000 წლებში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. მისი პროფესიული წინსვლა 2000-2002 წლებში საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებში გაგრძელდა. ირინა მილორავას მრავალმხრივი სამუშაო გამოცდილება კანონშემოქმედებით, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ სფეროში დადებითად აისახა საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობაში (სამწუხაროდ, არ არის განმარტებული, სახელდობრ, როგორ დადებითად და რა მიმართულებით), სადაც მუშაობა 2002 წელს დაიწყო გენერალური დირექტორის მრჩევლად, შემდეგ იურიდიული დეპარტამენტის უფროსად, 2004 წლიდან კი – გენერალური დირექტორის მოადგილედ.



2006 წელს, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ბაზაზე ახალი სუბიექტის, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) დაფუძნების შემდეგ, ირინა მილორავა ესკოს გენერალური დირექტორის მოადგილეა, 2009 წლიდან კი - ესკოს გენერალური დირექტორი."

ერთი სიტყვით, 2013 წლის 17 სექტემბერს ირინა მილორავა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. და თუმცა, როგორც მის ოფიციალურ ბიოგრაფიაშია აღნიშნული, „ირინა მილორავას მრავალმხრივი სამუშაო გამოცდილება კანონშემოქმედებით, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ სფეროში დადებითად აისახა საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობაში", მის მიერ შევსებული ფინანსური და ქონებრივი დეკლარაცია ჯერჯერობით ერთადერთია და ის მან 2013 წელს შეავსო. ოჯახის წევრების გრაფა ცარიელია, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სემეკის თავმჯდომარე მარტო ცხოვრობს. მისი უძრავი ქონება კი შემდეგნაირია: ირინა მილორავა ფლობს საცხოვრებელ ბინას თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, 135 კვ. მ. ფართობის და, ასევე, საცხოვრებელ ბინას თამარაშვილის ქუჩაზე, 143 კვ. მ. ფართობის.

არც ანაბარი აქვს და არც ავტომანქანა ჰყავს, იმის მიუხედავად, რომ მის მიერ 2012 წელს მიღებული შემოსავლები არ არის ურიგო. კერძოდ, ირინა მილორავამ, როგორც სააქციო საზოგადოება „თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, 2 799 ლარი აიღო; ხოლო, როგორც სააქციო საზოგადოება ელექტროენერგეიტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის დირექტორმა – 131 162 ლარი. თუმცა, თუ მისი წინამორბედის – სემეკის ყოფილი თავმჯდომარის, გურამ ჩალაგაშვილის მიერ ამ პოსტზე მიღებული ხელფასების ოდენობას გავიხსენებთ, ქ-ნი მილორავას შემოსავლები უახლოეს წლებში საგრძნობლად გაიზრდება.

ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას სემეკის მოქმედი თავმჯდომარის სახელფასო შემოსავლებზე ვადის ამოწურვამდე, ანუ მომავალი წლების განმავლობაში, მოგახსენებთ, რომ სემეკის ყოფილმა თავმჯდომარემ, გურამ ჩალაგაშვილმა ამ პოსტზე მუშაობის 6 წლის განმავლობაში – 2007 წლიდან 2013 წლის სექტემბრამდე, საერთო ჯამში, მიიღო მილიონ 300 ათასი ლარი. წლების მიხედვით კი მისი საბიუჯეტო ხელფასი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

2007 (არასრული) წელი – 79 351 ლარი; 2008 წელი – 187 555 ლარი; 2009 წელი – 177 833 ლარი; 2010 წელი – 241 615 ლარი; 2011 წელი – 264 000 ლარი; 2012 წელი – 288 000 ლარი. 2013 წლის მონაცემი არ არის, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ წელს პოსტზე რამდენიმე თვის განმავლობაში იმუშავა, იოლი დასათვლელია, მის მიერ აღებული ხელფასის ოდენობაც.

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

**ქართველი ვაჟკაცი ევროპაში სამუშაოდ მიდის! აქსიომაა, რომ ადამიანს პროფესიის გარეშე პერსპექტივა არც ერთ ქვეყანაში არ აქვს, თუმცა, პერსპექტივა ფართო ცნებაა და ჩვენ ის ქურდობა-ძარცვაში დავინახეთ, რის გამოც ბევრმა უსაქმურმა, მარტივად გამდიდრების სურვილით შეპყრობილმა ქართველმა, სრულიად ევროპა „დაიპყრო”, რის შედეგადაც სავაჭრო ცენტრებსა თუ სუპერმარკეტებზე გაჩნდა წარწერა: „ქართველო, აქ აღარ მოხვიდე“... ჩემი რესპონდენტი იმ უიშვიათესი ადამიანთაგანია, რომელმაც ქურდობით შეიძინა პროფესია და დღეს ის საქართველოში ტექნიკის ერთ-ერთი მაღაზიის ელექტრიკოსია. მართალია, მის მიერ დამონტაჟებული კონდიციონერი მეორე დღეს ჩამოვარდა ჩემი სახლის კედლიდან, მაგრამ, ორსაათიანი მონტაჟის პროცესში საინტერესო ისტორიები მოვისმინე, რომელსაც დავარქვი „ძარცვა ქართულად“.**

# როგორ მუშაობს ორი პროფესიონალი მძარცველი თბილისში, ტექნიკის ერთ-ერთ მაღაზიაში ელექტრიკოსად და რა ისწავლეს მათ გერმანიაში

– ყველა ამ კონდენციონერს მოკლე შნური აქვს, იმიტომ, რომ ევროპაში შტეფსელებს ზემოთ აყენებენ. ორი წელი გერმანიაში ვცხოვრობდი და ელექტრიკოსობაც იქ ვისწავლე.

**– როგორც წესი, ქართველები საქურდავად ჩადიან გერმანიაში, შენ კი ორი წელი პატიოსნად სწავლობდი ელექტროობას?**

– მეც მაგ ამბავში ვიყავი, რამდენჯერმე დამიჭირეს კიდეც ქურდობის გამო, მაგრამ, ბოლოს მე და ეს გამოგვადეპორტეს *(ხელი პარტნიორი ელექტრიკოსისკენ გაიშვირა).*

**– ანუ, ჩემს სახლში ახლა ორი პროფესიონალი მძარცველია?**

– სუპერპროფესიონალები, ოღონდ, ჩვენ პატიოსანი ქურდები ვართ ***(იცინის).*** ერთმანეთი გერმანიის საზღვარზე გავიცანით, როცა ორივე თავშესაფარს ვითხოვდით, მაგრამ, ამისგან განსხვავებით, მე რუსულიც ვიცოდი და ცოტა გერმანული სიტყვებიც.

**– რა მიზეზით მოითხოვეთ თავშესაფარი?**

– პოლიტიკურით. 2007 წლის 7 ნოემბრის ამბები ახალი მომხდარი იყო, 7 დეკემბერს უკვე გერმანიაში ვიყავი და ახლა მანქანის ნომერი სამი შვიდიანი მაქვს. უცებ აღმოვჩნდი საოცრებათა სამყაროში: საშობაოდ მორთული ქუჩები, ფერადი შუქები; სადაც შევხვიდოდი, უფასოდ გაჭმევდნენ კანფეტებს, შოკოლადებს, ნამცხვრებს... სასმელებიც კი უფასო იყო. გავგიჟდი, ეს ყველაფერი რომ ვნახე. სიტუაცია გაიძულებს, რომ მოიპარო. წარმოიდგინე, ქუჩაში ალაგია ყველაფერი, თან, ისეთი რაღაცეები, მარტო ფილმებში რომ გინახავს და პატრონი არ ჰყავს, თუ რამე გინდა, უნდა აიღო. ერთ ორმოცდაათ მეტრში კი ამ ყველაფერში ფული უნდა გადაიხადო და, რომელი ქართველი „იკადრებდა“ ფულის გადახდას მაშინ, როცა გამყიდველი არსად ჩანს?! მშიერს პური რომ დაუდო და მერე საყვედური თქვა, როგორ უნამუსოდ შეჭამაო, – აი, ეგ ამბავია.

**– ამბობენ, არალეგალებს გერმანიის მთავრობა 800 ევროს უხდისო. მართალია?**

– არა, 300 ევროს ხელზე გაძლევენ, რაც არის გადაადგილებისა და საჭმლის ფული, მაგრამ, ამის გარდა, გაქვს უფასო დაზღვევა, გიკეთებენ უფასო გამოკვლევებს და, რაიმეს აღმოჩენის შემთხვევაში, უფასოდ გიმკურნალებენ. სტომატოლოგიური მომსახურება ყოველდღე შეგიძლია მიიღო და, ამიტომაც არის, რომ, თითქმის ყველა ქართველს, ვინც გერმანიაშია, კარგი კბილები აქვს; მაგრამ, როგორც წესი, ბევრს ექიმთან მისვლაც ეზარება, რომ უფასოდ იმკურნალოს.

**– თქვენი „მოღვაწეობის“ სფერო მხოლოდ მაღაზიები იყო?**

– არა, ჩვენ ძირითადად ღამის კლუბებზე ვმუშაობდით. თითქმის ყველა კლუბს აქვს



თავისი სამედიცინო და მოსასვენებელი ოთახი, სადაც „პერედოზირებული“ კლიენტები მოჰყავთ ჭკუაზე. ძირითადად, ჭარბი ალკოჰოლით ან ნარკოტიკებით გათიშული ტიპები არიან და, ისე ვაცლიდით ჯიბიდან ყველაფერს, აზრზე ვერ მოდიოდნენ.

**– კამერები ვერ გაფიქსირებდნენ?**

**ჯიბეში ბევრი ფული არ უდევთ, საკრედიტო ბარათებით დადიან და, ძირითადად, მობილურებს ან თუ რამე ძვირფასი ნივთი ეკეთათ, იმას ვპარავდით**

– ასეთ ოთახებში კამერები არ დგას და კაციშვილი მაგათი მომკითხავი არ არის. ლეშებივით ყრიან და კონდიცირება მაქსიმუმზეა ჩართული, რომ კარგად გაიყინონ და გამოფხიზლდნენ.

**– ღამეში 1 000 ევროზე მეტს აკეთებდი?**

– არა. ჯიბეში ბევრი ფული არ უდევთ, საკრედიტო ბარათებით დადიან, ძირითადად, მობილურებს, ან, თუ რამე ძვირფასი ნივთი ეკეთათ, იმას ვხსნიდით.

**– ამდენი ტელეფონი სად მიგქონდათ?**

– თურქი და რუსი ბარიგები იყვნენ. კვირაში ერთხელ მოდიოდნენ და იმათ ვაბარებდით.

**– ყოველდღე სხვადასხვა კლუბში დადიოდით?**

– არა. ყველაზე მაგარი სამუშაო დღეები პარასკევი, შაბათი და კვირაა, შესაბამისად, ერთ კლუბში მარტო ეს სამი დღე შევდიოდით, მეორე შაბათ-კვირას სხვაგან მივდიოდით და ასე... მერე ქალაქიდან ქალაქში გადავდიოდით, ანუ, საცხოვრებელს ვიცვლიდით. სხვა დღეებში მაღაზიებში „ვმუშაობდით”. ყველაზე ადვილი პარფიუმერიისა და კოსმეტიკის მოპარვა იყო; მარტო მოპარვა კი არა, ამათი გაყიდვაც ყველაზე ადვილად ხდება.

**– ელექტრიკოსობას როდისღა სწავლობდი?**

– გერმანული ენის კურსებზეც დავდიოდი და იმავე შენობაში ხუთკაციან ჯგუფში ჩავეწერე. საერთოდ, თავიდანვე ჩხირკედელა ტიპი ვიყავი – ძველ მაგნიტოფონებს ვშლიდი და ვაწყობდი, ტელევიზორებიც გამიკეთებია და, რადგან ყველაზე ახლოს ეს დარგი იყო ჩემთან, უქმად რომ არ დამეკარგა დრო, პროფესიის შესწავლაც დავიწყე.

**– როგორც წესი, ბევრი იქ წასული ნარკოტიკებს ეძალება. შენ როგორ გაუძელი ამ ცდუნებას?**

– ნარკოტიკები არც აქ მაინტერესებდა და არც იქ. რაღაცეები კი გავსინჯე და იშვიათად მარიხუანასაც ვეწეოდი, მაგრამ, ამისგან დიდ სიამოვნებას ვერ ვიღებდი. თან, ყოველთვის ვიცოდი, რომ, ადრე თუ გვიან, გამომაპინტრიშებდნენ და, ვცდილობდი, რაღაც მაინც მესწავლა, რაც ცხოვრებაში გამომადგებოდა. ეს ჩემი ძმაკაციც ავიყოლიე და პატიოსნად ვქურდობდით ***(იცინის).***

**– სხვა ქართველებთან არ გქონდა ურთიერთობა?**

– იქ ყველა ერთმანეთს იცნობს. რომელ ქალაქშიც არ უნდა წასულიყავი, ქართველი ყველგან გხვდებოდა, მაგრამ, ვინც ჩვენი ჭკუის არ იყო, იმასთან არ ვმეგობრობდით.

**– როცა საქართველოში დაბრუნდი, ადვილად იშოვე სამსახური?**

– სხვათა შორის, ეგრევე ამიყვანეს სამსახურში. ენა ვიცოდი, ხელობაც მქონდა, თანაც, გერმანიაში ნასწავლი, ამიტომ, არ გამჭირვებია სამუშაოს მოძებნა და ახლა მე და ჩემი ძმაკაცი აქაც პარტნიორები ვართ, თან, პატარა მაღაზია გავხსენით, სადაც გერმანული „ტავარი“ გვაქვს – იქიდან ვაგზავნინებთ ახლობლებს და, ყველამ იცის, რომ ჩვენ ნაღდ გერმანულ საქონელს ვყიდით.

**– ჭკვიანი კაცი არსად იკარგება!**

– ჰო. იქ წასვლით ვერ გავმდიდრდი, როგორც ეს წასვლამდე მეგონა, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი გამოცდილება მივიღე და ბევრი რამე ვისწავლე.

**– შანსი რომ გქონდეს, ისევ წახვიდოდი?**

– წავიდოდი, ოღონდ, ახლა სხვანაირად მოვიქცეოდი და გამოვიყენებდი ამ შანსს. უფრო მეტს გავაკეთებდი და აქ მაგარ ბიზნესს ავაწყობდი. მაშინ ჭკუა არ მქონდა, თორემ, ჭკვიანი კაცი იქ 3-4 წელიწადში ისე აეწყობოდა, ახლა ფეხი-ფეხზე გადადებული უნდა ვიჯდე.

**რომან საყვარელიძე**

**„დღეს საქართველოს სიყვარული აკლია“ – ეს პანჩოს სიტყვებია, მომღერლის, რომელიც სიყვარულს უმღერის და განიცდის იმას, რომ დღევანდელობაში ურთიერთობები და გრძნობები გაცივდა. ამიტომ, სხვა შემოქმედ ადამიანებთან ერთად, აპირებს „სიყვარულის მატარებლით“ საქართველოს ნაწილის შემოვლას და ამით, საკუთარი პროტესტის გამოთქმას უსიყვარულობისადმი. პირადად მისი ცხოვრება კი მთლიანად სიყვარულით არის სავსე. პანჩომ რამდენიმე თვის წინ ცოლად ანი სხირტლაძე მოიყვანა და მასთან ერთად ბედნიერად ცხოვრობს. როცა ამ წყვილს უყურებ, ხვდები, რომ სიყვარული ნამდვილად არსებობს და ის ბედნიერებისა და სიხარულის მომტანია, უამრავი ყოფითი პრობლემის მიუხედავად.**

# როგორ შეიცვალა პანჩოს მარტოხელა ცხოვრება და ვინ აანთო ნაპერწკლიდან ალი მის ცხოვრებაში

**– ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

**პანჩო**: ბუკიას ბაღზე გადმოვდიოდი და ანი იდგა გაჩერებაზე. ეს ის პერიოდი იყო, როცა გოგონას ვეძებდი კლიპისთვის და ქასთინგები მქონდა. ანი რომ დავინახე, ვიზუალურად მომეწონა და ვუთხარი, იქნებ თქვენც მოხვიდეთ-მეთქი – გავისროლე ***(იცინის).*** გადაღებები რამდენიმე დღე მიმდინარეობდა და ერთმანეთი გავიცანით. მერე ყავაზე დავპატიჟე და ასე გავიდა 3-4 წელი. შვიდი თვეა, რაც მოვიყვანე.

**– პანჩო თავისი სიმღერებით ქალბატონების გულებს ინადირებს. ანი, თქვენი ემოცია როგორი იყო, როცა შეიტყვეთ, რომ თქვენ მიმართ სიმპათიები ჰქონდა?**

**ანი**: ჰო. ისეთ სიმღერებს მღერის, რომ ქალების გულებს ინადირებს ხოლმე. ბავშვობაში პანჩო ჩემი ერთ-ერთი საყვარელი შემსრულებელი იყო.

**პანჩო**: რომ დამინახა, დაეცა, მივვარდი და ავაყენე ფეხზე ***(იცინის).***



**პანჩო: „ოცი წლის რომ ვყოფილიყავი, ვივლიდი ერთი კვირა და მოვიყვანდი, მაგრამ ახლა დიდი ვარ და რთული იყო ამ ნაბიჯის გადადგმა“**

**ანი**: ასე თუ დასრულდებოდა ჩვენი გაცნობა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ეს ორმაგი ემოციაა. ერთი, არ ელი, რომ შენი ბავშვობის საყვარელ შემსრულებელს გაიცნობ და ასეთი ურთიერთობა გექნება მასთან და მეორეა ის, რომ პანჩო ძალიან კარგი ადამიანი აღმოჩნდა. მიხარია, რომ ასეთი პიროვნება გავიცანი. ჩემთვის ეს ცოტათი წარმოუდგენელი იყო. ამის გამო ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. როგორც პიროვნება და როგორც ადამიანი, ძალიან შემიყვარდა და ახლოს მივიღე. პანჩო ჩემთვის მეგობარიც არის და მეუღლეც.

**– პანჩო, თქვენ დაქორწინებას აღარ აპირებდით. ანიმ რა გააკეთა ისეთი, რომ ეს აზრი შეგაცვლევინათ?**

**პანჩო**: ანიმ გააკეთა ის, რომ დავიწყე მეორე ცხოვრება. დავიწყე ყველაფერი ნულიდან და გამიჩნდა ინტერესი იმის, რომ რაღაც ვაკეთო და ვიღაცისთვის ვიცხოვრო. მანამდე ეს მომენტი არ მქონდა. ვცხოვრობდი ჩემთვის, როგორც ეს მარტოხელა კაცებმა იციან, ისე. მან გააჩინა ნაპერწკალი, საიდანაც, როგორც ლენინი ამბობდა – ალი ინთება და აინთო ალი. ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ მას შევხვდი. ბედნიერი ვარ, რომ ასე კარგად ვარ და ყველაფერი მიხარია. მიხარია ყოველდღე დილით რომ ვიღვიძებ და გვერდით მყავს ადამიანი, რომელიც მიყვარს.

**– კონკრეტულად, ერთმანეთის რა თვისებებით მოიხიბლეთ?**

– წარმოიდგინე, სამი წელიწადი დავდიოდით ერთად. ოცი წლის რომ ვყოფილიყავი, ვივლიდი ერთი კვირა და მოვიყვანდი. მაგრამ, ახლა დიდი ვარ და რთული იყო ამ ნაბიჯის გადადგმა. ამ ადამიანს უამრავი დადებითი თვისება აქვს და არ შეიძლება, რომ არ შეგიყვარდეს.

**ანი**: მე მომხიბლა...

**პანჩო**: მელოტი თავი მოეწონა ***(იცინის).***

**ანი**: უპირველესად, მოვიხიბლე მისი ადამიანობით. ბევრჯერ მითქვამს, პანჩოს არ აქვს ისეთი გარეგნობა, უცხომ ერთი შეხედვით იფიქროს, რომ ის ძალიან კეთილი, თბილი და გულჩვილიაო. ცოტა მატყუარა გარეგნობა აქვს. უფრო მკაცრს ჰგავს, მაგრამ, რომ გაიცნობ, მიხვდები, რომ ძალიან თბილი და კეთილია. უბოროტოა, რაც ახლა ძალიან იშვიათია. ამ თვისებებით ძალიან მოვიხიბლე.

**– სიმღერებით და ლექსებით თუ ცდილობდა თქვენ მოხიბვლას?**

– ლექსებს ყოველდღე მიძღვნის. ვერ ვიმახსოვრებ და სულ მეუბნება, ჩაიწერეო. ექსპრომტად მწერს ხოლმე. ერთი სიმღერაც დამიწერა, როგორც ამბობს, ჩემ გამო მოუვიდა მუზა და დაწერა.

**პანჩო**: იცი რა, არ მქონია ეგ თვითმიზანი, რომ მომეხიბლა. იცოდა, რომ ვმღეროდი, იცოდა, ვინც ვიყავი. საერთოდ, ადამიანს, როცა ვხედავთ ჟურნალში ან ტელევიზორში, სხვა ემოციას იწვევს. როცა გაიცნობ და ნახავ, როგორია რეალურად – სულ სხვა ემოციაა. მგონი, ამან მოხიბლა ანი. უფრო სხვას ელოდა და რომ გამიცნო, მოიხიბლა ჩემით. რითი მოიხიბლე? ჰო, „გულის სიდიადით“.

**– ასაკობრივ სხვაობაზეც გკითხავთ. საკმაოდ დიდი სხვაობაა თქვენ შორის, ეს არ ყოფილა დაბრკოლება?**

– იცი, რა არის? ისეთი პატარაც არ არის – 16 და 18 წლის. 29 წლისაა და გავლილი აქვს რაღაც პერიოდები. ჩამოყალიბებული ქალია და იმხელა ბარიერი აღარ არის ჩვენ შორის. რაღაც საკითხებში, რასაკვირველია, მე მეტი გამოცდილება მაქვს და რაღაც რჩევებს ვეუბნები ხოლმე. ზოგჯერ იღებს, ზოგჯერ – არა. ცხოვრებაა და ეგრეც უნდა იყოს.

**ანი: „როცა პანჩო ციხეში იყო, მის შვილებთან ურთიერთობით ვინაზღაურებდი მის დანაკლისს. მაშინ პანჩოს დედაც ცოცხალი იყო“**

**ანი**: პანჩო თვითონ სულით და გულით ბავშვობიდან არ გამოსულა. ისევ ახალგაზრდაა. ასე რომ, ჩვენ შორის დიდი განსხვავება არ იგრძნობა ***(იცინის).***

**– სამი წელი რატომ მალავდით ამ ურთიერთობას?**

**პანჩო**: არ ვმალავდით.

**ანი**: სამი წელი ვმეგობრობდით, აქედან ერთი წელი ჩავარდნა გვქონდა.

**პანჩო**: ჩემი აზრით, გზა მწვერვალისკენ უფრო ლამაზი და კარგია, ვიდრე თვით მწვერვალი. რომ მიისწრაფი მისკენ, ეს ყველაზე კარგია. არ მესმის, ადამიანს რომ გაიცნობ, ერთ თვეში ცოლად მოგყავს, მერე კი ეყრები. ჯერ კარგად უნდა გაიცნო.

**– მე სხვა რამეს ვგულისხმობ. მაშინ, როცა თქვენ უკვე ერთად ყოფილხართ, ინტერვიუებში ამბობდით, რომ ახალ სიყვარულს არ გამორიცხავდით, მაგრამ არ გითქვამთ, რომ ეს სიყვარული თქვენს ცხოვრებაში უკვე იყო.**

– აა... რომ მეთქვა, მერე იტყოდით – რატომ არ მოგყავს ცოლადო? ***(იცინის)*** მერჩივნა, დამემალა. თანაც, ანის ოჯახთანაც ისეთი დამოკიდებულება მქონდა... ახლა 18 წლით უფროსი ვარ და რაღაც უხერხული მომენტი მქონდა თვითონ. ადრე თუ გვიან, მაინც სათქმელი იყო, მაგრამ სულ ვცდილობდი, ეს მომენტი გადამეწია. ბოლოს ვუთხარი და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**– ერთი წელი, რომელიც საპატიმროში გაატარეთ, თქვენს ურთიერთობას დაემთხვა. ეს პერიოდი როგორ გამოიარეთ?**

– ეს ანიმ უნდა გითხრათ.

**ანი**: ეს ყველაზე ცუდი და საშინელი პერიოდი იყო ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში. ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მაშინვე მახსენდებოდა, რომ ჩემზე ცუდად პანჩო იყო და ჩემს წუხილსა და განსაცდელს ვერც შევადარებდი მის მდგომარეობას.

**პანჩო**: მერე, როგორც გავიგე, თითქმის ყოველდღე მოდიოდა აქ და ჩემს ბავშვებთან ერთად იყო.

**– ამ ერთი წლის განმავლობაში ერთმანეთს ვერ ნახულობდით?**

– ვერა.

**– დიდი შვილები გყავთ, ისინი როგორ შეხვდნენ თქვენს ქორწინებას?**

– ერთი 24 წლისაა, მეორე – 18-ის. ჩვენი ამბავი ძალიან გაუხარდათ.

**ანი**: ორივესთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს.

**პანჩო**: შეხედე, ცრემლები მოადგა თვალებზე, ჩემი პატიმრობა რომ ვახსენეთ. აი, ამას რომ ვხედავ, მზად ვარ, მეორეჯერ ჩავჯდე ***(იცინის).***

**ანი**: უფროსი შვილი თითქმის ჩემი ასაკისაა.

**პანჩო**: უმცროსია შენზე თითქმის 5 წლით.

**ანი**: ჰოდა, ამიტომ ურთიერთობები არ გვიჭირს ნამდვილად. მიმაჩნია, რომ კარგად მიმიღეს, როგორც ცოტათი უფროსი მეგობარი. როცა პანჩო ციხეში იყო, მის შვილებთან ურთიერთობით ვინაზღაურებდი მის დანაკლისს. მაშინ პანჩოს დედაც ცოცხალი იყო. ასე, რომ კარგი ურთიერთობა გვაქვს და ეს ძალიან მიხარია.

**(გაგრძელება 50-ე გვერდზე)**

**თეკუნა გაჩეჩილაძეს, ხშირად ქართული სამზარეულოს დედოფალს უწოდებენ. პროფესიით ფსიქოლოგმა ნიუ-იორკში ყოფნისას გააცნობიერა, რომ სამზარეულოში თავს ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობდა, ვიდრე კაბინეტში, ფსიქოლოგის ამპლუაში. ამიტომ გადაწყვიტა შეფ-მზარეული გამხდარიყო. ის დღეს არაერთი რესტორნის კონცეფციისა და მენიუს ავტორია. ასევე, აქვს გადაცემა ტელეკომპანია „მაესტროზე“ – „თეკუნას კულინარიუმი“ და ხელმძღვანელობს სამოყვარულო „კულინარიუმ სკოლას.” ის ქართულ ტრადიცულ სამზარეულოში ახალი ელეფრის შეტანას ცდილობს**

# რატომ გადაიფიქრა თეკუნა გაჩეჩილაძემ ექიმობა და რა გავლენა იქონია კანტმა და ფროიდმა მისი პროფესიის არჩევაზე

**თეკუნა გაჩეჩილაძე:** პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, გერმანიაში ვსწავლობდი. შემდგე, გაცვლითი პროგრამით, ნიუ-იორკში წავედი, სადაც ფსიქოლოგიის გაგრძელების ნაცვლად, დავიწყე კულინარიის შესწავლა. საქართველოში ცოტა ხნით ჩამოვედი, ერთი პროექტი მქონდა აღებული, ვფიქრობდი, რომ ექვს თვეში უკან დავბრუნდებოდი. მაგრამ, ერთ პროექტს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და ასე შევრჩი თბილისს. ცხრა წელია, თბილისში ვცხოვრობ.

**– სამზარეულოში ტრიალით ბავშვობიდან იყავით დაინტერესებული?**

– არა, საერთოდ არ მაინტერესებდა. უფრო 16-17 წლის ასაკში გამიჩნდა ინტერესი. ძალიან მიყვარს სტუმრები. ეს ის სფეროა, სადაც პირდაპირი შეხება გაქვს ადამიანებთან. თან, ისეთი პროფესიაა, რომ შედეგს მაშინვე ხედავ.

**– თუმცა, ფსიქოლოგსაც პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანებთან...**

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ფსიქოლოგები ხომ იცი, როგორები არიან, მიდიხარ მათთან და მერე ველარ ანებებ თავს. ბოლოს ფსიქოლოგით კმაყოფილი არავინაა. ფსიქოლოგია ძალიან მეხმარება ადამიანებთან ურთიერთობაში, სტრესის გადალახვაში, სამზარეულოს მართვაში. კაბინეტში ჯდომას, სამზარეულოში ტრიალი ვამჯობინე. კულინარიას სიყვარული სჭირდება, თუ არ გიყვარს, შედეგს ვერ მიიღებ.

**– რა რეაქცია ჰქონდათ მშობლებს, როდესაც თქვენი გადაწყვეიტლება შეიტყვეს?**

– მამას ჰქონდა ძალიან ცუდი რეაქცია. დავურეკე და ვუთხარი, რომ კულინარიის სწავლა მინდოდა და ფული გამოეგზავნა. გაბრაზდა, მას უნდოდა, ჩემს პროფესიას გავყოლოდი, თან მაშინ ეს სფერო არ იყო პოპულარული. სამზარეულოში ახალაგაზრდას ვერ დაინახავდით. მაშინ ეს ხელობა უფრო იყო, ვიდრე პროფესია. მამამ მითხრა, რომ თუ მაინცდამაინც ხაჭაპურების კეთება მინდოდა, მეზობლის ქალს მივბარებოდი, რა აუცილებელი იყო ამერიკაში ამის გამო წასვლა და თან ფულის გადახდა *(იცინის).* ბოლოს მაინც გამომიგზავნა თანხა, დედას დახმარებით. მამა, სამწუხაროდ, გარდამეცვალა, მაგრამ ძალიან ამაყობდა ჩემით. ჩემს პირველ რესტორანს მოესწრო, შარდენზე. მერე მიხვდა განსხვავებას, მეზობლის ხაჭაპურებსა და იქ ნასწავლ კულინარიას შორის *(იცინის).*

**– ძალიან დატვირთული გრაფიკი გაქვთ, პირად ცხვრებას როგორ უთავსებთ?**

– ვცდილობ, შევათავსო ოჯახი და საქმე. პატარა გოგო მყავს, ელენე, 3 წლის არაა ჯერ. პირველად, რომ გავთხოვდი 16 წლის ვიყავი, მაგრამ შვილი არ მყავდა. მართალია, ისეთი კარგი დედა არ ვარ – როგორებიც ქართველი ქალები არიან, ბავშვს დიდ დროს ვერ ვუთმობ, მაგრამ ჰყავს ძალიან კარგი მამა, რომელიც ჩემს დანაკლისს ავსებს. ირაკლი უფრო კარგად უვლის ბავშვს, ვიდრე მე. ეს უნდა ვაღიარო. ქართულ რეალობაში, კარგი მამები იშვიათად არიან, თუმცა ელენეს გაუმართლა. სულ იმას ვამბობ, მე ისეთი „ცუდი მამა“ ვარ, დილით რომ მოეფერება ბავშვს და სამსახურიდან დაბრუნებული, საღამოს, კანფეტს მოუტანს *(იცინის).* ელენე ძალიან ჭკვიანი გოგოა, ბევრ დროს ატარებს სამზარეულოში.

**– თქვენი პროფესია რომ გააგრძელოს, წინააღმდეგი იქნებით?**

– ძალიან გამიხარდება, რადგან, გაუმარტივდება გზა. თავიდანვე ბევრ ინფორმაციას მიიღებს. რომელ პროფესიასაც აირჩევს, მივესლამები. ამ საკითხში ხშირია დედათა და შვილთა ბრძოლა. დედა მხატვარი იყო და მეც, მთელი ბავშვობა ძალიან კარგად ვძერწავდი, ვხატავდი. შესაბამისად, დედას ძალიან უნდოდა, რომ მხატვარი გამოვსულიყავი, ან ინტერიერის დიზაინერი. სურდა, აკადემიაში ჩამებარებინა. არ მინდოდა, რომ დედას მსგავსი ვყოფილიყავი და ავირჩიე ფსიქოლოგია. მიყვარს ხელოვნება. ინტერიერის დიზაინი რომ მესწავლა, დარწმუნებული ვარ, უფრო გამომადგებოდა.

**– მაშინ რატომ აირჩიეთ ფსიქოლოგია თუ ამ პროფესიაში საკუთარ თავს ვერ ხედავდით?**

– პროტესტის ნიშნად. თან, იმ დროს წავიკითხე ცოტა კანტი, ფროიდი და ეგზისტენციალიზმი. თავიდან ექიმობა მინდოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება სისხლს ვერ ვუყურებდი. თუმცა, მიახლოებით უფრო ინტელექტუალური სფერო ავირჩიე, სრულიად გაუაზრებლად. აკადემიაში რომ ჩამებარებინა, ის ცოდნა დღეს ძალიან გამომადგებოდა. მიყვარს, როცა ყველაფერს თვითონ ვაკეთებ, სხვის დაუხმარებლად. რესტორნებთან რომ გაქვს საქმე, იქ დიზაინი, არქიტექტურა მნიშვნელოვანია. ამ კუთხით, აკადემია უფრო გამომადგებოდა.



**თბილისში ხალხის დამორჩილება გამიჭირდა, ამიტომ ავიყვანე პატარა ბიჭები, რომლებსაც ცოდნა გავუზიარე**

**– საქართველოში ჩამოსვლა და აქ დამკვიდრება, არ გაგიჭირდათ?**

– უცხოეთში, საერთო ჯამში, 15 წელი ვიცხოვრე. მაგრამ, აქ ჩამოსვლა არ გამჭირვებია. ისეთი ხასიათი მაქვს, იოლად ვეგუები ყველას და ყველაფერს. რომ ჩამოვედი, ძალიან ბევრი საქმე მქონდა – ჯერ ერთი რესტორანი გავხსენი, მერე მეორე. საქართველოში 2005 წელს ჩამოვედი, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ბევრი რამე კეთდებოდა ქვეყანაში.

**– უცხოეთში დაბრუნებას აღარ აპირებთ?**

– არ გამოვრიცხავ, სიამოვნებით წავიდოდი ნიუ-იორკში და გავხსნიდი ჩემს რესტორანს.

**– პირველი ნაბიჯები, ალბათ, ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული...**

– კი, რა თქმა უნდა, თან, რომ ჩამოვედი, პროდუქტების მოპოვების პრობლემა იყო. ისეთი ინგრედიენტები მჭირდებოდა, რაც საქართველოში არ მოიპოვებოდა. ამიტომ უცხოური, ხარისხიანი საჭმლის კეთება მიჭირდა. ელემენტარული სალათს ფურცლები: რომეინი და აისბერგი არ არსებობდა. ჩემს მეგობარს ხილბოსტნეულის ბიზნესი ჰქონდა და ვთხოვე, სალათის ფურცლებიც ჩამოეტანა. დღეს უკვე გაიხსნა მაღაზიები, სადაც ყელანაირი პროდუქტის შემოტანა დაიწყეს. რთული იყო კიდევ ის, რომ არ ვიყავი ქართულ სისტემაზე მორგებული. ნიუ-იორკში, საუკეთესო რესტორანში ვმუშაობდი, სადაც ყველა პროფესიონალი იყო. იქ შეფი დავალებას რომ გაძლევდა, ისე უნდა შეგესრულებინა, როგორც მას სურდა. თბილისში ხალხის დამორჩილება გამიჭირდა. ამიტომ, ავიყვანე პატარა ბიჭები, რომლებსაც ცოდნა გავუზიარე და გაამართლა.

**– ქართულ კერძებთან შეხება არ გაქვთ?**

– კი, როგორ არა. ვცდილობ, ქართულ ტარდიციულ სამზარეულოს, ახალი ელფერი და გემო შევძინო. ვფიქრობ, სამზარეულო კულტურასავითაა თუ არ გაანახლე, აუცილებლად დაიღუპება. სამზარეულოც ცოცხალი პროცესია და კერძებიც დროსთან ერთად უნდა განვითარდეს. მე-18 საუკუნეში მთიან აჭარაში ბორანოს მიირთმევდნენ სანადიროდ წასვლისას, რომ ცხიმი რამდენიმე დღე შეენარჩუნებინათ, მაგრამ იგივეს დღეს არავინ აკეთებს. საჭმელი მარტო გემრიელი არ უნდა იყოს, კვება იმ ცხოვრების სტილს უნდა მოვარგოთ, რომელსაც, ჩვენ, 21-ე საუკუნეში ვეწევით. ამიტომ, ამდენი ნიგოზი, ნიორი და ასე შემდეგ, აღარაა საჭირო. მძიმე, ძნელად მოსანელებელი საკვები უნდა შეიცვალოს უფრო მსუბუქი და ჯანმრთელი კერძებით. მიხარია, რომ ახალგაზრდა მზარეულებიც ამ კონცეფციით მიდიან, ახალ კერძებს ქმნიან. შეიძლება, დღევანდელი ჩვენი შექმნილი კერძი 5-10 წელიწადში კლასიკად გადაიქცეს.

**– ანუ, განვითარების გზას ადგას ქართული სამზარეულო?**

– რა თქმა უნდა, 2005 წლიდან დღემდე უფრო განვითარდა. ახალი რესტორნები გაიხსნა, მოსახლეობაც ცოტა უფრო განათლდა გასტრონომიული კუთხით. დააგემოვნეს სხვადასხვა ქვეყნის კერძები და ყოველდღიური რაციონიც გაამდიდრეს. სამწუხაროა, რომ ჩვენთან რესტორანში ვახშმობა ფუფუნებაა. სწორედ ამიტომ, გავაკეთე „კულინარიუმ სკოლა,“ მინდოდა, დიასახლისებისთვის იტალიური, ფრანგული და ზოგადად, უცხოური სამზარეულო მესწავლებინა. „ჩახოხბილი“ და „სოუზი“ ხომ უნდა შეიცვალოს ოდესმე. რეალურად, ჩვენი ყოველდღიური რაციონი ძალიან მწირია, სულ, ალბათ, 10-15 კერძისგან შედგება. ეს სკოლა სწორედ ამ ყოველივეს ემსახურება.

**– „მაესტროზე” გაქვთ საკუთარი გადაცემა, როგორ მოერგეთ ტელევიზიას?**

– „თეკუნას კულინარიუმი“ ასეთი სახელწოდებითაა ჩემი გადაცემა. ესეც იმიტომ გავაკეთე, რომ ფართო ეკრანზე უფრო მივაწვდიდი ხმას საზოგადოებას.

**– მეორე ქორწინებაზე რას გვეტყვით?**

– მეორე ოფიციალურ ქორწინებაში არ ვარ. მყავს, პარტნიორი, საყვარელი ადამიანი, რომელთან ერთადაც ვცხოვრობ უკვე მეოთხე წელია. გვყავს 3 წლის შვილი. მიმაჩნია, რომ ერთად ყოფნისა და ბედნიერი ცხოვრებისთვის, სულაც არ არის აუცილებელი, ხელის მოწერა, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ერთ დღეს დიდი ქორწილიც გადავიხადო.

**ეთო ხურციძე**



# რის გამო ითმენენ ქალები მამაკაცისგან სიყვარულის დეფიციტს

**თუ ქალს უყვარს მამაკაცი, ის თმობს... ბევრს თმობს და, საბოლოოდ, წაგებული, იმედგაცრუებული, დათრგუნული და გულნატკენი რჩება. ბევრი ქალბატონი ფიქრობს, რომ სიყვარული სულაც არ არის ბედნიერებისთვის მთავარი; რომ სიყვარული ვერასდროს იქნება გარანტი მამაკაცის გვერდით მშვიდად და შეხმატკბილებული ცხოვრებისა. უკვე ფართო აღიარება პოვა იმ მოსაზრებამაც, რომ, რაც მეტად გიყვარს მამაკაცი, მით მეტ იმედგაცრუებას იღებ მისგან. თუმცა, ბევრისთვის უსიყვარულოდ ოჯახის შექმნა წარმოუდგენელია და მიუღებელი... მართლაც, რა ჯობია გიყვარდეს საკუთარ თავზე მეტად, თუ მხოლოდ შენთვის მისაღებ ვარიანტებს დასჯერდე და ურთიერთობაც გათვლებით ააგო? იდეალური ვარიანტი გრძნობისა და გონების თანხვედრაა, თუმცა, ასე საკმაოდ იშვიათად ხდება.**

**ლიზა** ***(34 წლის):*** არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც, სერიოზულად ვფიქრობდი, რომ ბედნიერებისთვის მხოლოდ ფულია აუცილებელი, სიყვარული კი მხოლოდ ბრჭყვიალა სათამაშოა, რომელიც სულელების გასართობად მოიგონეს-მეთქი. რომანტიკული ურთიერთობა, გრძნობა, ემოციები – ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ, ოჯახს აშკარად სხვა რამე სჭირდება, მით უმეტეს – მამაკაცთან ხანგრძლივ, სერიოზულ ურთიერთობას, რაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაში გამოიხატება. რომელ რომანტიკაზეა საუბარი, როცა მოწმენდილ იატაკზე ტალახიანი ფეხსაცმელებით გაივლის და შემოსასვლელში ბინძურ წინდებს დაგიყრის... აღარ გავაგრძელებ იმაზე საუბარს, როგორ იქცევა ჩვეულებრივი მამაკაცი ოჯახში. ხომ დამეთანხმებით, რომ კეთილშობილი უფლისწულიც კი, სახლში, ცოლთან, ჩვეულებრივი კაცივით იქცევა, გამონაკლისები თითქმის არ არსებობენ.

**– ამით რისი თქმა გინდათ, რომ ყველა კაცი ერთნაირია?**

– დიახ. ეს აქსიომაა. როგორი შეყვარებულიც არ უნდა იყოს, მაინც ხდება ჩვეულებრივი, ანუ, ისეთი, როგორიც სინამდვილეში არის. ამით ვინმეს კი არ ვლანძღავ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ და რეალობას განახვებთ. რატომ უნდა მოვიტყუოთ თავი, რომ, თუ კაცს ვუყვარვართ, ცხოვრება მასთან ჯადოსნურ ზღაპარს დაემსგავსება? რატომ უნდა დავიჯეროთ ეს აბსურდი? სულელია ქალი, რომელსაც ამის არა მხოლოდ სჯერა, არამედ, დარწმუნებულიც კი არის. ბევრი კაცი ვიცი, ცოლი ქორწინებამდე ჭკუის დაკარგვამდე რომ უყვარდა, მერე კი მუშტებს არ აკლებდა, მეტისმეტი „სიყვარულით"; ან კიდევ, გათხოვდებიან „სიყვარულით", მერე კი არ იციან, რა აჭამონ შვილებს და როგორ ააგლიჯონ სავარძელს „მიწებებული" უსაქმური ქმარი. ამიტომ და, კიდევ რაღაც მოსაზრებების გამო, უარი ვთქვი სიყვარულით გათხოვებაზე.

**– საკუთარ თავს უბრძანეთ, არ უნდა შეგიყვარდესო?**

– არა. ვუბრძანე – ვინც გიყვარს, იმას ცოლად არ გაჰყვე-მეთქი. მყავდა შეყვარებული, სხვა პლანეტიდან კი არ ჩამოვფრენილვარ. სამი წელი რომანტიკაც მქონდა, სიყვარულიც და მშვენიერი, ლამაზი დღეებიც, მაგრამ, არც მიფიქრია, რომ ამ ადამიანს გავყვებოდი ცოლად.

**– თვითონ უნდოდა თქვენი ცოლად შერთვა?**

– კი, ვატყობდი ამას, მაგრამ, ერთხელაც არ მივეცი თქმის საშუალება. შეიძლება, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მე სხვა გეგმები მქონდა. ოჯახის შექმნას სხვანაირად ვუყურებდი და სხვანაირად წარმომედგინა ჩემი ქმარი – ის უნდა ყოფილიყო კაცი, რომელიც უზრუნველ ცხოვრებას შემიქმნიდა. თქვენ უნდა განმსაჯოთ? პრინციპში, ამას ველოდი. ყველა ხომ იმას ამბობს ხმამაღლა, რომ აუცილებლად სიყვარულით უნდა გათხოვდეს, მაგრამ, როგორ შეიძლება, ბედი ანდო რაღაც მყიფე, არამყარ გრძნობას?! ამ შემთხვევაში, საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულ მამაკაცს ვიგულისხმებ თუ არა. როგორც აღვნიშნე, შეყვარებული მამაკაცებიც ზუსტად ერთნაირები არიან: ჰპირდებიან ოქროს კოშკებს და ყველაფერზე თანახმა არიან, სანამ საყვარელ ქალს ოჯახში დაიგულებენ... ხომ ხვდებით, რომ მე მართალი ვარ?

**სიყვარული, გრძნობა, რომანტიკა ძალიან კარგია, მაგრამ, მამაკაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას აშკარად სხვა რაღაც სჭირდება**

**– ბოლომდე ვერ დაგეთანხმებით.**

– ანუ, ნაწილობრივ მეთანხმებით? იცით, რაშია საქმე? მერჩივნა, ჩემი სიყვარული ძალიან ლამაზ, რომანტიკულ ზღაპრად და მოგონებად დარჩენილიყო, ვიდრე მერე გამწარებულს მეთქვა – ეს არარაობა მიყვარდა-მეთქი. ზოგადად ხომ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ასე ხდება – უყვართ, გიჟდებიან... მერე კი ერთმანეთს დანასისხლად გადაეკიდებიან, არ ინდობენ, ლანძღავენ და აგინებენ...

**– ანუ, სიყვარული ლამაზ მოგონებად უნდა დავტოვოთ?**

– დიახ. იმიტომ, რომ ის, ჩვენგან დამოუკიდებლად მაინც იქცევა მოგონებად და, ხომ ჯობია, კარგ მოგონებად გადაიქცეს, ვიდრე კოშმარად? ამიტომაც გავყევი ცოლად კაცს, რომელმაც სრული პასუხისმგებლობით ითავა ჩემზე ზრუნვა. ბოლოს და ბოლოს, მარტო საკუთარი თავი ხომ არ გაბარია – შვილები გეყოლება და მათზეც უნდა იფიქრო. რას აჭმევ, როცა მოშივდებათ – სიყვარულს? ცხოვრება ერთხელ გეძლევა და ისე უნდა დაგეგმო ყველაფერი, რომ მერე არ ინანო.

**– თუმცა, თქვენ არ გამოგივიდათ ყველაფერი ისე, როგორც დაგეგმეთ და იმედი გქონდათ, რომ შედეგსაც სასურველს მიიღებდით.**

– შეიძლება, რაღაც ისე ვერ გამომივიდა, მაგრამ ჩემს მოსაზრებაზე უარს მაინც არ ვამბობ.

**– მაინც ფიქრობთ, რომ სიყვარული საჭირო არ არის?**

– დიახ. ოღონდ, აქ ერთი ნიუანსია – იმას უნდა უყვარდე, შენ კი – არა! ჩემს შემთხვევაში, იმის მხრიდანაც არ იყო დიდი გრძნობა, უბრალოდ, მოვწონდი ჩემი ეფექტური გარეგნობის გამო და აწყობდა ჩემნაირი ცოლი.

**– „აწყობდა" რას ნიშნავს?**

– თავის მოსაწონებლად შემირთო, ლამაზი ცოლი და ლამაზი შვილები უნდოდა – არიან ამ ტიპის კაცებიც. შეიძლება, თავისებურად ვუყვარდი კიდეც და ვნებაც ჰქონდა; ახლაც ექნება რაღაც გრძნობის მაგვარი შემორჩენილი ჩემ მიმართ, მაგრამ, ჩემთვის ეს საკმარისი არ არის.

**– ანუ, იმას უნდა უყვარდეთ და თქვენ არა? ძალიან კატეგორიული ხართ.**

– სულაც არა. მე ქალი ვარ და არა მანქანა. ბედნიერებას ვიმსახურებ და უნდა მივიღო კიდეც – ჩამითვალეთ ეს პრეტენზიად და ჭირვეულობად. ყველა ქალი რომ ჩემსავით იქცეოდეს, კაცები აზრზე მოვიდოდნენ და მეტი პატივისცემით მოგვეპყრობოდნენ. ცხოვრებამ კა-




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

***ჩაწერა ხდება წინასწარ.***

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, ვინც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?!

**ექსტრასენსსა და ნათელმხილველ ნინო ვარსიმაშვილს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, რასაც რედაქციაში უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ზარებიც მოჰყვა, ჩვენ კვლავ გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ნინოსთან, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. ნინო ვარსიმაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი, მოიზიდოთ ბარაქა და დაძლიოთ წარუმატებლობა, რომელსაც წლებია ვერ დააღწიეთ თავი.**

**ნინო ვარსიმაშვილი:** სამწუხაროდ, დღეს ჯადოს და ზოგადად, ნეგატიური პროგრამების ბუმია. ეს სოციალურმა მდგომარეობამაც გაამძაფრა. მატერიალურმა სიდუხჭირემ კიდევ უფრო გააბოროტა ადამიანები. ჯადოს, გათვალვას, შურს, წყევლასა და უარყოფითი ენერგიების გადაცემას დიდი ზიანი, არცთუ იშვიათად სიკვდილის გამოწვევაც კი შეუძლია. ხშირად ნეგატიური ზემოქმედების მასალა შეიძლება გახდეს ფოტოსურათი. სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტოთიც კი შეიძლება ნეგატიური ენერგიით დასნებოვნება. ამიტომაც, ყველას ვურჩევ, თუ გრძნობენ, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც ცუდისკენ შეიცვალა, არ ემართებათ ხელი, აუცილებლად მიიღონ ზომები. როცა ადამიანი თავადაც ცდილობს საკუთარი მძიმე კარმის განეიტრალებას სპეციალისტების დახმარებით, მას ეს გამოსდის კიდეც. არსებობს უამრავი პროცედურა და თილისმა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, წარუმატებლობა და უკუსვლა წარმატებით შეიცვალოს. ამ პროცედურებით შესაძლებელია დანგრეული ოჯახის აღდგენა და დაკარგული პიროვნების დაბრუნება, ბედის გახსნა, ბარაქის მოზიდვა და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, სხვადასხვა შიშისგან განკურნება. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტისგან ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე, ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მე მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში. მე იქ იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, ვინც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ და მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას სატელეფონო კავშირითა და სკაიპით ვახერხებ.

***ქალბატონ ნინოსთან ვიზიტის დროს, მოსაცდელში რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ და საკუთარი ისტორიების მოყოლა ვთხოვეთ.***

**მადლენა მ-ია** *(41 წლის, ბათუმი)*: ნინო ვარსიმაშვილი ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ვნახე პირველად. ისეთი დამაჯერებელი საუბარი ჰქონდა, მივხვდი, რომ მხოლოდ მას შეეძლო ჩემი შველა. იმ პერიოდში სახლის გაყიდვას ვაპირებდი, მაგრამ ისე ვიყავი ჩაკეტილი, ვერ გავყიდე. ნინოსთან რომ მივედი, პირველი რაც მითხრა ის იყო: სახლს სამ დღეში გაგაყიდინებო. გამიკვირდა, კლიენტი არ მყავს და სახლი როგორ უნდა გამაყიდინოს-მეთქი. სულ რამდენიმე დღეში მეზობელმა მაკლერმა თურქი ინვესტორი მომიყვანა. მან კი ჩემი სახლი ორჯერ ძვირად იყიდა, ვიდრე მე ვგეგმავდი. ეს კიდევ არაფერი იმასთან შედარებით, რასაც ახლა გეტყვით. ორჯერ ვიყავი გათხოვილი, ორჯერვე ისე დამენგრა ოჯახი შვილი არ მეყოლა. მახსოვს, ნინომ პირველივე ვიზიტზე მითხრა: რაღაც დიდ ოფისში გხედავ, რომელთანაც შენი ბედია დაკავშირებული, მალე გათხოვდებიო. გათხოვებას აღარ ვფიქრობდი. ჩემდა გასაოცრად, მეგობარმა სამსახური შემომთავაზა ერთ-ერთ კომერციულ ბანკში, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ოთხ თვეში დავქორწინდით და ცხრა თვეში ტყუპი ბიჭი გავაჩინე. ამის მეტი რა მოგიყვეთ. ერთს გეტყვით, რომ ნინო ვარსიმაშვილს აქვს ხილვები, რომელიც აუცილებლად სრულდება.

**მალხაზ გ-შვილი** *(65 წლის, გორი)*: ამ ქალბატონის შესახებ ტელევიზიით გავიგეთ. ცოლი გადამეკიდა და ძალით მომიყვანა აქ. საგვარეულო ჯადო გვქონდა გაკეთებული მამაკაცებზე – მე სულ ცუდად ვიყავი, ჩემს ვაჟს არაფერი აკლდა, მაგრამ ცოლი 40 წლამდე ვერ მოიყვანა. ქალბატონმა ნინომ სპეციალური თილისმები მოგვცა ოჯახის ყველა წევრს. ეს რის მომსწრე გავხდი ამ ასაკში! აქ მოსვლიდან ერთ თვეში, ჩემი ბიჭი დაქორწინდა, ჩემი უცნაური დაავადებებიც ისე გაქრა, პატარა ბიჭივით ვგრძნობ თავს.

***ნინო ვარსიმაშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 597 82 68 68, 5 99 003 006 (ჩაწერა წინასწარ).***

**თამარ ჩხენკელი**

---

რგი სკოლა გამატარა. მერე რა, რომ მატერიალურად არ მიჭირს და საჭმელი საშოვნელი არ მაქვს – მარტო ეს არ არის ცხოვრება, თუმცა, ვაღიარებ, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორი ნამდვილად არის. მე ჩემს ქმარს პატივს ვცემდი,

> **ბევრი კაცი ვიცი, ცოლი ქორწინებამდე ჭკუის დაკარგვამდე რომ უყვარდა, მერე კი მუშტები არ დაუკლია მისთვის მეტისმეტი „სიყვარულით“**

სანამ მიმახნდა, რომ მისთვის ღირებული ვიყავი. გასაგებია, რომ ის მე მატერიალურად სრულად უზრუნველმყოფდა და იმდენ ფულს მაძლევდა, რამდენიც მომესურვებოდა, მაგრამ, უცებ აღმოვაჩინე, რომ ფულის მოცემით ის მხოლოდ ვალდებულებას იხდიდა, მეტი არაფერი. ჩვენ შორის არაფერი იყო დამაკავშირებელი, არანაირი ძაფები... ხვდებით, ხომ, რასაც ვგულისხმობ?

**– დიახ, მაგრამ, ის ძაფები, რაზეც თქვენ საუბრობთ, სიყვარულს ახლავს თან.**

– უსიყვარულოდაც ძალიან კარგად გამოდის ეგ ყველაფერი, თუკი ცოლ-ქმარს შორის სურვილი და კეთილი ნება არსებობს. ხომ არიან წყვილები, რომლებსაც ერთმანეთი არ უყვართ, მაგრამ, არაჩვეულებრივად გამოსდით მეგობრობა? სულ ელაპარაკებიან ერთმანეთს, უზიარებენ ფიქრებს, შეხედულებებს... რაღაც ეტაპზე ამისი მოთხოვნილება გამიჩნდა. არ მომეწონა იმის გაცნობიერება, რომ ქმარს არ ვჭირდები; არ ვჭირდები იმ მოსაზრებით, რომ მე მისთვის არ ვარ არც მეგობარი და არც საყვარელი ქალი, ვარ მხოლოდ ცოლი, რომელმაც გაუჩინა ლამაზი, ჯანმრთელი შვილები, ემსახურება ოჯახში და მოუვლის სიბერეში. თავს მშვიდად გრძნობს ჩემ გვერდით – სულ ეს არის.

**– ანუ, ბევრი ფული და კეთილდღეობა არ ყოფილა სიყვარულის კომპენსაცია?**

– ვერ გამიგეთ – სიყვარულზე არ ვლაპარაკობ. მე სიყვარული კი არა, დასაყრდენი მჭირდება გვერდით – კაცი, რომელსაც ჩემს ფიქრს, წუხილს, სიხარულსა და სურვილებს გავუზიარებ. რა არის ამაში გაუგებარი?

**– ვერ „იყიდა" მეუღლემ თქვენი პატივისცემა?**

– ცოტა უხეშად ნათქვამია, თუმცა არსი მაინც ეს არის. პატივისცემა პატივისცემაზე იცვლება – ეს აქსიომაა. ის უნდა იყოს ჩემი პატივისმცემელი, რომ მეც გამიჩნდეს იგივე სურვილი. მე ახლა ვცდილობ, მისგან მიღებული ფულით მივიღო რაღაც სიამოვნება და დავივიწყო ის, რომ ქმრისთვის უმნიშვნელო არსება ვარ.

**– როცა არ არის პატივისცემა, იქ ღალატიც დასაშვებია.**

– გეთანხმებით. თავიანთი ჭკუით, უყვართ და მაინც ღალატობენ. თუ ადამიანს პატივს სცემ, მას ვერ უღალატებ, ვერ დაუშვებ ამას – ამაშია საქმე. ორივე მხრიდან არის იმისი საფრთხე, რომ გამოჩნდება მესამე, შემთხვევაზეც ვართ დამოკიდებულები და, ამიტომ, არაფერს გამოვრიცხავ...

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ყოველთვის ქალები წუწუნებენ საკუთარ პრობლემებზე და ისე გამოდის, რომ, ჩვენ, კაცები, მონსტრები ვართ, ისინი კი – ანგელოზები. ჩემი ცოლი მიმტკიცებს, რომ ძალიან ვუყვარვარ, რეალურად კი, ფლირტებს ვერ გადავაჩვიე – მომენტს არ უშვებს ხელიდან... როცა ვბრაზობ, იცინის და მეუბნება, სულელი ხარ, მე ხომ მხოლოდ ვერთობიო. მე კი ვმწარდები. რატომ არ ესმის, რომ გათხოვილი ქალი ასე არ უნდა იქცეოდეს?!**

**გამოხმაურება:** შეეცადეთ, აუხსნათ, რომ თავისი საქციელით დისკომფორტს გიქმნით, გულს გტკენთ და განერვიულებთ. არ ეჩხუბოთ და არც ეჭვიანობის სცენები მოუწყოთ, უბრალოდ, სთხოვეთ, თუ უყვარხართ, გაგიგოთ. ალერსიანად დაელაპარაკეთ, სითბოთი და არა აგრესიით. შეიძლება, მას თქვენი ყურადღება აკლია და სხვასთან ფლირტი მხოლოდ პროტესტია.

**ფსიქოლოგი მაგდა რობაქიძე**

**სამეჯლისო სტუდია „თელაში“ კარის გაღებისთანავე, პირველი, საყვარელი და კუდმოქიცინე კოკერ-სპანიერის ჯიშის უსაყვარლესი ძაღლი, სახელად, ბოთე, შეგეგებებათ. აშკარაა, რომ ბოთე განებივრებულია სიყვარულით და სითბოთი. გიგი გაჩეჩილაძემ ის სულ ციცქნა მიიყვანა სტუდიაში და ამბობს, როცა მუსიკა ესმის და ამდენ მოცეკვავე ადამიანს ხედავს, ბოთეც ტრიალებს, ხტის და თავისებურად ჰყვება მუსიკას – ცეკვავსო. თუმცა, ბოთე გოგოა და რატომ ჰქვია თავის სქესთან შეუსაბამო, უცნაური სახელი, ამაზე გიგი თავად მოგიყვებათ.**

# რატომ გაახმო გიგი გაჩეჩილაძემ ზაზუნა მზეზე და საიდან მოხვდა მის სტუდიაში სამი წლის არისტოკრატი გოგო, სახელად ბოთე

**გიგი გაჩეჩილაძე**: ვგიჟდები, ცხოველები ისე მიყვარს. თუმცა, არსებობს ისეთი ცხოველებიც, რომლებისაც მეშინია, მიუხედავად ამისა, მათთანაც მქონია შეხება.

**– კონკრეტულად, რომელი ცხოველის გეშინია?**

– ლომთან რომ დამტოვოთ პირისპირ, შემეშინდება, აბა რა! ***(იცინის)*** გალიაში რომ ზის და მიყურებს, ისიც კი შიშს მგვრის. ქვეწარმავალს კი, ტელეეკრანზეც რომ ვხედავ, მაჟრიალებს ისე მეშინია. თუმცა, ამერიკაში, ჩემს დისშვილს ჰყავდა გველი სახლში და მასთან რომ ვრჩებოდი მარტო, შიში მაშინ უნდა გენახათ.

**– შენი დისშვილი, გოჩა ჩერტკოევის შვილია. გამოდის, რომ გოჩას არა მარტო იშვიათი ჯიშის ძაღლები, სახლში ქვეწარმავალიც ჰყავს?**

– ახლა აღარ ჰყავს ქვეწარმავალი, მაგრამ იქ რომ ვცხოვრობდი, მათთან ერთად, ორმეტრნახევრიანი გველი ჰყავდათ. ლევანი – ჩემი დისშვილი სახლიდან რომ მიდიოდა, მე მიტოვებდა და საჭმელსაც ვაჭმევდი. ახლოსაც ვერ მივდიოდი, შორიდან ვესროდი მკვდარ ვირთხებს. გალიაში კი იჯდა და ვერ გამოვიდოდა, მაგრამ ისე მეშინოდა მისი, ოთახში ვიკეტებოდი, სანამ ოჯახის წევრები დაბრუნდებოდნენ. ლევანს ძალიან უყვარდა ის გველი და ხშირად გამოჰყავდა გალიიდან. აი, მაშინ კი ნამდვილი პანიკა მქონდა, ცუდად ვხდებოდი და სად ვიმალებოდი, კაცმა არ იცის ***(იცინის).*** თბილისში რომ ჩამოვედი, დღესაც კი, სახლში რომ შევდივარ, თუ ფანჯარა ღია მქონდა დატოვებული, ყველა კუთხე-კუნჭულს ვამოწმებ, ხომ არაფერი შემოძვრა-მეთქი. თუმცა, ძაღლებზე ვგიჟდები და ჭკუა მეკეტება. ჩემ სიძესაც, გოჩა ჩერტკოევს, ძალიან უყვარს ძაღლები. ოთხი ულამაზესი ძაღლი ჰყავს სახლში. მათი სახელები არ გაინტერესებთ?



**გავიხედე და ბოთემ მაწანწალა სოფლის ძაღლთან არ წაიცუღლუტა? ორსულად დარჩა, მეტი გზა არ მქონდა, აბორტი გავუკეთე**

**– ალბათ, ამერიკული სახელები ჰქვიათ, არა?**

– გოჩას ძაღლებს ჰქვიათ: ჩაჩა, რუმბა, სამბა ***(იცინის).*** კავკასიური ნაგაზი კი, საქართველოდან წაიყვანა და არგო დაარქვა. არგოს რომ ვასეირნებდი ქუჩაში, ყველა ჩვენ გვიყურებდა. მაჩერებდნენ და მეკითხეობდნენ, რა ჯიშია, საიდან მოიყვანეთო. ასე რომ, არგოს კავკასიური წარმომავლობა, გარეგნობა და ტემპერამენტი, ამერიკაში შეუმჩნეველი არ რჩებათ ქუჩაში უცნობ ადამიანებსაც კი. ჯერ კიდევ ლეკვი, უზარმაზარი იყო. რომ დადგება ორ ფეხზე, ორი მეტრია სიმაღლეში. არადა, ჯერ მხოლოდ, ორი წლისაა. მამამ აჩუქა სულ პაწაწუნა და სანამ ამერიკაში წაიყვანდნენ, ჩემს ძაღლთან, ბოთესთან ერთად დარბოდა სტუდიაში. რას წარმოვიდგენდით, რომ ამხელა გაიზრდებოდა. გაგიკვირდებათ და არგო გოჩას მასაჟებზეც დაჰყავს და სპასალონშიც. ჩემი მეგობრები ხუმრობენ, წაგვიყვანოს გოჩამ ამერიკაში და თუ ასე მოგვივლის, ჩვენც ჩავჯდებით გალიაში და დავიყეფებთო ***(იცინის).*** ხშირად მიწევდა გოჩას სამი ძაღლის გასეირნება დალასის ცენტრში და ვგრძნობდი გოგონების აშკარა ყურადღებას. მეც თავი მომქონდა და უნდა გენახათ, უცბათ, კოკო, რუმბა და არგო რომ სხვადასხვა მხარეს გაიქაჩებოდნენ, მე ამ შუა დალასში, ყველას თვალწინ რომ „ვიფარჩხებოდი" ***(იცინის).*** ჩემი ბოთე კი ჭკვიანი გოგოა. მანქანის კარს რომ გავუღებ, წინ არ ჯდება, იცის, რომ მისი ადგილი უკანაა. მოკლედ, ახლა მყავს ბოთე, რომელიც სამი წლისაა და რომ წარმოვიდგენ, ერთ დღეს შეიძლება, რამე დაემართოს და აღარ მყავდეს, უკვე განვიცდი, ვნერვიულობ. ძალიან მივეჩვიე, ოჯახის წევრია – მე ვუვლი, ბავშვივით ვანებივრებ და მის გარეშე, არ ვიცი, როგორ ვიქნები. ამაზე არ ვფიქრობ. რეალისტი ვარ და ვიცი, ერთ დღესაც აღარ იქნება ჩემ გვერდით. ამაზე ფიქრი „მგრუზავს". ბოთე, ბევრ ადამიანზე ძვირფასია ჩემთვის, ბევრისგან განსხვავებით, გაცილებით მეტი სიყვარულიც შეუძლია. აი, კატა არ მიყვარს, ცბიერია და ცბიერება ადამიანებისგანაც მეყოფა, მის ცბიერებას რომ არ ვუყურო ყოველდღე.

**– შენი კოკერ-სპანიელი გოგოა, თუმცა ბოთე ჰქვია. არ მიგაჩნია, რომ ასეთი საყვარელი და ლამაზი გოგოსთვის ეს სახელი შეუფერებელია?**

– ***(იცინის).*** ყველა ამას მეუბნება, გოგოს ბოთე როგორ დაარქვიო. სანამ ეს მეყოლებოდა, მანამდეც მყავდა ძაღლი და იმასაც ბოთე ერქვა. ის ბიჭი იყო, მომპარეს და მის პატივსაცემად, ამასაც ეს სახელი დავარქვი. ბავშვობაში კი, მოფერებით მე მეძახდნენ ამ მეტსახელს ***(იცინის).*** მერე, ძაღლს რომ დავარქვი, მეგობრებს ვუთხარი, მე თავი გამანებებთ და თუ ასე გინდათ, ამ მეტსახელის ძახება, აი, ბატონო, ამას დაუძახეთ-მეთქი ***(იცინის).*** ასე რომ, გამ-

**გოჩა ჩერტკოევს ახლა აღარ ჰყავს ქვეწარმავალი, მაგრამ ამერიკაში რომ ვცხოვრობდი, ორმეტრნახევრიანი გველი ჰყავდა**

ოდის, ჩემს პატივსაცემად ჰქვია ბოთეს ეს სახელი. სხვათა შორის, ის ბოთე არ ცეკვავდა, ეს ბოთე კი ცეკვავს – ჩემსავით „სასწორის" თვისებები აქვს. ყველაფერში მგავს, მოწესრიგებულია, გაწონასწორებული, მშვიდი და თავდაჭერილი. ვხუმრობ ხოლმე, ჩემი ბოთე არისტოკრატია-მეთქი ***(იცინის).***

**– მერე, მამიკო თავისი საყვარელი, თავდაჭრილი, გაწონასწორებული და არისტოკრატი გოგოსთვის როგორ სიძეს ეძებს?**

– სიძე არ გამახსენოთ! ისეთი ფაქტი მოხდა, ამასთან დაკავშირებით, რომ გახსენებაც აღარ მინდა. მოკლედ, ბოთე სოფელში მყავდა, მეგობრის სახლთან ვიდექით, გავიხედე და ბოთემ მაწანწალა სოფლის ძაღლთან არ წაიცუღლუტა? იქვე გავუჯავრდი, მაგრამ რომ ჩამოვედით, აღმოჩნდა, ორსულად იყო. მეტი გზა არ მქონდა, აბორტი გავუკეთე. მე გაჩენილ ლეკვებს ვერ გავაგდებდი გარეთ, მათ კი ვერ გავზრდიდი. არც სხვა მოინდომებდა მათ გაზრდას და ხომ ვერ გადავყრიდი შვილიშვილებს? სხვა გამოსავალი არ მქონდა, ცუდი ბაბუ აღმოვჩნდი. აბორტის მერე, ბოთეს ხელის გულზე ვატარებდი. ახლა, შერჩეული მყავს ჩემი უბნელი, ასევე ბოთეს ჯიშის, ინგლისური წარმოშობის ძაღლი სიძედ და იმედია, მომავალში, მათ შვილიშვილებს გავზრდი ***(იცინის).***

**– ბოთე ოფიციალურად იშვილე, ანუ პასპორტით შენს გვარს ატარებს შენი გოგო?**

– რასაკვირველია, პასპორტი აქვს და შიგ წერია: ბოთე გიორგის ასული გაჩეჩილაძე.

**– შენი პირველი ცხოველი, რომელსაც სახლში ზრდიდი რა იყო?**

– ზაზუნა, რომელიც აივანზე გამხმარი ვიპოვე ***(იცინის).*** ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა, აივანზე გაპარულა და მზეზე გახმა. ოჯახის წევრები, დილით რომ გამოვდივართ, გვიან საღამოს შევდივართ სახლში. გვეგონა, ზაზუნა ოთახში დავტოვეთ და რომ მოვედით, აივნის გისოსში გაჭედილი, გამხმარი დაგვხვდა. ახლა ვიცინი, მაგრამ, მაშინ ძალიან ვიტირე და ვიდარდე.

**– რომ ამბობ, დილით გამოვდივარ სახლიდან და გვიან ღამემდე არ შევდივარო, ბოთესაც თან დაატარებ?**

– დიახ, ბოთესაც თან დავატარებ. თუ სახლში ვარ, ესეც სახლშია, თუ სტუდიაში, ესეც სტუდიაშია. სხვათა შორის, ბოთე სხვისთვის ვიყიდე, მაგრამ მე შემრჩა ***(იცინის).*** ჩემი სასწაული შვილობილია, დამჯერი და ჭკვიანი. ერთხელ თავად დამრჩა ქუჩაში და ისეთი გადავიტანე, რომ მახსენდება, ახლაც ცივი ოფლი მასხამს. სახლიდან გამოვედით, ციოდა, დამეზარა ბოთესთან ერთად გასეირნება და ვუთხარი, მიდი მოირბინე, აქ დაგელოდები-მეთქი. ბოთეც გაიქცა. ამასობაში ტელეფონზე მეგობარმა დამირეკა. ამ საუბარში, მეგონა, ბოთე უკვე მანქანაში ჩაჯდა და მანქანა დავძარი. სტუდიაში რომ მივედი, დედამ მკითხა, ბოთე სად არისო? აი, მაშინ კი დამცხა. გავვარდი სახლში და რას ვხედავ? მისულა, კართან იჯდა და მელოდებოდა. ერთხელ, ძაღლმა ისე დამიკბინა ჩემი გოგო, კინაღამ გადავირიე. იმის მერე, უცხო ძაღლების ეშინია. ერთხელ, მანქანამ დაარტყა და გადავრჩით, უბრალოდ, ფეხი ეტკინა და მოვურჩინეთ. მოკლედ, ჩემი გოგო, ჩემსავით ქუდბედიანია ***(იცინის).*** სხვათა შორის, ბოთე კარგი მოცურავეა. უნდა ნახოთ, როგორ უსვამს „ბაყაყურებსა" და „ძაღლურებს" ***(იცინის).*** წარმოიდგინეთ, დინების საწინააღმდეგოდაც კი კარგად ცურავს. ბოთე ჩემი შვილია, ჩემი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი და მის გარეშე, ვერ წარმომიდგენია ცხოვრება.

**ნონა დათეშიძე**

**მსახიობი მაკა ძაგანია რამდენიმე თვის წინ გათხოვდა. მისი რჩეული „ილიაუნის" თეატრის მსახიობი გიგა ცერცვაძეა. წყვილმა ჯვარი დაიწერა და საქორწინო ცერემონიალი უახლოესი მეგობრების გარემოცვაში გამართა. დღეს კი ისინი შვილს ელოდებიან. როგორც მაკა ამბობს: სხვა ცნობილი ადამიანებისგან განსხვავებით, მან შეძლო, რომ პირად ცხოვრებაში მომხდარი ასეთი მნიშვნელოვანი სიახლეები ფართო საზოგადოებისთვის საკმაოდ დიდი ხნით დაემალა. ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ხნის წინ გახდა ცნობილი. ფეხმძიმობის გამო, სავარაუდოდ, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" ახალ სეზონში მას ველარ ვნახავთ. თუმცა, თეატრში დაბრუნებას და ჩვეულ ფორმაში ჩადგომას მშობიარობის შემდეგ მალევე აპირებს. როგორ შეიქმნეს მაკამ და მისმა მეუღლემ „ზღაპრული სამყარო", გაიგეს თუ არა უკვე ბავშვის სქესი და როგორი მეუღლე აღმოჩნდა სინამდვილეში „ფემინისტი თინა", ამას მაკასგან შეიტყობთ.**

# ᲠᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲛᲐᲙᲐ ᲫᲐᲒᲐᲜᲘᲐᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ ᲛᲐᲜ „ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ"

**– მაკა, როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე?**

– თეატრში ერთად ვართ და ერთმანეთი მრავალი წლის წინ გავიცანით. დიდი ხანია, რაც ურთიერთობა გვაქვს. აქამდე მეგობრობა გვაკავშირდებდა.

**– მეგობრობა სიყვარულში როდის გადაიზარდა?**

– სიყვარულში როგორ გადაიზარდა, ვერ ვიტყვი, რადგან ეს სპონტანურად ხდება, როცა დიდი ხნის ურთიერთობაა, თან მეგობრული. მე და გიგას ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა, ოღონდ მეგობრობას ვგულისხმობ. მერე უცბად, რა მოხდა, რა შეიცვალა და როგორ, არ ვიცი. ეს თავისთავად მოხდა. ჩვენი ურთიერთობის შვიდი წლის შემდეგ, ერთი წლის წინ, უცებ რაღაც მოხდა, რაღაც გადატრიალდა და სხვა ურთიერთობაში გადაიზარდა.

**– სიყვარული როგორ აგიხსნათ?**

– სიყვარულის ახსნა როგორ იყო და ***(იცინის)...*** რა ვიცი, პირველი ეფექტი მოახდინა იმან, რომ გასტროლზე იყვნენ წასულები თეატრიდან „არიქა დო არიქათი" და სიმღერა, რომელიც მე ძალიან მიყვარს – „ისევ შენ და ისევ შენ", ხმებში აქვთ გაშლილი და ჩამიწერეს იქ. ძალიან ლამაზ ადგილას იყვნენ ის და მისი მეგობრები და ის ჩანაწერი გამომიგზავნა. პირველი, ძალიან დიდი ეფექტი ამან მოახდინა.

**– დაქორწინება რამდენ ხანში გადაწყვიტეთ?**

– ურთიერთობიდან, სადღაც შვიდი თვის შემდეგ, გადავწყვიტეთ დაქორწინება.

**– მეუღლეს და თქვენს შვილს როგორი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთისადმი?**

– ჯერჯერობით კარგი ურთიერთობა აქვთ და მომავალში ვნახოთ.

**– თქვენი ურთიერთობა რატომ გაასაიდუმლეთ?**

– იცი, რა? თავიდან ასე გადავწყვიტეთ, რომ მოდი, იყოს დამალული და ჩუმი, მარტო ჩვენ შორის, არავინ იცოდეს და მერე, თუ მივედით იმ ეტაპამდე, რომ გამოაშკარავება საჭირო გახდა, ვთქვათ. მანამდე გვინდოდა, ჩვენი პატარა სამყარო გვქონდა, სადაც ვიქნებოდით მხოლოდ ჩვენ და სხვა არავინ ჩაერეოდა მასში. სხვა შემთხვევაში ეს პროცესი შარშანდლიდან უნდა დაწყებულიყო. დაიწყებოდა საუბარი „უი, შეყვარებული გაიჩინა" და ასე შემდეგ, რაც ჩვენ არ გვინდოდა. ჩვენთვის გვქონდა ნაჭუჭი შექმნილი, სადაც ვცხოვრობდით წყნარად და ბედნიერად. ეს რაღაცით ზღაპრულ სამყაროს ჰგავდა, რადგან აბსოლუტურად მოყწვეტილები ვიყავით ყველაფერს. კი, სადაც ხშირი ურთიერთობები გვაქვს, იქ დამალვა არ გამოდიოდა. თეატრში უფრო ხვდებოდნენ ამ ყველაფერს, ვიდრე დანარჩენები, მაგრამ ისე, ძირითადად, ხალხმა არ იცოდა ჩვენი ურთიერთობის შესახებ.

**– მაგრამ, როცა უკვე ოჯახი შექმენით...**

– ოჯახი როცა შევქმენით, მაშინაც არ გავახმაურეთ. ჯვარი ძალიან ვიწრო წრეში დავიწერეთ. რა ვიცი, ასე გახმაურება არ მინდოდა, მაგრამ თუ მკითხავდნენ: „უი, გათხოვდი?" – ბეჭედი რომ მიკეთია, ამას არ ვმალავდი. თუმცა, ხმამაღლა რომ განმეცხადებია ჩემი გათხოვების შესახებ, რაღაც არ მინდოდა. თან, მერე ზაფხულის პერიოდი დაემთხვა, დასვენება... და ამიტომ უარი ვთქვი ყველანაირ კომენტარზე.



**იმ პერიოდში იმდენი ვიტირე, რომ ხანდახან ვამბობ, ალბათ, კარგა ხანს ტირილი აღარ მომიწევს-მეთქი**

**– ახლობლები არ გსაყვედურობდნენ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დაუმალეთ?**

– იცი, რა არის? ძალიან ახლობლებს დავუმალე, უახლოეს დაქალებს და მეგობრებსაც არ ვუთხარი. აქედან გამომდინარე, უცხოების აზრი ნაკლებად მაინტერესებს. ახლობლებს რაც შეეხება, როგორ არა – ჩემმა მეგობრებმა მითხრეს საყვედური, მაგრამ, როცა ვუხსნი, თუ რა კარგად ვგრძნობდი თავს, იმ ჩემს სამყაროში, როცა ეს ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო ყველას ესმის ამ გადაწყვეტილების მიზეზი. როცა უკვე ცნობილი გახდა ამ ყველაფრის შესახებ, ამან ცოტა დამაბნია, რადგან ის სამყარო დამერღვა და გამოვედით სააშკარაოზე. ის გაცილებით მერჩივნა.

**– ამან გარკვეული დისკომფორტი შეგიქმნათ?**

– არა. დისკომფორტი არ შეუქმნია, უბრალოდ, ჩვენი მყუდროება დაარღვია.

**– ცნობილი ადამიანების ცხოვრება სხვანაირად არ გამოდის.**

– იცი რა? მე გამოვიყვანე და თან, საკმაოდ კარგადაც ***(იცინის).***

**ᲠᲝᲪᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲐᲛᲐᲜ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲛᲐᲑᲜᲘᲐ. ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ, ᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲓᲐᲛᲔᲠᲦᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ ᲡᲐᲐᲨᲙᲐᲠᲐᲝᲖᲔ. ᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲠᲩᲘᲕᲜᲐ**

**– ვიწრო წრეში დავიწერეთ ჯვარიო, ახსენეთ და ქორწინების უფრო მასშტაბურად აღნიშვნას ხომ არ გეგმავთ?**

– არა, მეტს აღარაფერს ვგეგმავთ. იმდენად ლამაზი იყო ეს ყველაფერი, რომ მეტი აღარ გვინდა. ჩემს მეგობარს, რომელიც ჩემი მეჯვარეცაა, აგარაკი აქვს და დაგვითმო ამ დღისთვის. რეალურად, მან გადაიხადა ჩვენი ქორწილი. ულამაზესი გარემო მოგვიწყვეს ღია ცის ქვეშ, თავისი სუფრით და ყველაფრით. გრანდიოზულ ქორწილს აღარ ვგეგმავთ.

**– ბავშვის სქესი თუ გაიგეთ უკვე?**

– კი. სქესი ვიცით. ამბობენ, ბიჭიაო. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ხშირად ცდებიან. რა ვიცი, ვნახოთ.

**– თქვენ რომელი გინდათ?**

– სულერთია. მთავარია, ჯანმრთელი იყოს და სქესს არ აქვს არანაირი მნიშვნელობა.

**– სახელიც ხომ არ შეგირჩევიათ? ან ნივთების შეძენა თუ დაიწყეთ უკვე?**

– წესით, გიორგობას იბადება, ასე უწევს. აქედან გამომდინარე, ალბათ, გიორგი იქნება. არაფრის შეძენა არ დაგვიწყია, რადგან, ჩემ გარშემო ძალიან ბევრი ბავშვი გაჩნდა – შობადობამ, როგორც ჩანს, ძალიან იმატა. ყველა მეუბნება: „ეს არ იყიდო, მე მოგცემ", „ამას მე გაგატან", „ის არ გინდა" და ასე შემდეგ. აღმოჩნდა, რომ მართლა არაფერი მაქვს საყიდელი. მერე უკვე, როცა დრო მოვა, ალბათ, თითო-ოროლა რაღაცას ვიყიდით.

**– თინა მამაკაცებთან მიმართებაში კატეგორიულად უკომპრომისოა. თქვენ როგორი მეუღლე ხართ?**

– მე ვარ იდეალური მეუღლე ***(იცინის),*** თინასგან რადიკალურად განსხვავებული. ვცდილობ, კარგი მეუღლე ვიყო. ამას მართლა ყველანაირად ვცდილობ. ეს არ არის მარტო ერთ მხარეზე დამოკიდებული. ამას ურთიერთობაში ჯაჭვურად ორივე მხარე უნდა ეცადოს და ამიტომ, მეუღლეც იგივეს ცდილობს. ერთმანეთზე ვზრუნავთ. ეს უფრო ზრდის და დიდ სიყვარულს ბადებს ჩვენ შორის.

**– გიგა, როგორი მეუღლეა? ტრადიციული ქართველი თუ?**

– არა, ისეთი ტრადიციული ქართველი მეუღლე – „ქალი უნდა იყოს კუხნაში," არ არის ***(იცინის).*** რაღაც შეზღუდვები არ აქვს.

**– ფეხმძიმე ქალბატონებს ხასიათი ურთულდებათ. თქვენც ხომ არ გაქვთ მსგავსი სიმპტომები?**

– რაღაც მომენტში, ჩვენ ძალიან რთული ეტაპი გამოვიარეთ. მართლა მქონდა სტრესული მომენტები. არ ვიყავი კარგად, რადგან არ ვიცოდი, შემინარჩუნდებოდა თუ არა ეს ნაყოფი. ეს ძალიან მძიმე პერიოდი იყო და რაღაცნაირად გავიარეთ. იმ პერიოდში იმდენი ვიტირე, რომ ხანდახან ვამბობ, ალბათ, კარგა ხანს ტირილი აღარ მომიწევს-მეთქი. რაც ეს პრობლემები გადავაგორეთ და ყველაფერი სტაბილური გახდა, რომ გითხრა, რაღაც შემოტევები მაქვს-მეთქი – არა, ასე ნამდვილად არ არის. ეტყობა, იმ რამდენიმე თვეში ჩაეტია ყველაფერი.

**– შემოქმედებას რაც შეეხება, როდიდან აპირებთ გაგრძელებას?**

– ახლა ზაფხული დაემთხვა და ამას დისკომფორტი არ შეუქმნია. თეატრი დაკეტილი იყო და სტაბილურად სამუშაო არ მქონდა. თუმცა, გასტროლებზე ვიყავით – გორსა და ბათუმში გვქონდა სპექტაკლი წაღებული და ჩვეულებრივად ვითამაშე. ნორმალურად ვარ და ჯერჯერობით ამ ყველაფრისთვის თავის გართმევა შემიძლია, მერე რა იქნება, არ ვიცი. სერიალს რაც შეეხება, არაფერი ვიცი. ჯერ არ გვილაპარაკია და რა იქნება და როგორ, ამას ვერ გეტყვით. თეატრში კი ვგეგმავ, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგ, მალევე ჩავდგე ფორმაში და ისევ ვითამაშო სპექტაკლებში.

**ᲥᲔᲗᲘ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ**

**ადამიანები, როგორც კი იწყებენ ეკლესიაში სიარულს, ხშირად თავიდანვე ცდილობენ, საკუთარ თავს გარკვეული შეღავათები დაუწესონ, გაიმარტივონ ეკლესიაში სიარულის, ცხოვრების წესი, რაც მათ ვნებებთან ბრძოლაში კი არ ეხმარება, პირიქით, ხელს უშლის. ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რა არის ადამიანის სულის ვარჯიში და რატომ იწყებენ ქრისტიანები არასწორ რელიგიურ ცხოვრებას

**– ბევრი აღიარებს, რომ, როდესაც ის ეკლესიაში სიარულსა და მარხვების დაცვას ცდილობდა, მას ოჯახის წევრები ხშირად ურჩევდნენ, რომ ეს ყველაფერი, შეიძლება, ცოტა მძიმე იყოს მისთვის და, ამიტომ უნდა გაიმარტივონ ეკლესიური ცხოვრების წესი. რამდენად მართებულია ეს?**

– რა თქმა უნდა, ასეთი დარიგება არ არის მართებული, ამით, პირიქით, სხვას აბრკოლებენ. თუ ადამიანმა დაიწყო ქრისტიანული ცხოვრება, მარხვა, მაგრამ საკუთარ თავს დაუწესა შეღავათები, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს მოძღვრის კურთხევის გარეშე ხდება, ამით ის უკვე არასწორ ეკლესიურ ცხოვრებას იწყებს. მარხვა სულის ვარჯიშია, რაც აუცილებელია ადამიანისთვის. ამ დროს ის უნდა დაფიქრდეს, როგორ აპირებს ცხონებისკენ სიარულს, საკუთარ თავთან ბრძოლას და, თუ ის გართობას მიეცემა, მას ამ ყველაფრის გასაკეთებლად და ამაზე საფიქრალად დრო აღარ დარჩება. ძალიან ბევრი ხშირად აღტაცებით იწყებს ეკლესიაში სიარულს, მაგრამ, შემდეგ მათი სულიერი აღტკინება ქრება და თვეების განმავლობაში აღარ მოდიან ეკლესიაში. ასევე, არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებიც მხოლოდ მარხვის დროს მოდიან ტაძარში, ყველა წესს აღასრულებენ, მაგრამ, როგორც კი მარხვა მთავრდება, აღარ დადიან წირვა-ლოცვებზე. ჩვენ, მოძღვრები, ასეთ ადამიანებს „მარხვის ადამიანებს" ვეძახით. ეს არასწორი მიდგომაა და მათ უნდა გაითავისონ, რომ ასე ვერ ცხონდებიან. სამწუხაროდ, უფალს ისე აღვიქვამთ, როგორც მეხანძრეს, რომელმაც ცეცხლი უნდა ჩააქროს – მას მაშინ ვეძახით, როცა გვიჭირს,



**უფალს ისე აღვიქვამთ, როგორც მეხანძრეს, რომელმაც ცეცხლი უნდა ჩააქროს – მას მაშინ ვეძახით, როცა გვიჭირს; მაგრამ, როგორც კი გაივლის დრო, ეს ყველაფერი გვავიწყდება და ისევ ვშორდებით უფალს**

რადგან, ვხვდებით, რომ უფლის გარეშე ვერ შევძლებდით ამის გადალახვას, მაგრამ, როგორც კი გაივლის დრო, ეს ყველაფერი გვავიწყდება და ისევ ვშორდებით უფალს. ჩვენ მაშინ გვინდა უფალი, როდესაც გვჭირდება, არადა, უფალი, ეკლესია, ყოველდღე მოგვიწოდებს – მოდით და ისწავლეთ ცხონება, გადარჩენის გზაო, ამას კი დიდი შრომა და შემართება სჭირდება. მხოლოდ მაშინ არ უნდა მივიდეთ ტაძარში, როდესაც გვინდა, მაშინ არ უნდა მოვუხმოთ უფალს, როდესაც დაგვჭირდება, რადგან, შეიძლება, ხვალ საერთოდ „აღარ დაგვჭირდეს" უფალი და ეს ძალიან ცუდი იქნება. უფალი სულ გვიხმობს და ჩვენ უნდა გავყვეთ მის, დედა-ეკლესიის გამოძახილს, თუ გვინდა, რომ ვცხონდეთ და გადარჩენის გზას დავადგეთ. ყველამ საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვა: არის კი მათ მიერ უფლის აღიარება მართებული, ანუ, მართებულად ემსახურებიან უფალს? ადამიანი, რომელსაც სურს, შეუდგეს ქრისტეს, ღმერთს, ის ჯერ უნდა მოვიდეს მართლმადიდებლურ საკრებულოში, სამრევლოში და გახდეს მისი წევრი. თვეში ერთხელ ტაძარში შესვლა, სანთლის ანთება, თუნდაც დღესასწაულებზე სიარული და ტრაპეზების გამართვა, არ არის მთავარი და მაცხოვნებელი, ყოველ შემთხვევაში, ადამიანი ამით არ ცხონდება. მთავარია სამი ფაქტორის გათვალისწინება: პირველი ისაა, რომ ქრისტიანი უნდა იყოს ჭეშმარიტი ეკლესიის ცოცხალი წევრი, ანუ, იგი უნდა იყოს მართლმადიდებელი და არა წარმართი, რადგან, წარმართი ვერ ცხონდება; მეორე კრიტერიუმი კი ის არის, რომ ადამიანი შეიძლება გახდეს მართლმადიდებელი, მაგრამ, მერე ჩავარდეს მწვალებლობაში, განხეთქილებაში, რაც, თავის მხრივ, მართლმადიდებლურ სწავლებასთან წინააღმდეგობაში მოდის; მესამე – ქრისტიანის სარწმუნოება საქმეებითაც უნდა დამტკიცდეს. საქმეების გარეშე სარწმუნოება მაცხოვნებელ ძალას არის მოკლებული; კეთილი და კარგი საქმეები თავისთავად გამოიღებს კარგ ნაყოფს, ნაყოფს ცხონებისას.

**– ხშირად, ჩვენს ცოდვებს, სულიერ მისწრაფებებს, მანკიერებებს გაუცნობიერებლად მივაწერთ სხვას, თუნდაც, ბნელ ძალებს, ეშმაკს. მავანნი თავს იმართლებენ: მე კი შევცოდე, მაგრამ, ეს ჩემი ბრალი კი არა, ეშმაკის ბრალი იყო, მან მაცდუნაო. შესაბამისად, ის საკუთარ თავს არაფერზე სთხოვს პასუხს და არც თვითიძულებას მიმართავს.**

– ადამიანი სულიერი არსებაა და მის სულში განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობს. შეიძლება, ის რაღაც ფიზიკურ ბრძოლას აწარმოებდეს, რომელიც გარკვეულ დროს მთავრდება, მაგრამ, სულიერი ბრძოლა არასდროს წყდება, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი არასოდეს მთავრდება. ბევრი მოხუცი იმასაც ამბობს, სახლში ვზივარ და არაფერს ვაშავებო. ძალიან ხშირად, ჰგონიათ, როცა სახლიდან გარეთ გამოვლენ და საზოგადოებასთან ექნებათ ურთიერთობა, მხოლოდ მაშინ შეიძლება შესცოდონ. არ აქვს მნიშვნელობა, მარტო ხარ სახლში თუ გარეთ –

**არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი მარტოა სახლში თუ გარეთ, უნდა თუ არ უნდა, მას ბრძოლის სახით ყოველთვის მოსდის ცუდი ფიქრები, აზრები, რასაც ჩვენ ვნებებს ვეძახით**

გინდა თუ არ გინდა, ადამიანს ბრძოლის სახით ყოველთვის მოსდის ცუდი ფიქრები, აზრები, რასაც ჩვენ ვნებებს ვეძახით. ეკლესია გამოყოფს ბრძოლის სამ სახეს: სიტყვით, საქმით და აზროვნებით. ყველამ ვიცით, რომ სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს და მას კონკრეტული ადრესატი ჰყავს; ასევე, მის მნიშვნელობას – რას ამბობს, ვის მიმართ და როგორ. გონებაში ჯერ აზრი იბადება და, თუკი ადამიანი შემდეგ ამ აზრს დაეთანხმება და შეიწყნარებს, მისი ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ეს აზრი, შეიძლება, ბოროტი ძალისგან იყოს თავს მოხვეული. ამიტომაც არის, რომ, ვდგავართ ეკლესიაში ან სახლში ვკითხულობთ ლოცვებს და, იმ დროს, როცა ჩვენი გონება, სულიერი ძალები იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ლოცვით ვიყოთ უფალთან კავშირში და სიმშვიდე ვპოვოთ, პირიქით, ხელს გვიშლის ბოროტი ძალა და თავს გვახვევს არა მხოლოდ გარეშე აზრებს, არამედ, მკრეხელობასაც; შეიძლება, სწორედ სიწმიდეების, წმიდანების, უფლის მიმართ გაუჩნდეს ადამიანს მკრეხელური აზრი, რასაც მას ბოროტი ძალა მოუვლენს. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს იწვევს დაცემული გონება და მდგომარეობა, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, ადამიანის ბრალი არც იყოს – ეს ბოროტი ძალები ახვევენ მას თავზე, რომ დააბრკოლონ ლოცვის მდგომარეობაში მყოფი და ხელი შეუშალონ. ხშირ შემთხვევაში, ბოროტი ძალების ჩვენზე ზემოქმედება არ არის საცნაური, მაგრამ, ბევრი წმიდა მამის პატერიკში უამრავი ფაქტია, სადაც აღწერილია, როგორ ზემოქმედებენ ბოროტი ძალები ადამიანებზე, ხელს უშლიან ლოცვაში. ვნება – ეს ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, ანუ, ეს არის სულიერი ძალები, რომლებიც არასწორად არის მიმართული. ასკეტურ ლიტერატურაში ვნებებს განმარტავენ როგორც სულიერი ძალების არაბუნებრივ მოძრაობას. ჩვენში მრავლად არის სულიერი ძალები თავისი გამოვლინებით, მაგრამ, როდესაც ეს ძალები არასწორად მოქმედებს, მერე ეს უკვე ვნების სახით ვლინდება. ამიტომ, სულიერი ძალები სიკეთისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან, ადამიანი ის არსებაა, რომელსაც წლების განმავლობაში საკუთარ თავზე დაკვირვებით შეუძლია სულიერი ძალების მართვა. მას, ასევე, შეუძლია, ვნებებს ისე მოუყაროს თავი, რომ ყველაფერი სიკეთისკენ წარმართოს. თუ თითოეული ჩვენგანი თავის პატარ-პატარა ცოდვებზე, მიდრეკილებებზე არ იფიქრებს ყოველდღიურად, ეს ცოდვები ძალიან მძიმე ვნებაში გადაიზრდება და მასთან ბრძოლა კი გაცილებით ძნელი გახდება. ამიტომ, თუ მას შეუპოვარ ბრძოლას არ გამოვუცხადებთ, შეიძლება, ვერც გავთავისუფლდეთ მისგან. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაღაც ცოდვა არ აწუხებდეს, რაც მისი სუსტი წერტილია. ჩვენ ეშმაკს შეიძლება ერთი რამ დავაბრალოთ: ის ჩვენს დამახინჯებულ სულიერ ძალებს ჩვენსავე საწინააღმდეგოდ იყენებს – სუსტ წერტილს მოგვინახავს და იქ ხდება ჩვენი შევიწროება, დაცემა, ყურადღების მოდუნება. ამიტომ, ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. თუ ადამიანი გააგრძელებს იმ ვნებასთან ბრძოლას, რომელიც მასში ყველაზე ხშირად ვლინდება, მაშინ ეს უკვე ღვაწლია და, რა თქმა უნდა, ამას უფალი დაუფასებს. ყველა ცოდვა წარმოიქმნება გულში, სადაც თავს იყრის სულიერი ძალები, შემდეგ ეს გონებას გადაეცემა და ადამიანი უკვე ხორცს ასხამს მას. ქრისტიანმა უნდა ისწავლოს ყველა იმ ცოდვასთან და განზრახვასთან ბრძოლა, რომელიც მის სულს აღაშფოთებს; მაგრამ, თუ ჩვენ ყველა ვნებასა და მიდრეკილებას არ დავამსხვრევთ იმ ქვაზე, რომელსაც ქრისტე ჰქვია, მარტო ვერ შევძლებთ ამ ყველაფრის გადალახვას, რადგან, ჩვენ მაცხოვრით გადავრჩებით და მისი დახმარებით შევძლებთ, გადავლახოთ ის სირთულეები, მოვიშოროთ ის მაცდური აზრები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად გვაგდებს ცოდვაში.

**ნათია უტიაშვილი**

# წმიდა ბერი პაფნუტი ბოროველის სასწაულები

ბალაბანოვოს (პატარა ქალაქი მოსკოვი – კიევის რკინიგზის ხაზზე; რუსეთის ფედერაცია) და ქალაქ ბოროვსკის ავტომაგისტრალის შორიახლოს ნამომართულია ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში აგებული მტკიცე კედლებიანი და ქონგურებიანი პაფნუტი ბოროველის მონასტერი.

1415 წელს, როდესაც პაფნუტის მხოლოდ 20 წელი შეუსრულდა, იგი განეშორა საერო ცხოვრებას და დაფუძნდა მაღალმფარველის მონასტერში ქალაქ ბოროვსკის მახლობლად.

მონასტერში პაფნუტი მოექცა მღვდელ-მონაზონის, ნიკიტას მორჩილებაში, რომელიც თავის დროზე იყო წმიდა მამის, სერგი როდონოჟელის მონაფე. 7 წელიწადს იყო პაფნუტი ბერ-მონაზონის მორჩილად და ბევრი რამ ისწავლა მისგან. მთლიანობაში მაღალმფარველის მონასტერში პაფნუტიმ 30 წელი დაჰყო; ამასთანავე მათ შორის 13 წელი იგი იყო იღუმენი, ანუ მონასტრის წინამძღვარი.

1440 წელს ღირსმა მამამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დატოვა იღუმენობა და ერთ მონაზონთან ერთად განმარტოვდა მდინარეების – პროტვისა და ისტერმის ნაპირებზე მდებარე შემაღლებულ ლამაზ ადგილზე, ბოროვსკისთან ახლოს. ამ ადგილს ირგვლივ უღრანი ტყე ერტყა. ამ ადგილისკენ დაიწყეს სვლა სხვა ბერ-მონაზონებმაც, რომლებიც ღირსი პაფნუტის კურთხევით აწყობდნენ სენაკებს და ცხოვრობდნენ მისი ხელმძღვანელობით. ასე ჩაისახა ახალი მონასტერი, ხოლო წმიდა მამის თავზე შავმა ღრუბლებმა იწყეს მოგროვება. საქმე ისაა, რომ ადგილი, სადაც დაეფუძნა პაფნუტი, შედიოდა არა ბოროვსკის, არამედ, სუხოდოლსკის ოლქში. მაღალმფარველის მონასტერი, რომელშიც პაფნუტიმ 30 წელი გაატარა, თანდათანობით „დასუსტდა" და დაკარგა პოპულარობა. ეს არ მოსწონდა მაშინდელ ბოროვსკელ მთავარს – ვასილი იაროსლავის ძეს და რამდენჯერმე მსახურებიც კი გაგზავნა ახალი სავანის გადასაწვავად, მაგრამ, უშედეგოდ. ასეთივე მზაკვრული დავალებით მის მიერ გაგზავნილ იქნა ვინმე თათარი, რომელსაც წმინდა რელიგიური მოსაზრებით სძულდა წმიდა მამა. მაგრამ, როდესაც მონასტერს უახლოვდებოდა, თვით პაფნუტი შეხვდა მას და სახელით მიმართა (წმიდა მამა არ იცნობდა თათარს და, არ შეიძლებოდა, რომ მისი სახელი სცოდნოდა) და ალერსიანად ჰკითხა მოსვლის მიზეზი. ამან ისე იმოქმედა თათარზე, რომ იქვე შეინანა თავისი ქცევა და დანვრილებით უამბო თავისი ვიზიტის შესახებ, შემდეგ პატიება და ლოცვა-კურთხევა ითხოვა და მშვიდობიანად გაშორდა იქაურობას.

იმ ხანებში რუსეთს თავს დაესხა ყაზანის ხანი – მამოტიაკი. რუსეთის ჯარები განადგურებულ იქნა სუზდალთან და ბოროვსკის მთავარი, ვასილი იაროსლავის ძე, ტყვედ აიყვანეს. მთავარი მიხვდა თავის დანაშაულს, ჩავარდა სინანულში და დაიწყო პაფნუტისადმი ლოცვა, რათა გაეთავისუფლებინა ტყვეობიდან. მართლაც, სულ მალე, მან შეძლო ტყვეობიდან თავის დაღწევა და ამის შემდეგ წმიდანი წრფელი გულით აღიარა.

მისი თანამედროვენი იხსენებენ, რომ პაფნუტი გარეგნულად ასკეტის მაგალითი იყო. წმიდანი ოთხშაბათობითა და პარასკეობით არაფერს ჭამდა, ხოლო სხვა დღეებში მცირედ საკვებს იღებდა; მანტია, ანაფორა და ფეხსაცმელი, რომლითაც პაფნუტი იყო შემოსილი, მათხოვრებსაც კი არ გამოადგებოდათ და, საერთოდ, მონასტრის წინამძღვრის შესწრება მხოლოდ ლოცვის ან მძიმე ფიზიკური შრომის დროს შეიძლებოდა. როდესაც სავანეში ბერების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, წმიდა მამამ მათი დახმარებით ქვის ტაძარი ააგო. როდესაც ტაძრის აგება დასრულდა, წმიდა მამამ მოიწვია საუკეთესო ხატმწერები. ერთ-ერთს, სახელად დიონისეს, არ შეეძლო მუშაობა ფეხების ტკივილის გამო. წმიდა მამამ უთხრა მას: „დიონისე, ღმერთი გაკურთხებს შენ, დაიწყე კეთილი საქმე; უფალი და ყოვლადწმიდა დედა მოჰმადლიან კურნებას შენს ფეხებს". ხატმწერი, მტკიცედ ირწმუნა რა ღირსი მამის სიტყვები, სიხარულით შეუდგა საქმეს და... განიკურნა. დიონისესა და სხვა ხატმწერებსაც, ღირსმა მამამ უქადაგა, რომ მონასტერში არ ეჭამათ ხორცი და ამისთვის ახლომდებარე სოფელში წასულიყვნენ ხოლმე. თავიდან ისინი ასეც იქცეოდნენ, მაგრამ შემდეგ გადაავიწყდათ დარიგება და, ერთ მშვენიერ დღეს, სადილზე მიიტანეს მოხარშული კვერცხით დატენილი ცივად მოხარშული ციკნის თეძო. როდესაც დიონისემ, პირველმა მეგობრებს შორის, გასინჯა კერძი, კვერცხში მატლები აღმოაჩინა და მაშინვე დაავადდა. სულ ერთ საათში მხატვარს მთელი სხეული ისე დაეფუფხა, რომ განძრევა ვეღარ შეძლო. ავადმყოფმა მაშინვე ერთ-ერთი ძმა გაგზავნა წმიდა მამასთან სათხოვნელად, რომ აღსარება მიელო მისგან და შეენდო შეცოდება. წმიდანმა დიონისე დამოძღვრა, რომ ამის შემდეგ არ გადასულიყო ლოცვა-კურთხევას; შემდეგ წაიყვანა ეკლესიაში და განკურნა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როდესაც ეკლესიაში ვარ, ხშირად ჩემ წინ ხატები ნათდებიან. რისი ნიშანი შეიძლება იყოს ეს?**

პასუხი: ნებისმიერი ხილვა, ეკლესიაში თუ მის გარეთ, ქრისტიანისთვის არ არის სარგო. ამიტომ, უფალს უნდა სთხოვოთ, რომ გაგათავისუფლოთ ამისგან, რადგან, ამას შეუძლია, მიგიყვანოთ იმ მდგომარეობამდე, როდესაც ადამიანი ხიბლშია და თავს ალმატებულად მიიჩნევს.

**კითხვა: როგორ მოვეპყრათ ურწმუნოებს?**

პასუხი: ურწმუნოთათვის უნდა ვილოცოთ და უნდა შევიცოდოთ ისინი. უნდა ვეცადოთ, რომ ისინი ჭეშმარიტებისკენ მოვაქციოთ, ოღონდ, ეს უნდა გავაკეთოთ სიყვარულითა და სიმშვიდით.



**კითხვა: როგორ უნდა დავიცვათ თავი ცდუნებებისგან?**

პასუხი: იმას კი ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რას აკეთებენ სხვები, არამედ, იფიქრეთ იმაზე, თუ რას გვასწავლიან უფალი, წმიდა სახარება და წმიდა მამები. სმენა და მზერა მოარიდეთ უკეთურებას და უფრო მეტად დაუთმეთ დრო ოჯახს, კეთილ საქმეებსა და საკუარ თავთან განმარტოებას.

**კითხვა: დაუდევრობის გამო, ჩემი შვილების ნათლობის ჯვრები ერთმანეთში ამერია. ხომ არ ავნებს ეს ჩემს შვილებს?**

პასუხი: თქვენს შვილებს, ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანს, ყველანაირი ჯვარი დაიფარავს, თუ რწმენით ატარებენ. ყურადღება იმაზე გაამახვილეთ, რამდენად ქრისტიანულად ზრდით შვილებს, როგორ ასრულებენ ისინი უფლის მცნებებს. ეცადეთ, თქვენი შვილები მტკიცედ იყვნენ რწმენაში, ჯვრების შეცვლა კი მათ ვერანაირ ზიანს ვერ მიაყენებს.

**კითხვა: ჩემმა შვილმა რამდენჯერმე იპოვა ჯვარი. რას ნიშნავს ეს?**

პასუხი: გირჩევთ, ნუ მიაქცევთ მსგავს შემთხვევებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## გველი – მონასტრის ბაღის მცველი

ფუნდიის მონასტერში იყო ერთი სულიერი ბერი, რომელიც მონასტერში მებაღის მორჩილებას ასრულებდა. მის ბაღს ქურდი შეეჩვია: ქურდი ღობიდან გადაძვრებოდა და ბოსტნეულს იპარავდა. მებაღემ მალე შეამჩნია, რომ ბოსტნეული მცირდებოდა და ზიანდებოდა. ბერმა მთელი ბაღი შემოიარა და მიაგნო იმ ადგილს, საიდანაც ქურდი ბაღში იპარებოდა. უკან დაბრუნებისას მან გველი დაინახა და უბრძანა: „მომყევი!" – და ქვეწარმავალი იმ ადგილამდე მიიყვანა, საიდანაც ქურდი შემოდიოდა. მან კიდევ ერთი უბრძანა გველს: „იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ, უდარაჯო ამ შემოსასვლელს და ქურდს არ მისცე უფლება, შემოვიდეს ბაღში!" გველი ბილიკის გასწვრივ განვა, ბერი კი თავის სენაკს დაუბრუნდა. ნაშუადღევს, როცა მონასტრის ძმობა ისვენებდა, ქურდი ჩვეულებისამებრ შეეცადა, ღობეზე გადამძვრალიყო, მაგრამ, როგორც კი ფეხი გადაყო ბაღში, უცბად შეამჩნია, რომ მისთვის გზა გველს გადაეკეტა. ქურდი შიშისგან უკან გადავარდა, მაგრამ, მოწნულ ღობეში გაეხლართა ფეხი და თავქვე ჩამოკიდებული დარჩა. ჩვეულ დროს მოვიდა მებაღე და დაინახა „ხაფანგში" გაბმული ქურდი. ბერმა გველს მიმართა: „მადლობა ღმერთს, შენ შეასრულე, რაც გებრძანა, ახლა წადი". გველი გაუჩინარდა. მაშინ მებაღემ ქურდს მიმართა: „რაო, ძმაო, ღმერთმა ჩემს ხელში ჩაგაგდო? როგორ გაბედე ბერების ხელით მოწეულის მოპარვა?" შემდეგ მებაღემ ქურდს ღობეში მოყოლილი ფეხი გაუთავისუფლა, მშვიდად ჩამოსვა ღობიდან და თავისთან წაიყვანა. ბერმა დიდი სიხარულით დაასაჩუქრა ქურდი იმ ბოსტნეულით, რომელსაც იგი იპარავდა, შემდეგ ბაღის კარიბჭემდე მიაცილა და უთხრა: „წადი და ამის შემდეგ არ იქურდო. როდესაც რამე გაგიჭირდება, ჯობია, ჩემთან მოხვიდე და სიამოვნებით მოგცემ ყველაფერს, რასაც აქამდე ცოდვით მოიპოვებდი ხოლმე.

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

# მიროსლავ კლოზე – მსოფლიო ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი

*მიროსლავ კლოზე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი და გერმანიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო გოლეადორია. 36 წლის ფეხბურთელი დაემშვიდობა მსოფლიო ჩემპიონ ნაკრებს და კარიერაში უკანასკნელ სეზონს „ლაციოს" რიგებში ატარებს, თუმცა, ამის მიუხედავად, ის უკვე ითვლება მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდად, რომელმაც ორი გენიალური ფეხბურთელის – ბრაზილიელი რონალდოსა და გერმანელი გერდ მიულერის რეკორდები დაამხო.*

* მიროსლავ კლოზე პოლონეთში დაიბადა და იქ ცხოვრობდა ოჯახთან ერთად 1986 წლამდე. მამამისს გერმანული ფესვები ჰქონდა და მოგვიანებით ოჯახი გერმანიაში გადასახლდა. გერმანიაში ლეგალურად ცხოვრებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მიღებამდე კლოზეს ოჯახი რამდენიმე თვეს ცხოვრობდა დევნილების თავშესაფარში და ის დღეები მიროსლავს დღემდე ახსოვს. მიროსლავი არ ფლობდა გერმანულ ენას, რის გამოც მას პრობლემები ექმნებოდა თანაკლასელებთან, რომლებსაც ვერაფერს აგებინებდა; გარდა ამისა, ასაკით მეოთხე კლასელი მიროსლავი გერმანიაში მეორე კლასში დასვეს ენის უცოდინარობის გამო, რაც მიროს დღემდე ცუდად ახსენდება.



* გერმანული ენა სრულყოფილად მიროსლავ კლოზემ 16 წლის ასაკში შეისწავლა. ის ქალაქ კუზელში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, სადაც დაამთავრა კიდეც სკოლა. საგულისხმოა, რომ, თანაგუნდელ ლუკაშ პოდოლსკისთან (ასევე ეთნიკურ პოლონელთან), მშობლებთან და მეუღლესთანაც კი, მიროსლავ კლოზე პოლონურად საუბრობს. მისი საყვარელი კერძიც კი პოლონურია – ხორცისა და კომბოსტოსგან დამზადებული წვნიანი.

* მიროსლავის მშობლები პროფესიონალი სპორტსმენები იყვნენ: მამა ფეხბურთს თამაშობდა ფრანგულ „ოსერში," ლეგენდარული ფრანგი მწვრთნელის, გი რუს ხელმძღვანელობით, ხოლო დედა ხელბურთელი იყო. მიროსლავი დიდ ხანს ფიქრობდა, სპორტის რომელი სახეობა აერჩია და, საბოლოოდ, მამის გზას დაადგა.

* მიროსლავ კლოზე საფეხბურთო კლუბ „ბლაუბახ-დიდელკომპფის" აღზრდილია, საიდანაც, „ჰომბურგის" გავლით, იგი „კაიზერსლაუტერნში" აღმოჩნდა, სადაც დაიწყო კიდეც მისი თავბრუდამხვევი კარიერა. საგულისხმოა, რომ მიროსლავ კლოზეს აღზევება დიდ ფეხბურთში 22 წლის ასაკში მოხდა, რაც ფეხბურთისთვის საკმაოდ დაგვიანებულია.

* მიროსლავ კლოზეს მეტსახელებია: „ტანკი", „კობრა" და „მკვლელი". მის სახელს არც ერთი სკანდალი არ უკავშირდება. ცნობილია, რომ კლოზეს დღე-ღამეში 11 საათი სძინავს – ის საღამოს 9 საათზე იძინებს, დილის 6 საათზე იღვიძებს, შვილებს სკოლაში აცილებს და შემდგომ კიდევ ორი საათი სძინავს. მიროსლავ კლოზე ასევე არ მოიხმარს ალკოჰოლს – უკანასკნელად მან რამდენიმე ჭიქა ღვინო ბრემენის „ვერდერში" თამაშის დროს დალია.

* მიროსლავ კლოზე მსოფლიომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გაიცნო, როდესაც მან საუდის არაბეთის ნაკრებთან მატჩში ჰეთტრიკი შეასრულა. მას შემდგომ კლოზემ კიდევ სამ – 2006, 2010 და 2014 წლების მუნდიალებზე მიიღო მონაწილეობა და 16 გატანილი გოლით ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა. ცნობისთვის, მიროსლავ კლოზეს გატანილი გოლის აღნიშვნის საფირმო მეთოდი აქვს – ის „კულბიტს" აკეთებს.

# „პრეზერვატივი" თითებისთვის

ასე უწოდეს ორიგინალურ და საჭირო გამოგონებას, რომელიც ნამდვილად დააინტერესებს ევროპულ კულტურაზე ორიენტირებულ აზიელებს. სამხრეთკორეული ერთჯერადი „თითთათმანები" ძალიან გამოადგებათ ცხიმიანი საკვების მოყვარულებს, გურმანებს... ამ ბიომასალისგან შექმნილი საჩვენებელ და ცერ თითებზე წამოსაცმელი „პრეზერვატივით" თავისუფლად შეუძლიათ, მიირთვან შემწვარი ქათმის ნაჭრები, პიცა ან ცხიმიანი ღვეზელი... ისე, რომ ხელი არ დაისვარონ. სხვათა შორის, იდეალურია სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის, რადგან, მიკრობებისა და ბაქტერიების გავრცელებას უშლის ხელს.

The Finres Naps გამოადგებათ ქალებსაც მაკიაჟის, კრემების სახეზე დასატანად ან მოსაშორებლად. საიტზე Alibaba, ყუთი, რომელშიც 500 ცალი „თითთათმანია," 18 ფუნტ სტერლინგად შეგიძლიათ შეიძინოთ. აღსანიშნავია, რომ ის იაფია ერთჯერადად გამოსაყენებელ ხელსახოცებთან შედარებითაც კი.

## შარაპოვა და დიმიტროვი დაშორდნენ

სპორტულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წყვილი, რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა და ბულგარელი ჩოგბურთელი გრიგორ დიმიტროვი დაშორდნენ. ოფიციალურად ამის შესახებ ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა, ჟურნალისტების მტკიცებით, შარაპოვამ და დიმიტროვმა ერთმანეთს „ანფოლოუ" გაუკეთეს „ტვიტერში" და, ასევე, არ გამოჩნდნენ ამერიკის ღია პირველობის ფინალზე, მიუხედავად იმისა, რომ მიწვეულები იყვნენ. შარაპოვას და დიმიტროვს 2012 წლიდან ჰქონდათ ურთიერთობა, გრიგორამდე კი მარია სამი წლის განმავლობაში ხვდებოდა სერბ კალათბურთელს, საშა ვუიაჩიჩს.



## რონალდო ნადალს იწვევს

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა, რონალდო, აპირებს, პოკერის მაგიდასთან გამოიწვიოს ჩოგბურთის ვარსკვლავი რაფაელ ნადალი. სპორტის ვარსკვლავები რამდენიმე ხნის წინ შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ნადალმა იზეიმა გამარჯვება, ამჯერად კი რონალდო რევანშისთვის ემზადება. შეხვედრა 6 ნოემბერს, ლონდონში შედგება. შეგახსენებთ, რომ რონალდო და რაფაელ ნადალი პოპულარული „პოკერსტარს.ნეტის" სარეკლამო სახეები არიან და მთელ მსოფლიოში ეწევიან პოკერის თამაშის პოპულარიზაციას.

## რეალი საშინაო არენის სახელს ყიდის

ესპანური პრესის მტკიცებით, მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობა ახლო მომავალში საშინაო არენის – „სანტიაგო ბერნაბეუს" სახელს გაყიდის. სტადიონის სავარაუდო სახელებს შორის ლიდერობენ: „ფლაი ემირეითს სანტიაგო ბერნაბეუ" და „ბერნაბეუ ფლაი ემირეითს". შეგახსენებთ, რომ სამეფო კლუბის სპონსორია არაბეთის ავიახაზები „ფლაი ემირეითსი" და სტადიონის სახელის გასხვისებიდან, კლუბის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი, 400 მილიონიდან 500 მილიონამდე დოლარის მიღებას გეგმავს. ამ თანხის ნაწილი სტადიონის კეთილმოწყობას, ხოლო დანარჩენი – „რეალის" ვალების დაფარვას მოხმარდება. ცნობილია, რომ მადრიდული გრანდის ვალი 620 მილიონ დოლარს აღემატება.

## მანუელ ნოიერმა ხელები დააზღვია

მსოფლიოს ჩემპიონმა, მიუნჰენის „ბაიერნის" გოლკიპერმა გერმანელმა მანუელ ნოირმა თავისი ხელები დააზღვია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის ხელები 3 მილიონ ევროდ არის დაზღვეული და, თუკი ფეხბურთელი ისეთი სახის ტრავმას მიიღებს, რომ მის კარიერას საფრთხე შეექმნება და ვეღარ მოახერხებს მოედანზე გასვლას, სადაზღვევო კომპანია მას თანხას გადაუხდის.

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ

# ლათინოამერიკელი მილიარდერი – კარლოს სლიმ ელუ

კარლოს სლიმ ელუ პირველი ადამიანია, რომელმაც შეავიწროვა ორი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო ბიზნესის როტაციის სათავეში მდგარი ამერიკელი მილიარდერები. უკვე სამი წელია, ის ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგის მწვერვალზეა. პირველად ამ სიაში 2002 წელს, 11-მილიარდიანი ქონებით მოხვდა; 2010 წელს მისი ქონება 53,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რაც მისი სამშობლოს – მექსიკის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 8 პროცენტია; 2011 წელს სლიმ ელუმ თავის ქონებას 20,5 მილიარდი დოლარი შეჰმატა, ბილ გეიტსმა კი – მხოლოდ 3 მილიარდი დოლარი.



მომავალი მილიარდერი 1940 წლის 28 იანვარს დაიბადა. ის წარმოშობით ლიბანური ოჯახის მეხუთე შვილი იყო. კარლოსის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მისმა მამამ – ჯულიანმა, რომელიც მექსიკაში მოხვდა ოჯახის სურვილის გამო – დაეხსნათ შვილი თურქეთის არმიაში სამსახურისგან. მეხიკოში ჯულიანი შეხვდა წარმატებული ვაჭრის, თავისი თანამემამულის ქალიშვილს, 1920 წელს იყიდა სახლი და წარმატებულ უნივერმაღად აქცია. ფული სხვას რომ არ შეხვედროდა, საქმეში თავისი ექვსივე შვილი ჩართო, რომელთა შორის ყველაზე ჭკვიანი სწორედ პატარა კარლოსი აღმოჩნდა და მამამ ის ბირჟის ინვესტირების სფეროში ჩართო.

კარლოსმა თავისი უზარმაზარი ქონების პირველი მილიონი 17 წლის ასაკში იშოვა. ბიზნესის კეთების პარალელურად, იგი მექსიკის ნაციონალურ ავტონომიურ უნივერსიტეტში ისეთი წარმატებით სწავლობდა, რომ პედაგოგებმა უფლება მისცეს, თანაკურსელებისთვის ლექციები წაეკითხა წრფივი პროგრამირებისა და ალგებრის საფუძვლებში. დიპლომი 1961 წელს აიღო, მაგრამ, სპეციალობით მუშაობა არ აინტერესებდა. საწყისი კაპიტალი მან ჩადო სადაზღვევო ბიზნესის, უძრავი ქონებისა და ვაჭრობის ინვესტიციებში. ყიდულობდა სასტუმროებს, შეიძინა Sanboms-ის მაღაზიების ქსელი და საფუძველი ჩაუყარა თავისი ბიზნესის სისტემურ კაპიტალიზაციას.

ბიზნესის მართვის მისი მთავარი პრინციპები იყო: მასობრივი მოთხოვნის საქონელი ხელმისაწვდომი ყოფილიყო დაბალშემოსავლიანი მომხმარებლებისთვის; საშუალებების ბრუნვის კარლ მარქსისეული ვერსია: იყიდე იაფად – განაახლე – გაყიდე ძვირად, ან, შეუერთე საკუთარ იმპერიას.

1982 წელს, როდესაც მექსიკისთვის დეფოლტისა და ფართომასშტაბიანი კრიზისის პერიოდი დადგა, ქვეყანამ ვერ შეძლო საგარეო ვალების გადახდა, მსხვილმა საქმოსნებმა იაფად გაყიდეს თავიანთი აქტივები, კარლოსმა კი თავისი ქონება მნიშვნელოვნად გაზარდა: დააფუძნა საინვესტიციო ჰოლდინგი Gorso Group, შექმნა კორპორაცია Frisco, რომელიც სწრაფად გახდა ლიდერი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმეში (რკინის მადანი და ქვანახშირი)... ნაციონალური ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მრავალი კომპანიის მფლობელი კარლოსი მეგობრობდა თავის სეხნია კარლოს სალინას დე გორტარისთან, მაშინდელ (1988-1994 წლები) მექსიკის პრეზიდენტთან. სწორედ პოლიტიკური მფარველობის წყალობით შეძლო მან საკომუნიკაციო კომპანიის Telmex-ის პრივატიზება, რომელიც მონოპოლისტი იყო მოცემულ საბაზრო სეგმენტში. კარლოსმა თავის იმპერიას მიუერთა Condomex (სატელეკომუნიკაციო დანადგარები); და Prodioy (პირველი ნაციონალური პროვაიდერი და ვებ-პიონერი). ათასწლეულის მიჯნაზე კარლოს სლიმ ელუმ 1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადო ამერიკის შეერთებული შტატების ფირმებში, რომლებიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების ექსპლუატაციით არიან დაკავებულნი, გარკვეული დროის შემდეგ კი მთელი ლათინური ამერიკის ტელეკომუნიკაციების სრულუფლებიანი მფლობელი გახდა და მას „მექსიკელი ბილ გეიტსი" შეარქვეს. კარლოსის კომპანიებში 200 ათასი ადამიანი მუშაობს. აქვს მრავალი წოდება და ჯილდო და ცნობილი ქველმოქმედია.

კარლოს სლიმ ელუ: „უნდა ილვწოდე, შეცვალო მსოფლიო უკეთესობისკენ, რათა შვილები იყვნენ ბედნიერები; უკეთესები უნდა გახადო ისინი, რომ ემსახურონ მსოფლიოს".

# მხოლოდ ფაქტები

* დედამიწის მოსახლეობის ყოველი 10 ადამიანიდან 4 – ჩინეთის ან ინდოეთის მოქალაქეა.

* ავსტრალიელი აბორიგენების ერთ-ერთ ტომში, მკვლელობისთვის მსჯავრდებულს სირაქლემა ემუს ძვალს უყრიან ფეხში.

* პავლე პირველმა რუსეთში აკრძალა სიტყვები: „საზოგადოება", „მოქალაქე", „მამული".

* გასული საუკუნის დადგომამდე ალუმინს წელიწადში მხოლოდ კილოგრამებით მოიპოვებდნენ და მისი ფასი ოქროთი იზომებოდა. 1900 წელს, მსოფლიოში პირველად, 8 ათასი ტონა ალუმინი მოიპოვეს, რამაც ის 500-ჯერ გააიაფა.

* დედოფალ ვიქტორიას ერთ-ერთი საქორწინო საჩუქრის დიამეტრი 3 მეტრს უდრიდა – ეს იყო ყველი, რომელიც ნახევარ ტონას იწონიდა.

* „პოპ-კორნის" ყველაზე დიდი ზომის კონტეინერის მოცულობა 200 კუბური მეტრია. მასში 16 ტონა სიმინდის მარცვალი ეტევა.

* იაპონელელ ბიზნესმენებს ძალიან უყვართ პიტნა – ირწმუნებიან, რომ მისი სუნი მუშაობის სურვილს აღძრავს.

* როგორც ვიცით, მასონთა საიდუმლო საზოგადოების სიმბოლო – ქვაა; აფრიკის საიდუმლო საზოგადოებებისა – ლეოპარდი და ნიანგი; ჩინეთის – რიცხვი 3.

* ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მილიონიანი ქალაქი სანკტ-პეტერბურგია.

# პორნოვარსკვლავები პოლიტიკაში

***პორნოკინოში კარიერის დამთავრებისას მათ გადაწყვიტეს, რომ მიღებულ გამოცდილებას ყველაზე უკეთესად პოლიტიკაში გამოიყენებდნენ, თანაც, მამაკაცთა ელექტორატი აქტიურად დაუჭერდათ მხარს.***



ცოტა ხნის წინ, 62 წლის პორნოვარსკვლავმა, **ჩიჩოლინამ**, პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ განაცხადა. ანა ილონა სტალერი 1987 წელს, ამ პროფესიის წარმომადგენელთაგან პირველმა შეძლო პარლამენტში მოხვედრა. სწორედ ჩიჩოლინამ დაიწყო იტალიაში „დეპუტატ-პორნოვარსკვლავთა ეპოქა".

1980 წელს დაბადებულმა **მერი კერიმ**, 30 წლის ასაკამდე მოასწრო „გახსნილი ხასიათის" 80 ფილმში გადაღება. პოლიტიკით კი 2003 წელს დაინტერესდა, როდესაც კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე დამოუკიდებელ დეპუტატად წარადგინა თავი. ამ საპასუხისმგებლო თანამდებობის დასაკავებლად ბრძოლა უფრო სიმბოლური იყო, ასე ვთქვათ, რეკლამისთვის, რაც მართლა წაადგა მის ძირითად პროფესიას. სამი წლის შემდეგ მან კვლავ მოისურვა კენჭი ეყარა, ოღონდ, ამჯერად, ლეიტენანტ-გუბერნატორად (მოვალეობის შემსრულებლად გუბერნატორის არყოფნის დროს), თუმცა, ვადამდე მოხსნა კანდიდატურა.

**მილი დ'აბრაჩო** 20 ეროტიკულ ფილმში გადაიღეს; როლები ჰქონდა, ასევე, საკმაოდ სოლიდურ ფილმებში, თეატრსა და სატელევიზიო შოუებში, 2008 წელს კი, იტალიის სოციალისტური პარტიის წარდგინებით, ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა, თუმცა, დამარცხდა.

**ფიორელა რუბინო ტინტო ბრასიც** გადაიღეს ეროტიკულ ფილმში, თუმცა, ძირითადად ის თეატრის მსახიობი იყო და სერიოზულ დადგმებში მონაწილეობდა, მათ შორის – შექსპირის პიესებში. 2008 წელს მან სცენა პოლიტიკაზე გაცვალა და გახდა კიდეც იტალიის პარლამენტის დეპუტატი „სახალხო თავისუფლების პარტიიდან".

**მოანა პოცი** ძალიან ახალგაზრდა, 33 წლის ასაკში, ღვიძლის დაავადებით გარდაიცვალა. ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მან 50 პორნოფილმში გადაღება მოასწრო. 1992 წელს კი, ჩიჩოლინასთან ერთად, იტალიაში დააფუძნა „სიყვარულის პარტია", რომლის პროგრამაში შედიოდა ლეგალიზებული ბორდელებისა და სკოლებში სექსაღზრდის შემოღება, თუმცა, პარტია პარლამენტში ვერ გავიდა.

**მერილინ ჩემბერსი** 36 ფილმში გადაიღეს, 50 წლის ასაკში კი უცბად გადაწყვიტა პოლიტიკაში წასვლა და ორჯერ სცადა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დაკავება: 2004 წელს – „პირადი არჩევნების პარტიიდან" და 2008 წელს – „ბოსტონის ჩაის სმის პარტიიდან". ის 2009 წელს, 56 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**სინდი ლი** – 2007 და 2012 წლებში მონაწილეობდა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში „ნეტარების (ტკბობის) პარტიიდან". ორივეჯერ ეპატაჟით, რითაც წინასაარჩევნო პროგრამას ცვლიდა: კამერების წინ შიშვლდებოდა და ხმამაღალ ეროტიკულ განცხადებებს და ლოზუნგებს წარმოთქვამდა, ქუჩაში კი შიშველი არიგებდა მხარდაჭერის თხოვნის ფურცლებს.

**ანა ეროუსმიტი** არ მონაწილეობდა პორნოფილმებში... 250 ფილმის რეჟისორმა თავისი კანდიდატურა თემთა პალატის წევრად წამოაყენა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, კონსერვატორმა ინგლისელებმა „ლიბერალური დემოკრატებიდან" წარდგენილ კანდიდატს მხარი არ დაუჭირეს.

**სტეფანი გრეგორი კლიფორდი**, იგივე **სტორმი დანიელსი**, 120 ეროტიკულ ფილმშია გადაღებული და პორნოინდუსტრიის 20 ჯილდოც აქვს მიღებული. კენჭი იყარა ამერიკის შეერთებული შტატების სენატორის პოსტზე, ლუიზიანას შტატიდან.

**ელენა ბერკოვას**, პორნოფილმებთან ერთად, რეალითი-შოუ „სახლი 2-ში" მონაწილეობამაც გაუთქვა სახელი. მან თავისი კანდიდატურა სოჭის მერის პოსტზე წარადგინა.

**გვერდი მოამზადა
ლაშა გაბელიამ**



## ჭარხლისა და სტაფილოს წვენი სისხლს წმენდს, კიტრი კი წნევას არეგულირებს

ჭარხლის წვენი ყველაზე კარგია სისხლის წითელი ბურთულებისა და მთლიანად სისხლის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, ასევე, სასარგებლოა ის სტაფილოს წვენთან ერთად. დღეში ერთ ჭიქაზე მეტი ჭარხლის წვენი არაჩვეულებრივად წმენდს ორგანიზმს. თავდაპირველად, უმჯობესია, დალიოთ ჭარხლისა და სტაფილოს წვენების ნარევი, შემდეგ კი ნელ-ნელა გაზარდოთ ჭარხლის წვენის რაოდენობა. ასე ორგანიზმი გაცილებით სწრაფად და კარგად იწმინდება. საკმარისია დღეში ორჯერ ერთი ჭიქა წვენის მიღება. ეს განსაკუთრებით კარგია ქალებისთვის კლიმაქსური პერიოდის დროს.

ჭარხლის წვენში ბევრია ნატრიუმი და კალციუმი და ორივე ნივთიერება ძალზე სასარგებლოა ორგანიზმისთვის. ჭარხალში შემავალი ქლორი კი წმენდს თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტს.

ჭარხლისა და სტაფილოს წვენების ნარევი ორგანიზმს ამდიდრებს საჭირო რაოდენობის ფოსფორით, გოგირდით, კალციუმითა და ტუტე ლითონებით.

კიტრი და მისი წვენი კი საუკეთესო შარდმდენი საშუალებაა, თუმცა, ბევრი სხვა სასარგებლო თვისებაც გააჩნია, მაგალითად, მასში შემავალი დიდი რაოდენობით გოგირდი და სილიციუმი ხელს უწყობს თმის ზრდას.

კიტრი შეიცავს 40 პროცენტამდე კალციუმს, 10 პროცენტამდე ნატრიუმს, 20 პროცენტამდე ფოსფორს და 8 პროცენტამდე ქლორს.

კიტრის წვენით, სტაფილოს წვენთან ერთად, მკურნალობენ რევმატულ დაავადებებს. კიტრში კალციუმის შემცველობა არეგულირებს წნევას, ასევე, კარგია კბილებისა და ღრძილების დაავადებების დროს. ადამიანის ფრჩხილსა და თმას სწორედ იმდენი მიკროელემენტი ესაჭიროება, რა რაოდენობითაც მათ კიტრის წვენი შეიცავს.

კიტრის, სტაფილოსა და მწვანე სალათის ფოთლების წვენების ნარევი კანის ბევრი დაავადებისთვის უებარი წამალია.

## ცისტიტის მკურნალობის დროს და კენჭოვანი დაავადებების პროფილაქტიკისთვის მნიშვნელოვანია დიეტოთერაპია

შარდში ოქსალატების არსებობისას რეკომენდებულია რაციონში ისეთი პროდუქტების ჩართვა, რომლებსაც ორგანიზმიდან მჟაუნმჟავა მარილები გამოაქვს. ასეთებია: ბურღულეული, ფქვილის ნაწარმი, უხეშად დაფქული თეთრი და შავი პური; ნებადართულია ბოსტნეულის სუპები, ხილი, მოხარშული ხორცი. სუფრის მარილის სადღეღამისო დოზა 5 გრამია. საჭიროა დიდი რაოდენობით სითხის მიღება; მაქსიმალურად შეზღუდეთ რძის ნაწარმი, კვერცხი, კალციუმის მარილებით მდიდარი პროდუქტები, ხორცისა და თევზის წვნიანი; არ შეიძლება მჟაუნის, ისპანახის, პარკოსნების, შოკოლადის, სანელებლებისა და ალკოჰოლის მიღება.

ფოსფატური კენჭების არსებობის დროს მიირთვით: უსაფუარო ცომეული, მოხარშული ხორცი, თევზი, მცენარეული ცხიმების შემცველი საკვები, შაქარი, თაფლი; სვით მინერალური წყლები. შეზღუდეთ ხორცისა და თევზის წვნიანი, კონსერვები, კარაქი. სუფრის მარილის დღეღამური დოზა 8 გრამია. რაციონიდან გამორიცხეთ მაგარი ჩაი, ყავა, ალკოჰოლი, ცხარე საკვები.

ურატული კენჭების არსებობისას მიირთვით მცენარეული და რძის პროდუქტები – ასეთი საკვები შარდის გატუტიანებას იწვევს. დიდი რაოდენობით მიირთვით ბოსტნეული, ხილი, კენკრა; შეზღუდეთ მარილიანი კერძების მიღება. დიდი რაოდენობით სვით ჩაი და კომპოტები, ასევე, ტუტე მინერალური წყლები. შეზღუდეთ პურინების შემცველი პროდუქტები, მაგალითად, ღვიძლი, ენა, შემწვარი ხორცი, კონსერვები და ასე შემდეგ.

შარდის ბუშტის ანთების დროს ნებადართულია რძის ნაწარმი, ბურღულეული, ბოსტნეულის სუპები, მოხარშული უცხიმო ხორცი, თევზი, კომპოტი, ახალგამოწურული ხილის წვენები; მიიღეთ ვიტამინები, განსაკუთრებით – ასკორბინის მჟავა; შეამცირეთ მარილი.

თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთებითი და კენჭოვანი დაავადებების დროს სამკურნალო მიზნით გამოიყენება ლობიოს პარკი. გამოათავისუფლეთ ის მარცვლებისგან, მზეზე გააშრეთ და მიიღეთ მისი ნახარში. ეს შარდმდენი საშუალებაა; ასევე, კარგია მაყვლის, ოხრახუშის, ვაშლისა და ჭარხლის წვენები. არ მიიღოთ ალკოჰოლი, კოფეინი, შოკოლადი, ცხარე სანელებლები. გაითვალისწინეთ, რომ გაზიანი სასმელები შარდის ბუშტზე უარყოფითად მოქმედებს. ასევე, მოერიდეთ ციტრუსების მიღებას, რადგან ის შარდს ატუტიანებს, რაც ხელს უწყობს მიკროორგანიზმების გამრავლებას.

## ვარჯიში და სწორი კვება ამცირებს კიბოთი დაავადების რისკს

ფიზიკურად აქტიური ადამიანები გაცილებით ნაკლებად ავადდებიან, ვიდრე ზარმაცები. ვარჯიში ააქტიურებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას და ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას. დღეში ნახევარი საათი ვარჯიშიც კი საკმარისია ამისთვის.

რეგულარული ვარჯიში და სწორი კვება ამცირებს კიბოთი დაავადების რისკსაც. იმისთვის, რომ ადამიანის ორგანიზმმა დღის განმავლობაში საჭირო რაოდენობით ენერგია მიიღოს, აუცილებელია, მიირთვას პური, ბრინჯი, მაკარონი, წიწიბურა, ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი და, აგრეთვე, პროტეინების შემცველი პროდუქტები, მაგალითად, საქონლისა და ქათმის ხორცი, თხილი, თევზი.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ, როგორ სრულფასოვნად და სწორადაც არ უნდა იკვებოთ, დანამატების სახით ვიტამინებისა და მინერალების მიღება მაინც აუცილებელია.

A, B, C, D, E და PP ვიტამინები ადამიანის ორგანიზმს რკინითა და ფოსფორით უზრუნველყოფს, რაც ერთიორად ამაღლებს შრომისუნარიანობასა და სასიცოცხლო ტონუსს.

## შეინარჩუნეთ მხედველობა სწორი კვების დაცვით

ასპროცენტიანი მხედველობით ბევრი ვერ დაიკვეხნის. ფიზიკური გადაღლა, კომპიუტერთან და ტელევიზორთან დიდხანს ჯდომა, ალკოჰოლი, სიგარეტი, უძილობა – ეს ყველაფერი თვალებს აზიანებს და მხედველობაზე ნეგატიურად აისახება. ამას ემატება მემკვიდრეობითი ფაქტორი, ტრავმები და სხვა, რაც ასევე ახდენს ზემოქმედებას მხედველობაზე.

ასაკის მატებასთან ერთად მხედველობაც სუსტდება. თუ თქვენ მტკივნეულად რეაგირებთ შუქზე, თვალები გეცრემლებათ, სწრაფად გეღლებათ, მაშინ, უნდა ივარაუდოთ, რომ ორგანიზმში რაღაც დარღვევაა, არ გყოფნით ვიტამინების მარაგი და მიკროელემენტები.

მხედველობის შესუსტებისას აუცილებლად უნდა შეიტანოთ კვების რაციონში A, $B_1$, $B_2$, C და E ვიტამინების შემცველი პროდუქტები.

A ვიტამინს შეიცავს: ნესვი, სტაფილო, პომიდორი, სალათის ფურცლები, მწვანე ბარდა, ხახვი, ხაჭო, საქონლის ღვიძლი, კარაქი, ნაღები, ყველი.

$B_1$ ვიტამინს შეიცავს: ბარდა, სოკო, ღვიძლი, თირკმელები, ნიგოზი, ბულგარული წიწაკა, ნიორი, ქათმის ხორცი, რძის მჟავე პროდუქტები.

$B_2$ ვიტამინს შეიცავს: რძე, ყველი, ხაჭო, კვერცხი, საქონლის, ღორისა და ქათმის ხორცი, თევზი, ბარდა, ისპანახი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბანანი, მწვანე ხახვი, კამა.

C ვიტამინს შეიცავს: ასკილი, შავი მოცხარი, ქაცვი, ოხრახუში, კამა, კარტოფილი, კომბოსტო, ციტრუსები.

E ვიტამინს შეიცავს: სოია, სიმინდი, მზესუმზირის ზეთი, ხორბალი, შვრია, ჭვავი.

მხედველობის შესუსტების დროს მაქსიმალურად ხშირად უნდა ჩართოთ სა-

კვებ რაციონში ის პროდუქტები, რომლებიც ზემოთ არის ჩამოთვლილი.

### ვაშლი შარდმდენი ხილია

ვაშლი მდიდარია ორგანული მჟავებით, რკინითა და ვიტამინებით. ის საუკეთესო დიეტური პროდუქტია. მასში არსებული ორგანული მჟავები ხელს უწყობს ნაწლავებში მიკროფლორის გაუმჯობესებას, ნორმალური ბიოლოგიური მიკროფლორა კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზმის მყარი იმუნური სისტემის შენარჩუნებას.

ვაშლი ამცირებს ნაწლავებში დუღილისა და ლპობის პროცესს. ის კარგი შარდმდენი საშუალებაცაა. სასარგებლოა შეშუპების, დიათეზის, ნიკრისის ქარის დროს. ვაშლი დიდი რაოდენობით შეიცავს ფრუქტოზას. ის დიეტური ხილია და მის ზოგიერთ სახეობას არ აქვს უკუჩვენება შაქრიანი დიაბეტის დროს.

ორგანიზმის შეშუპების შემთხვევაში, კარგია შემდეგი სახის ნაყენის მომზადება: გახეხეთ ერთი ვაშლი და გაწურეთ დოლბანდში. მიღებულ სითხეს დაუმატეთ იმდენივე რაოდენობის წყალი და დაახლოებით 5 გრამი სტაფილოს დაჩეჩქვილი თესლი. მიიღეთ დილით, რადგან, საღამოს მისი მიღება გახშირებულ შარდვას გამოიწვევს. ასევე, შარდმდენი თვისებების გამო, მისი ხშირად გამოყენება სასურველი არ არის. რეკომენდებულია მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში.

### კაკლის უღელს უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს

იოდის დეფიციტი ადამიანის ორგანიზმში ბევრი დაავადების მიზეზი ხდება. იოდის ნაკლებობისას ადამიანი მოდუნებულია, ადვილად იღლება, ღიზიანდება, ოფლიანობს, მაღლა იწევს არტერიული წნევა, უჩივის მეხსიერების დაქვეითებას, უკანკალებს ხელ-ფეხი; ორგანიზმში ირღვევა ფარისებრი ჯირკვლების მუშაობა, რაც გავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე; იწვევს მასტოპათიის განვითარებას, ხელს უწყობს მიომის, წინამდებარე ჯირკვლის ადენომის წარმოქმნას; ანელებს სქესობრივ მომწიფებას; ადამიანი ასეთ დროს მიდრეკილია ფსიქიკური აშლილობისკენ, ხშირად ცივდება. იოდის დეფიციტი განსაკუთრებით ხშირად აღენიშნებათ 60 წელს გადაცილებულ ადამიანებს, ფეხმძიმე ქალებს, ქალბატონებს მშობიარობის შემდეგ, კომპიუტერთან მომუშავეებს.

იოდის შესანიშნავი წყაროა კაკლის უღლის ნაყენი: ნახევარი ჩაის ჭიქა უღელი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაუმატეთ ორი ჩაის ჭიქა წყალი, დადგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. შემდეგ გააცივეთ და ათი წუთით ისევ დადგით ცეცხლზე ნამოდუღებამდე. გაცივების შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ თითო ყლუპი, ჭამამდე ხუთი წუთით ადრე, დღეში სამჯერ.

კაკლის უღლის ნახარშს, ასევე, აქვს ძლიერი ბაქტერიოციდული ეფექტი. გარდა ამისა, ის ამაგრებს ფარისებრ ჯირკვლებს. მკურნალობის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია – კურსი 1-დან 6 კვირამდე გრძელდება და იგივე ნაყენი გამოიყენება. ნაყენით მკურნალობის შემდეგ, ადამიანი მშვიდდება, ხდება გაწონასწორებული, ნაკლებად ღიზიანდება, არ ოფლიანდება, უმჯობესდება მისი ძილის ხარისხი, უწესრიგდება ნივთიერებათა ცვლა.

ანტიბაქტერიული თვისებების გამო, კაკლის უღელი გამოიყენება კონიუნქტივიტის სამკურნალოდ: ნახევარი ჩაის ჭიქა დაფქული უღლის ფხვნილს დაასხით 1,5 ჩაის ჭიქა წყალი, 20 წუთის განმავლობაში ადუღეთ დაბალ ცეცხლზე და შემდეგ გადაწურეთ. ნაყენში დაასველეთ დოლბანდი და დაიფინეთ ქუთუთოებზე კონიუნქტივიტის დროს. მკურნალობის კურსი დაახლოებით 1 ან 2 კვირაა.

თუ კოლიტი გაწუხებთ – ქილაში ჩაყარეთ 3 სადილის კოვზი კაკლის უღელი, დაასხით 200 მილილიტრი არაყი და გააჩერეთ ერთი კვირის განმავლობაში. 10 წვეთი გახსენით 1 სადილის კოვზ ცივ წყალში და მიიღეთ დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსი ერთი თვეა.



თავის ტვინის სისხლძარღვების გასაწმენდად, თავის ტკივილის მოსახსნელად და მეხსიერების გასაუმჯობესებლად, 1 ჩაის ჭიქა უღელს დაასხით ნახევარი ლიტრი არაყი და გააჩერეთ 2 კვირის განმავლობაში. 1 სადილის კოვზ ცივ წყალში გახსენით 5 წვეთი ნაყენი და მიიღეთ დღეში 3-ჯერ.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 17 წლის და მაქვს ასეთი პრობლემა – ძალიან ადვილად ვწითლდები, მაშინაც კი, როცა ამის არავითარი მიზეზი ან გარემოება არ არსებობს. რით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული?**

**პასუხი:** ყოველგარი ტიპის სიწითლის მიზეზი კანის სისხლძარღვების მომატებული აქტიურობაა. გირჩევთ, არ მიიღოთ ჭარბი რაოდენობით ყავა, ჩაი, შოკოლადი, პილპილიანი, წიწაკიანი სანელებლებიანი საკვები. უნდა ჩაიტაროთ სისხლის საერთო ანალიზი, რათა გამოირიცხოს ერითროციტებისა და ჰემოგლობინის შემცველობის მატება. შესაძლოა, საჭირო გახდეს დერმატოლოგისა და ფსიქოლოგის კონსულტაცია.

**კითხვა: მაინტერესებს, რა დაავადებებს კურნავს წაღვერის მინერალური წყაროები?**

**პასუხი:** წაღვერში კურორტული მკურნალობის ჩვენებებია: ქრონიკული გასტრიტი, ჰეპატოქოლეცისტიტი და საშარდე გზების დაავადებები.

**კითხვა: ორი წელია თმა მცვივა. სულ შესაბამის შამპუნებს ვხმარობ, მაგრამ, შედეგი ნულია. როგორ მკურნალობას მირჩევთ, თუკი სხვა პრობლემა არ მაქვს ჯანმრთელობის მხრივ?**

**პასუხი:** თმის ცვენას გარკვეული მიზეზი აქვს და, თუ ეს მიზეზი არ მოიხსნა, მარტო გარეგანი საშუალებებით პრობლემას არ ეშველება. სწორედ ამიტომ ვერ აღწევთ სასურველ შედეგს თმის ცვენის საწინააღმდეგო შამპუნებით. გირჩევთ, პირველ ყოვლისა, გაიკეთოთ სისხლის საერთო ანალიზი (ანემიის გამოსარიცხად) და სისხლის ანალიზი ფარისებრ-მასტიმულირებელი ჰორმონის (TSH) შემცველობაზე (ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციის გამოსარიცხად). ამ ანალიზებით მოხდება თმის ცვენის ყველაზე გავრცელებული მიზეზების გამორიცხვა ან დადგენა. სრულფასოვანი, კვალიფიციური დახმარების მისაღებად კი ტრიქოლოგს უნდა მიმართოთ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა 11 თვის ბავშვის ზღვაზე წაყვანა?**

**პასუხი:** პედიატრთან შეუთანხმებლად ბავშვს ზღვაზე ნუ წაიყვანთ, ვინაიდან, კლიმატის შეცვლისას გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც. მიუხედავად იმისა, რომ ზღვის წყალს უამრავი სამკურნალო თვისება აქვს, წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ზღვაზე დასვენება დიდად სასურველი მაინც არ არის. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პედიატრი ნებას დაგრთავთ, ზღვის კურორტზე წაიყვანოთ პატარა, გაითვალისწინეთ, რომ მას ნაზი და თხელი კანი აქვს, ამიტომ, მზის აბაზანების მიღების დროს, განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ – შესაძლოა, ბავშვს კანი დაეწვას, ამიტომ, პირველი 2-3 დღე მაინც ჩრდილში უნდა გყავდეთ, მზის პირველი პროცედურის ხანგრძლივობა კი 1-2 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. მერე და მერე დრო ყოველდღე 1-2 წუთით გაზარდეთ, მაგრამ, მეტისმეტი არ მოგივიდეთ – მზის აბაზანამ ჯამში 15 წუთზე მეტხანს არ უნდა გასტანოს. არ დაგავიწყდეთ, რომ, უამრავი სამკურნალო თვისების მიუხედავად, ზღვის წყლის გადაყლაპვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან, თითქოს ყველაზე სუფთა წყალიც კი სავსეა ნაწლავური ინფექციისა და A ჰეპატიტის გამომწვევი მიკროორგანიზმებით.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# რა საოცრებას დაემთხვა ჯანსუღ ჩარკვიანის დაბადება და ვინ გააცილა მან ამქვეყნიდან ყველაზე დიდი დარდით

*30 სექტემბერი ჯანსუღ ჩარკვიანის დაბადების დღეა. მისი ბობოქარი და ხმაურიანი 83 წლის „ცხოვრების დღიურებში" ჩატევა იოლი საქმე არ არის, თუმცა მაინც ვცადეთ. ბევრი რეგალია მიიღო ამ წლებში, მაგრამ ამბობს, რომ ყველაზე ემოციური მისთვის სახალხო პოეტის ტიტული იყო. სიკეთე და სიყვარულიც ბევრი არგუნა იღბალმა, კარგი მეგობრებიც, რომელთა წასვლის შემდეგ მისთვის სამყარო დაპატარავდა. თუმცა, ასაკს არ ეგუება, სტუმრებს სახლში ისე გვხვდება, თითქოს საკონცერტო დარბაზის ლოჟა ეს ესაა დატოვა, ჯანსუღია და არ გიკვირს... ეტიკეტს ერთი კეტი გაურითმა და თავისი ცხოვრების დღიურების მოყოლა დაიწყო...*



### 30 სექტემბერი – საოცარი დამთხვევით დაწყებული დასაწყისი

რაღაც საოცრება ხდება ხოლმე ქვეყანაზე, საოცრებაა აბა რა იყო, ეს მარტო დამთხვევაა? 30 სექტემბერს დავიბადეთ სამივე დედმამიშვილი – ჯერ მე, მერე ჩემი და, ლუიზა და მერე ჩემი ძმა, ჯიმი. ნამდვილად ვიცი, რომ მაშინ ექოსკოპია არ იყო, მაგრამ ასე მოხდა. უფრო მეტს გეტყვით, მე და ჩემი თაკო უწმინდესთან და უნეტარესთან ვართ სტუმრად. ვუთხარი: უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენ სამივე დედმამიშვილი ერთ დღეს ვართ დაბადებულები-მეთქი. ჩაფიქრდა უწმინდესი, რა ვქნათ, ჩემო ჯანსუღ, ღვთის შვილები ვართ და ხდება ეგრეო. მერე დაუძახა შორენას: საეკლესიო კალენდარი მოიტანე, ჩავიხედოთ რა ხდებაო. ჩაიხედა, 30 სექტემბერი არის დღე წმიდა სოფიოსი და მისი ქალიშვილების: პისტისა და აღათიონის. ახლა მთავარს გეტყვით: პისტი გელოვანი იყო დედაჩემი, აღათიონი კი – ბებიაქალი, ვინც დედა ამშობიარა. ხომ არის ეს საოცრება! რა იცოდა დედაჩემმა წმიდა სოფიოს შვილების დღე, მაშინ ხომ არ იყვნენ ასე ღრმად ჩახედულები რელიგიაში. ეს რომ გავიგე, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. 30 სექტემბერი ჩემთვის სიყვარულის დღეა, მე მაინცდამაინც არ ვარ მომხრე, რომ ამ დღეს უნდა ვიგრიალოთ. თუ მრგვალი თარიღი მისრულდებოდა, გრიალიც იყო, თუ არა და ოჯახის ახლობლების წრეში აღვნიშნავდი ამ დღეს. გრიალის დღეს დამირეკავდა ჭაბუა, ნოდარ დუმბაძე, დამიწყებდნენ, სად წავიდეთ, სად შევუბეროთო? მივდიოდით და ვგრიალდებდით – კარგი ლექსი, კარგი ღვინო, კარგი სიმღერა იყო ჩვენი გრიალი. ხშირად თამადად მირჩევდნენ და სულ ვიცოდი თქმა: აბა, ახლა, ვისაც შეგიძლიათ სამი ბოთლი დალიოთ და ერთს დალევთ, იმის დედა ვატირე, ვისაც ერთის დალევა შეგიძლიათ და სამს დალევთ, კიდევ უფრო უარესი-მეთქი. თუ ბევრს დალევ, სუფრაზე მთავარი – სიყვარული, სიმღერა, იუმორი დაიკარგება. ბეთანიაში გადახდილი გრიალი მახსოვს სულ. კიდევ ერთი დაბადების დღე – თბილისში, ერთ ცნობილ რესტორანში რომ გადავიხადე. ოთხმოცამდე კაცი ვიყავით სუფრასთან. ყველაფერი რომ დამთავრდა, ავდექი და ფულის გადასახდელად წავედი. ოფიციანტმა მითხრა: თქვენი სუფრის ფული დირექტორმა გადაიხადაო. ის კაცი ჩემი არც ნათესავი იყო, არც ახლობელი. 80-კაციანი სუფრის ფულს რომ გადაიხდი, მაგარი კაცი ხარ და მაგარი ურთიერთობების ფასიც იცი. წლები გადის და სულ მახსოვს ადამიანების სიკეთე.







### მამას ვფიცავარ!

რაღაც ჩვევად მაქვს, ამხელა კაცი ვარ და ხშირად ვამბობ ხოლმე, მამას ვფიცავარ! დედასაც ვიფიცებ, მაგრამ თითქოს მამას უფრო ხშირად. ვერაზე დავიბადე, ვერის აღმართს რომ ამოხვალ, ლენინის ქუჩაზე. საოცარ სკოლაში დავდიოდი, გოგოები და ბიჭები ერთად ვიყავით. მეოთხე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, გოგოების ჯინაზე ვსწავლობდი. როგორც კი გაგვყვეს, სამოსანი გავხდი. ვისთვის უნდა მომეწონებინა იქ თავი? ჩვენი დამრიგებელი იყო ნინო სუხიაშვილი. იმან იცოდა, რომ ლექსებს ვწერდი. გამომიყვანდა დაფასთან, გაკვეთილს კი არ მომაყოლებდა, არა! ქამარს მაგრად მოუჭირე ორივე ხელი, ვითომ ხანჯალი გიკეთია და აი, ის ლექსი მითხარი, ვაჟა რომ გიყვარსო. ვიტყოდი ლექსს და ხუთიანსაც ვიღებდი. დედა, გელოვანის ქალი, გენიალურად მღეროდა, ლექსებსაც წერდა, მაგრამ ჩუმად, თავისთვის. ჩარკვიანებშიც და გელოვანებშიც იყო რაღაც, პოეტური. სისხლი სხვაა, მშობლებიდან ბევრი რამ მოდის. მე მათგან ვისწავლე სტუმარმასპინძლობა. მთელი ცხოვრება უნდა მცოდნოდა, რა ფასად მოდიოდა სტუმარი, რა სიყვარული ჰქონდა მას. მამაჩემი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი იყო, სულ თანამდებობებზე მუშაობდა და არ გვიჭირდა. სოფლიდანაც ბევრ პროდუქტს უგზავნიდნენ, ღვინოს, შაშხს. გვიყვარდა სტუმარი, მასპინძლობა. ეს ტრადიცია ჩემს ოჯახშიც გაგრძელდა. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გაგზარდონ ოჯახში, როგორ უნდა გასწავლონ სიყვარული შენი ქვეყნისა, რომ 12 წლის ბიჭი ორ მეგობართან ერთად სამამულო ომში გავიპარე. ვიღაც ლეიტენანტს შევეკარით, ჩაგვსხა მატარებელში და გაგვაქანა. ერთმა მეგობარმა „გაგვყიდა", იმან გადაგვარჩინა. მატარებელს მცხეთაში დაეწივნენ, ჩამოგვყარეს, წაგვიყვანეს სახლში, თან ლობიოს გვაჭმევდნენ, თან ყურებს გვახევდნენ. ჩემი ცხოვრების ბიოგრაფიაში ემოციურად ეს სასწაული ამბავი იყო. მეც თამამი ვიყავი. ჩვენს წინ, მოსკოვის ქუჩაზე, ახლა სადაც კინოს სახლია, ნავთი იყიდებოდა. დედაჩემი, სანამ მამას სამსახურში გაუშვებდა, მე ნავთის რიგში გამგზავნიდა ხოლმე. დილის ექვს საათზე ვდგებოდი რიგში ათი წლის ბიჭი. ერთხელ, უკვე დიდი ვიყავი და დედასთან თავი მოვიწონე, ვკითხე: ხომ ვაჟკაცი ვიყავი, ასე პატარა 6 საათზე ნავთის რიგში რომ ვდგებოდი-მეთქი, – თითს ვინ დაგაკარებდაო? მიპასუხა. აი, ეს იყო უბანი და ქალაქი, დილის ექვს საათზე დედა რომ 10 წლის ბიჭს ქუჩაში მიშვებდა.



### ბობოქარი წლები...

უუფ, ბობოქარი ახალგაზრდა ვიყავი! მყინვარიც მაქვს დაპყრობილი. უკვე დიდი ვიყავი, ლევან გოთუამ რამდენიმე კაცი მყინვარზე წაგვიყვანა. დიდი სპორტული მონაცემების კაცი არ გახლდით, ძლივს ამიყვანეს მყინვარწვერზე, მაგრამ აი, იქ რომ ავედი, ისეთი განცდა მქონდა, საოცარი. ეს პატარა ამბავი არ არის. 20 წლის ბიჭს უკვე სახელი მქონდა. 16 წლის ვიყავი, როცა გიორგი ლეონიძემ ჩემი პირველი ლექსები წაიკითხა. რა დამავიწყებს მის ნათქვამს: „კარგი ხარ, ჯანსუღ, ჩემი ჯილა ხარ"! ხომ ამდენი ტიტული და ჯილდო მაქვს მიღებული, მაგრამ რამდენიმე თვის წინ, როცა მე და ჭაბუას სახალხო პოეტისა და მწერლის ტიტული მოგვცეს, მეუხერხულა, მაგრამ ძალიან გამიხარდა. საქართველოს სახალხო პოეტი ხარ! და პირველი, ვისაც გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის შემდეგ, ეს წოდება მოგანიჭეს! მაგრამ ამის გამო თავს ზემოთ როგორ ავწევ?

ამბობდნენ, გავლენიანი კაცი იყოო. მე ვფიქრობ, რომ ძალიან ჩვეულებრივად ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე. ხშირად ამბობენ, ედუარდთან ახლოს იყავიო. მას თვითონ ჰქონდა სურვილი, ჩვენთან ახლოს ყოფილიყო. უყვარდა შემოქმედი ადამიანები, ჩვენ იქ არ შევმძვრალვართ. ახლა რომ ამბობენ, ასეთი დრო იყოო, ისეთი დრო იყოო. 40 წლის წინ ვწერდი: „ძლივს ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის, ტყვია მიზანში მოსახვედრია, თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!" საიდან დავბეჭდე? არ იცოდნენ რას ვწერდი? რომელი ტყვია იყო

# როგორ იპოვა ერთმანეთი მამა-შვილმა და გაემგზავრება თუ არა ესტონეთში შვილთან შესახვედრად ბათუმში მცხოვრები მამა

*32 წლის კრისტელი ეძებდა 58 წლის ნიკო გაბუნიას.*

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს, 58 წლის ნიკო (ან ნიკოლოზ) გაბუნიას. ჩემი მშობლები ჩემი დაბადების შემდეგ მალევე დაშორდნენ ერთმანეთს და მამაჩემი თავის სამშობლოში, საქართველოში დაბრუნდა. მის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, რადგან, ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ის ბოლოს ვნახე. მთელი ჩემი ცხოვრება მამის პოვნასა და მის გაცნობაზე ვოცნებობ. გთხოვთ, დამეხმაროთ მის მოძებნაში. თავად მე ესტონეთში ვცხოვრობ და დამოუკიდებლად მამას ვერ ვპოულობ. მაქვს მისი ერთადერთი სურათი, რომელზეც მე და მამა ვართ. იმედია, ის გამომეხმაურება და თქვენი დახმარებით ვიპოვით ერთმანეთს.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია სულ ახლახან იყო დაბეჭდილი – რუბრიკა „დაკარგულების" აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში. საბედნიეროდ, ნიკოლოზ გაბუნია ნაპოვნია. ჩემი ესტონელი კოლეგები კი ამჟამად დაკავებულები არიან ნიკოლოზ გაბუნიას ესტონეთში გამგზავრების საკითხით ***(ინტერვიუ ჩაწერილია 15 სექტემბერს).*** იმედია, მამა-შვილი უკვე მალე შეხვდება ერთმანეთს. მე კი ისღა დამრჩენია, მკითხველს ნიკოლოზ გაბუნიასთან ჩაწერილი ინტერვიუ შევთავაზო.

***ინტერვიუ ნაპოვნ მამასთან – ნიკოლოზ გაბუნიასთან:***

**– თქვენ თუ ეძებდით შვილს ამდენი წლის განმავლობაში? გვიამბეთ თქვენი ერთმანეთთან დაშორების ისტორია.**

– კრისტელს მთელი ჩემი ცხოვრება ვეძებდი. საქმე ისაა, რომ, მას შემდეგ, რაც მე ესტონეთიდან საქართველოში დავბრუნდი, დიდი დროა გასული. სოხუმელი კაცი გახლავართ. რაღაც პერიოდი ახუთში ვცხოვრობდი, შემდეგ კი შევიცვალე მისამართი. ამჟამად ბათუმში ვცხოვრობ, ლტოლვილი ვარ. მაქვს ოჯახი და მყავს ორი ვაჟიშვილი: ერთი – 29 წლის, მეორე კი – 10 წლის. სულ მინდოდა კრისტელის პოვნა, მაგრამ, როგორც ჩანს, კრისტელის დედამაც შეიცვალა მისამართი და ამიტომ ველარ ვუკავშირდებოდი. ჩემი ოჯახის წევრებმა იცოდნენ კრისტელის შესახებ და, მათაც, ისევე, როგორც მე, ძალიან გაუხარდათ მისი გამოჩენა. ჩემს ბიჭებს და ეყოლებათ – ამას რა სჯობია! დიდი მადლობელი ვარ პირადად თქვენი – რომ არა თქვენ, მე შვილს, ალბათ, ვერც ვიპოვიდი.

**– ამჟამად კრისტელმა არ იცის, რომ მამამისი ნაპოვნია, რადგან, წყდება თქვენი შეხვედრის საკითხი და მისთვის მამის პოვნა სიურპრიზი უნდა იყოს. თუკი ჩემს ესტონელ კოლეგებს ყველაფერი გამოუვათ, თქვენს შვილს სულ ცოტა ხანში ესტონეთში შეხვდებით. როგორი ემოცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

– პირველად რომ გავიგე, შვილი მეძებდა, სიხარულისგან ისე ცუდად გავხდი, თქვენც კი ვერ დაგელაპარაკეთ და ჩემს ბიჭს დავარეკვინე თქვენთან. როგორც უკვე გითხარით, ეს ამბავი მთელ ჩემს ოჯახს უხარია და ჩემი ბიჭები მას ღვიძლი დასავით მიიღებენ. დარწმუნებული ვარ, კრისტელი არ ინანებს, რომ მეძებდა. დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რასაც ჩემთვის აკეთებთ. ბუნებრივია, მიხარია, რომ შვილს შევხვდები, თუმცა, ველარ ვითმენ, წუთებს ვითვლი. თუკი ესტონეთში ჩემი ჩასვლა არ გამოვა, მინდა, კრისტელი მოვიპატიჟო ჩვენთან.

**– რას ფიქრობთ, როგორი შეხვედრა გექნებათ მამა-შვილს?**

– ჩვენ ერთმანეთი თითქმის 31 წელია, არ გვინახავს, ჩემი გოგო მაშინ სულ პატარა იყო. მე სულ ვფიქრობდი ხოლმე მასზე, ნეტავი ახლა როგორია-მეთქი. ძალიან მინდა მისი ნახვა, გულში ჩახუტება. დარწმუნებული ვარ, ძალიან თბილი და ემოციური შეხვედრა გველოდება. ასე მგონია, დრო ძალიან იწელება-მეთქი. კი ვხვდები, რომ საორგანიზაციო საკითხებს დრო სჭირდება, მაგრამ, ჩემიც ხომ გესმით.

**– როგორ ფიქრობთ, პირველ სიტყვას რას ეტყვით მას?**

– ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს და მთელი ამ წლების განმავლობაში მენატრებოდა. წინასწარ არ ვიცი, კიდევ რას ვეტყვი, რადგან, ძალიან განვიცდი. მინდა, რომ მალე ვნახო, მოვუყვე ყველაფერი და გავაცნო ჩემი ოჯახი. იმედი მაქვს, ის მე ყველაფერს მაპატიებს და გამიგებს – ამდენი წლის განმავლობაში მე მას მხოლოდ იმიტომ ვერ ვპოულობდი, რომ მისამართი შეიცვალეს, ძებნით კი მეც ვეძებდი, უბრალოდ, მან დამასწრო.

**– თქვენს უფროს ვაჟს ვესაუბრე. ეტყობოდა, რომ გულწრფელად უხაროდა კრისტელის გამოჩენა. საინტერესოა, უმცროსი შვილი რა აზრის არის?**

– ორივე ბედნიერია, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ უხარიათ. იმათაც აინტერესებთ კრისტელის ნახვა. მართალია, მან არ ჯერ იცის, რომ ნახევარძმები ჰყავს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მასაც გაუხარდება.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

მიზანში მოსახვედრი? თუ შენ ვაჟკაცობდი და უკან არ იხევდი, ვერაფერსაც ვერ გეუბნებოდნენ. აი, ასე იყო ეს. ედუარდიც ცრემლით გავაცილე. რაც იმას საქმე ჰქონდა გაკეთებული, მაგას ვინ მოუგონებს? ქართული ენა წაგართვას დიდმა რუსეთმა და შენ შეუნარჩუნო შენს ქვეყანას, თან ძეგლიც დაუდგა, არ არის ადვილი საქმე!

## ნატო და მხოლოდ ერთი ცოლი...

რვა წლის ვიყავი, როცა პირველი ლექსი მივუძღვენი ნატოს. მიყვარს ნატო, მაგრამ მარტო – არ მინდოდა, დედასთან ერთად რომ ყოფილიყო. ახალგაზრდა ვიყავი, ტელევიზიის ერთ-ერთმა წამყვანმა მკითხა: მეუღლისთვის თუ გიღალატიათო? რა ვიცი, თუ ეს ღალატად ჩაითვლება-მეთქი და ერთი „ისტორია" მოვუყევი. მოსკოვში ვიყავი, ერთმა რუსის გოგომ სხვანაირად შემომხედა, ავდექი და დავითესე იქიდან. გამომეკიდა ის გოგო, დამეწია, „პადნოჟკა" დამიდო და დამაგდო ძირს. მერეო? ჩამეკითხა წამყვანი. მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა-მეთქი და გადაირია სულ. ამაზე ჩემმა ცოლმე თქვა: სადაც მიდიხარ იმიტომ მოგყვები, „პადნოჟკას" რომ დაგიდებენ, იქვე შეგეშველოო. აბა, ასე იყო ეს! ამაზე ლაპარაკი უხერხული კია, მაგრამ არასდროს გამიუპატიურებია ქალი, თუ იმან არ გამაუპატიურა ***(იცინის).*** მთელი ცხოვრება ერთ ქალთან გავატარე, ორი წელი დავდიოდით ერთად და მერე ცოლად მოვიყვანე. ის 19 წლის იყო, მე – 23-ის. მარტო ერთ ცოლთან კი არ ვიცხოვრე, ნაკლებად მოღალატე ვიყავი. 75 წლის- ამ, ჯვარიც კი დავიწერეთ. ნეფის როლშიც ვიყავი.

## მეგობრები

ჩემთვის დღემდე მნიშვნელოვანია ვისი მეგობარი ვიყავი და ვარ. ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი იყო ოთარ ჭილაძე. პიონერთა სასახლიდან მოვდიოდით ერთად მე, ოთარი და გივი გეგეჭკორი. ქეთევან ანანიაშვილი იყო ჩვენი მასწავლებელი, ერთად მოგვატარა ხევსურეთი. 15-16 წლის ასაკში, სამშობლოს ნახვას სხვა ფასი აქვს. როგორ გვიხაროდა ერთმანეთი, როგორ ვუვლიდით იმ ქალებს, ვინც ჩვენთან ერთად იყვნენ. იმათი „სუნკები" სულ ჩვენ დაგვქონდა ***(იცინის).*** მაშინ ვიცოდით მეგობრობის ფასი. ჭაბუა ჩვენზე დიდი იყო, მაგრამ ჩვენ დროს დაიწყო წერა. პირველი რომანი მე წამაკითხა, ყველაზე დიდხანს ჭაბუა გამომყვა. მე და ნოდარ დუმბაძემ ერთმანეთი რომ ავირჩიეთ და დავმეგობრდით, უკვე დიდები ვიყავით. მოგვეწონა და შეგვიყვარდა ერთმანეთი. მესამე ინფარქტი რომ დაემართა, იუგოსლავიაში მივდიოდი. ბილეთი უკვე აღებული მქონდა. მის მკურნალ ექიმთან მივედი, ვიკითხე, ნოდარის ჯანმრთელობის მდგომარეობა. დღეს ვერაფერს გეტყვი, მძიმე მდგომარეობა აქვს, ერთ კვირაში გეტყვი ყველაფერსო. სად ვიყავი წამსვლელი? უკან დავაბრუნე ბილეთი და დავრჩი. მივადექი ნოდარს. ჯანუკა, ბიჭო, მე წასული მეგონე და აქანე ხარ? – მკითხა ნოდარმა. მეც წასული მეგონე, მაგრამ შენც აქანე ხარ-მეთქი, სიმწრით ვიხუმრე. როცა წავიდა ამქვეყნიდან, ჩემთვის ეს დიდი უბედურება იყო. როცა მომნატრებია ჩემი მეგობრები, ხშირად დამსიზმრებია ისინი, ცრემლიც მომრევია ბევრჯერ. რაღაცნაირად პატარავდება სამყარო, როცა მეგობრები მიდიან. სულ ვამბობ, სანამდე უნდა ვიარო სხვის პანაშვიდებზე, ერთხელ ჩემთანაც მოვიდნენ-მეთქი. აი ასე, გამომეცალა ქვეყანა, მიიხედავ-მოიხედავ და კაციშვილი აღარაა გვერდით. ვისთანაც გაატარე ცხოვრება, იმას რომ კარგავ, ეს არის დიდი ტკივილი და საოცრება.



## წლები მოდიოდა და მოდიოდა...

75 წლის შემდეგ მივხვდი, რომ წლები მოდიოდა და მოდიოდა, იქამდე ვერ ვხვდებოდი. მერე ხან წნევაო, ხან-ისაო, ხან-ესაო. როცა მე არ ვიცოდი, წნევა რა იყო, ჩემს მეუღლეს ვეტყოდი ხოლმე: ადამ ი წნევა! ახლა ორი წნევა ვართ ერთად. მე მაინც მადლიერი ვარ ჩემი ცხოვრების. ბევრი სიყვარული მივიღე. იყო ხალხი, ვისაც არ ვუყვარდი, მაგრამ მათზეც არ ვარ ნაწყენი. განაწყენებული იმ ხალხით შეიძლება ვიყო, ვისზეც იტყვიან „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო". როგორ არ ვიყო ბედნიერი კაცი, ასეთი ნიჭიერი შვილები მყავს?! მამუკა ხომ იცით და იცით, თაკომ თითქოს არ ამოიღო ხმა, რაღაც-რაღაცეების გამო, თორემ უფ, რამდენს გააკეთებდა. ეს ჩემი შვილიშვილი ირმა გიგანი, კაცო?! უხერხული კია ჩემგან მისი ქება, მაგრამ მსოფლიოშია უკვე ცნობილი ეს პატარა გოგო. ცხოვრების დღიურები რომ დამეწერა თავის დროზე, იქ ბევრი ადამიანი, ბევრი ისტორია მოხვდებოდა. ცხოვრებაში ბევრი რამის ატანა გიწევს კაცს, ხან საქმეს ეხება ეს, ხან – პირად ცხოვრებას. მე არ ვარ ჩემი ცხოვრების მომდურავი კაცი. უკან რომ გადავხედავ, ვფიქრობ, რომ კარგად გავიარე. აღმოვაჩინე, რომ მე სამ დროში ვიცხოვრე – წარსულის ფასი ვიცოდი, მქონდა აწმყო და მქონდა მომავალიც. როცა წლები მოდის და მოდის, ცხოვრება სულ სხვაა, უფრო მეტად ეკუთვნი საკუთარ თავს. მანამდე ქვეყნის ხარ, მერე უკვე ჩამოდიხარ ქვემოთ და საკუთარი თავის ხდები. ცოლი ახლაც კი ხშირად მეუბნება ხოლმე: ლომი ხარო. ასევე, ჩემებიც, ვისაც უყვარს ჩემი პოეზია. რაც მთავარია, რადგან ჩემი ცოლი ისევ ლომს მეძახის, ჯერ არ ყოფილა ცუდად ჩემი საქმე ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

**დედამიწაზე იმ მისიით ვართ მოვლენილნი, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ, გავუზიაროთ ცოდნა და გამოცდილება, ამით ხელი შევუწყოთ ჩვენსავე მომავალს და გარშემო მყოფების ცხოვრებაც სასიკეთოდ შევცვალოთ.**

**უძველესი დროიდან არსებობს მოსაზრება, რომ მრავალწლიან ხეებს განსაკუთრებული ენერგეტიკა აქვთ და მათი მოჭრა ადამიანისთვის განსაკუთრებულად საშიში და ზიანის მომტანია. ასევე, როგორც ეზოთერიკოსი და პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნანა ამბობს, თითოეულ ჩვენგანს თავისი მფარველი და მკურნალი ხე ჰყავს და, მასთან ჩახუტებით, ხშირი კონტაქტითა და სიახლოვით, ჩვენს ორგანიზმს სიცოცხლითა და ჯანმრთელობით ვაზღვევთ. ასევე, არსებობს ძველი ეზოთერიკული წესები და კანონები, რომელთა გათვალისწინება ბევრი უარყოფითი შედეგისგან დაგიცავთ.**

# როდის იდება ადამიანში „სიკვდილის კოდი“ და რა ასტრალური ძალა გააჩნია მცენარეებსა და ხის სამკაულებს

**ნანა**: როდესაც ადამიანებს ჩემს გამოცდილებასა და ეზოთერიკულ თუ პარაფსიქოლოგიურ ცოდნას ვუზიარებ, ვხვდები, რომ ამით მათთვის სიკეთე მომაქვს, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მინდა გითხრათ, რომ ხეებს უდიდესი ენერგეტიკა აქვთ და მათთან კონტაქტი სასიცოცხლო ძალებით გვავსებს, ორგანიზმს გვიჯანსაღებს, გვარიდებს უარყოფით ენერგიებს და ასე შემდეგ. ეს განსაკუთრებით ეხება მრავალწლიან ნარგავებს. აუცილებელია, ის ენერგეტიკა, რომელიც დედამიწის სიღრმეებიდან ხეებს ფესვებით გადაეცემა, ჩვენც გავიზიაროთ. ამისთვის კი გირჩევთ, ხშირად გახვიდეთ ბუნებაში, დაჯდეთ ხის ძირში, მოეხვიოთ მრავალწლიან ნარგავებს და ასე შეივსოთ დაქვეითებული სასიცოცხლო ენერგიები. ეს სულაც არ არის ზღაპარი, როგორც ზოგს ჰგონია. დამერწმუნეთ, ამით თქვენს ორგანიზმს ძალიან დაეხმარებით და დიდ სარგებლობასაც მოუტანთ.

**– ვინც წინაპრების გამოცდილებას იზიარებს, კარგად იცის, რომ, უკიდურესი აუცილებლობის გარდა, ხის მოჭრა ძალიან საშიშია და ამით საკუთარ ბედს უქმნის საფრთხეს. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

– უძველესი დროიდანაა ცნობილი, რომ ხეებს შეუძლიათ ჯანმრთელობის, ბარაქის, კეთილდღეობისა და დღეგრძელობის საქმეში წარმატების მოტანა; ავადმყოფობისგან დაცვა და განკურნება; გათვალვისა და ჯადოს აცილება და ასე შემდეგ. ადრე, ბავშვი რომ დაიბადებოდა, მის სახელზე ოჯახის მამაკაცი აუცილებლად რგავდა ხეს და, მიაჩნდათ, რომ სწორედ ის ხე იყო მისი მფარველი, დამცველი და ბოროტი ძალების ამცილებელი. ბავშვი რომ იზრდებოდა, ამ ხესთან უნდა ჰქონოდა ხშირი შეხება და ისიც დაიცავდა მას, ენერგიით აავსებდა; ხოლო, თუ მას ვინმე მოჭრიდა, უბედურება გარდაუვალი იყო. ეს ძველი ტრადიცია გახლდათ, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს ზოგიერთ სოფელში დღემდე შემორჩენილია. ადამიანის სახელზე დარგული ხის მიზანი და ამოცანაა, დაიცვას კონკრეტული პიროვნება ბოროტი ძალებისგან, გადასცეს მას თავისი ენერგიის ნაწილი და იხსნას შესაძლო უბედურებისგან. ასევე, ამ ხის ტოტისგან თლიდნენ პატარა ღილს და აკერებდნენ ბავშვის ტანსაცმელს. ითვლებოდა, რომ ეს ღილი მისი ბედნიერების მომტანი თილისმა იყო, ბოროტი ადამიანი მას ვერაფერს დააკლებდა, ბედიც გაუღიმებდა და ცხოვრებაშიც იღბლიანი იქნებოდა. ზოგადად კი, ადამიანები და მათი დაბადების მომენტში მათ სახელზე დარგული ასეთი მფარველი ხეები, ერთმანეთთან შეერთებულნი და დაკავშირებულნი არიან უხილავი ბედის ძაფებით. ამიტომ, თუ ხე კარგად ხარობს, ადამიანიც ბედნიერია, ხოლო, თუ ნელნელა იწყებს ხმობას, მაშინ, რაღაც საფრთხე უახლოვდება მის სულიერ „ორეულს“.

**– ეზოთერიკოსებისგან მსმენია, რომ მცენარეებს ასტრალური ძალა აქვთ. ეს რას ნიშნავს?**

– დიახ, მცენარეებს ნამდვილად აქვთ ასტრალური ძალა, რაც ადამიანმა უნდა იცოდეს და თავის სასიკეთოდ გამოიყენოს. მაგალითად, გირჩევთ, ტყეში ხეს მოაჭრათ პატარა ტოტი და მისგან საკუთარი ხელით გამოთალოთ ღილი. მიაკერეთ ის თქვენს ტანსაცმელს, ატარეთ და, მალე მიხვდებით, რომ თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ძვრები დაიწყება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, მზის ჩასვლის შემდეგ არ უნდა დააკეროთ ტანსაცმელს ღილი, არც ვარგა ნემსისა და მაკრატლის ხმარებაც, ანუ, ღამის საათებში მოერიდეთ ფრჩხილების მოჭრას, რაიმეს გაჭრას, შეკერვასა და დაკერებას და ასე ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან. ესეც უძველესი ეზოთერიკული კან-



ონია და ამასაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოთ.

**– ბევრი იმასაც ფიქრობს, ჩვენი ბედი ზეცაშია გადაწყვეტილი და, რაც გვიწერია, ის არ აგვცდებაო.**

– თუ ბედს ხართ მინდობილი და ამბობთ, რაც მიწერია, არ ამცდებაო, მაშინ, ნუღარც დაიწუწუნებთ, რომ წარუმატებელი და უიღბლო ხართ. მაგალითად, წინათ პატარა ბავშვს აუცილებლად ხის კოვზით აჭმევდნენ საჭმელს და, ითვლებოდა, რომ ამით მას ჯანმრთელობას უბევებდნენ სამომავლოდ, საკვები პროდუქტიც ადვილად შეითვისებოდა ორგან-

**გირჩევთ, ხშირად გახვიდეთ ბუნებაში, დაჯდეთ ხის ძირში, მოეხვიოთ მრავალწლიან ნარგავებს და ამით დაქვეითებული სასიცოცხლო ენერგიები შეივსოთ**

იზმის მიერ და ალერგიის ან მოწამვლის ალბათობაც გამორიცხული იყო. ასეთ ხის კოვზებს ახალდაბადებულ ბავშვებს ბაბუა უთლიდა და ის მასში მამაკაცურ სიძლიერესა და ხის ენერგეტიკას დებდა. ხის სამკაულების ტარებასაც მსგავსი დატვირთვა გააჩნია. თუ ხისგან დამზადებულ სამკაულებს ატარებთ, ის თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს და გათვალვისა და ავი მზერის შესაძლო უარყოფითი შედეგებისგან დაგიცავთ. გათვალვის საწინააღმდეგოდ ხის სამკაული ერთ-ერთი უძლიერესი დამცველია. ტყუილად როდი ვახსენე გათვალვა და ავი მზერა. ადამიანის მზერაში ბევრი რამის ამოცნობა შეიძლება.

**– მაგალითად, რისი ამოცნობაა შესაძლებელი?**

– მაგალითად, ბევრი ამბობს, რომ კონკრეტულ ადამიანთან შეხვედრა ცუდად აქვს დაცდილი, რადგან ის იმ დონეზე ახდენს მასზე ზემოქმედებას მზერით, რომ იმ დღეს უსიამოვნება გარდაუვალია. არსებობს, ასევე, გათვალვებით გამოწვეული სხვა უსიამოვნებებიც, მაგალითად: უბედური შემთხვევა, ნერვული შეტევა, წარუმატებლობა, უიღბლობა და ასე შემდეგ. არის აგრეთვე, სიკვდილის კოდი, რომელიც ყველა ჩვენგანშია ჩადებული და, წყევლისა და მზერის მეშვეობით ადვილად და სწრაფად იწყებს მოქმედებას. თვალიდან წამოსულ ძლიერ გამოსხივებას ადამიანის ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლა, უბედურების ან ბედნიერების მოტანაც შეუძლია. ასე რომ, ვინც რა უნდა თქვას, დამიჯერეთ, ავი თვალიც არსებობს, ადამიანებისგან არც წყევლა წაგვადგება სასიკეთოდ და გათვალვაც რეალურად შესაძლებელია. სიკვდილის კოდი ადამიანში დაბადების მომენტში იდება და, შესაძლოა, მისი უდროო და უცაბედი სიკვდილი გამოწვეული იყოს წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვის, წყევლის, ძლიერმოქმედი ჯადოს ან გათვალვის შედეგად. ამას ზოგი ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგი „მემკვიდრეობით გადაცემულ წყევლასაც“ უწოდებს, რომელიც ძალიან საშიშია. წყევლა და გათვალვა კი, ძლიერი პროგრამის წყალობით, მეცხრე თაობამდე გადადის და მუშაობს უარყოფითად. ხოლო, სიკვდილის კოდი, რომელიც ავი მზერისგან კიდევ უფრო აქტიურდება, ადამიანზე მომაკვდინებლად მოქმედებს და ანადგურებს მას როგორც ფიზიკურად, ასევე, მორალურადაც. იცით, როგორ უნდა მიხვდეთ, რომ გაგთვალეს?

**– საინტერესოა, ამას როგორღა უნდა მივხდეთ?**

– როგორ და, გათვალულ ადამიანს ეწყება შიშები, თავის ტკივილები, ხშირი მთქნარება, თავს სუსტად გრძნობს, ბედში კი ძალიან წარუმატებელია. დაკვირვებული ვარ, გათვალვის მსხვერპლი უფრო ხშირად ხდება ლამაზი და წარმატებული ადამიანი. ამიტომ, გირჩევთ, მოერიდეთ სხვებთან გულის გადაშლასა და ხშირ შეხვედრებს, რათა მისგან არ წამოვიდეს შური და არ გახდეთ მისი ავი მზერის უნებლიე მსხვერპლი.

**ნონა დათეშიძე**

## ზარალი კომპენსირებულია

ყველას გვქონია შემთხვევა, როცა ძალიან ახლობელმა ადამიანმა გვაწყენინა და, მზად არის, დანაშაული მოინანიოს, ამიტომ, პატიებას ითხოვს. ჩვენ არჩევნის წინაშე ვდგებით – ან უნდა მოვუსმინოთ და ვაპატიოთ, ან, საბოლოოდ გავწყვიტოთ ურთიერთობა. რეალურად, ჩვენი მორალური ფონი ამ დროს ძალიან მგრძნობიარეა და ჩვენ დაზარალებულებიც ვართ. იმედი გაგვიცრუეს, გვაწყენინეს და გვატკინეს – ამას უბრალო საუბრით, მიზეზის ახსნით ვერ უშველით, მხოლოდ კეთილი ნება და სურვილი იქნება ურთიერთობის დარეგულირების გარანტი; ისიც უნდა აწონ-დაწონოთ, გიღირთ თუ არა ეს ურთიერთობა და, რამდენად გულწრფელია ის, ვინც ინანიებს თავის საქციელს. თუ გაქვთ იმის უნარი, ისე მოიქცეთ, თითქოს არაფერი მომხდარა; კომპენსაციასაც ნუ ელოდებით; მაგრამ, თუ ხვდებით, რომ მისი მხრიდან მოტანილი არგუმენტები ან სინანულის სიტყვები ყალბია ან არასაკმარისი, მაშინ, გულწრფელად უნდა მოუყვეთ თქვენი ემოციების, განცდების შესახებ და აუხსნათ, რას მოითხოვთ მისგან. წყენა სტრესია და, შესაბამისია ემოციური ზარალიც, რომელიც ზოგჯერ მატერიალურ ზარალსაც ითვალისწინებს. ანუ, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რა გაანეიტრალებს ამ ყველაფერს და რას დადებთ სასწორის მეორე პინაზე მათ გადასაწონად. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩხუბი გარდაუვალია, პირიქით, ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ ჩხუბი აირიდოთ თავიდან, თუკი, რა თქმა უნდა, ეს კონკრეტული ადამიანი დასაკარგავად არ გემეტებათ.

## ქალური პერფექციონიზმი

მამაკაცებს მოსწონთ ძლიერი, პრინციპული, საკუთარ თავში დარწმუნებული ქალები, რომლებსაც ვერავინ ვერაფერს აიძულებს და უბრძანებს...

მაინც, როგორი უნდა იყოს ქალი, რომელიც მამაკაცისთვის სასურველი იქნება, შეძლებს, დაიპყროს მისი გული და ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ მოუძებნოს „ალტერნატივა?!“

1. ქალი „წაკითხულ წიგნად“ არ უნდა იქცესო...

როცა ადამიანები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ გვერდიგვერდ, იმდენად კარგად ეცნობიან ერთმანეთს, რომ, რთულია, აღმოაჩინო რაღაც ახალი ჩვევები, გამოხედვა, საუბრის მანერა... საქციელიც კი პროგნოზირებადი ხდება. ქალი უნდა ეცადოს, რომ მის გვერდით კაცმა თავი მოსვენებულად ვერ იგრძნოს, ანუ, იყოს ტონუსში და წარმოდგენა არ ჰქონდეს, რა სიურპრიზს უნდა ელოდეს ქალისგან, რომელიც გვერდით ჰყავს.

მოულოდნელობის, არაპროგნოზირებადი არსების სტატუსი (ამ სიტყვის კარგი გაგებით) – არის ის „საწვავი“, რაც მამაკაცის ფანტაზიას კვებავს და მის ინტიმურ ინტერესებს აღვივებს. ასეთი ქალი კაცს არასოდეს სწყინდება.

2. როცა ქალი ესწრაფვის სრულყოფილებას ყველაფერში – გარეგნობაში, სტილში, საქმიანობაში, ურთიერთობაში, მისი მწყობრიდან გამოყვანა საკმაოდ რთულია. ის ყოველთვის ფორმაშია და ამით არის მომხიბვლელი – ვერ ნახავთ დაუვარცხნელს, მოუწესრიგებელს, ჩაუცმელს, დაბნეულს... კაციც მზად არის, შეუძლებელი შეძლოს მის შესანარჩუნებლად – ის ხომ სხვა კაცებისთვისაც სასურველია...

## სიტუაცია... გამოსავალი

სერიოზულად იჩხუბეთ და გრძნობთ, რომ ამან ორივე დაგაზარალათ, ავნო თქვენს ურთიერთობას და თქვენი ნერვული სისტემაც სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა... რთულია, მაშინვე სძლიო საკუთარ თავს და აპატიო, მაგრამ, ის მაინც უნდა გააკეთოთ, რომ სიტუაცია აღარ გაამწვავოთ. თუ დაიწყებთ მტყუან-მართლის ძიებას, თანაც, ცხელ გულზე, კიდევ უფრო უარეს შედეგს მიიღებთ. შეგიძლიათ, მხოლოდ უთხრათ, რომ მისმა საქციელმა გული გატკინათ. ნურაფერს აუხსნით და მით უმეტეს, მოერიდეთ შეურაცხმყოფელ ფრაზებს. უპირველესად, უნდა აღდგეს ბალანსი... რაც დაირღვა. სამწუხაროდ, ადამიანებს ტელეპათიის უნარი არ გვაქვს; არ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი სხვის ადგილას; ასე რომ იყოს, საყვარელ ადამიანებთან კონფლიქტებს ადვილად ავიცილებდით თავიდან. ხომ გინდათ, დამნაშავემ მოინანიოს ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი საქციელი? საამისოდ ის უნდა განეწყოს, თან, ცოტა დროც უნდა გავიდეს, რომ ფიქრის საშუალება მიეცეს. მთავარი პირობაა – თქვენ უნდა გინდოდეთ ურთიერთობის ძველ რეჟიმში გაგრძელება – ეს აუცილებელია. თუ ბოღმას ჩაიდებთ გულში და აგრესიას დააგროვებთ, არაფერი გამოვა – ვერც გამოსავალს იპოვით და საყვარელ ადამიანსაც დაკარგავთ.

## კიდევ ერთხელ – განსხვავებებზე...

გვინდა, უკეთ გაგაცნოთ მამაკაცები – იქნებ, ნაკლებად გაბრაზდეთ, როცა თქვენს საუბარზე რეაქცია არ ექნებათ და უყურადღებოდ დატოვებენ მნიშვნელოვან მოვლენებს თქვენს ყოველდღიურობაში:

* როცა ქალი ბევრს და რამდენიმე თემაზე ერთდროულად, მით უმეტეს, ჩქარა ლაპარაკობს, კაცი იბნევა და საერთოდ ვერაფერს იგებს. ქალს შეუძლია, ერთდროულად უსმინოს რამდენიმე ადამიანს, პლუს ტელევიზორს, პლუს წაიკითხოს ინფორმაცია, მამაკაცს კი ამის უნარი არ გააჩნია.

* ქალებს გვაქვს სუნებისადმი მაღალი მგრძნობელობა, კაცებს – არა. ამიტომ, ნუ სთხოვთ, კერძი მხოლოდ არომატით – სუნით შეგიფასოთ და აღფრთოვანდეს!

* მამაკაცებისთვის (ხშირ შემთხვეაში) მანქანა, კარგი საათი და კოსტიუმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანური ურთიერთობები.

* სივრცეში მამაკაცს უკეთესი ორიენტაციის უნარი აქვს, ვიდრე ქალს; სამაგიეროდ, ქალები გამოვირჩევით ფოტოგრაფიული მეხსიერებით. ამიტომ, სისულელეა, მოსთხოვოთ, გაიხსენოს, რა გეცვათ მასთან პირველ პაემანზე.

* მამაკაცის ტვინი ეფექტურად მუშაობს მხოლოდ ერთ კონკრეტულ საქმეზე, ამიტომ, ქმარს ბევრ რამეს ნუ დაავალებთ, მით უფრო – ერთბაშად. ამას ის მოჰყვება, რომ ვერც ერთს ვერ გაართმევს თავს.

## ეს მგრძნობიარე მამაკაცი...

შეიძლება, არ იცით, რომ მამაკაცისთვის ერთი პაემანიც კი საკმარისია, რომ ქალი „ყურებამდე“ შეუყვარდეს, მაშინ, როცა ქალს (თუ ის უკვე მზად არ არის ამისთვის და არ აქვს წინასწარი განწყობა) რამდენიმე შეხვედრა და ფიქრი სჭირდება, პარტნიორის მიმართ სერიოზულად რომ განეწყოს. რა გამოდის? კაცები ქალებზე უფრო მგრძნობიარეები არიან? თუ სტატისტიკას ვენდობით და ბრიტანელ სოციოლოგებს დავუჯერებთ, ეს ფაქტია. მამაკაცების უმრავლესობა გულგრილი ვერ რჩება ქალის შარმის, მისი ცრემლებისა და კეკლუცობის მიმართ, ანუ, თუ ქალი მოინდომებს, თავს ძალიან ადვილად დააკარგვინებს და ქორწინებზეც კი დაითანხმებს, თუკი მოძებნის სუსტ მხარეს და იქიდან მიუდგება.

მრავალმნიშვნელოვანი მზერა, მსუბუქი ღიმილი და ფლირტი... სუნამოს თავბრუდამხვევი სურნელი... მაკიაჟი და ტანზე გემოვნებით მორგებული სამოსი... – ქალს მართლაც რომ ბევრი იარაღი აქვს მამაკაცის გულის განსაგმირავად. სხვა საქმეა, როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები და ურთიერთობა, რაც, ასევე, ქალზეა დამოკიდებული. ქალი თუ მოინდომებს, მისით დაინტერესებულ მამაკაცზე პირველივე შეხვედრისას მოახდენს შთაბეჭდილებას. მამაკაცს, პირიქით, ეს ძალიან უჭირს. ექვსჯერ მაინც უნდა შეხვდეს ქალს, რომ თავისი სათქმელი უთხრას. ჭკვიანი ქალი მარტივად „თამაშობს“ მამაკაცის მგრძნობიარე ბუნებაზე და სასურველ მიზანსაც აღწევს. ასე რომ, თუკი კაცთან ურთიერთობა არ გამოგდით, ეს მხოლოდ თქვენი ბრალია – ესე იგი, კარგად არ იცნობთ საკუთარ თავსა და საკუთარ შესაძლებლობებს...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# როგორ გადავიდეთ მცენარეულ დიეტაზე

ალბათ, ბევრს უნდა, ჩვეულებრივი კვებიდან, ან, სულაც, სტანდარტული დიეტიდან, უმტკივნეულოდ გადავიდეს მცენარეულ დიეტაზე, მაგრამ, არ იცის, მთლიანად უნდა ამოიღოს თუ არა მენიუდან ცხოველური წარმოშობის პროდუქტები. ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვთ ამერიკელ დიეტოლოგებს: „თუ ბოსტნეულის სუპი დამზადებულია ქათმის ხორცის ბულიონით ან პურის შემადგენლობაში შედის კვერცხი, არ ინერვიულოთ. ამ რაოდენობის ცხოველური წარმოშობის პროდუქტები არ იმოქმედებს თქვენს ორგანიზმზე; ოღონდ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპეციალურად დაუმატოთ ისინი თქვენს კერძებს“, – აცხადებენ ისინი.



რა თქმა უნდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ გაძლებთ ხორცის, კვერცხისა და რძის ნაწარმის გარეშე (თუკი თავგადადებული ვეგეტარიანელი არ ხართ), მაგრამ, წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ნამდვილად ღირს ერთთვიანი ექსპერიმენტის ჩატარება, შედეგად კი, წონაში დაკლების გარდა, თავს იგრძნობთ უფრო მხნედ, ენერგიულად და ხალისიანად.

რისთვის უნდა შევემზადოთ დიეტის დასაწყისში?

ა) უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეთ, რომ დიეტის პირველ დღეებში საჭმლის მომნელებელ ორგანოებს კვების ახალ მენიუზე მოუწევს „გადაწყობა“ და, ამიტომ, შესაძლოა, შეიცვალოს კუჭის მოქმედების ჩვეული რეჟიმი, მაგრამ, არ ინერვიულოთ, ორ-სამ დღეში ყველაფერი მოწესრიგდება.

ბ) აუცილებლად გასინჯეთ ისეთი კერძები, რომლებიც თქვენთვის უცხო და უჩვეულო ინგრედიენტებით მზადდება და დააკვირდით, გემოვნებით თუ არა, ანუ, მიიღო თუ არა ის თქვენმა ორგანიზმმა. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ თავიდან არ მოგეწონოთ, მაგრამ, მერე თანდათანობით „აღიქვათ“ მათი განუმეორებელი გემო.

გ) დაივიწყეთ ფრაზა – „უხორცო კერძი რა საჭმელია“. ეს არასწორი აზრია.

დ) თუ მოგენატრათ კაფეში ან რესტორანში წახემსება ან სადილობა, შეარჩიეთ ის, რომელშიც ბოსტნეულის კერძების დიდი არჩევანია.

ე) გააკეთეთ საკვებზე თქვენი დანახარჯების კალკულაცია და ნახავთ, რომ მცენარეული დიეტა გაცილებით იაფი გიჯდებათ (თუმცა, თავიდან, სანამ ახალი პროდუქტებიდან შეარჩევთ თქვენთვის მისაღებს, შესაძლოა, ოდნავ მეტი დაგეხარჯოთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრ ახალ გემოს გაეცნობით).

ვ) მიირთვით იმდენი, რომ დანაყრდეთ – ამ დიეტისთვის შიმშილობა არ არის აუცილებელი.

ზ) შეეცადეთ, გამოიყენოთ მრავალფეროვანი მცენარეული პროდუქტები – ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მიიღოთ ყველა აუცილებელი საკვები ნივთიერება და, ამასთან, არ დაკარგოთ დიეტის გაგრძელების ინტერესი.

თ) ყველა ბოსტნეული მიიღეთ ცოცხალი ან ოდნავ მოთუთქული სახით.

წყალი – ჩვეულებრივად, დღეში 2 ლიტრი.

# სწორად შევარჩიოთ ტონალური კრემი

ქალების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ტონალურ კრემს ისვამს მხოლოდ იმიტომ, რომ დაფაროს კანის ხარვეზები და თანაბარი გახადოს ფერი, მაგრამ, იმისთვის, რომ სახის კანი ჯანმრთელად გამოიყურებოდეს და ფერიც იდეალური ჰქონდეს, მხოლოდ კრემები საკმარისი არ არის, საჭიროა რამდენიმე მარტივი წესის დაცვა: მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე (განსაკუთრებით – დილას და საღამოს), იძინეთ დღე-ღამეში 7-8 საათი და სწორად შეარჩიეთ ტონალური კრემი, ანუ, კანის ჯანსაღი ვიზუალის მისაღწევად ტონალური კრემი მესამე ადგილს იკავებს.



რაც შეეხება მის შეძენას, ის უნდა შეარჩიოთ თქვენი კანის ტიპის, ფერისა და წელიწადის დროების გათვალისწინებით:

თუ გაქვთ კომბინირებული კანი (შუბლისა და ცხვირის ზონა – ცხიმიანი, ყვრიმალები კი – მშრალი ან ნორმალური), შეიძინეთ ტონალური კრემ-პუდრი, რადგან მასში შერწყმულია ტონალური კრემისა და კომპაქტური პუდრის ფუნქციები, სახეზე ნაწილდება თანაბრად და აქვს იდეალური ვიზუალური ეფექტი.

თუ კანი მიდრეკილია ცხიმიანობისკენ, უნდა გამოიყენოთ წყლის ფუძეზე დამზადებული ტონალური კრემ-ფლუიდი. ის არ შეიცავს ცვილსა და გლიცერინს, რომელიც „კეტავს“ ფორებს, აფერხებს კანის სუნთქვას და ზედმეტად ტოვებს ცხიმიან სიპრიალეს.

მშრალ კანს მაქსიმალურ კომფორტს უქმნის მკვებავი ტონალური კრემი.

არასწორად შერჩეული ტონალური კრემი აფუჭებს მთელ მაკიაჟს. ტონალური აუცილებლად უნდა შეარჩიოთ დღის შუქზე და გაითვალისწინოთ თქვენი სახის ფერი. იმის შესამოწმებლად, „თქვენია“ თუ არა შერჩეული ტონალური, ერთი წვეთი წაისვით ყვრიმალს ქვემოთ ან ხელის ზურგზე – მისი ფერი მაქსიმალურად უნდა შეერწყას თქვენი კანის ბუნებრივ ფერს. თუ ზუსტი დამთხვევა არ არის, უმჯობესია, შეიძინოთ თქვენი კანის ფერზე ნახევარი ტონით უფრო ბაცი კრემი, რადგან, მუქი ტონალური, გარდა იმისა, რომ ვიზუალურად აბერებს კანს, ნიღბის ეფექტს ტოვებს.

ტონალური კრემი არა მხოლოდ იდეალურ ფერს სძენს სახეს, არამედ, დამატებით ზემოქმედებას ახდენს კანზე, რომლის მდგომარეობაც განსხვავებულია წელიწადის სხვადასხვა დროს.

ცხელ დღეებში კანი ძალიან აქტიურად გამოყოფს ცხიმოვან სეკრეტს. ამიტომ, ტონალურის ზაფხულის სეზონისთვის შერჩევისას უპირატესობა უნდა მიანიჭოთ იმ კრემს, რომელიც შეიცავს დამცავ კომპონენტებს, რადგან, მას აქვს ხანგრძლივი მოქმედების უნარი. ასევე, სასურველია, ის შეიცავდეს მზისგან დამცავ ფილტრს (SPF), რომელიც იცავს კანს ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებისგან, რაც იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას.

გვიანი შემოდგომისა და ზამთრის სეზონებისთვის უნდა შეარჩიოთ სქელი ტექსტურის მქონე ტონალური – ეს დამატებით იცავს კანს ქარისა და ყინვისგან, ამიტომ, ზამთარში რეკომენდებულიც კია ასეთი ტონალური კრემის წასმა.

და, კიდევ ერთი აუცილებელი პირობა: არავითარ შემთხვევაში არ შეხიბნოთ ტონალური კრემი (და, საერთოდ, ნებისმიერი კოსმეტიკური საშუალება) ბაზრობებზე და გადამყიდველებისგან.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ უნდა შევარჩიოთ სპერმაცეტი?**

**პასუხი**: ახალ და მაღალი ხარისხის სპერმაცეტს არ უნდა ჰქონდეს მძაფრი სუნი და უნდა იყოს უფრო თეთრი, ვიდრე კრემისფერი. გარდა ამისა, მოცილებული მისი პატარა ნაწილი და მოსრისეთ თითებით. თუ ის მთლიანად გაისრისა და არ შეიგრძენით პაწაწინა კრისტალები, ესე იგი, ვარგისია.

**კითხვა: თუ შეიძლება, მომაწოდეთ ინფორმაცია ნიღაბი-ხელსახოცის შესახებ.**

**პასუხი**: ნიღაბი-ხელსახოცი ერთჯერადად გამოიყენება. ის გაჟღენთილია სასარგებლო ვიტამინების კოქტეილით. უნდა დაიფინოთ განმწენდილ სახეზე 15-20 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი თითების მსუბუქი დარტყმებით შეიზილოთ კანში ის, რაც მისგან დარჩა კანის ზედაპირზე. იმავეს გაკეთება შეგიძლიათ ყელსა და დეკოლტეზეც.

**კითხვა: რა დანიშნულება აქვს კოსმეტიკურ რძეს?**

**პასუხი**: კოსმეტიკური რძე არის წყალში გახსნილი ცხიმის მსგავსი ემულსია. წყალი წმენდს კანს, ცხიმოვანი ფუძე კი არ აძლევს მას გაშრობის საშუალებას.

კოსმეტიკური რძე წაისვით სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე წრიული მოძრაობით, 15-20 წუთის შემდეგ კი დაიფინეთ ქაღალდის ხელსახოცი და ზემოდან ხელი დააჭირეთ, რომ კანზე დარჩენილი ცხიმი შეაშროთ.

**კითხვა: რა თვისებები აქვს ატმის ზეთს და როგორი კანისთვის არის მიზანშეწონილი მისი გამოყენება?**

**პასუხი**: ატმის ზეთი კოსმეტოლოგიაში გამოიყენება კანის დაბერებისა და მოდუნების პროფილაქტიკის მიზნით, რაც გამოწვეულია კანის სიმშრალით. ის მდიდარია ცხიმჟავებით, რაც აუცილებელია უჯრედების განახლებისთვის. ატმის ზეთი შეიცავს A, C, E, P და B ჯგუფის ვიტამინებს, რომლებიც ახანგრძლივებს კანის ახალგაზრდობას. ის უნდა წაისვათ საღამოს, დაძინებამდე 1-2 საათით ადრე, დილით კი სახე გაიწმინდეთ ტონიკით, რომელიც არ შეიცავს სპირტს.

**კითხვა: მაინტერესებს, რა ნივთიერებებს შეიცავს კიტრი და, კონკრეტულად, რით არის სასარგებლო კანისთვის?**

**პასუხი**: კიტრი შეიცავს 95 პროცენტამდე სტრუქტურირებულ წყალს. ეს გემრიელი პროდუქტი კანის უჯრედებს ამარაგებს ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით; გამოდევნის ტოქსინებს და აჩქარებს ორგანიზმში (და, შესაბამისად, კანში) რეგენერაციის ბუნებრივ პროცესებს. უფრო აქტიური ეფექტის მისაღებად, შეგიძლიათ, კიტრის წვენი გაყინოთ და ყოველ დილით თითო კუბიკით დაიმასაჟოთ სახე, ოღონდ, მერე არც ჩამოიბანოთ და არც შეიმშრალოთ, აცადეთ, თვითონ შეგაშრეთ. ეს პროცედურა დაგიტენიანებთ კანს და მოხსნის შეშუპებას.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## უზნეო ქალმა ოჯახი დამინგრია

თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. ერთხელაც არ გამომიტოვებია რუბრიკა „ინტიმური საუბრები“ და ყოველთვის მიკვირდა, რომ სხვადასხვა ასაკის ადამიანები თავიანთი ცხოვრების ისეთ ეპიზოდებს განიხილავენ საჯაროდ, რაც, წესით, საიდუმლოდ უნდა შეინახონ (უმრავლეს შემთხვევაში). ჩემთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელი იყო, თუმცა, გამოგიტყდებით, ყოველთვის ინტერესით ვკითხულობდი ყველა ისტორიას და ვიცი, რომ მხოლოდ მე არ ვარ ასეთი – ჩემი ნაცნობებიდან თითქმის ყველა კითხულობს ამ გვერდს. საერთოდ, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში არსებობს რთული პერიოდები და, ალბათ, სხვისი პრობლემების გაცნობის სურვილიც იქიდან მომდინარეობს, რომ, ვიღაცის გასაჭირი შენსას შეადარო, რათა დარწმუნდე, რომ მარტო შენ არ ხარ გამოუვალ მდგომარეობაში. ეს, რა თქმა უნდა, შენს პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, მაგრამ, შეიძლება, გამოსავლის პოვნაში დაგეხმაროს. თან (ეს სულ ახლახან აღმოვაჩინე), როგორც ჩანს, როდესაც შენს სატკივარს სხვასაც უზიარებ, ერთგვარ შვებას განიცდი, რადგან, მიუხედავად იმისა, თითოეულ მკითხველთან უშუალო დიალოგი არ გაქვს, გულის სიღრმეში მაინც იტოვებ იმედს, რომ ვიღაცამ გაგიგო (თუნდაც მთლად მართალი არ იყო), ვიღაცამ შენი ტკივილი და მწუხარება გაიზიარა, ვიღაცამ კი, შენი მაგალითიდან გამომდინარე, აღარ ჩაიდინა, ან, სულაც, გამოასწორა შეცდომა.

მოკლედ, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მეც გადავწყვიტე, მომეწერა თქვენთვის ის, რაც უკვე დიდი ხანია, ჩემი დარდი და ტკივილია.

პატარა გოგო არ ვარ, რომ ემოციებს ავყვე და იმპულსურად ვიმოქმედო, მაგრამ, ის, რაც ჩემს თავს ხდება, რომანის თუ არა, ერთი მოზრდილი მოთხრობის სიუჟეტად შეიძლება, გამოადგეს მწერალს.

მე და ჩემს ქმარს დაქორწინებამდე ორი წელი სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. მშობლებმა დიდი ქორწილიც გადაგვიხადეს და მოგზაურობაშიც გაგვიშვეს იტალიაში. იქ გავიცანით ქართველი ცოლ-ქმარი, რომლებიც ჩვენსავით საქორწინო მოგზაურობაში იყვნენ. ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და თბილისში რომ დავბრუნდით, მეგობრობა განვაგრძეთ. რამდენიმე თვის შემდეგ, მეც და ის გოგოც დავფეხმძიმდით და, გადავწყვიტეთ, თუ პირველი მე ვიმშობიარებდი, ჩემს შვილს გენო და მერიკო მონათლავდნენ, ხოლო თუ მერიკო გააჩენდა ბავშვს ჩემზე ადრე – მე და ზურა ვიქნებოდით ნათლიები.

მოხდა ისე, რომ მერიკომ ჩემზე ადრე იმშობიარა (ბიჭი გაუჩნდა) და გენომ იმ დღესვე დაურეკა ჩემს ქმარს – ნათლობისთვის მოემზადეო, მაგრამ, სახტად დავრჩი, როცა ზურამ კატეგორიული უარი უთხრა. გენოს გაუკვირდა და ძალიან ეწყინა – ჯერ ერთი, ხომ ვიყავით შეთანხმებულები და, თანაც, ნათლიობაზე უარის თქმა ვის გაუგიაო. მაგრამ, ზურამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თან, მიზეზსაც არ ამბობდა. საღამოს დავსვი და ვკითხე – რა გჭირს, რატომ იქცევი ასე-მეთქი. ხან რა მიზეზი დაასახელა, ხან – რა, მაგრამ, ვატყობდი, რომ ძალიან აღელვებული და შეშფოთებული იყო. ბოლოს მითხრა, კაპიკი ფული არ მაქვს, თან, შენც ამხელა მუცლით როგორ უნდა იაროო.

მოკლედ, თავი რომ აღარ შეგაწყინოთ, სრულიად შემთხვევით გაირკვა, რომ მერიკოს ზურა დანახვისთანავე მოსწონებია და იმდენი უჩალიჩია, მისი საყვარელიც გამხდარა; ის ბავშვი კი თავისი ქმრისგან კი არა, ზურასგან გაუჩენია. მერე, ეს ამბავი რომ გასკდა, მერიკოს ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა და იმან მითხრა, ასე პირველად არ მოქცეულა; უბრალოდ, შვილი არ გაუჩენია სხვებისგან, თორემ, თუ ვინმე მოეწონებოდა, ხელიდან არავის უშვებდაო.

რაც მერე მოხდა, იმას ნამდვილად ვერ მოგწერთ – ეს იყო ნამდვილი კოშმარი: კაცებს შორის საქმეების გარჩევა, დაჭრა, ცემა-ტყეპა და ასე შემდეგ. შედეგად, ორი ოჯახი დაინგრა – მეც გავეყარე ქმარს და გენოც გაშორდა ცოლს.

სამშობიაროდ რომ წამიყვანეს, ზურაც მოსულა, მაგრამ დედაჩემმა გააგდო და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა – ბავშვი უკვე 8 წლის ხდება და ერთხელაც არ მოუკითხავს. თუმცა, არც მჭირდება, ასეთ მამასთან ჰქონდეს ურთიერთობა. სამაგიეროდ, თურმე, მერიკოს და მის შვილს ჰყვება თან. თუმცა, როგორც გავიგე, ის ქალბატონი მხოლოდ ზურას ამარა არ არის.

ერთი სიტყვით, ნამდვილი სერიალია, თან – აბურდულ-დაბურდული. როცა ჩემი შვილი მეკითხება, სად არის მამაჩემიო, ვეუბნები, რომ ავარიაში დაიღუპა, მაგრამ, როცა იქნება, ხომ გაიგებს, რომ ცოცხალია და, არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა.

მერიკოსნაირი უზნეო ქალის გამო დამენგრა ოჯახი და ოდესმე აუცილებლად მიეზღვება სამაგიერო.

**ელისო, 34 წლის.**



## ჩემს მეზობლად აღვირახსნილი ცოლ-ქმარი ცხოვრობს

კაცი დავბერდი და, ის, რაც ჩემი კარის მეზობლების ოჯახში ხდება, არც წიგნში წამიკითხავს და არც ფილმში მინახავს. ისეთი აღშფოთებული ვარ (და შეწუხებულიც, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად) მათი საქციელითა და ცხოვრების წესით, გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა.

როგორც გითხარით, ჩემ გვერდით ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობს, ასე, 30-32 წლის იქნებიან. ჰყავთ ერთი ბიჭუნა, 4 წლის გივიკო. ცოლიც და ქმარიც კარგ სამსახურში მუშაობენ, ეტყობათ, რომ არ უჭირთ და, ერთი შეხედვით, თბილი და ტკბილი ოჯახი აქვთ: ქუჩაში ხელგადახვეულები დადიან, ერთმანეთზე ზრუნავენ და ერთხელაც არ გამოსულა მათი ბინიდან ჩხუბის ხმა, მაგრამ, თურმე ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სრულფასოვანი ოჯახი გქონდეს.

საქმე ისაა, რომ, ხან ქმარი მიდის მივლინებაში და ხან – ცოლი. ჰოდა, ის, რომელიც შინ რჩება, ყოველ საღამოს მე შემომიყვანს ხოლმე ბავშვს – გეხვეწებით, თქვენთან იყოს, მე რაღაც საქმეზე გავდივარო; თვითონ კი ვიღაცეები მიჰყავთ სახლში (ქმარს – ქალები, ცოლს კი – კაცი) და აქვთ ერთი ამბავი. ისეც მომხდარა, რომ ღამით ბავშვი ჩემთან დამიძინებია – წაყვანა დავიწყებიათ. მერე კი, როცა ერთი ან მეორე მივლინებიდან ბრუნდება, ისე ხვდებიან, ისე მტრედებივით ეჟღურტულებიან და ლოკავენ ერთმანეთს, რომ ვუყურებ, გული მერევა. ნუთუ ვერც ერთი ვერ ხვდება, როგორ ღალატობენ და თავზე ლაფს ასხამენ ერთმანეთსაც, საკუთარ თავსაც და ერთადერთ შვილსაც. ცოლსაც და ქმარსაც კისერი უტეხია, მაგრამ, მე ბავშვი მეცოდება. ჯერ პატარაა, მაგრამ, რომ გაიზრდება, ხომ გაიგებს ყველაფერს? შესაძლოა, მამას ისე არ მოსთხოვოს პასუხი, მაგრამ, დედას არ უნდა ეშინოდეს? ხომ შეიძლება, ამის გამო ბიჭი ცუდ გზას დაადგეს და სამუდამოდ დაიღუპოს თავი?!

ძალიან მინდა, ერთ-ერთს მაინც დაველაპარაკო ამ საკითხზე, მაგრამ, თან მეშინია – არ მეტყვის, ვინ გეკითხება, სხვის ცხოვრებაში რომ ეჩრებიო? ან, სულაც, შეიძლება, ისიც კი მითხრან, გამოჩურჩუტებული ბებერი ხარ და რაღაცეები გეჩვენებაო.

თუ მეჩვენება, ბავშვს რატომ მიტოვებენ ხოლმე? სად არ მიცხოვრია, როგორ ხალხთან არ მქონია ურთიერთობა, მაგრამ, ასეთი აღვირახსნილი ადამიანები არსად მინახავს.

**მიხეილი, 76 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ეძიე კაცი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-38(717)**

გოგო ორსულად არის. მისი შეყვარებული კი სხვას შეირთავს ცოლად, ოღონდ, ის ქალი არ უყვარს. ბავშვი რომ გაჩნდება, მამას უნდა შვილის ნახვა, მაგრამ, ეს გოგო სჯის ღალატის გამო, არ აძლევს ამის უფლებას, ყოველ დანახვაზე აგდებს და საშინლად ლანძღავს, არადა, გიჟდება, ისე უყვარს. ერთხელაც, ერთი ნაცნობი თავისი ახლობლის ისტორიას უყვება: იმასაც შენსავით უყვარდა ის ბიჭი, მაგრამ, არ აპატია ღალატი და, ბოლო შეხვედრაზეც ის უთხრა, ვერ გიტან და წადი ჩემი ცხოვრებიდანო. ის ბიჭიც წავიდა სასოწარკვეთილი, მაგრამ, იმავე ღამეს ავარიაში დაიღუპა და, ისე მოკვდა, ვერ გაიგო, რომ გოგოს სიგიჟემდე უყვარდა...

– თქვენი ქმრები ღმერთმა დაიფაროს სიკვდილისგან, მაგრამ, ის, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს კაცმა, არ უნდა დაუმალოთ, ის კი არა, დროზე უნდა უთხრათ, – კატოს ცრემლით აევსო თვალები, – ორივესთვის ასე აჯობებს. ხომ მე გაცილებით მეტი ბედნიერი დღე მაქვს გასახსენებელი, ვიდრე, არ გეწყინოთ და, თქვენ, ყველას ერთად, მაგრამ, თქვენ მაინც უკეთეს მდგომარეობაში ხართ... ამას შურით კი არ ვამბობ, უბრალოდ, მინდა, თვალები აგიხილოთ. მე ყოველ წუთს, ყოველ წამს მენატრება ჩემი ქმარი, მაგრამ, ფიზიკურად რომ ვერ ვხედავ, ეს მონატრება სულის ტკივილში გადადის. არ გეგონოთ, რომ კაცის მონატრებას ვგულისხმობ. რა თქმა უნდა, ძნელია ახალგაზრდა, გათხოვილი ქალისთვის მამაკაცის გარეშე ცხოვრება, მაგრამ, ფიზიოლოგია და ამგვარი რაღაცეები ამ შემთხვევაში მესამე ადგილზე ინაცვლებს, რადგან, გვერდით აღარ მყავს მეგობარი, რომელიც მომისმენს, გამიგებს, თავზე ხელს გადამისვამს, ჩემს თავს მხარზე მიიყრდნობს და ძალიან დამარწმუნებლად ჩამჩურჩულებს ყურში: „ნუ გეშინია, მე შენთან ვარ“... ასეთ დროს შენც უცბად გრძნობ და ხვდები, რომ მართლაც არაფრის აღარ უნდა გეშინოდეს... – კატო გაჩუმდა, რადგან, თითქოს მართლაც გაიგო ქმრის ჩურჩული და ცრემლები ღაპალუპით წამოუვიდა. მერე უცბად თვალები შეიმშრალა და ატირებულ გოგოებს ღიმილით გადახედა: – მაპატიეთ, ძალიან დაგგრუზეთ, მეტს აღარ ვიზამ... – მერე ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და ხარბად გააბოლა.

– შენ რა, მოწევა დაიწყე? – გაუკვირდა მიას.

– ჰო, უკვე ერთი წელია, მაგრამ, ბევრს არ ვეწევი; მხოლოდ მაშინ, როცა ძალიან მინორში ვვარდები.

– კარგი, გვეყოფა ცრემლების ღვარღვარი. აბა, ყველამ გამოიდარეთ, თორემ, არ გეტყვით მთავარ სათქმელს, რაც არც ერთმა თქვენგანმა არ იცის და მე თვითონაც სულ ცოტა ხნის წინ გავიგე – აქ რომ მოვდიოდი, მაშინ.

– მთავარი, მგონი, ნათიას საკითხი იყო, კიდევ არის რამე? რაღაც, ძალიან ეშმაკურად გიციმციმებს თვალები, – თავი გადააქნია ელისომ.

– ჰო, კიდევ არის, ოღონდ, ეს ნათიას არ ეხება, – გაეცინა მიას.

– აბა, ვის ეხება? – გაუკვირდა ნათიას.

– ვის და, მე! – საზეიმოდ გამოაცხადა მიამ.

– შენ გეხება და ჩვენ არ ვიცით? – აღშფოთდა ნათია, – რა ვიცი, მე ყველაფერი დაწვრილებით მომაყოლეთ და განიხილეთ და, შენსას რატომ არ გვეუბნები?

– მაცდით, რომ ვთქვა? – მეგობრების გაწვალების სიამოვნება გაახანგრძლივა მიამ, – მე აბსოლუტური სიჩუმე, ყურადღებით მოსმენა და ჭკვიანური რჩევა მჭირდება.

გოგოები გაჩუმდნენ, თითქმის ყველამ სიგარეტს მოუკიდა ნერვიულობისგან და ნახევარ წუთში ოთახი ისე გაიბულა, ერთმანეთს ველარ ხედავდნენ.

მია მიხვდა, რომ მეტი მოცდა უკვე აღარ შეიძლებოდა და დაიწყო:

– გოგოებო, აქ რომ მოვდიოდი, ერთმა ძალიან სიმპათიურმა მამაკაცმა დამირეკა და ხვალ საღამოს „მარიოტში“ დამპატიჟა.

– ნომერში? – თვალები დაქაჩა რუსამ.

– არა, გოგო, რესტორანში, რა გულგახეთქილი მიყურებ, – სიცილი აუტყდა მიას.

– ვინ არის ის კაცი, არ გაგვიმხელ? ჩვენ არ ვიცნობთ? – დააყარეს აქეთ-იქიდან.

– მხოლოდ ნათია იცნობს, – ეშმაკურად გაეღიმა მიას.

– ვინ არის? მართლა ვერ ვხვდები...– გაოცებით შეხედა ნათიამ.

– ვინ და, რეზოს ამერიკელი პარტნიორი...

– ტომასი?! სად გნახა? როდის გაიცანი? – ნათია ისე დაიბნა, აღარ იცოდა, სწყენოდა თუ გახარებოდა.

– ნახვით თქვენს წვეულებაზე ვნახეთ, უფრო სწორად, დავინახეთ ერთმანეთი. ტელეფონი კი რეზოსთვის გამოურთმევია...

– იცოდე, ძალიან ფრთხილად იყავი, არ ენდო, – გააფრთხილა რუსამ, – ხომ იცი, ეგ ამერიკელები თავისებურად „ლეტნად“ არიან და, თან, ძალიან დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე.

– ჰო, მართალია რუსა, – აფორიაქდა სოფო, – ნომერში არ აჰყვე, იცოდე, მანიაკი არ აღმოჩნდეს.

– რა გჭირთ, ხალხო, სულ გაგიჟდით? – გაეცინა მიას, – ნუ გეშინიათ, მასთან დაწოლას არ ვაპირებ. სიმართლე გითხრათ, ისიც არ ვიცი ზუსტად, შევხვდები თუ არა, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი გემოვნების მამაკაცია. თანაც, ალღო მკარნახობს, რომ ცუდი ტიპი არ უნდა იყოს.



– ვიცით, რომ უტყუარი ალღო გაქვს, უკვე ორჯერ გვქონდა შენი ალღოს გამოცდის ბედნიერება, – „წაუიაზვა“ მირანდამ.

– მერე, რა უთხარი? – დაინტერესდა ქეთა.

– არაფერი. უფრო სწორად, ვუთხარი, ახლა არ მცალია-მეთქი.

– ანუ, არც უარი გითქვამს და არც თანხმობა, – გაეცინა ქეთას.

– ასე ჯობია, – ეშმაკური ღიმილით უპასუხა მიამ, – კატეგორიული უარი რომ მეთქვა, შეიძლება, ბოდიში მოეხადა და აღარ დაერეკა; მაშინვე რომ დავთანხმებოდი, ან ინტერესს დაკარგავდა ჩემ მიმართ, ან ხელში ადვილად ჩასაგდებ ქალად ჩამთვლიდა, რაც მე კატასტროფულად არ მიყვარს. ამიტომ, პატარა იმედი დავუტოვე, რომ ბედი კიდევ სცადოს.

– მაინც არ გირჩევ შეხვედრას. ქართველების პარტნიორი კია, მაგრამ, რა იცი, ვინ არის? ეს ამერიკელები ნახევარი გიჟები ან ექსცენტრიკულები არიან, ნახევარი – პათოლოგები, – ავტორიტეტულად დაასკვნა სოფომ.

გოგოებს სიცილი აუტყდათ. რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ სევდამ ყველას გაუარა და უცბად გამხიარულდნენ. ყველაზე კარგ ხასიათზე ნათია იყო – ათასი სასაცილო ამბავი მოყვა, მერე კი ხმამაღლა გამოაცხადა:

– ახლა მე ძალიან მომინდა დალევა. მაქვს ძალიან კარგი ვისკი – რეზოს აჩუქა ვიღაცამ და დიდი ამბით ინახავდა – განსაკუთრებული შემთხვევისთვის. ჰოდა, ის განსაკუთრებული შემთხვევა სწორედ ახლაა.

– რა არის, გოგო, განსაკუთრებული შემთხვევა, ოჯახი რომ დაანგრიე? – უსაყვედურა სოფომ.

– არა, თავისუფლება რომ მოვიპოვე, რომ გამოვფხიზლდი და ისევ პიროვნებად ქცევა რომ მოვინდომე... ვიცი, რომ მეც და ბავშვებიც ვინერვიულებთ, წავიტირებთ კიდეც, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერს გადავიტანთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, – თქვა ნათიამ და ვისკი და სირჩები შემოიტანა, – საჭმელი არაფერი მაქვს, თუ გინდათ, ისევ ყავას მოგიდუღებთ.

გოგოების თანხმობის შემდეგ ნათიამ დიდი ჩაიდნით აადუღა წყალი და უნალექო ყავა ჩამოატარა ფინჯნებით.

– ღმერთმა გვამრავლოს, მაგრამ, იმდენნი ვართ, ყავა სახაშე ქვაბით უნდა მოვხარშო, ყველას რომ გვეყოს. ნალექიანის მოდუღება დამეზარა, ამიტომ, ეს დალიეთ, – თქვა და ჩაიდანი სამზარეულოში გაიტანა.

– სულერთია. გეყოფა წინ და უკან სიარული, მოდი და დაჯექი! – გასძახა მიამ, – მეც მომინდა დალევა. თანაც, პაემანზე თუ წავედი ამ საღამოს, ნამდვილად მჭირდება გრადუსი სიმხნევისთვის.

– მთვრალი უნდა მიხვიდე პირველ პაემანზე, თანაც, ოკეანისგაღმელ კაცთან? რას იფიქრებს შენზე და, საერთოდ, ქართველი ქალების წესიერებასა და პატიოსნებაზე? ხომ მოგვეჭრა თავი დედამიწის მასშტაბით? – სიცილი აუტყდა ელისოს.

– ერთი მაგათი დედაც ვატირე, – თქვა ნათიამ და სავსე სირჩა აიღო, მერე, გოგოების გაოცებული სახეები რომ დაინახა, ღიმილით დააზუსტა: – კაცების, ჩემო საყვარლებო, თანაც, ყველასი, ოკეანისგაღმელისაც, გამოღმელისაც, უცხოპლანეტელისაც და ჩვენებურისაც... ამ ჭიქით კი მინდა, თქვენ გადღეგრძელოთ – ყველა ერთად, რადგან, უთქვენოდ, ალბათ, მე მე აღარ ვიქნებოდი... კიდევ, იცით, რატომ მინდა, ახლა გადღეგრძელოთ? იმიტომ, რომ ერთმა ბრძენმა თქვა, მეგობარია ის, ვინც შენ შესახებ ყველაფერი იცის და, მიუხედავად ამისა, მაინც უყვარხარო; მეორე ბრძენმა კი, მგონი, ჰესიოდემ, კიდევ უკეთესი სიბრძნე დაგვიტოვა, რომელიც, შეიძლება, ყველას არც კი წაგვიკითხავს – სხვათა შორის, მეც სულ ახლახან ამოვიკითხე სადღაც – მაგრამ, შეუმცდარად ვიცავთ ამ სიბრძნეს და, ამიტომაც არის, რომ, ამდენი წელია, ერთად ვართ და ჩვენს ურთიერთობას ერთი ბზარიც კი არ გასჩენია...

– აღარ გვეტყვი, რა დაგვიბარა ღრმად პატივცემულმა ჰესიოდემ? – დაინტერესდა მია.

– რა და, მეგობრები რომ შეინარჩუნო, პატიება უნდა შეგეძლოს, – გამოაცხადა ნა-

თიამ, — ამ ჭიქით თქვენ, ჩემს უახლოეს და უერთგულეს ხალხს გაგიმარჯოთ!

— ადამიანი დალევამდე დათვრეს, პირველად ვნახე, — გაოცებით თქვა ლიკამ, — მეტი აღარ დაუსხათ, ეგეც საკმარისია, ბოლომდე რომ გაითიშოს.

ნათიას მართლაც აღარ დასჭირდა მეტის დალევა, ერთი იმის თქმა მოასწრო, ამაღამ ვინმე დარჩით ჩემთანო, მერე მიწვა სავარძელში და ღრმად და მშვიდად დაიძინა.

ნათიასთან სალომე და ელისო დარჩნენ, დანარჩენები კი ფეხაკრეფით გავიდნენ ბინიდან და დათქვეს, ერთმანეთს მეორე დილით შეხმიანებოდნენ და ნათიასთვის ცოტა სერიოზულად მიეხედათ.

***

გაგას გარდაცვალების მეხუთე წლისთავზე კატო ძალიან ადრე ადგა და მარტო ავიდა სასაფლაოზე. შუადღეზე დედამთილთან და ბავშვებთან ერთად უნდა ასულიყო, მათი თანდასწრებით კი ვერც ტიროდა და ვერც ელაპარაკებოდა ასე მონატრებულ ქმარს, ურომლისოდაც სამყარო დაცარიელდა მისთვის.

ვინ იცის, წელიწადში რამდენჯერ ადიოდა საფლავზე, მაგრამ, არც ერთხელ, არც გაგას დაბადების, არც გარდაცვალების და არც ისე დღეებში, არასდროს არავინ დახვედრია, არც ერთი მეგობარი; მეგობარი კი არა, კვალიც კი არ უნახავს მათი. ახლაც ასე იყო — ისევ თავისი მიტანილი ყვავილები ეწყო მარმარილოს ფილაზე.

„ისე, კაცმა რომ თქვას, ხუთი წელია, არავის გახსენებია აქ მოსვლა და ამ უთენია ვინ შეიწუხებდა თავს", — გაიფიქრა და მწარედ გაეღიმა. საფლავზე მუხლებით დაემხო და სახე მიწას დაადო. ცოტა ხანს ასე იყო, მერე წამოდგა და იქაურობა მოასუფთავა, თუმცა, ბევრიც არაფერი იყო გასაკეთებელი — ერთი კვირის წინ გაწმინდა წიწვებისა და ფოთლებისგან.

ტკივილისგან გული ეწურებოდა. საშინლად ეცოდებოდა გაგა. როცა კარგად იყო, ცხადია, ფინანსურად, ამდენი ძმაკაცი ჰყავდა; ამდენი ხალხი ეხვეოდა გარშემო, ყველა მეგობრობასა და ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ერთი მეგობარიც არ ჰყოლია, არადა, ყველაზე თან იყო გადაყოლილი... არ ათხოვნინებდა, ისე უმართავდა ხელს ყველას — როცა კაცი დახმარებას გთხოვს, ამით თავს იმცირებს. თუ შენი მეგობარია, თავი არ უნდა დაამცირებინო, თვითონ უნდა მიხვდე, რა უჭირს და ისე, დაეხმარო, რომ, მოწყალებად კი არა, თანადგომად მიიღოს, რომ მერე თვითონაც ასევე მოექცეს სხვასო. მაგრამ, თვითონ მას ასევე არავინ მოექცა... ერთხელ ვიღაცამ უთხრა, იმდენ სიკეთეს სჩადიხარ, შენს შვილიშვილებს დახვდებათ წინო. გაგამ იუხერხულა ქება და უპასუხა: სიკეთე ის კი არ არის, როცა გაქვს და ეხმარები, სიკეთე ის არის, როცა თვითონ არაფერი გაბადია და მაინც სხვის დახმარებას ცდილობო. ეს სიტყვები მისი თავმდაბლობის გამოხატულება იყო, რადგან, ისეც ძალიან ბევრჯერ მომხდარა, რომ სახლში საჭმლის ფული არ ჰქონდათ, მან კი სოლიდური თანხა ისესხა და მეგობრის ცოლი ექიმთან წაიყვანა, რადგან, ის მეგობარი ქალაქში არ იყო... თუმცა, არც იმ მეგობარს და არც მის ცოლს, ერთხელაც არ მოუნახულებიათ სიკვდილის წინ.

კიდევ ბევრი რამე გაახსენდა კატოს: ყოველდღე გაშლილი სუფრები, ხარბი და მლიქვნელური სახეები, შურით აღსავსე თვალები... მაშინ ყველა ხელებს უკოცნიდა, ყველა ხოტბას ასხამდა მის გარეგნობას, კარგ ქალობას, ახლა კი ერთსაც არ გახსენებია — ხუთი წელი ისე გავიდა, სანახავად მისვლა კი არა, ტელეფონით არავის მოუკითხავს არც გაგას დედა და არც მისი ცოლ-შვილი. ყველამ იცოდა, რომ გაგას ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ოჯახმა ყველაფერი გაყიდა და ვალებში ჩაიძირა, მაგრამ, ერთს არ აუღია ყურმილი და არ უკითხავს, ბავშვებს ხომ არ შიათ ან მოხუც დედას რამე ხომ არ სჭირდებაო.

უცბად კატოს ძალიან მოუნდა, ყველა ის მეგობარი, რომლებიც წლიდან წლამდე მათთან ალამებდნენ და ათენებდნენ და თავიანთ ოჯახებს გაგას წყალობით არჩენდნენ, ერთად შეეკრიბა და მწკრივში დაესხა, თვითონ კი ჩამოევლო და განა რამე ეკითხა, მხოლოდ სათითაოდ ჩაეხედა თვალებში ყველასთვის — აინტერესებდა, რომელი შეძლებდა მზერის გასწორებას.

სხვათა შორის, არც მაშინ მოსწონდა ამდენი ჭრელა-ჭრულა ხალხის სიარული მათ სახლში, ქლესური ღიმილი და ქება-დიდება, მაგრამ, ქმარს არაფერს ეუბნებოდა — არ უნდოდა, სწყენოდა, რადგან, ყველას ენდობოდა, ახალგაცნობილ ადამიანსაც კი — ვერ წარმოედგინა იმ კაცისგან ღალატი, რომელთან ერთადაც პური ჰქონდა გატეხილი; ასე კი იმიტომ ფიქრობდა, რომ თვითონ იყო ულალატო და მეგობრებისთვის თავგადადებული. ამ ზედმეტმა ნდობამ ბევრჯერ მოატეხინა კისერი, მაგრამ, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა.

კატოს ისე ძალიან მოუნდა, გაერკვვია ქმრის მეგობრების ასეთი გულცივობის მიზეზი, რომ, გადაწყვიტა, მეორე დღესვე შეეკრიბა ყველა და რაღაცეები დაედგინა.

სასაფლაოზე დიდხანს აღარ გაჩერებულა. ერთხელ კიდევ ჩაიმუხლა მის თავთან და ჩუმად უთხრა:

— რატომ დამტოვე მარტო... — ეს იყო ერთადერთი საყვედური, რასაც ეუბნებოდა ამ ხუთი წლის განმავლობაში.

იქიდან მაღაზიაში გაიარა, მზა საჭმელები, პური, ღვინო და ზეთი იყიდა და ეკლესიაში წავიდა, პანაშვიდი გადაუხადა, ყუთში შესაწირი ჩააგდო და მოწყალება ჩამოარიგა...

სახლში ფეხაკრეფით შევიდა — არ უნდოდა, ვინმე გაეღვიძებინა. დედამთილის ოთახში სინათლე ენთო, მაგრამ, არ შევიდა მასთან. ახლა ერთადერთი რამ უნდოდა — მარტო დარჩენილიყო და ეფიქრა, ეფიქრა, ეფიქრა...

კატო ქმრის საწოლზე გულდაღმა წამოწვა, ბალიშს ორივე ხელი მოხვია და თვალები დახუჭა — ასე უფრო გრძნობდა მის სიახლოვეს. ხუთი წელი ხდებოდა, რაც გაგა აღარ იყო და მაინც ვერ შეეჩვია უმისობას. დროის გასვლას ვერ გრძნობდა — თითქოს ეს მას არ ეხებოდა. უფრო სწორად, თითქოს ფიზიკურად ხედავდა, როგორ აიდგეს ფეხი დღეებმა, კვირებმა და თვეებმა და როგორ გარბოდნენ სადღაც უსასრულობაში, ის კი ისევ იქ დატოვეს, სადაც ამ ხუთიოდე წლის წინ იყო — მომაკვდავი ქმრის საწოლთან...

ძალიან ეცოდებოდა ნაადრევად მოტეხილი დედამთილი, მაგრამ, ნუგეშის თავიც არ ჰქონდა.

გაგა უფულობის გამო გამოეცალათ ხელიდან — ვერ მოასწრეს საკმარისი თანხის დროულად შეგროვება, არადა, მისი უზარმაზარი სამეგობროდან ნაწილს მაინც რომ ენამუსა და, საკუთარი ჯიბიდან გაეღოთ კი არა, სხვადასხვა დროს აღებული ვალები დაებრუნებინათ, ის თანხაც შეგროვდებოდა და აღარც ქმარი მოუკვდებოდა.

გაგას სიცოცხლის ბოლო დღე გაახსენდა: კომაში ჩავარდნილი ავადმყოფი სასწრაფომ ერთ-ერთ კლინიკაში გააქანა. მთავარი ექიმი არ იღებდა მომაკვდავს, ლამის ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა საქმე და, ბოლოს, მუქარისა და გაწევ-გამოწევის შემდეგ, დააწვინეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მთელ სართულზე არც წყალი მოდიოდა და არც ჟანგბადის ბალიშები თუ ბალონები ჰქონდათ. როგორც იქნა, ეს პრობლემაც მოგვარდა, მაგრამ, ამასობაში ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა, თუმცა, მერე გაირკვა, რომ მაინც აღარაფერი ეშველებოდა. მანამდეც, მთელი ხუთი თვის განმავლობაში, ცდილობდნენ, რომელიმე საავადმყოფოში დაეწვინათ, მაგრამ, არც ერთმა არ მიიღო — ჩვენი პროფილი არ არისო. გაგას ბავშვობის მეგობარმა ექიმმაც კი უარი უთხრა თავის კლინიკაში დაწვენაზე, მერე კი საერთოდ დაიკარგა — არც სანახავად მისულა და აღარც ზარებს პასუხობდა. ტელეფონითაც არ უკითხავს, როგორ არისო, მხოლოდ პანაშვიდზე მოვიდა, ცრემლები გადმოყარა და, ისე წავიდა, გაგას დედას არც კი დალაპარაკებია — ან კი, რა უნდა ეთქვა, რით უნდა ემართლებინა თავი...

შეიყვანეს თუ არა გაგა პალატაში, კატომ მაშინვე ჩამოურეკა მის მეგობრებს და ნახევარ საათში ათამდე ძმაკაცი მივიდა. ყველას ძალიან შეშინებული სახე ჰქონდა, მაგრამ, კატოს არაფერს ეუბნებოდნენ. ცოტა ხანში ერთ-ერთი მეგობარი მივიდა კატოსთან და უთხრა, გეძახიანო და განყოფილების გამგის კაბინეტისკენ გაუძღვა. შეშინებულ გოგოს კიდევ რამდენიმე ძმაკაცი გაჰყვა. კაბინეტის წინა ოთახში ვიღაც მსუქანი ქალი იჯდა და უთხრა, 450 ლარი უნდა გადაიხადოთ, ერთი დღე-ღამის ფულიო. კატომ გადაიხადა. მერე იმ ქალმა ქვითარი გამოუწერა — ახლა ქვემოთ ჩაბრძანდით, პირველ სართულზე, მიმღებში 19 ლარი და 50 თეთრი გადაიხადეთ და ჩეკი ამომიტანეთო. კატომ ქვითარი გამოართვა და, რომ მობრუნდა, გაგას არც ერთი მეგობარი იქ აღარ იდგა. მწარედ გაეღიმა — მიხვდა, რომ იმ 19 ლარის გადახდას აარიდა ყველამ თავი.

მერე მთავარმა ექიმმა კატოსა და მის დედამთილს უთხრა, ერთი-ორი საათით სახლში წაბრძანდით, ცოტა დაისვენეთ და მერე მოდითო. კატო მაშინ ვერ მიხვდა, რომ პროფესორმა ისინი სპეციალურად გაუშვა შინ. ნახევარი საათის მისულები იყვნენ, ერთ-ერთმა ძმაკაცმა რომ დაურეკა — გაგა აღარ არისო. მერე რა მოხდა, აღარ ახსოვს; აღარც ის ახსოვს, როგორ მოასვენეს სახლში გაგა და როგორ კიოდა საწყალი დედამისი. რამდენიმე თვის შემდეგ გაიგო, რომ, ის 150 ლარი, რომელიც ჭირისუფალს საავადმყოფოს მორგში უნდა გადაეხადა, გაგას ნათესავს გადაუხდია, რომელსაც ერთ-ერთმა ძმაკაცმა დაურეკა და უთხრა, სასწრაფოდ წამოდი და ფული წამოიღეო... თუმცა, ასეთი საქციელი რა გასაკვირი იყო, როცა, მთელი ხუთი თვის განმავლობაში ყოველდღე უკეთებდნენ გაგას გა-

## ზურა მთვარელიძის მონატრება

უშენობის წლების თვლაში, მონატრების მტანჯველი გრძნობის დაძლევაში მიედინება ჩვენი წინააღმდეგობით, ტკივილითა და სიხარულითაც სავსე ცხოვრება.

ტკივილიანია 4 ოქტომბერიც — შენი დაბადების დღე; ცრემლნარევია ამ დღესთან დაკავშირებული სახალისო მოგონებებიც.

შენი ანი იზრდება და მშვენდება. ნინო მას არაფერს აკლებს, მაგრამ, უმამობა აუნაზღაურებელია.

ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ, რატომ არ გაუფრთხილდი თავს, როგორ იკმარე მხოლოდ 41 წელი?!

**დედა**



დასხმებს და ერთი გადასხმის სამყოფი თანხითაც კი არ დახმარებია არც ერთი.

... ამის გახსენებაზე კატოს ღვარად წამოუვიდა ცრემლები – გაგა ხომ არასდროს მოიქცეოდა ასე. ძალიან შეეცოდა ქმარი, რომელიც ყოველთვის ყველას გაჭირვების ტალკვესი, მშველელი და გადამრჩენელი იყო, მაგრამ, როცა თვითონ გაუჭირდა, ერთი ძმაკაციც კი არ დაუდგა გვერდში.

აღარ ახსოვს, რამდენ ხანს იწვა ასე. კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა. კატომ ძლივს ასწია თავი და ულონოდ გასძახა, ღიააო; მერე უცებ წამოჯდა და თმა შეისწორა; რაღაცნაირად შეუფრთხიალდა გული – უცბად იფიქრა, რომელიმე ძმაკაცი ხომ არ მოვიდა, რომ საფლავზე წამოვიდესო, მაგრამ, კარი დედამთილმა შემოაღო.

– არ წავიდეთ, შვილო? – ჰკითხა მისი საცოდაობით გულდამწვარმა და ცრემლი მოიწმინდა, – თუ არ შეგიძლია, ნუ წამოხვალ, მარტო ავალ.

– არა, მარტოს ვერ გაგიშვებთ. ათ წუთში მზად ვიქნები. ბავშვები სად არიან?

– ქვემოთ ჩავიდნენ და იქ გველოდებიან.

კატომ თმა გადაივარცხნა, თხელი შავი ჟაკეტი მოიცვა და ყელზეც შავი კაშნე შემოიხვია. დედამთილი სამზარეულოდან გამოვიდა და ფინჯნით ყავა გამოუტანა – ეს მაინც დალიე, მთელი დღე ლუკმა არ ჩაგიდევს პირში და გული არ წაგივიდესო. კატომ ზრდილობის გამო გამოართვა ჭიქა და უხალისოდ მოსვა, მაგრამ, ესიამოვნა ცხელი ყავა და მთლიანად დალია.

სასაფლაოზე ტაქსით ავიდნენ. კატო მაინც იტოვებდა გულში იმედს, იქნებ ახლა მაინც დახვედროდა იქ ვინმე – იქნებ, გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავზე გახსენებოდა გაგა რომელიმე მეგობარს, მაგრამ, ისევ იმედი გაუცრუვდა – არავინ დახვდა. იქვე მოფუსფუსე მესაფლავეს მაინც ჰკითხა, დღეს ხომ არავინ მოსულაო, მაგრამ იმან თავი გაუქნია.

ცოტა ხნის შემდეგ კატომ ბავშვებს სთხოვა, გამომყევითო და ცოტა მოშორებით, ვიღაც ახალგაზრდა ბიჭის საფლავის გვერდით ჩამოსხდნენ – მარტო დატოვა დედამთილი თავის შვილთან, რომ გული მოეოხებინა.

კატომ საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა წაიკითხა.

„18 წლის ყოფილა. საწყალი, ნეტავ რითი გარდაიცვალა!..” – გაიფიქრა და, რატომღაც, ძალიან მოუნდა, ახლომახლო საფლავები ჩამოევლო. შვილებს უთხრა, ახლავე მოვალო და ვიწრო ბილიკს გაუყვა, თან წარწერებს კითხულობდა. გული მოეწურა – გარდაცვლილების უმრავლესობის ასაკი ოცდაათ წელს არ აღემატებოდა, აქა-იქ თუ იყო შუახნის ან მოხუცებული ადამიანი დასაფლავებული.

– რა ხდება? – ჩაილაპარაკა თავისთვის, – ხომ აშკარაა, რომ ამდენ ახალგაზრდას ავადმყოფობა არ მოკლავდა? ვთქვათ, რამდენიმე ავარიაში დაიღუპა... დანარჩენები? – მერე თვითონვე დაასკვნა: – ნარკოტიკები, ჩხუბი, შურისძიება... არადა, ბავშვობაში ბებიაჩემს რომ მივყავდი ხოლმე ბაბუას საფლავზე, თითქმის სულ მოხუცების საფლავები იყო გარშემო...

– დედა! – ფიქრი შეაწყვეტინა შვილის დაძახებამ, – წავედით!

სახლში გულდამძიმებულები დაბრუნდნენ. ბავშვები კომპიუტერებს მიუსხდნენ, დედამთილი თავის ოთახში გავიდა, კატო კი ისევ გაგას საწოლზე წამოწვა და, თავისდაუნებურად, კვლავ ქმრის მეგობრებზე დაიწყო ფიქრი. დაუძლეველი სურვილი აეკვიატა, აუცილებლად შეეკრიბა ყველა და ერთადერთი კითხვა დაესვა: რა შეეშალა გაგას თითოეულთთან ცალ-ცალკე და ყველასთან ერთად, რომ ასე მოექცნენ ჯერ მომაკვდავს, შემდეგ კი – გარდაცვლილს?

ამ ფიქრებში იყო, რომ მიამ დაურეკა:

– როგორ ხარ, იყავი საფლავზე?

– ჰო, – გაუხარდა მეგობრის ხმის გაგონება, – ვიყავი და ძალიან ცუდად ვარ.

– გოგოებს გვინდოდა, წამოყოლა შემოგვეთავაზებინა, მაგრამ, მერე ვიფიქრეთ, რომ ლიანას შევუქმნიდით დისკომფორტს და ამიტომ აღარ შეგეხმიანეთ. როგორ არის?

– როგორ იქნება... მაგრამ, მე და ბავშვები რომ არ შეგვაწუხოს, შეძლებისდაგვარად არ იმჩნევს და აქეთ გვამხნევებს.

– ძალიან ძლიერი პიროვნებაა, თან, არაჩვეულებრივი ადამიანია. სხვა, მის ადგილას, ტვინს გადაჭამდა ყველას.

– ჰო, მაგარი ქალია. ეს რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა; ალბათ, მეც კარგა ხნის მკვდარი ვიქნებოდი, – ცრემლი მოერია კატოს.

– კარგი, გეყოფა! – დაუტატანა მიამ, – შენი დედამთილისგან მაინც აიღე მაგალითი!

– ვცდილობ, მაგრამ, არ გამომდის. წელიწადში რამდენიმე დღეა ასეთი, ადამიანად რომ აღარ ვვარგივარ, – ამოისლუკუნა კატომ.

მია მიხვდა, რომ მის დაქალს ამ თემაზე ლაპარაკი უნდოდა და, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რა პასუხსაც მიიღებდა, მაინც ჰკითხა:

– დაბადების დღე, გარდაცვალების დღე... კიდევ?

– ჩვენი გაცნობის... სიყვარული რომ ამიხსნა პირველად... ქორწილის... – მაშინვე ჩამოუთვალა კატომ.

– იცი, რას გეტყვი? – მიამ პაუზა გააკეთა, – მართალია, უკვე არაერთხელ მაქვს ეს ნათქვამი, მაგრამ, მაინც გაგიმეორებ: შენ ძალიან ბედნიერი ქალი ხარ, გაცილებით უფრო ბედნიერი, ვიდრე მე და ჩვენი სადაქალოს უმრავლესობა – ჩვენ გასახსენებელიც არაფერი გვაქვს...

– ნეტავი არ მომკვდარიყო და, თუ გინდა, ყოველდღე ეჩხუბა, ეგინებინა, ან, თუნდაც სხვა ქალთან წასულიყო, ოღონდ კი მცოდნოდა, რომ ცოცხალია, დადის და სუნთქავს... – კატომ ტირილი დაიწყო.

– კარგი, გეყოფა, ნუ გამიხეთქე გული! საკუთარი თავი თუ არ გებრალება, ეგ საცოდავი მოხუცი და ბავშვები მაინც შეიბრალე. მაგათ ახლა სჭირდებათ დედა, ფეხზე დამდგარი და საღად მოაზროვნე. ხომ იცი, რა ასაკიც აქვთ! ცოტა გამოფხიზლდი და გონს მოდი, შვილები ხელიდან არ წაგივიდნენ, – ცოტა მკაცრად გააფრთხილა მიამ, – და, საერთოდ, შენი ოჯახის გარდა, ჩვენც გვჭირდები, გაიგე?

– ჰო, გავიგე, ვეცდები, – ცრემლები მოიწმინდა კატომ და უცებ საქმიანად ჰკითხა: – ჩემკენ როდის გამოჩნდებით?

– ყველა ერთად?

– რა ვიცი, ვინც როგორ მოახერხებთ.

– რამე პრობლემაა? თუ გინდა, ახლავე მოვალთ.

– არა, დღეს არა, არაფრის თავი არ მაქვს, ხვალ იყოს. პრინციპში, მირჩევნია, მე თვითონ გამოვიდე ვინმესთან, ან, სულაც, სადმე კაფეში დავსხდეთ.

– რამე მოხდა? – დაიძაბა მია.

– არა, რაღაცა მაქვს ჩაფიქრებული და რჩევა მინდა გკითხოთ.

– მაშინ, თუ ის შენი ჩანაფიქრი მოითმენს, ბარემ შაბათს შევხვდეთ სადმე.

– კარგი, თანახმა ვარ. მანამდე მეც უფრო დავწყნარდები და უკეთ მოვიფიქრებ, რა და როგორ გავაკეთო.

– მაშინ, შაბათამდე გემშვიდობები, თუმცა, მანამდე კიდევ დაგირეკავ.

– კარგი, ველოდები შენს ზარს. მადლობა ყველაფრისთვის.

– მაგრად იყავი! –კიდევ ერთხელ გაამხნევა მიამ და ყურმილი გათიშა.

მაგრამ კატოს უცბად გაახსენდა რაღაც და მაშინვე დაურეკა:

– მია, ისე ვარ გათიშული, სულ დამავიწყდა, მეკითხა – შეხვდი იმ ამერიკელს?

– დღეს ვხვდები. იმ დღის მერე რამდენჯერმე დამირეკა, ცოტა ვისაუბრეთ, ბევრი ვახვეწნინე და, ბოლოს, „რეზოს ხათრით“ დავთანხმდი, – გაეცინა მიას, – თუ გაინტერესებს და მოსმენის თავი გექნება, გვიან დაგირეკავ და ყველაფერს მოგიყვები.

– ძალიან მაინტერესებს. რომელი საათიც არ უნდა იყოს, დარეკე, ხომ იცი, თითქმის არ მძინავს. ჰო, რა უნდა ჩაიცვა?

– რამე კლასიკური. ან, სულაც, შეიძლება, ჯინსებითა და პულოვერით წავიდე, ზუსტად არ ვიცი. ვნახავ, საღამოს რა ხასიათზე ვიქნები.

– „მარიოტში“ ჯინსებით, თანაც საღამოს და, თანაც, პირველ პაემანზე, მგონი, ნამეტანია, – გაეცინა კატოს.

– შენ იცინი და ეს უკვე მომწონს, – გაუხარდა მიას, – ოღონდ გამხიარულდი და, თუ გინდა, საერთოდაც, კუპალნიკით წავალ.

– არა, ასეთი მსხვერპლი ნამდვილად არ მინდა. მე მაინც ვფიქრობ, კლასიკური ტანსაცმელი ჯობია, – კატომ აშკარად იგრძნო, რომ გულზე მოეშვა და ხასიათი გამოუკეთდა.

– კარგი, გავითვალისწინებ შენს რჩევას. აბა, დროებით! – მია თვითონაც კარგ ხასიათზე დადგა. მაშინვე კარადას მიადგა და კრიტიკული თვალით გადაათვალიერა თავისი გარდერობი, მერე რამდენიმე ვარიანტი შეარჩია, ყველა გამოიღო და სათითაოდ დაიწყო მოზომვა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# რატომ გააკეთა სტალინმა აქცენტი პეტრე ბეგრატიონზე, როდესაც ის ჟუკოვს ნაპოლეონის მარცხზე ესაუბრებოდა



## ბონაპარტიზმი

ჩვენი სამსახური დღითი დღე იკრებდა ძალებს და სულ რაღაც ოთხიოდე თვეში, ისე გავიდგით ფესვები, რომ უკვე უცხოეთში მივლინებულ საბჭოთა მისიებს ვაკონტროლებდით და იქიდან ვიღებდით ინფორმაციებს. საბჭოთა კავშირის მრაშალი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, გიორგი ჟუკოვი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ძალიან ცნობილი და მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ფიგურა გახდა. მას, რა თქმა უნდა, უდიდესი როლი მიუძღვის ჩვენს დიად გამარჯვებაში. თუმცა, სტალინის გარეშე, ის ვერ შეძლებდა ეფექტურ ხელმძღვანელობას, რის წყალობითაც, ეს ადამიანი ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევდა. სტალინთან ურთიერთობაში, ჟუკოვი განსაკუთრებული ლოიალურობით გამოირჩეოდა. ჩვენი სამსახური უცხოეთშიც მუშაობდა. ჩვენებმა თვით ჟუკოვის გარემოცვაში შეაღწიეს და ბერლინიდან (სანამ გიორგი ჟუკოვი ბერლინში მოღვაწეობდა) გვაწვდიდნენ ცნობებს. ბერლინში ჟუკოვს ინტენსიური კონტრაქტები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკურ მაღალჩინოსნებთან. ასეთი შეხვედრებისას, რომლებიც ხშირად მეგობრულ, პირად ურთიერთობებში გადაიზრდებოდა ხოლმე, იმართებოდა გულახდილი და, შეიძლება ითქვას, არცთუ ისე კორექტული საუბრები. ამ საუბრებისას, ჟუკოვს უცხოელი კოლეგები უდიდეს სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწედ და თვით სტალინის მემკვიდრედაც კი ასახელებდნენ. ჟუკოვი კი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ ამას აკეთებდა არა შეუვალი ფორმით, არამედ ხუმრობანარევი ტონით. ერთერთი საუბრისას, ეიზენჰაუერმა ჟუკოვს მომავალი ბონაპარტიც კი უწოდა, რაზეც ჟუკოვს არაფერი უპასუხია, მხოლოდ გაეღიმა და შამპანურით სავსე ბოკალი ბოლომდე გამოსცალა. ჩვენ ამ საუბრის სრული ტექსტი სულ რამდენიმე საათში მივიღეთ და დილითვე სტალინს მოვხსენე ჩემს ყოველდღიურ მოხსენებაში. დიდმა ბელადმა რომ მომისმინა, ხელით მანიშნა, დაჯექიო. მეც დავჯექი, მან ჯერ ჩიბუხი დატენა, შემდეგ გააბოლა და ცოტა ხნის შემდეგ თქვა: „მარშალი ჟუკოვი დიდი პიროვნებაა და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. არც ისაა საიდუმლო, რომ ის მამაცურად, დიდი ოსტატობით ურტყამდა ფაშისტებს. სწორედ ამის გამო დაიმსახურა დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში. მე მას დიდ პატივს ვცემ, თუმცა არ მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსია. მას მშვენივრად ძალუძს ჯარის მეთაურობა, მაგრამ სახელმწიფოს ვერ წარუძღვება. სიმართლე გითხრა, არც კი მჯერა, რომ მას ბონაპარტისტული ზრახვები ამოძრავებს და პოლიტიკურ თანამდებობას უმიზნებს. თუმცა, დასავლური ბაცილა გადამდებია და შეიძლება, ისეთი ძლიერი პიროვნებაც კი დააავადოს, როგორიც გიორგი კონსტანტინოვიჩია," – სტალინმა ჩიბუხიდან ფრთხილად გამობერტყა ფერფლი. შემდეგ ახალი თუთუნით შეავსო, მაგრამ არ აუნთია, მხოლოდ ხელში დაიჭირა ჩიბუხი და საუბარი გააგრძელა, – „ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი მოსკოვში დაბრუნება, შემდეგ კი ვნახოთ!"

იმავე სალამოს ჟუკოვი მოსკოვში გამოიძახეს და მეორე დილით ის უკვე დიდი ბელადის წინაშე წარდგა კრემლში. სტალინმა მარშალი ჟუკოვი გულითადად მიიღო, დაბალ მაგიდასთან მიიპატიჟა და მას შემდეგ, რაც სავარძელში დასვა, თავად კი განუყრელი ჩიბუხი გააბოლა, უთხრა: „გიორგი კონსტანტინოვიჩ, შენ დიდხანს მუშაობდი გერმანიაში და ჩვენ სულ დაგვივიწყე". ჟუკოვმა ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ სტალინმა ანიშნა, იჯექიო. მარშალმა კი უპასუხა: „ამხანაგო სტალინ, სადაც მიბრძანეთ, იქ ვმუშაობდი. მე ჯარისკაცი ვარ და ვალდებული ვარ, დავემორჩილო უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას. ერთი წუთითაც არ დამვიწყებია ჩემი მოვალეობა და, რა თქმა უნდა, არც თქვენ და არც ჩემი სამშობლო". სტალინს ულვაშებში ჩაეღიმა ჟუკოვის პასუხზე და სალაპარაკო თემა მკვეთრად შეცვალა: „გიორგი კონსტანტინოვიჩ, ტრუმენი მიიჩნევს, რომ ჩვენ მკვეთრად ანტიდასავლური პოლიტიკური კურსი გვიჭირავს. ჩერჩილი კი ამას „ცივი ომის" დაწყებად ნათლავს. საინტერესოა, რას ფიქრობს ამის თაობაზე მარშალი ჟუკოვი?" ჟუკოვს წარბიც არ შეხრია, ისე უპასუხა: „ჩვენი დასავლეთელი ოპონენტები ცდილობენ, მოკავშირეობაზე დაგვიყოლიონ, რომ თავიანთ შავბნელ საქმიანობაში ჩავყვეთ. ამით კი სოციალიზმის კურსიდან გადაგვახვევინონ, რათა კომუნიზმის მშენებლობაზე ხელი ავიღოთ". სტალინს კვლავ გაეღიმა, თუმცა არაფერი უპასუხა ჟუკოვს. მან კონიაკ „ნაპოლეონის" ბოთლი გამოიღო კარადიდან, სასმელი ორ პატარა ფუჟერში ჩამოასხა და ჟუკოვს მიუგო: „მე მინდა, დიდი ადამიანების სადღეგრძელო შევსვა ნაპოლეონ ბონაპარტის თამადობით!" – თქვა და სასმისი ბოლომდე გამოსცალა. იგივე გააკეთა ჟუკოვმაც. თუმცა, სახეზე უკვე ეჭვები აღბეჭდოდა და მისი რკინისებური ნებისყოფა სადღაც გამქრალიყო. მარშალმა შესანიშნავად იცოდა, რომ სტალინს არ უყვარდა კონიაკი „ნაპოლეონი", ამიტომაც მიხვდა, რომ დიდი ბელადი რაღაცაზე მიანიშნებდა. სტალინმა მეორეჯერაც შეავსო ფუჟერები, თუმცა ხელში აღარ აუღია სასმისი და მას შემდეგ, რაც ჩიბუხი კვლავ გააბოლა, საუბარი განაგრძო: „ბონაპარტი უდიდესი პიროვნება იყო. მე მას დიდ პატივს ვცემ, თუმცა მან რუსეთში ბაგრატიონთან წაიმტვრია ცხვირი". ჟუკოვს, რომელიც სულგანაბული უსმენდა სტალინს, სახეზე დიდი გაოცება აღებეჭდა, რადგან მას კუტუზოვი არ უხსენებია და აქცენტი ბაგრატიონზე გააკეთა. ჟუკოვის აზრით, სტალინმა რაღაც პარალელი გაავლო და მხოლოდ მოგვიანებით

> **ახლა ეს არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს და ვიტყვი, რომ გაგრაში სტალინს ახალგაზრდა მსახიობი, ლუბოვ ორლოვა ახლდა**

მიხვდა სახელოვანი მარშალი, რომ ეს პარალელი მასა და სტალინს შორის იყო გავლებული. „ბონაპარტმა რუსეთში ბაგრატიონთან წაიმტვრია ცხვირი", – გაიმეორა სტალინმა და დასძინა: „ყველა რუსეთში იმტვრევს ცხვირს". შემდეგ სტალინმა მეორედ ასწია სასმისი, ჟუკოვს მიუჭახუნა და თქვა: „ისევ ბონაპარტის და არა ბონაპარტიზმის სადღეგრძელო იყოს". ამით სტალიინმა ჟუკოვს თვალნათლივ დაანახვა, რომ ის ყველაფრის საქმის კურსშია და უცხოელ კოლეგებთან მისი საუბრების შინაარსი მისთვის ცნობილია. ორი კვირის შემდეგ მარშალი ჟუკოვი სტალინმა მინისტრობიდან გადააყენა და პროვინციაში გაამწესა.

## ნანატრი დასვენება

მთელი ომის განმავლობაში სტალინი ინტენსიურად მუშაობდა, წამითაც არ დაუსვენია და, ცოტა არ იყოს, გადაიღალა კიდეც. 2 აგვისტოს, პოლიტბიუროს სხდომა გაიმართა, 3 აგვისტოს კი ჩვენ უკვე გაგრაში, დიდი ბელადის საზაფხულო აგარაკზე ვიყავით. სტალინი წამითაც არ კარგავდა მართვის სადავეებს და მუდამ ქვეყნის პულსზე ედო ხელი, თუმცა კურორტის სასიკეთო ზეგავლენა ბრწყინვალედ აისახებოდა დიდი ბელადის ჯანმრთელობაზე. მაშინ ეს სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა და არამცთუ ლაყბობა, ამ თემაზე ჩურჩულიც კი აკრძალული იყო. ახლა კი ეს არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენდს და ვიტყვი, რომ გაგრაში სტალინს ახალგაზრდა მსახიობი, ლუბოვ ორლოვა ახლდა. ორლოვასა და სტალინის მეგობრობაზე იმ პერიოდში არამცთუ საბჭოთა ხალხმა, პოლიტბიუროს ყველა წევრმაც კი არ იცოდა. ორლოვას, როგორც ეს მისი საქციელიდან ჩანდა, სიგიჟემდე უყვარდა სტალინი და აღმერთებდა მას. არც სტალინი იყო მისდამი გულგრილი, მაგრამ თავის გრძნობებს მაინცდამაინც არ გამოხატავდა. ყოველ შემთხვევაში, მახსოვს, როგორი სინაზით, ხელიხელჩაკიდებული სეირნობდა ბელადი ნადეჟდა სერგეევნა ალილუევასთან და მათი შემხედვარე იფიქრებდი, მათზე ბედნიერი არავინაა ამქვეყნადო. ორლოვას შემთხვევაში კი, ის თავშეკავებული გახლდათ. ტრადიციულად, სტალინი 9 საათზე დგებოდა, შემდეგ ორლოვასთან ერთად, კამკამა ზღვაში ცურავდა, დაახლოებით, 2 საათის განმავლობაში. სტალინის მსგავსად, ორლოვაც ბრწყინვალედ ცურავდა და დაცვას დიდი პრობლემები ექმნებოდა, სანამ ეს წყვილი ზღვაში ბანაობდა. იმ პერიოდისთვის სტალინი უკვე 65 წლის იყო, მაგრამ საოცარია, რომ სხეული ბევრად უფრო ახალგაზრდული ჰქონდა – გადაჭიმული კანი, კარგად ნავარჯიშები ათლეტივით უპრიალებდა. დიდი ბელადი დროგამოშვებით ხალხში ჩნდებოდა სხვადასხვა შეხვედრებზე, მაგრამ იქ, ორლოვას გარეშე, მარტო მიდიოდა. აშკარაა, რომ სტალინს არ უნდოდა თავისი ურთიერთობის აფიშირება. სალამოობით ის და ორლოვა პატარა „ბესედკაში" განმარტოვდებოდნენ ხოლმე, სადაც ეს მართლაც მომხიბვლელი და ნიჭიერი ქალი ბრწყინვალე საოპერო ხმით უმღეროდა დიდ ბელადს სხვადასხვა პოპულარულ სიმღერებს.

ერთ დილას, ეს იყო 16 აგვისტო, ლუბოვ ორლოვა სახლიდან უქეიფოდ გამოვიდა და პლაჟისკენ გაემართა. დაცვას ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, რადგან მთელი ყურადღება სტალინის დაცვაზე იყო გადატანილი. მოღრუბლული იყო, ზღვა ღელავდა. ორლოვა მარტოდმარტო მოაბიჯებდა. ორლოვამ წყალთან მისვლამდე კაბა გაიძრო და შეცურდა. ტალღები მაინცდამაინც განგაშის საშუალებას არ იძლეოდა და ქალმაც ღრმად შეცურა. ცოტა ხანში სტალინიც გამოჩნდა, რომელიც თვალებით ორლოვას ეძებდა და როცა დაინახა, მისკენ გაეშურა. სტალინმა ტანზე გაიძრო და წყლისკენ წავიდა. დაცვა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და მასთან ერთად შეცურდნენ წყალში. თუმცა, მისივე ბრძანებისამებრ, მიახლოებას ვერ ბედავდნენ. ორლოვა საკმაოდ შორს იყო შესული ზღვაში, სტალინი მისკენ მიცურავდა. ზღვა უეცრად, ძლიერ აღელდა და ტალღებიც აზვირთდნენ. ჩვენ ნაპირზე ორი კატერი სრულ მზადყოფნაში გვყავდა და ზღვაში განვითარებული სურათის შემხედვარემ სასწრაფოდ დავქოქეთ და მოცურავეებისკენ გავემართეთ. უეცრად ზღვის ტალღებმა ლუბოვ ორლოვა ამოატრიალა და ქალმა ჩაძირვა დაიწყო. სტალინი იქვე, ახლოს იყო. ფსკერისკენ წასული ქალი დაითრია და შეეცადა, ნაპირისკენ წამოეყვანა. მას პირადი მცველებიც მიეშველნენ, ამასობაში ჩვენც მივცურდით.

**სტალინის დაცვის უფროსის მოადგილის მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

# რა მისიით მოვდივართ დედამიწაზე და როგორ გავხადოთ ცხოვრება შედარებით მარტივი და წარმატებული



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

*კურტ ვონეგუტი*

*ბევრმა არ იცის, რა არის კარმა და რა დანიშნულება და კოსმიური მისია აქვს მას დედამიწაზე. მისი წარმომავლობის რეალური არსი პირველად დაფიქსირდა ინდუიზმში. მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უძველეს რელიგიაში სიტყვა „კარმა" – „ჩადენილს" ნიშნავს. რეალურად, კარმა ნებისმიერი მიზანმიმართული და განზრახი ქმედებაა, რომელსაც გარკვეული შედეგი მოაქვს; ამასთან, აზრიც და სიტუაციაც ქმედებად ითვლება.*

*ასტროლოგიურად, კარმას თავისი კანონი აქვს და კარმის კანონი მოქმედებს ისე, რომ თითოეული ჩვენი მოქმედება ანაბეჭდს მომავალში დატოვებს და წინ დაგვხვდება.*

*თითოეული ადამიანი კონკრეტული მისიით მოდის დედამიწაზე და, შესაბამისად, მან კარგად უნდა გაითავისოს და გაითვალისწინოს ის, რასაც კოსმოსი უქადის – ეს ადამიანებს თავისი მდგომარეობის უკეთ გაცნობიერებაში ეხმარება.*

*ასე რომ, დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ტექსტს და გაიგეთ, რა არის თქვენი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე.*

**ვერძი** – თქვენ დაიბადეთ იმ დროს, როცა ბუნება გაღვიძებას იწყებს. ეს პერიოდი თქვენთვისაც გამოსაფხიზლებელი უნდა იყოს. სწორედ ამ დროს მოგეცემათ უამრავი ენერგია. დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, გაუნაწილოთ ენერგია სხვა ადამიანებს; დაეხმაროთ უმწეოებს; იყოთ გულღია, კომუნიკაბელური და ქველმოქმედი – ასე ადვილად შეძლებთ ბედნიერების მოპოვებას.

**კურო** – თავისუფალი სივრცე და ლამაზი გარემო დაგეხმარებათ იმაში, რომ შეძლოთ თვითრეალიზება და ჰარმონიული განვითარება. მეტი კონტაქტი იქონიეთ ახლობლებთან, მეგობრებთან. ასევე, მიეცით მათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება. ნუ იქნებით დიქტატორი და მეტი ყურადღება მიაქციეთ, რას ითხოვენ თქვენგან გარშემო მყოფები; ასევე, გაითვალისწინეთ მათი რჩევები – ესაა თქვენი კარმული მისია, რაც ბედნიერების მოგიტანთ.

**ტყუპები** – უნდა შეძლოთ ორ ადამიანს შორის სამშვიდობო მისიის შესრულება. იბრძოლეთ თქვენი სიმართლისთვის და გარშემო ერთგული ადამიანები შემოიკრიბეთ – ამით ჰარმონიულ გარემოს შეიქმნით და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ.

**კირჩხიბი** – ისწავლეთ დღევანდელი დღით ტკბობა. იაზროვნეთ და იმოქმედეთ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლით და არა ისე, როგორც გირჩევენ. ნუ იყურებით წარსულში, მომავალში უკეთესი რამ შეიძლება მოხდეს და მასზე იყავით ორიენტირებული. აწმყოში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა თქვენი კარმული მისიაა დედამიწაზე, რაც მომავალში წარმატებას მოგიტანთ.

**ლომი** – შეეცადეთ, თქვენი გარემოცვა და, საერთოდ, სამყარო ისეთი მიიღოთ, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც თქვენ გსურთ, რომ იყოს – ასე ურთიერთობებს გაიუმჯობესებთ როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე, კოლეგებთან. თუ ამას შეძლებთ, ცხოვრებაც გაგიადვილდებათ და დედამიწაზე თქვენს კარმულ მისიასაც ადვილად შეასრულებთ.

**ქალწული** – თქვენთვის მთავარია გონების მომართვა და შრომისუნარიანობის გამოვლენა, რათა საწადელს ადვილად მიაღწიოთ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ, ნუ იქნებით სხვისი ხელის შემყურე, მთავარია, არ მოადუნოთ ყურადღება. ყური უგდეთ ინტუიციას და ის მიგიყვანთ საჭირო ადგილამდე. ტყუილუბრალოდ ნუ დახარჯავთ ძალებს. ისწავლეთ მოთმენა – ამას გავალებთ თქვენი კარმა.

**სასწორი** – შეხედეთ სამყაროს რეალისტურად და აღიქვით მოვლენები ისე, როგორც სინამდვილეშია. დაფიქრდით, ზოგჯერ რეალობა უფრო საინტერესოა, ვიდრე ოცნება. თქვენი კარმული მისიაა, დედამიწაზე იყოთ რეალისტი.

**მორიელი** – იყავით დაკვირვებული და დაიცავით ზომიერების გრძნობა. გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. ჩაუღრმავდით საკუთარ გრძნობებს. თქვენი კარმული მისიაა, ადეკვატურად მიჰყვეთ მოვლენებს და სწორად მოახდინოთ რეაგირება.

**მშვილდოსანი** – მეტად უსმინეთ თქვენს ინტუიციას. ნუ იტყვით უარს სხვების დახმარებაზე. ასევე, ნუ ჩაერევით სხვის საქმეში მათი თხოვნის გარეშე. თქვენი კარმული მისიაა, ყური უგდოთ გულის კარნახს, არ დაზოგოთ შესაძლებლობა და ენერგია საქმეში და იყოთ გულისხმიერი სხვების მიმართ.

**თხის რქა** – გიყვართ, როცა თქვენ გარშემო ყველაფერი რიგზეა და ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებთ. ნუ აჰყვებით ემოციებს. გარშემო მყოფები თქვენგან მხოლოდ სიმართლეს ელიან და სწორედ ესაა თქვენი კარმული მისია დედამიწაზე. თქვენ უნდა იყოთ მაგალითი სხვებისთვის, ამიტომაც არ გაქვთ შეცდომის დაშვების უფლება. იყავით ოპტიმისტი და ეს წინსვლაში დაგეხმარებათ.

**მერწყული** – ნუ დაფრინავთ ღრუბლებში, იყავით რეალისტი. მეტი გულისყურით აკეთეთ ის საქმე, რომელიც ითავეთ. გახსოვდეთ, ამქვეყნად იმისთვის მოხვედით, რომ გარშემო მყოფებს ცხოვრება გაულამაზოთ. თქვენი მთავარი კარმული მისიაა, იყოთ დამთმობი, ჰუმანური და მეტად კომუნიკაბელური. ეს ბარიერებისა და პრობლემების დაძლევაში დაგეხმარებათ და წარმატებებს მოგიტანთ.

**თევზები** – ხშირად იცვლით აზრს და სხვების ზეგავლენის ქვეშაც ადვილად ექცევით. დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, სხვებზე იზრუნოთ, დაეხმაროთ მათ და საქმეს შემოქმედებითად მიუდგეთ. ისწავლეთ თქვენი ძალისხმევის მხოლოდ ერთ საქმეზე კონცენტრირება. დაისახეთ მიზანი და ყველა ღონე იხმარეთ მის მისაღწევად – ამ შემთხვევაში, ბედი ნამდვილად გაგიღიმებთ და თქვენს კარმულ-კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1999 წლის 5 მარტს. მინდა უცხოეთში გამგზავრება. რომელი ქვეყნებია ჩემთვის ასტროლოგიურად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენთვის ნეიტრალურია. ქვეყნებიდან კი შედარებით კარგია: უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, კუნძული შრი-ლანკა, ბელგია, მოლდავეთი, ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ეგვიპტის ჩრდილოეთი ნაწილი, არგენტინა, ისრაელი, ჩრდილოკავკასიის ქვეყნები, ინდოეთის აღმოსავლეთი, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთისა და ვიეტნამის ცენტრალური მხარე, ფილიპინები, ტაილანდი, პანამა, ავსტრალიის ცენტრალური ნაწილი, ახალი ზელანდია, კორეა, ბანგლადეში, კუნძული მალტა.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 22 ოქტომბერს, საღამოს საათებში. რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები მომავალში წარმატების ადვილად მისაღწევად?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღები და წარმატების მომტანი პროფესიებია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე; მედიცინა, პედაგოგიკა, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, სამართალდამცავი ორგანოები, სამხედრო სტრუქტურები, უშიშროების სფერო, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმე.

**კითხვა: დავიბადე 1979 წლის 23 იანვარს. ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ვიქნები ბედნიერი?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღებია ურთიერთობა მერწყულის, სასწორის, ტყუპების, ვერძის, მშვილდოსნის ან მორიელის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. უფრთხილდით კუროს.

**კითხვა: დავიბადე 1999 წლის 13 თებერვალს. უცხოეთის რომელ ქვეყანაში გამიმართლებს, რომელი პროფესიებია წარმატების მომტანი და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს დავუკავშირო ბედი, რომ ბედნიერი საოჯახო ურთიერთობა მქონდეს?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენთვის ნეიტრალურია. ქვეყნებიდან კი უფრო მეტად მისაღებია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთი აფრიკა, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, პოლონეთი, შვედეთი, სლოვაკეთი, უზბეკეთი, კანადა, ფინეთი. რაც შეეხება სასურველ ზოდიაქოს ნიშანს, თქვენთვის მისაღებია მშვილდოსნის ან ვერძის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ბედის დაკავშირება. ერიდეთ თხის რქას. პროფესიებიდან კი წარმატებებს მოგიტანთ: სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, სოციოლოგია, ასტროლოგია, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, ტექნიკა-მექანიკა, საკონსტრუქტორო საქმე, ჟურნალისტიკა, სამრეწველო ტექნოლოგია, კომპიუტერული ტექნოლოგია, აუდიო-ვიდეო სისტემების ბიზნესი, არქიტექტურა, ისტორია, პედიატრია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია.

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

1 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

3 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

4 ოქტომბერი, **შაბათი** 18.00 - **„იოლი ფული"** - (ექსპერიმენტული სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თელავი. რეჟისორი - ნინი ჩაკვეტაძე. მონაწილეობენ: გიორგი მამალაშვილი, სალომე მაისურაძე, ნონა ხუმარაშვილი, დავით ნაცვლიშვილი, ელიზბარ ნერსესოვი, ბექა პაპუნაშვილი, ლექსო რაზმაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

4 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„რამიშვილები"** - (ბილეთის ფასი - 10 - 50 ლარი), (დიდი სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი. ავტორი, რეჟისორი, ქორეოგრაფი - ილიკო სუხიშვილი. *ხანგრძლივობა: 45 წუთი;*

4 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„ვირუსი"** - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), (მცირე სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ერევნის სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრი, სომხეთი. რეჟისორი: ჰაკობ გაზანჩიანი. მონაწილეობენ: იშხან ღარიბიანი, არმენ სანტროსიანი, სამველ დანიელიანი, ანაჰიტ ბაბელიანი, მარიამ ღაზანჯიანი, გოჰარ კარაპეტიანი, ნარა სარქისიანი, ვიგენ ტათევოსიანი, კონსტანტინ კოზმანოვი, აპავენ ალექსანიანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

5 ოქტომბერი, **კვირა** 15.00 - **„ჯაყო"** - (მცირე სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: რამაზ ხომასურიძე, ლელა მახნიაშვილი, თინათინ კობალაძე, რევაზ გიორგობიანი, დალი დოიჯაშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, მამუკა პავლიაშვილი, ნელი სალამაძე, ლია ბერიაშვილი, თამარ გოგიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

30 სექტემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

1 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

2 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

3 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

4 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

5 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

29 სექტემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„შუკშინის მოთხრობები"** - (ბილეთის ფასი - 15, 20, 35 ლარი), (დიდი სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ხალხთა სახელმწიფო თეატრი, რუსეთი. რეჟისორი: ალვის ჰერმანისი. მონაწილეობენ - ევგენი მირონოვი, ჩულპან ხამატოვა, იულია სვეჟაკოვა, იულია პერესილდი, ნატალია ნოზდრინა, მარინა ვოროჟიშევა, ალექსანდრე გრიშინი, პაველ აკიმკინი, ალექსანდრე ნოვინი, დიმიტრი ჟურავლიოვი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

3 ოქტომბერი, **პარასკევი** 18.00 - **„საწვავი"** (სარდაფი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, გორი. რეჟისორი: სოსო ნემსაძე. მონაწილეობენ: კახა ბერიძე, სოფი მაიერი, ვახტანგ ჩაჩანიძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

3 ოქტომბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ღვთიური პიესა"** - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), (დიდი სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური ეროვნული დრამატული თეატრი. რეჟისორი: მიხაილ მიხაილოვი. მონაწილეობენ: ვიდადი ჰასანოვი, ნიგარ გულაჰმადოვა, ფარვიზ მამადრზაევი, ნოვრუზ ნოვრუზლუ. *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

3-4 ოქტომბერი, **პარასკევი-შაბათი** 21.00 - **„შეშლილის წერილები"** - პრემიერა (სარდაფი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი - ლევან წულაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

5 ოქტომბერი, **კვირა** 20.00 - **„ადოლფი"** - (ბილეთის ფასი - 20 ლარი), (მცირე სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - BO შტაგე, თურქეთი. რეჟისორი: ლევენტ ოზდილეკი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

5 ოქტომბერი, **კვირა** 20.00 - **„უსახელო ვარსკვლავი"** - (დიდი სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ლია სულუაშვილი, ხათუნა ლუღუნიშვილი, ჯუნა თუმანიშვილი, ლექსო ჩემია, მანუჩარ გოგოლაური, ლაშა ბუტულაშვილი, მარინე ჯინჭველაძე-გოგოლაძე, ბაქარ ალავიძე, იური სუდაძე, ქეთევან შუბითიძე, მანანა ბერიძე, ცირა ტაბატაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

### სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

30 სექტემბერი, **სამშაბათი** 18.00 - **„სევდიანი სიმღერები ევროპის შუაგულიდან"** - (ბილეთის ფასი - 15 ლარი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ქალაქ ლაპეენრანტას თეატრი, ფინეთი. რეჟისორი: ჟარი ჟუუტინენი. მონაწილეობს - ლიზა სოფია პონტინენი; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

### გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

30 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„სლავას თოვლის შოუ"** - (ბილეთის ფასი - 10, 25, 35, 55 ლარი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - კომპანია „სლავას თოვლის შოუ", რუსეთი, დიდი ბრიტანეთი. რეჟისორი: სლავა პოლუნინი, ვიქტორ კრამერი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

3 ოქტომბერი, **პარასკევი** 19.00 - **„Concerto Barocco/Tarantela/ Petite Mort"** - (ბილეთის ფასი - 5 - 25 ლარი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. დამდგმელი ბალეტმაისტერი: ბარტ კუკი.ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია/ლუი მორო გოტჩოკი/ირჟი კილიანის ქორეოგრაფია; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

3 ოქტომბერი, **პარასკევი** 17.00 - **„დორიან გრეის პორტრეტი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, თბილისი. რეჟისორი: ნინი ჩაკვეტაძე. მონაწილეობენ: ერეკლე გეწაძე, ჯეჟი სხირტლაძე, შაკო მირიანაშვილი, ეკა დემეტრაძე, გიგი ქარსელაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

5 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„მოჩვენებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, თბილისი. რეჟისორი: მიშა ჩარკვიანი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, ზაალ ჩიქობავა, ალექსანდრე ბეგალიშვილი, ანა წერეთელი. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## ორშაბათი 29 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ქალი, რომელიც ბრუნდება"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **14.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **14.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"უძლეველნი"** **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **23.00** მხ/ფ **"განქორწინება"** (ჯ.ენისტონი) **00.45** მხ/ფ **"საბოლოო დანიშნულების ადგილი 3"** **02.15** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**06.45** სერ. **"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **1** სერ. **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში - 3"** **00.00** მხ/ფ **"სიკვდილის თამაში"** **02.00** მხ/ფ **"ხელმწიფის სახელით"**.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** გააცინე და მოიგე **23.30** ქ.სერ. **"ქალაქლდის ტყვია"** **00.30** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **13.35** კონცერტი - ანს. **"თბილისი"** **15.05** აქტუალური თემა **15.25** სპექტაკლი - **"დაკრძალვა კალიფორნიაში"** **17.00** დ/ფ "ხიდი" **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"უდიპლომო სასიძო"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** წმინდა სტეფანე ხირსელი **22.25** კვირიაკეს სიუჟეტი "აფხაზეთის გმირები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **23.55** შვიდგზის ლოცვა **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბრავო,ალბერ ლოლიშ"**.

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.10** "პულსი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40** სერიალი „ქუზეი და გუნეი" **19.03** ინ-ფაქტი **19.08, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.20** ახალი ამბები **1.40 სერიალი "რთული გზა"**.

## სამშაბათი 30 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.00** ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ქალი, რომელიც ბრუნდება"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **14.00** "გურმანია" **14.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **15.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"უძლეველნი"** **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტური. შესვენებისას: "ვიქტორინა" **00.40** მხ/ფ **"ბონი და კლაიდი"** (ფ.დანაუეი).

**06.45** სერ. **"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.25** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **2** სერ. **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში - 3"** . **00.00** მხ/ფ **"ფართო ნაბიჯით"** **01.35** მხ/ფ **"სიკვდილის თამაში"**.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** ქ.სერ. **"ქალაქლდის ტყვია"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** ეთნოგრაფია **06.25** მხ/ფ **"ბრავო,ალბერ ლოლიშ"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **11.20** პატერიკი **11.25** წმინდა სტეფანე ხირსელი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"უდიპლომო სასიძო"** **13.25** კონცერტი -სულიერება და მუსიკა **15.05** აქტუალური თემა **15.25** მხ/ფ **"მოხუცი და ზღვა"** **16.55** დ/ფ "უმორჩილესად გთხოვთ" **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მოკ./ფ **"ბავშვები"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.35** წმინდანთა ცხოვრება - აბო თბილელი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"** **02.15** ირაო.

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.20** გადაცემა „თეკუნას კულინარიუმი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.00** მაესტრო **11.00** (ახალი ამბები) **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **19.03** ინ-ფაქტი **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40 სერიალი "რთული გზა"**.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00, 20.00, 22.30 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„სიმინდის კუნძული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

14.40 - **„ცოდვების ქალაქი 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.15, 19.45 - **„კუ ნინძები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„სიმინდის კუნძული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 17.45, 20.15, 22.30 - **„ბედის ვარსკვლავის ბრალია"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

14.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„თვითმფრინავები 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

16.00, 18.00 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.30 - **„თვითმფრინავები 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

15.00, 17.30 - **„სიმინდის კუნძული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„სიმინდის კუნძული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

14.30 - **„თვითმფრინავები 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

17.00, 20.00 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ლუსი"** (რუსულად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.30 - **„ლუსი"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00 - **„სიმინდის კუნძული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ლავაშის რულეტი მწვადზე მისაყოლებლად







**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი თხელი ლავაში, 200 გრამი მაგარი ყველი, 3 ცალი კიტრი, 300 გრამი დამწნილებული სტაფილო, 1 კონა მწვანე სალათა, 2 კონა კამა, 400 გრამი მაიონეზი, 2 ჩაის კოვზი მდოგვი, 2 ჩაის კოვზი თაფლი, 4 სადილის კოვზი კეტჩუპი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** მოამზადეთ სოუსი – მაიონეზი, მდოგვი, თაფლი, კეტჩუპი და შავი პილპილი კარგად აურიეთ ერთმანეთში. ყველი წვრილ სახეხზე გახეხეთ. კამა დაჭერით ძალიან წვრილად, კიტრი – წვრილ ჩხირებად. სალათა ხელით დაანაწევრეთ. სტაფილო გახეხეთ ან დაჭერით წვრილად.

ლავაში გაშალეთ პერგამენტის ქაღალდზე. ასე რულეტს უკეთ შეინახავთ მაცივარში, პირველ ლავაშს წაუსვით სოუსი, მოაყარეთ გახეხილი ყველი და დააფარეთ მეორე ლავაში; წაუსვით სოუსის ნახევარი, მოაყარეთ ბლომად კამა და სალათის ფოთლები და დააფარეთ მესამე ლავაში; წაუსვით დარჩენილი სოუსი, მთელ სიბრტყეზე დააწყვეთ კიტრი და მოაყარეთ სტაფილო და გადაახვიეთ რულეტად. შეგიძლიათ, მაცივარში რამდენიმე დღეც შეინახოთ – ცივიც ძალიან გემრიელია. უხდება მწვადსაც და ქაბაბსაც. შეგიძლიათ, წაიღოთ პიკნიკზეც.

# სოკოს საცივი





**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ნებისმიერი სოკო, 100 გრამი ნიგოზი, 1 თავი ხახვი, 4 კბილი ნიორი, თითო პატარა კონა ქინძი, ოხრახუში და კამა, 1 ჭიქა სოკოს ბულიონი; მარილი, შავი პილპილი და ხმელი სუნელი – გემოვნებით; ცოტა ბროწეული – მოსართავად. ზეთი – მოსაშუშად.

**მომზადების წესი:** სოკო მოხარშეთ მარილწყალში. ამოიღეთ, ბულიონი კი გადაწურეთ დოლბანდში. ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად და ზეთში მოშუშეთ. ნიორი დანაყეთ. მწვანილი გარეცხეთ და შეაშრეთ. ნიგოზი დაფქვით ან ბლენდერში დააქუცმაცეთ და შეურიეთ დაქუცმაცებული მწვანილი, მოშუშული ხახვი და დანაყილი ნიორი.

სოკო დაჭერით და შეურიეთ ნიგვზიან მასას და ბულიონით გაათხელეთ სასურველ კონსისტენციამდე. უყავით ცოტა მარილი და ხმელი სუნელი. მზა საცივს მოაყარეთ ბროწეული.

* თუ ცილას წინასწარ 30 წუთი მოათავსებთ მაცივარში და თქვეფისას ცოტა ლიმონის წვენს დაუმატებთ, ძალიან სწრაფად და კარგად აითქვიფება. კვერცხის გულის შემთხვევაში კი საქმე პირიქით არის – მას სითბო და შაქარი „უყვარს“.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები







# სკუმბრია ფარშით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი მოზრდილი სკუმბრია, მარილი, შავი და წითელი წიწაკა, ხმელი კამა, 1-2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 4 სადილის კოვზი არაჟანი, 200-300 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 100-150 გრამი მაგარი ყველი, კამა, ოხრახუში და ორეგანო (ან ქონდარი).

**მომზადების წესი:** სკუმბრიას მოაშორეთ თავი, ხერხემალი და ფხები, ოღონდ, შეეცადეთ, მისი მთლიანობა შეინარჩუნოთ, გადააცალეთ კანი. დადეთ გადაშლილი სკუმბრია ზურგზე და მოაყარეთ მარილი, ყველანაირი წიწაკა და სუნელი. მოასხით ლიმონის წვენი, ზეთი და ასე გადაშლილი შეფუთეთ ფოლგაში და შეინახეთ მაცივარში. ცალკე მოამზადეთ სატენი: ხახვი და სოკო დაჭერით და მოშუშეთ. მოხარშული კვერცხი დაჭერით ბრტყელ ნაჭრებად. ყველს მოაჭერით რამდენიმე ნაჭერი, დანარჩენი გახეხეთ და დაუმატეთ არაჟანი, ასევე, წვრილად დაჭრილი მწვანილი და კარგად ამოურიეთ.

თევზი გამოიღეთ მაცივრიდან, წაუსვით არაჟანი, მოაყარეთ მწვანილი, დაადეთ რამდენიმე ნაჭერი ყველი. მოაყარეთ ნახევარი სოკო და ხახვი. შემდეგ ფენად დააწყვეთ კვერცხის ნაჭრები, ისევ სოკო და თევზი გადმოკეცეთ. ზემოდან წაუსვით არაჟანსა და მწვანილში შერეული გახეხილი ყველი.

დადეთ ტაფაზე და აცხვეთ ცხელ აირღუმელში 25-30 წუთის განმავლობაში, 180-200 გრადუს ტემპერატურაზე (შეიძლება, 15 წუთშიც მზად იყოს).

გარნირად ძალიან უხდება კარტოფილის პიურე.

# სოფლური ღვეზელი ქათმით





**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ფენოვანი ცომი (გაყინული ან თქვენ თვითონ მოამზადეთ); 600 გრამი მოხარშული და ძვალგამოცლილი ქათმი, 3/4 ჭიქა ბრინჯი, 100 გრამი ყველი პარმეზანი, 50 გრამი რბილი ყველი, 2 სადილის კოვზი მწვანე ხახვი (დაჭრილი), 1 სადილის კოვზი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, ბულგარული წიწაკა, მარილი – გემოვნებით, 200 მილილიტრი ნაღები, 150 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 2 ცალი კვერცხი.

**მომზადების წესი:** მოამზადეთ სატენი: ქათმის დაჭრილი ხორცი, მოხარშული ბრინჯი, ორივენაირი ყველი (გახეხილი), დაჭრილი მწვანილი, მარილი, სუნელები და წიწაკა ერთმანეთში კარგად აურიეთ (ცოტა პარმეზანი ცალკე მოიტოვეთ).

ცომი გაშალეთ გამოსაცხობ ტაფაზე. გარშემო, ნაპირებში მოაბნიეთ მოტოვებული გახეხილი პარმეზანი, შუაში კი სატენი მოათავსეთ. ცომის ნაპირები ფრთხილად გადაახვიეთ, რომ პარმეზანი დაიფაროს და მიდით შიგთავსამდე. მოასხით ღვეზელს ნაღები, ბულიონი და ჩანგლით კარგად ათქვეფილი კვერცხი. გამოაცხვეთ აირღუმელში, 180 გრადუსზე. როცა ზედაპირი ოქროსფერი გახდება, მზადაა. წარმოუდგენლად გემრიელია.



# სოკოსა და სატაცურის სალათა ნანა ნებიერიძისგან



*მიყვარს, როცა კერძებს ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის ჯანსაღი პროდუქტებით ვამზადებ. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ადამიანი მსუბუქად უნდა იკვებებოდეს და ორგანიზმს არ უნდა ტვირთავდეს მძიმე საჭმლის მიღებით. სოკოსა და სატაცურის სალათა საკმაოდ მარტივი მოსამზადებელი, მსუბუქი და სასარგებლო კერძია.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი სატაცური, 1 კონა ახალი ისპანახი, 2 პატარა თავი წითელი ხახვი, 2 ცალი პატარა ზომის პომიდორი, 50 გრამი ქამა სოკო, 1 კბილი ნიორი, 4 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო", 6 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სატაცური შუა-შუა გადატეხეთ და 20 წუთის განმავლობაში ხარშეთ მარილიან წყალში. ისპანახი გარეცხეთ და გააშრეთ. პომიდვრები შუა-შუა გაჭერით, ხახვი ალყა-ალყა დაჭერით; თხელ ფირფიტებად დაჭერით ნიორი და სოკო. სოკო და ნიორი 1 სადილის კოვზ ზეთში მსუბუქად მოშუშეთ. მოასხით „ბალზამიკო", დანარჩენი ზეითუნის ზეთი, მარილი და პილპილი, დაუმატეთ დანარჩენი ინგრედიენტებიც და შეაზავეთ მარილითა და პილპილით.



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# იაპონური კარი



**საჭირო ინგრედიენტები:** 1,2 კილოგრამი საქონლის ან ღორის ხორცი, 1 დიდი თავი ხახვი, 2 ცალი სტაფილო, 2 ცალი პატარა კარტოფილი, 2 კბილი ნიორი, 4 ჩაის ჭიქა ქათმის ბულიონი, 6 სადილის კოვზი ზეთი, 8 სადილის კოვზი პურის ფქვილი, 2,5 სადილის კოვზი კარის ფხვნილი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სტაფილო მრგვალ, მსხვილ ნაჭრებად, ხახვი – წვრილად, კარტოფილი და ხორცი კი კუბიკებად დაჭერით. ხორცი, ხახვი და ნიორი მოათავსეთ ქვაბში 2 სადილის კოვზ ზეთთან ერთად და მოშუშეთ. დაასხით ბულიონი (ნახევარი ჩაის ჭიქა მოიტოვეთ) და ხარშეთ 1 საათი, სანამ დარბილდება. დაუმატეთ კარტოფილი და განაგრძეთ ხარშვა. პარალელურად, ტაფაზე გააცხელეთ დარჩენილი ზეთი, დაუმატეთ ფქვილი და შუშეთ, სანამ ოქროსფერს მიიღებს. შეურიეთ კარის ფხვნილი, 0,5 ჭიქა ბულიონი და ურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. შეურიეთ ხორცი და ბოსტნეული, შეანელეთ მარილით. ხარშეთ 30 წუთი დაბალ ცეცხლზე, სანამ წვენი შესქელდება. გარნირად მოამზადეთ ბრინჯი.



# სალათა „ნიცა"

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი მწვანე ლობიო, 150 გრამი სხვადასხვა სახეობის სალათის ფოთოლი, 50 გრამი რუკოლა, 100 გრამი პომიდორი „ჩერი", 1 თავი წითელი ხახვი, 1 ქილა თინუსის კონსერვი, 2 ცალი კვერცხი, 6 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი წითელი ღვინის ძმარი, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, მარილი, შავი პილპილი და შაქარი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მწვანე ლობიო ჩაყარეთ მდუღარე მარილიან წყალში და ხარშეთ 8 წუთი, შემდეგ გადაწურეთ და შეაგრილეთ. სალათის ფოთლები და რუკოლა გარეცხეთ და გაამშრალეთ, შემდეგ ხელით მსხვილად დააქუცმაცეთ. პომიდვრები შუა-შუა გაჭერით, ხახვი კი ალყა-ალყა, ძალიან თხლად დაჭერით. თინუსის კონსერვი გადაწურეთ. კვერცხი მდუღარე წყალში მოათავსეთ და 8 წუთი ხარშეთ, შემდეგ ცივი წყალი გადაავლეთ. ზეთი, ძმარი, მარილი, პილპილი და მწიკვი შაქარი ერთად ათქვიფეთ. კვერცხი ოთხად დაჭერით სიგრძეზე. ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში აურიეთ და სოუსი ზემოდან მოასხით.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## ჯადოსნური სარკე – ჩარჩო

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ კვერცხის ნაჭუჭისგან ორიგინალური, ლამაზი ჩარჩოს დამზადება შეიძლება? ჯერ კარგად დაათვალიერეთ ფოტოები და შეუდექით საქმეს: აიღეთ მრგვალი ან ოთხკუთხედი მოზრდილი მუყაოს ნაჭერი და მასზე, შუაზე ოდნავ ზემოთ, ჯერ ერთი დიდი წრეწირი შემოხაზეთ და გამოჭერით, შემდეგ კი, დარჩენილ თავისუფალ ადგილზე, შემოხაზეთ რამდენიმე სხვადასხვა ზომის წრე და ისინიც ამოჭერით. წაუსვით წებო და მთლიანად დაფარეთ წინასწარ დამტვრეული მშრალი ნაჭუჭით. შეღებეთ თქვენთვის სასურველი ფერის ნებისმიერი საღებავით, წრეებს ნაპირზე ლამაზი კანტი ან წნული შემოავლეთ და მთლიანად გადაუსვით ვერცხლისფერი ან ოქროსფერი ბრინჯაოს საღებავი („ბრონზა"); შემდეგ უკანა მხრიდან მეორე, იმავე ზომის მუყაო დააკარით და ჩამოსაკიდიც გაუკეთეთ, მანამდე კი შუაში ფოტოები ან სარკეები ჩაუმაგრეთ.

## ჩანთა – ძველი შარვლიდან

დაგჭირდებათ ძველი შარვლის ერთი ტოტი და ფერადი ქსოვილი. დახედეთ სურათებს: შარვლის ტოტს მოაჭერით სათავე (სათავე ჩანთის „ყურად" გამოგადგებათ). აიღეთ შარვლის ტოტის ის მხარე, რომელზეც ჯიბეა მიკერებული, ანუ, უკანა მხარე და გაუკეთეთ ფერადი ქსოვილის სარჩული. ასეთივე სარჩული გაუკეთეთ „ყურსაც". რაც უფრო ხასხასა იქნება ქსოვილი, მით უფრო ლამაზი გამოვა თქვენი ჩანთა. გადაკეცეთ სამად, ისე, რომ ჯიბიანი მხარე გადმოეფაროს და გვერდებზე ჩაკერეთ. მიაკერეთ ყურიც.



* სამზარეულოში იატაკის მოწმენდისას წყალში ლიმონის წვენი ჩაუმატეთ და შედეგით კმაყოფილი დარჩებით – სისუფთავეც იქნება და სასიამოვნო სუნიც.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 1 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.00 ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მომავე" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"ქალი, რომელიც ბრუნდება"** 12.30 ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 14.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 14.30 "გააგრძელე საქართველოს ისტორია" 15.00 დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" 17.00 ტ/სერ. **"უძლეველნი"** 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – "1 ოქტომბერი - სიხარული" რომელსაც ვერ იყიდი" და "ჩაი და ფეხბურთი" 21.00 ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** 22.00 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტური. (პ/რეპ) შესვენებისას: "ვიქტორინა" 00.40 მხ/ფ **"სულიერი სამზარეულო"**.

06.45 სერ. **"შურისმაძიებელი"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 3 სერ. 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 გათამაშება — კარფური 00.00 სერ. **"შუა ქალაქში — 3"**. 01.00 EMERGENCY — სასწრაფო დახმარება 01.40 მხ/ფ **"მოჩვენებების ქალაქი"** 03.50 მხ/ფ **"ფართო ნაბიჯით"**.

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ეზელი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 "ნანუკას შოუ" 23.30 ქ.სერ. **"ქალაღდის ტყვია"** 00.30 კიმონო 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ **"კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 მოკ./ფ **"ბავშვები"** 13.30 კონცერტი - დები გოგოჭურები 14.45 "ჩვენი ამბავი" 15.05 აქტუალური თემა 15.20 მხ/ფ **"თოვლის დედოფალი"** I ნაწ. 16.45 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 მხ/ფ **"სიბრძნე სიცრუისა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ჩუბჩიკა" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"**.

7.00, 1.20 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"კატის თვალი"** 8.15 გადაცემა „უცნობი ისტორიები" 8.40, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 (ახალი ამბები) 9.30 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.50 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.30, 13.03 ბიზნეს კონტაქტი 13.30, 14.03 მაესტროს შუადღე შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.08, 20.07 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 19.03 ინ-ფაქტი 21.00 მაესტროს „ცხრიანი/(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** 23.20 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.40 **სერიალი "რთული გზა"**.

## ხუთშაბათი 2 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 09.00 ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მომავე" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"ქალი, რომელიც ბრუნდება"** 12.30 ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 14.00 "გურმანია" 14.30 "გააგრძელე საქართველოს ისტორია" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** 17.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"კოტონ მერი"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"**. 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 4 სერ. 22.00, 23.00 სერ. **"შუა ქალაქში - 3"** 00.00 მხ/ფ **"დევნილი"** (ტ.ლი ჯონსი) 01.50 მხ/ფ **"მოჩვენებების ქალაქი"** (მ.დილონი).

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ეზელი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 23.30 ქ.სერ. **"ქაღალდის ტყვია"** 00.30 სოციალური ცელი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"სიბრძნე სიცრუისა"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 კონცერტი -აღდგომიდან ამაღლებამდე - ალექსანდრე კორსანტია 15.05 აქტუალური თემა 15.25 მხ/ფ **"თოვლის დედოფალი"** II ნაწ. 16.50 კვირიაკეს სიუჟეტი "სარკის წმინდა გიორგი" 17.05 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ **"უსახელო უფლისწული"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 დ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" 22.25 დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ლელოს შემობრუნება" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ბესამე"**.

7.00, 1.20 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"კატის თვალი"** 8.10 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 8.40, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 (ახალი ამბები) 9.30 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.50 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.30, 13.03 ბიზნეს კონტაქტი 13.30, 14.03 მაესტროს შუადღე შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.00 მაესტრო 16.00 (ახალი ამბები) 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.08, 20.07 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** 23.20 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.40 **სერიალი "რთული გზა"**.

## პარასკევი 3 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.00 ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მომავე" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"ქალი, რომელიც ბრუნდება"** 12.30 ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 14.00 "შემოძახილი" 14.30 "გააგრძელე საქართველოს ისტორია" 15.00 ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** 17.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.00 ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია 23.30 მხ/ფ **"ამელია ერჰარტი"** 02.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 5 სერ. 22.00 რეაქცია (პ/ე) 00.00 სერ. **"შუა ქალაქში — 3"** 01.00 მხ/ფ **"ფული ორისათვის"** (მ.მაკონეჰი) 03.05 მხ/ფ **"უკანასკნელი ლეგიონი"** (ჩ.ტატუმი) (ტიტ.).

06.30 სერ. **"არ დამივიწყო"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00,

**15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** ბრავო - დაწყება **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ "**ბესამე**" **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე" **10.05** ქვიშით ნაამბობი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ "**უსახელო უფლისციხელი**" **13.25** კონცერტი -ანს."თეატრალურის კვარტეტი" **15.05** აქტუალური თემა **15.20** მხ/ფ "**ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი**" **16.40** დიდ ხარ შენ, უფალო **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "**13** ასურელი მამა" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ბანდიტი აგურის ქარხნიდან**".

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.20** გადაცემა „თეკუნას კულინარიუმი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00** მაესტრო **12.00** (ახალი ამბები) **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **19.03** ინ-ფაქტი **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"**.

## შაბათი 4 ოქტომბერი

**08.00** ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" **09.00** ან/ფ "რა მშვენიერია პანამა" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ქალი, რომელიც ბრუნდება**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი" მწარე ცხოვრება**" **13.30** "სპექტაკლის დრო" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" **16.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **17.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **18.00** მხ/ფ "**სიყვარულის ამბავი**" **22.00** მხ/ფ "**საით მივყავართ ოცნებებს**" **23.50** მხ/ფ "**ბასკერვილების ძაღლი**" **01.30** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

**07.30** ან/ფ "ჯუნგლების წიგნი" **08.00** მხ/ფ "**პაჩიკო**" **10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. "**შუა ქალაქში - 3**" **13.00** კულინარიული დუელი **14.35** ორი ვარსკვლავი **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **6** სერ. **21.45** გათამაშება — ტექნო ბუმი (პ/ე) **22.00** სერ. "**შუა ქალაქში — 4**" **1** სერ. **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ "**ორდენი**" ვან დამი **01.35** მხ/ფ "**ბიჭი-სათამაშო**" (ე.კუჩერი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** გააცინე და მოიგე **15.30** ნანუკას შოუ **18.40** ვინ დაამარცხებს ვასოს **19.40** იღბლიანი ბორბალი **22.30** განსხვავებული აქცენტები **23.00** ქ.სერ. "**ქაღალდის ტყვია**" **23.30** რა? სად? როდის? **00.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** დ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **13.30** დ/ფ "**13** ასურელი მამა" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა -**ლუჩია დე ლამერმური** **17.30** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** დ/ფ "საპოვნელა" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ხილული სასწაულები" მამა სოკრატე **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**ამისტადი**" I ნაწ.

**7.00, 1.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მებრძოლი**" **9.00** **სერიალი "ასი"** **10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა „პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა **11.50, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 19.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 19.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა „თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა „**60** კითხვა ინტერიერში" **13.05** მხ3ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" **15.30** ოთარ ტატიშვილის შოუ **16.30** SV **11** მაესტროზე **17.30** „ინფაქტი" **18.40** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **20.30** გადაცემა „უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **22.00** **სერიალი "რვაფეხა"** **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **23.45** „აბების" კვირის ანეკდოტები **0.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

## კვირა 5 ოქტომბერი

**08.00** ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" **09.00** მხ/ფ "**საიდუმლო ბაღში დაბრუნება**" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ქალი, რომელიც ბრუნდება**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **13.30** ქართ. მხ/ფ "**მაცი ხვიტია**" **15.00** ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **18.00** **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**დინამო**" /**თბილისი**/ – "**მერანი**" /**მარტვილი**/ **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ჩემი წიგნი" **22.00** მხ/ფ "**სინანული**" (კ.ნაიტლი) **00.00** **კონცერტი**: იტალიური კინომუსიკის შედევრები **01.10** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**07.30** ან/ფ "ჯუნგლების წიგნი" **09.00** მხ/ფ "**წითელქუდა**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**შუა ქალაქში - 4**" **13.00** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **14.35** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **16.30** იდენტიფიკაცია **17.35** იმედის გმირები **17.50** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" **20.40** იუმორინა **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში - 4**" **2-3** სერ. **00.00** მხ/ფ "**დრაივი**" (რ.გოსლინგი) **01.45** მხ/ფ "**სამართლიანი თამაში**" (ნ.უოტსი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** "სახლი" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** ქერის უბანი **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ბრავო **18.40** ექიმები **19.40** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **23.00** ქ.სერ. "**ქაღალდის ტყვია**" **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.25** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.25** დ/ფ "შორია გურჯისტანამდე" **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** "ჩვენი ამბავი" **19.35** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ჯიხეთი - დედათა მონასტერი" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ "**ამისტადი**" II ნაწ.

**7.00, 1.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მებრძოლი**" **9.00** **სერიალი "ასი"** **10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** „პულსი" **11.00** უცნობი ისტორიები **11.30** გადაცემა „**60** კითხვა ინტერიერში" **11.55, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა „თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა „იდ" **13.05** მხ3ფ "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" **15.30** სუბიექტური აზრი **16.30** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **17.30** „აბების" კვირის ანეკდოტები **18.30** ჟურნალისტური გამოძიება "მონიტორი" **19.00** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **20.15** TV **11** მაესტროზე **21.00** ვახო სანაიას რეპორტაჟი **22.00** **სერიალი "რვაფეხა"** **23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.



### ვერძი

დათანხმდით ახალ შემოთავაზებას – ეს მეტ სარგებელს მოგიტანთ ფინანსური კუთხით. ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი გარშემო მყოფთა მიმართ; ასევე, ნუ დაიწყებთ ახალი რომანტიკული გრძნობის ძიებას, რადგან ეს არსებულ სასიყვარულო პარტნიორთან სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს. არ გირჩევთ მოგზაურობას.



### კურო

ნუ გააკრიტიკებთ სხვებს. თავი აარიდეთ კონფლიქტებს. ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებას დაიწყებს, თუმცა, მოიმატებს ხარჯიც. საყვარელ ადამიანთან ნუ გამოავლენთ ეჭვიანობას და იყავით მეტად დამთმობი. არ გირჩევთ მოგზაურობას.



### ტყუპები

თქვენი ენთუზიაზმი გადამდები აღმოჩნდება. სამსახურში გამოიყენეთ არაორდინარული გზები და მეთოდები. კარგია იმიჯის შეცვლა. ნუ გარისკავთ. კარგია მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი – ეს დაგეხმარებათ, დაისვენოთ და, თან, ადვილად მიაღწიოთ წარმატებებს.



### კირჩხიბი

მოერიდეთ კოლეგების კრიტიკას და მათთან კონფლიქტებს. ნუ გაამუქებთ მოვლენებს და შეინარჩუნეთ რეალობის აღქმის უნარი. პირადი ცხოვრებით ნუ იქნებით უკმაყოფილო, რადგან, ყველაფერი გამოსწორდება. ასევე, ნუ გეწყინებათ თუ საყვარელი ადამიანი მოუცლელობის გამო ყურადღებას მოგაკლებთ.



### ლომი

ეცადეთ, გარშემო მყოფებს იაფფასიანი ხრიკებით არ მოაწონოთ თავი. წარმატებას მოგიტანთ შემოქმედებითი საქმიანობა. იმოქმედეთ წინდახედულად. არ არის გამორიცხული, თქვენს ცხოვრებაში ახალი სასიყვარულო პარტნიორი გამოჩნდეს. ეცადეთ, არ გადაიღალოთ და დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ.



### ქალწული

მოემზადეთ ახალი პროექტების დასაწყებად. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და სტაბილურობა. მაღალია კარიერაში წინსვლის ალბათობა. თუ არ გაკმაყოფილებთ არსებული სასიყვარულო ურთიერთობა, დაფიქრდით პირად ცხოვრებაში ცვლილებებზე.



### სასწორი

თავს ენერგიულად იგრძნობთ და მოგინდებათ ბევრი საქმის ერთდროულად შესრულება. შეძლებთ ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენას. სტაბილური ოჯახური და სასიყვარულო ურთიერთობა მეტ სტიმულს შეგმატებთ, კარიერულ საქმიანობაში. დაიცავით წესები და კანონები.



### მორიელი

ბევრი დრო დაუთმეთ შემოქმედებით სამუშაოს და ახლობლებთან ურთიერთობას. მოერიდეთ უკანონო ქმედებებს და ფინანსურ გარიგებებს, ასევე, რისკს და აზარტულ თამაშებს. ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი საყვარელი ადამიანის მიმართ და მიეცით მას მეტი თავისუფლება.



### მშვილდოსანი

კოლეგებთან იყავით მშვიდი და დამთმობი. ხელმძღვანელი პირების კეთილგანწყობა საქმეში მეტ სტიმულს მოგცემთ. გამართლებულია ცოტაოდენი რისკიც. არ არის გამორიცხული ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, ვისთანაც ხანგრძლივი სასიყვარულო გრძნობა დაგაკავშირებთ. კარგია იმიჯის ცვლილება.



### თხის რქა

პრობლემების მიუხედავად გაგიადვილდებათ საქმეში წინსვლა და მიზნის მიღწევა. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, ეს ფინანსურად მომგებიანი აღმოჩნდება. არ არის გამორიცხული, კოლეგების წრეში აღმოაჩინოთ ის ადამიანი, ვისთანაც სასიყვარულო გრძნობა გაგიჩნდებათ.



### მერწყული

თავს კარგად იგრძნობთ და პროფესიულ სფეროში ახალი მწვერვალების დაპყრობა მოგინდებათ. კარგია ახალი ნაცნობობა, მოგზაურობა და ახალი სასიყვარულო კავშირები. რომანტიკული შეხვედრები და ურთიერთობები სიამოვნებას მოგგვრით და თავდაჯერებულობას შეგმატებთ.



### თევზები

ნუ გარისკავთ და ჭკვიანურად ხარჯეთ ფული. გაიზრდება თქვენი მომხიბვლელობა, კონტაქტებისა და გადაადგილებების რიცხვი. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს და დაიწყეთ დროული მკურნალობა. საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაგანებივრებთ.

**ახალმთვარეობა – 24 ოქტომბერი 21:15 სთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

სიყვარულისა და მიტევების დღეა. აკონტროლეთ სიტყვები და ემოციები. არ აჰყვეთ პროვოკაციებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ლაბრადორი, აკვამარინი, სარდიონი ან ჯესპილიტი. ნუ მოუყვებით სიზმარს სხვებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, სასამართლო პროცესების გამართვა, უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.*

### სამშაბათი

წადით კომპრომისზე და ნუ იქნებით ჯიუტი. გამოავლინეთ მეტი სამართლიანობა და შრომისუნარიანობა. სიფრთხილე გამოიჩინეთ კაპიტალდაბანდების დროს. არ ვარგა მშენებლობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ბრილიანტი, ლალი, საფირონი ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

რთულდება ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტა. შეასრულეთ დაკისრებული ვალდებულებები. მოერიდეთ თმის შეჭრას, ფინანსურ ოპერაციებს, ვაჭრობას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას. ატარეთ კრემისფერი, ლურჯი, ყავისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მანუალური თერაპია, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მანქანის შეძენა, მიწათმოქმედება. სუსტდება ხერხემალი, ძვლოვანი სისტემა, სახსრები, კანი.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამოიჩინეთ მეტი თავდაჭერა, დისციპლინა და სამართლიანობა. შეასრულეთ დაკისრებული ვალდებულებები. ატარეთ კრემისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ოპალი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ ვაჭრობას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტს, სასიყვარულო კავშირებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, ექიმებთან კონსულტაცია, მანქანის შეძენა. სუსტდება ძვლები, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის, თხის რქებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### პარასკევი

კარგია მოგზაურობა, საოჯახო საქმიანობა, სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, მეგობრული კონტაქტები, ხელოვნებასთან ურთიერთობა. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. ატარეთ კრემისფერი, ლურჯი, მწვანე, ცისფერი, ყვითელი, ვერცხლისფერი ან წითელი სამოსი, ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, საფირონი, აკვამარინი ან ციტრინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სახლის მშენებლობა, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება. სუსტდება ძვლები, სახსრები, მუხლები, თვალები, ნერვული სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

### შაბათი

აკონტროლეთ საკუთარი ემოციები და ნუ გააკონტროლებთ სხვებს. გაგიჭირდებათ ახლობლებთან საერთო ენის გამონახვა. ატარეთ ვერცხლისფერი, წითელი, ვარდისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ადგილსამყოფელის შეცვლა, გართობა. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მისტიკური საიდუმლოებების დღეა. კარგია შერიგება, სტერეოტიპების დანგრევა, პირად ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა. მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. ატარეთ მწვანე, ყვითელი, ფირუზისფერი, იისფერი, ლურჯი, ცისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო ან მარჯანი. დაამახსოვრეთ თქვენი სიზმარი. კარგია მოგზაურობა, შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ენდოკრინული, ნერვული და ლიმფური სისტემები, თვალები, კანი, ტერფები.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### აბაშიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აბაშა**. მისგანაა ნაწარმოები გვარები: **აბაშიძე, აბაშიშვილი და აბაშია.**

„თავადი **აბაშის** შვილნი იყვნენ ძველად ყიფიანნი ეგვიპტის ნანილითგან. ოდეს მეფესა დიმიტრის ბრძოლასა შინა ეგვიპტელთასა ცხენი მოუკლეს, მაშინ **აბაშმან** ამან ცხენი თავისი მიართო და განარინა მათ წელსა ქრისტესა აქეთ 1285-სა და, შემდგომად ბრძოლისა, მეფემან მიიღო აბაში იგი მერეთ, შემდგომად მოსვლისა ქართლსა შინა, თანა მოჰყვა აბაში იგი და მეფემან ჯილდოდ უბოძა თავადობა **აბაშ-ადზე** წოდებით და სომხითსა შინა სამეფოთგან ადგილნი და სოფელნი ორბისის მხარეს და სხვაგან და მუნ ჟამითგან არიან თავადად **აბაშად** აღიარებულნი გარნა ამა დროსა შინა ასწუდა გვარი მათი და არ ვიღა არიან შთამომავლობანი მისნი."

**აბაშიშვილები** ქვემო ქართლში იყვნენ მებატონეები. დავით **აბაშიშვილს** 1721 წელს ყმები ჰყოლია კიკეთში, გოლთეთში, ფარცხისში, ოშეთში, მჟავისში, გარისში, ეცოში, უკანდალეთსა და დიაში.

1721 წელს **აბაშიშვილი** და ეპისკოპოსი იოსებ სააკაძე მანგლისის საეკლესიო მიწისა და იქ მოსახლე გლეხებზე პრეტენზიას აცხადებდნენ და ამის თაობაზე ვახტანგ მეფესთან წარდგნენ.

1785 წელს ლუარსაბ **აბაშიშვილმა** იოანე ეპისკოპოსს შესწირა სოფელი არმანეთი.

საქართველოში 153 **აბაშიშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 115, თბილისში – 27, გორში – 11.

### ალბუთაშვილი

გვარის წინაპრები ძველისძველი ფხოვის ერთ-ერთი იმ შტოს ეკუთვნოდნენ, ბორბალოს მთის იქით, მდინარე არღუნის უკიდურესი სამხრეთით, უკანა ფშავიდან მათურის ხევისა და ხოსარის მთის გადავლით, ივრის ხეობიდან ტბათანას გასწვრივ რომ სახლობდა.

აქაურებს „გლეხებს" ეძახდნენ, რაც ქართულად სამხრეთელს, მზისმხარელს ნიშნავს. სარწმუნოებრივად, გლეხები, ისევე, როგორც იქ მცხოვრები ტომები – თუშები, მთიულები, ფშაველები, ხევსურები – წარმართები იყვნენ.




მათი პირველი სალოცავი წმიდა გიორგი ყოფილა; ამავე დროს, ჰქონიათ საგვარეულო კულტებიც, რაც ადასტურებს მათ კერპთაყვანისმცემლობას. ლოცულობდნენ: კარატეს, დამასტეს, იახსარსა და ხახმატს, ლაშარის ჯვარს. შემდეგ, შამილის ცნობილი ლაშქრობის დროს, ეს ადგილები თანდათანობით დაიცალა, რასაც ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ეკლესია კედელზე ამოტვიფრული ქრისტიანული ჯვრით და სამარხები. შემდგომ, პოლიტიკურ ვითარებათა ცვალებადობას მოჰყვა ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა. აშენდა ციხე-კოშკები არღუნის დაყოლებაზე; თამარ მეფის დროს ჩნდება დედაციხე. მას ქართველი მეციხოვნეები იცავდნენ. ითუმყალიდან ხუთ კილომეტრში დღესაც დგას თამარის ციხე.

**ალბუთაშვილების** გვარის ხალხი ჩანს დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, თელავის რაიონებში.

დადგინდა, რომ **ალბუთაშვილები** სასულიერო პირებიც იყვნენ.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში თელავში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი და მკვლევარი, შემდგომში კი სასულიერო პირი, მათე **ალბუთაშვილი** – პანკისის ხეობის მოსახლეობის ისტორიის, გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული მასალების უბადლო მცოდნე, რომელიც შემდგომ ხეობის, კერძოდ, სოფელ ჯოყოლოს წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო. მისი წყალობით აღდგა პანკისის ხეობაში ქრისტიანული წირვა-ლოცვა.

საქართველოში 280 **ალბუთაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 63, თბილისში – 62, დუშეთში – 53. არიან სხვაგანაც.

### ზაზაშვილი – ზაზიკაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზაზა**, რომელიც ებრაული წარმოშობისაა და ქართულად უხვს, ბრწყინვალეს ნიშნავს.

ამირა **ზაზაშვილი**, ვახუშტისა და ასლამაზის ყმა, მოიხსენიება 1883 წლის ყმების ნუსხაში, რომელიც სელიმხანა მელიქსეთაშვილის სახელზე იყო გაცემული.

ზაქუმბეგ **ზაზაშვილი** 1680-1716 წლებში მოიხსენიება ავთანდილ დიასამიძის სახელზე გაცემულ ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში.

ამავე ძირისაა გვარები: **ზაზაძე, ზაზიაშვილი, ზაზიკაშვილი.**

საქართველოში 647 **ზაზაშვილი** ცხოვრობს: ადიგენში – 241, თბილისში – 151, თელავში – 64. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

# როგორ შეიცვალა პანჩოს მარტოხელა ცხოვრება და ვინ აანთო ნაპერწკლიდან ალი მის ცხოვრებაში

(მე-18 გვერდიდან)

**პანჩო**: ამ დროს მე, ნარებზე წამოგორებული, გლდანის ციხის კამერაში ვწერდი სიმღერებს *(იცინის)*. წარმოიდგინე, ერთი წელიწადი არ მყავდა ნანახი და ძალიან მენატრებოდნენ. არ ვიცოდი, რა ხდებოდა და როგორ იყვნენ. იქ, ისეთ პატარა ოთახში რომ ზიხარ და თან ამდენ ხანს, უამრავი დრო გაქვს იმისთვის, შენს განვლილ ცხოვრებაზე იფიქრო. მოკლედ, ტვინი მეტკინა, იმდენი ვიფიქრე.

**– რა შეცვალა ამ ერთმა წელიწადმა თქვენში?**

– ძალიან ბევრი რამ შეცვალა – ჩემი ცხოვრების წესი. ადრე სხვანაირად ვცხოვრობდი და რომ გამოვედი, სულ სხვა ცხოვრება დავიწყე. იცი, რა მომენტია? მე ჩემს პირადზე ვამბობ. რა თქმა უნდა, მომიხდა ის, რომ დამიჭირეს. შეიძლება, ამდენი არ უნდა მოეცათ, მაგრამ მაინც მგონია, რომ საჭირო იყო ჩემთვის. საპატიმროში იმდენი დრო გაქვს ფიქრისთვის, ცხოვრების გააზრებისთვის, რა დაგაკლდა, რისთვის დაგაკლდა, რომ ადამიანი იცვლება. ციხეში შეიძლება, იმაზე მეტი ისწავლო ერთ წელიწადში, ვიდრე ჩვეულებრივ, ათ წელიწადში.

**– როცა შემოქმედება დაიწყეთ, მაშინ განსხვავებული დრო და მოთხოვნილებები იყო. დღეს რა ხდება თქვენს შემოქმედებაში?**

– მაშინ ადამიანებს შორის იყო სხვა ურთიერთობა, სხვა დამოკიდებულებები, სხვა ფასეულობები გვქონდა. ახლა ეგოიზმის ერა მოდის. „მე, მე"... ეგრე იქნება მალე. ეს რომ არ იყოს, ამიტომ, ვინც ვართ, ჩემი მეგობრები, ჩემი თაობა, რომლებიც ვგრძნობთ, რომ სიყვარული გადაგვარჩენს, ვაკეთებთ პროექტს, რომელსაც ჰქვია „სიყვარულის მატარებელი". დავჯდებით ამ მატარებელზე მსახიობები, მომღერლები, მხატვრები... და სამას კაცამდე ვიქნებით. ჯერ გორში გავაკეთებთ კონცერტს, მერე სამტრედიაში და ბოლოს ბათუმში. მართლა შეიცვალა ყველაფერი. სიყვარული აკლდება ხალხს ურთიერთობაში. არც ტელეფონი იყო, არც ინტერნეტი, მაგრამ ხალხი ერთმანეთს ვნახულობდით. ახლა შეიძლება, ერთი წელიწადი ვერ ნახო ადამიანი და მიწერო: როგორ ხარ? – კარგად... ეს ურთიერთობა არ არის. მე მიმაჩნია, რომ უთრიერთობა და სიყვარული გადაარჩენს სიცოცხლეს დედამიწაზე.

**– სხვა გეგმები თუ გაქვთ სამომავლოდ?**

– დიდი ხანია, ალბომი მაქვს ჩაწერილი და ვერ გამოვუშვი, მისი გამოშვება მინდა და კიდევ ახალი სიმღერები მაქვს, მათი ჩაწერაც მინდა. ალბომის გამოშვება კი მინდა, მაგრამ მსმენელი ინტერნეტიდან გადმოიწერს ამ სიმღერებს და მოუსმენს. ამიტომ, ალბომის სიტუაცია თბილისში ნაკლებად არის, ვინმესთვის საჩუქრად თუ არ გინდა. ამიტომ, მისთვის ხარჯების გაწევას აზრი არ აქვს. არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო. მე მგონია, რაც უნდა გამეკეთებინა, უკვე გავაკეთე. ახლა, წესით, უნდა მქონდეს ცხოვრებით დატკბობის საშუალება, უკვე იმ წლოვანების ვარ. მაგრამ, ასე არ არის და ახლა მიწევს „ჩალიჩი" ამისთვის. ერთ ინტერვიუში მითხრეს ერთი შვიდი წლის წინ, თქვენ ისეთი პოპულარული იყავით ოცი წლის წინ, ახლაც ასეთი პოპულარული ხართო. გსიამოვნებთ ესო? მე ვუთხარი: რომ არ ვიყო ქართველი, ვიყო ჩუქჩა, ვცხოვრობდე იურტაში ჩუქჩებთან ერთად და იქ ვიყო ისეთივე პოპულარული, როგორიც ახლა საქართველოში ვარ, მალაზიაში სიგარეტის ვალი მექნებოდა-მეთქი? – არაო. მე ვუთხარი, რომ მე მაქვს. ვარ პოპულარული, მაგრამ ვერ ვცხოვრობ პოპულარობის შესაბამისად. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ასე ხდება, საქართველოს გარდა. დღეს საქართველოს სიყვარული აკლია. იმის მიუხედავად, რომ პოპულარობით ფული ვერ ვიშოვე, ბედნიერი ვარ! ბედნიერებაა, როცა ტაქსისტი გცნობს და ფულს არ გართმევს. ბედნიერებაა, როცა გვერდით ამდენი კარგი ადამიანი გყავს, რომლებიც ძალიან მიყვარს და ყველაზე მთავარი, ბედნიერებაა, როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს: ესაა ცხოვრებაში მთავარი და მე ბედნიერი ვარ!

**ქეთი კაპანაძე**

# ბეჭედი იტყვის სიმართლეს

***ბეჭედი ჩვეულებრივი სამკაული არ არის. მასთან უამრავი რიტუალია დაკავშირებული. ბეჭედი ხშირად თილისმის როლსაც ასრულებს. იმის მიხედვით, თუ რომელ თითზე ატარებს ბეჭედს ადამიანი, შეიძლება მისი ხასიათის თავისებურებების განსაზღვრა.***

**ცერი თითი** *(პლანეტა მარსის თითი)* – ცერ თითზე ბეჭდის ტარება უყვარს ექსპანსიურ, ემოციურ, დიდი ენერგიის მქონე ადამიანს. მისი რამეში დარწმუნება დროის ფუჭი ხარჯვაა. შეუძლია, ისეთი რამე გითხრას აღელვებისას, რომ დიდხანს მწარედ დაგამახსოვროს. უდიდესი ტემპერამენტი აქვს, რომელსაც ხშირად ვერ მართავს. აგრესიული და პატივმოყვარე.

**საჩვენებელი თითი** *(პლანეტა იუპიტერის თითი)* – ამ თითზე ბეჭედს იკეთებს მორცხვი, გაუბედავი ადამიანი. ისინი რთულად იღებენ გადაწყვეტილებას, უჭირთ კომუნიკაცია და არ გამოსდით ურთიერთობები, თუმცა, სერიოზულები და ერთგულები არიან. თუ საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნებთ, შეიძლება, ლიდერებიც გახდნენ.

**შუა თითი** *(პლანეტა სატურნის თითი)* – ამ თითზე საგვარეულო ბეჭედს ატარებენ ხოლმე, რათა კავშირი ჰქონდეთ წინაპრებთან. სწამთ ბედისწერის და ცრუმორწმუნეებიც არიან, თუმცა, კარგად ფლობენ საკუთარ თავს და მიზანსაც ხშირად აღწევენ.



**არათითი** *(მზის თითი)* – ამ თითზე მორგებული ბეჭედი, გარდა საქორწინო ბეჭდისა, ნიშნავს იმას, რომ მისი მფლობელი ელტვის სილამაზეს, მშვენიერებასა და სრულყოფილებას; უყვარს სიმდიდრე და ფუფუნება; სიამოვნების მისაღებად ბევრს იშრომებს და საწადელს მაინც მიაღწევს; გამოუსწორებელი რომანტიკოსია. უყვარს დროის მხიარულად და უდარდელად გატარება და გარშემო მყოფებზე პოზიტიურ გავლენას ახდენს.

**ნეკი თითი** *(მერკურის თითი)* – იმისგან, ვინც ამ თითზე ბეჭედს ატარებს, კარგს არაფერს უნდა ელოდოთ – თავგზას აგირევთ და მოგატყუებთ. სულერთია, კაცია თუ ქალი, ამით მათი ხასიათი არ იცვლება. ერთი სიტყვით, ფრთხილად იყავით!

## ლამაზი მკვლელი...



მას „სტილეტი" – დახვეწილი მკვლელი უწოდეს... სიტყვა „სტილიც" „სტილეტიდან" – ამ ცივი იარაღის სახელწოდებიდან მოდის.

მას ისეთი დახვეწილი ფორმა და სილამაზე აქვს, როცა სტილეტის ნიმუშებს ათვალიერებ, შეიძლება, ვერც იფიქრო, რომ შენ წინ მომაკვდინებელი იარაღია.

სტილეტმა თავისი სახელწოდება მიიღო სიტყვისგან „სტილუს", რაც ბერძნულად და ლათინურად „წვერწამახულ ჯოხს" ნიშნავს.

ასეთი ჯოხებით რომაელები და ბერძნები ჩანაწარებს აკეთებდნენ სპეციალურ დაფაზე. სტილეტი პირველად იტალიაში შექმნეს მეთხუთმეტე საუკუნეში და იქიდან გავრცელდა მთელ ევროპაში. სიგრძე 20-25 სანიმეტრი ჰქონდა, და შეუცვლელი იარაღი იყო შეთქმულების, ბანდიტების, დაქირავებული მკვლელებისთვის. რა თქმა უნდა, სტილეტს ჰყავდა წინამორბედი – ხანჯალი, ისიც პატარა და ბასრი, მაგრამ, არა ასეთი დახვეწილი. ხანჯალს ბრძოლებშიც იყენებდნენ, რადგან, მისი ბასრი პირი ადვილად აღწევდა რაინდის აბჯარში. სტილეტი სამპირაა. კლასიკურ სტილეტს რომ დააკვირდეთ, მას ჯვრის ფორმა აქვს. ის ძირითადად გამოიყენებოდა უცაბედი, მოულოდნელი თავდასხმებისთვის. მას შესანიშნავად ფლობდნენ ქალებიც. სტილეტმა თითქმის მთელი ევროპა მოიცვა. შუა საუკუნეებში ის ძალიან პოპულარული იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ საფრანგეთში სტილეტები აკრძალეს, რადგან, კლავდა სწრაფად და უხმაუროდ, ის მკვლელებისა და შეთქმულების მთავარი მოკავშირე გახდა.

სტილეტით ადამიანის სოციალურ მდგომარეობას განსაზღვრავდით: ამზადებდნენ ვერცხლისგან, რთავდნენ გრავიურებით, ოქროთი და ძვირფასი ქვებით. მრავალი წლის შემდეგ სტილეტმა ისევ დაიბრუნა პოპულარობა და პრესტიჟი ამერიკელ განგსტერებს შორის.

## ტაილანდის საოცრებანი

ბუდიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა – მსოფლიოში დაახლოებით 800 მილიონი ადამიანი ბუდას მიმდევარია. ბუდისტების უმრავლესობა ჩინეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ცხოვრობს; ტაილანდში კი არის მთავარი ღვთაება – ზურმუხტის ბუდა. სინამდვილეში ბუდა გამოთლილია არა მთლიანად ზურმუხტისგან, არამედ, მოლურჯო-მომწვანო ნეფრიტისგან, ძალიან ლამაზი მდიდრული ქვისგან. ნეფრიტი საკმაოდ ძვირი ღირს. მით უფრო, ასეთი დიდი ზომის. გაცილებით პატარა, 750-კარატიანი ნეფრიტი ამერიკაში 2 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ზურმუხტის ბუდა პირველად მეთხუთმეტე საუკუნეში მოიხსენიება. მისი ისტორია ასე ჟღერს: სანამ ზურმუხტის ბუდა ბანგკოკის მთავარ ტაძარში დაიკავებდა ადგილს, ბევრი იმოგზაურა – მესამე საუკუნემდე ინდოეთში იმყოფებოდა, შემდეგ შრი-ლანკაში ჩამოიტანეს, საიდანაც ბანგკოკის მმართველმა ჰაგანამ გაიტანა, მაგრამ, ხომალდი, რომელზეც ბუდა იმყოფებოდა, ქარიშხალმა გაიტაცა და კამბოჯის ნაპირებს მიაყენა. ბუდამაც ქალაქ ანგკორში დაიდო ცოტა ხნით ბინა. შემდეგ ადგილობრივებმა ის წყალდიდობისგან იხსნეს და სიამში, თანამედროვე ტაილანდში წააბრძანეს. მაგრამ ბუდა კიდევ ვერ „დამშვიდდა" – სიამის მმართველებმა ერთმანეთს ბრძოლა გამოუცხადეს მის ხელში ჩასაგდებად. მხოლოდ 1779 წელს შეწყვიტა ზურმუხტის ბუდამ ქვეყანაში იძულებით მოგზაურობა და სამუდამოდ დაბრუნდა ტაილანდში.

ბუდას სიმაღლე 75 სანტიმეტრია, სიგანე – 48,3 სანტიმეტრი და ოქროს ტახტრევანზე ლოტოსის პოზაში ზის.

პირველივე დღიდან, რაც ბუდა ტაძარში აღმოჩნდა, მეფის ბრძანებით, მას ტანსაცმელს უცვლიან სეზონების მიხედვით – სიცხეში, წვიმიან და ცივ სეზონზე. ბუდას უძვირფასესი ტანსაცმელი აცვია. მისი შემოსვისას გრანდიოზული ცერემონიალი ეწყობა, რომელსაც ქვეყნის მმართველი პირადად ესწრება.

**გვერდი მოამზადა ელენე წულუკიძემ**

# როცა ქალს უყვარს...

● გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №27-38(717)

სახლში დაბრუნებულ ლენუკას ქმარი უცნაურ საქმიანობაში გართული დახვდა: საძინებელ ოთახში, კარადასთან იდგა, ტანსაცმელს იღებდა და საწოლზე აწყობდა:

ქალი ზღურბლზე გაშეშდა.

– რას აკეთებ? კოტე, არ გესმის? შენ გეკითხები...

– მივდივარ, ვერ ხედავ? ტანსაცმელს ვალაგებ, – უკანმოუხედავად მიუგო კაცმა.

ლენუკა გაფითრდა, ხელი მკერდზე მიიდო და ისტერიულად იწივლა:

– ხომ ვეჭვობდი, რომ ვილაც გყავდა! ესე იგი, იმ კახპამ ჭკუა ისე აგირია, რომ სახლიდან წასვლასა და მასთან ცხოვრებას აპირებ? ახლავე მითხარი, ვინ არის!

კოტე ეგრევე შემოტრიალდა. განცვიფრებული და ცოტათი გაბრაზებული სახე ჰქონდა:

– შენ რა, სულ აურიე? რა კახპა, რის კახპა? მგონი, დროა, ექიმთან მიხვიდე, თორემ ცუდად დასრულდება შენი ნერვული აშლილობის ამბავი!

– კი მაგრამ, ახლა არ თქვი, ტანსაცმელს ვალაგებ და მივდივარო? დღეს მთელი დღე ტელეფონსაც არ პასუხობდი, – ლამის ატირდა ლენუკა.

კოტემ ხელები გაშალა და თავი სინანულით გადააქნია:

– ეს ქალური ლოგიკა გადამრევს! დიდი ხანი დაგჭირდა, ეს დეტექტიური ჯაჭვი რომ დაგელაგებინა? ქალო, ბავშვთან მივდივარ, ჩვენს შვილთან, სანდროსთან... მობილურს კი იმიტომ არ ვპასუხობდი, რომ ბილეთს ვიღებდი და შენთან დებატების თავი არ მქონდა. დავაკმაყოფილე შენი ცნობისმოყვარეობა, უნიჭო შერლოკ ჰოლმსო? ზოგჯერ ისეთი სულელი ხარ, გაბრაზებასაც კი ვერ ვახერხებ.

ლენუკამ ამოიოხრა:



– კარგი, რა, შენს ხელში კიდევ კარგად ვარ. სიურპრიზებს არ მაკლებ. რა მოხდა, რომ ასე უცებ გადაწყვიტე სანდროსთან წასვლა, თანაც უჩემოდ? იქნებ, მეც მინდა შვილის ნახვა?!

– რომ გდომებოდა, წახვიდოდი, მთელი თვეა, გეხვეწები. ახლა კი მარტო უნდა წავიდე და დაველაპარაკო. გავარკვიო, რა უნდა, ყოველდღე რომ რეკავს და პრეტენზიებს მიყენებს.

– როდის მიდიხარ?

– სამ საათში აეროპორტში უნდა ვიყო და, კარგს იზამ, თუ მომეხმარები, არ უნდა დამაგვიანდეს. ჩემოდანი გამომიღე და ეს ტანსაცმელი შიგ ჩამიწყვე. ჩემი პირის საპარსი მოწყობილობაც არ დაგავიწყდეს.

– ყველაფერი უჩემოდ გადაწყვიტე? კოტე, ამ ბოლო დროს ძალიან უცნაურად იქცევი.

– ნუ მაცინებ. რატომ ვიქცევი უცნაურად, შვილის ნახვა და მასთან ლაპარაკი რომ მინდა? გამოიღებ ჩემოდანს თუ ამაზეც მე უნდა ვიზრუნო?

– ჰო, კარგი, ჩაგილაგებ და... როდის ჩამოხვალ?

– ჯერ არ ვიცი. ხომ უნდა გავარკვიო, რა სჭირს იმას იქ და რატომ მოუნდა ერთბაშად ლონდონში გადაბრძანება? ზოგჯერ ვფიქრობ, რომ დედა-შვილმა პირი შეკარით ჩემ წინააღმდეგ.

– აუუ, იმიტომ გარბიხარ?

– არსად არ გავრბივარ, ნამდვილად სანდროსთან მივდივარ და მორჩი წუწუნს.

– მეც მინდა... – ლენუკამ ტუჩები გაბუსხა.

– მომისმინე! შენ ახლა ხელს შემიშლი. ჯერ ერთი, ტომასთან შენ ვერ იცხოვრებ, მე კი სასტუმრო არ დამიჯავშნია და, მეორეც, აჯობებს, ჩვენს საუბარს შენ არ დაესწრო...

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ შენ გვერდით სანდრო ჭირვეული ბავშვივით იქცევა, მე კი, შეიძლება, ნერვებმა მიმტყუნოს. გაიგე? მერე წადი, მე რომ ჩამოვალ...

– ესე იგი, საერთოდ აღარ გინდა ჩემ გვერდით ყოფნა, – აწუწუნდა ლენუკა.

კოტემ დამცინავად შეხედა:

– დიდი ხანია, ჩემ გვერდით ყოფნა გენატრება? გატეხილი ლარნაკისთვის აღარ მდებ მინაში?

– ნუ იგესლები. ხომ იცი, როგორ მიყვარდა ის ლარნაკი.

– ვიცი, ჩემზე მეტად, – მოუჭრა კაცმა.

– რა დეგენერატი ხარ მაინც... ლარნაკი როგორ მეყვარება შენზე მეტად?

– ჰო, მეც ეგ ვიფიქრე. მინიმუმ, ათი ეგეთი ლარნაკის ყიდვა ხომ მაინც შემიძლია შენთვის, – დასცინა კოტემ. მერე ერთბაშად მოლბა და გამომეტყველებაც შეეცვალა – ცოლთან მივიდა და მხარზე მოხვია ხელი.

– ჰო, კარგი... გადარეული კი ხარ, მაგრამ, მაინც მიყვარხარ, რაღაცნაირად... ამიტომ, ნუ იბერები და შევრიგდეთ. წასვლის წინ წყევლა-კრულვასა და ლანძღვა-გინებას ნუ გამომაყოლებ.

– ეგ „რაღაცნაირად“ რაღა იყო, რომ დააყოლე... – გაეცინა ლენუკას, – მაგრამ, ბოლომდე როგორ გაახარებ და გააბედნიერებ ადამიანს.

– შენც რაღაცნაირად გიყვარვარ, ჩემო ლენუკა, შენც, მაგრამ, ამის აღიარება არ გინდა, იმიტომ, რომ ქალები თვალთმაქცები ხართ, უკლებლივ ყველანი... აეროპორტში ხომ წამიყვან?

– შენი მანქანით რატომ არ გინდა, რომ წაბრძანდე?

– იმიტომ, რომ აეროპორტში მისი დატოვება არ მინდა. ხომ გითხარი, ჯერ არ ვიცი, როდის დავბრუნდები-მეთქი. გარაჟში იდგეს, მირჩევნია.

– წაგიყვან. სხვა რა გზაა, – ხელები გაშალა ლენუკამ, – იმაში მაინც დავრწმუნდები, რომ მარტო მიდიხარ.

– შენ ისევ იმაზე ფიქრობ? არა, რა, გამოუსწორებელი ხარ. გაიგე, არ მყავს საყვარელი, არა!

– ჰო, კარგი, ნუ ყვირი, ვიხუმრე.

– არ გინდა ეგ შავი იუმორი, ხომ ხედავ, რომ ჩხუბამდე მივყავართ.

ლენუკამ ჩემოდანი ჩაკეტა და კუთხეში მიდგა.

– საპარსებს კეისში ჩაგიწყობ. სუნამოც გინდა, ხომ?

– არა, იქ ვიყიდი რაღაცას, „დუთ ფრიში“... შენთვისაც შევარჩევ რამეს...

– ჰმ, გინდა, მარტო სუნამოზე გადამატარო? არ გამოგივა... ჰო, მართლა, ფულს არ მიტოვებ?

– ჩემი საბანკო ბარათი ხომ შენ გაქვს? ოღონდ, იცოდე, ზედმეტი არ მოგივიდეს... ეჭვი მაქვს, სანდროს ირლანდიაში დარჩენაზე ვერ დავითანხმებ და ფული დამჭირდება.

– ჰო, კარგი, კარგი, გეყოფა წუწუნი, ფულს კარგად შოულობ და ნუ გენანება.

– მერე, როგორ ვშოულობ და რის ფასად მიჯდება თქვენი ფუფუნებაში ცხოვრება, ერთხელ მაინც გიკითხავს? – ერთბაშად აფეთქდა კაცი. ლენუკამ პირი დაალო...

– არა, შენ რაღაც გჭირს.

– არაფერიც არ მჭირს, თავი დამანებე!

ქალმა მხრები აიჩეჩა:

– კარგი, აღარაფერს გკითხავ... ცოტა დრო კიდევ გვაქვს, იქნებ გვეჭამა რამე? – მოლბა ლენუკა.

– არ მშია, ყავას კი დავლევ. მარიკას უთხარი, მომიდუღოს და მოვალ...

***

სანდრომ ლუდი მოსვა და ტომასს მომლოდინე მზერა მიაპყრო:

– მეტყვი?

– კვირის ბოლომდე ვერ ჩამოვლენ. ასე მითხრა ლინამ, მამაჩემს უნდა, კიდევ რამდენიმე დღე დავრჩეთო... რა გიყო?

– აუ, ფიზიკურად ველარ ვუძლებ... ძალიან მომენატრა, – გამოტყდა სანდრო, – თან მინდოდა, მამაჩემის ჩამოსვლამდე ერთხელ კიდევ მენახა.

– მამაშენი ჩამოდის? ჩემთვის რომ არაფერი გითქვამს?

– ერთი საათის წინ დამირეკა. მეც არ ვიცოდი, მოულოდნელად გადაწყვიტა ჩამოსვლა. ბილეთი აიღო და, საღამოს, ალბათ აქ იქნება... აუ, როგორ არ მინდა...

– რატომ? მამაა, ბოლოს და ბოლოს. თან, შენი მონაყოლიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს ცუდი ტიპი...

– ცუდი ტიპი არ არის, მაგრამ, ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, მისგან ტვინის გაბურღვას ვერ ავიტან.

– ეტყვი, რომ შეყვარებული გყავს?

– ჯერ ერთი, დეა ჩემი შეყვარებული არ არის...

– თუმცა, ძალიან გინდა, რომ იყოს... – გაიცინა ტომასმა.

– ჰო, ასეა. არ უარვყოფ. მეორეც – მიზეზი ხომ უნდა ავუხსნა, რის გამო გადავწყვიტე ლონდონში გადასვლა?!

– სიმართლე გითხრა, ძალიან არ მინდა, აქედან რომ წახვიდე, – ამოიოხრა ტომასმა, – გამიჭირდება უშენოდ, ძალიან შეგეჩვიე.

– ჰო, მეც ძალიან შეგეჩვიე, მაგრამ, ჩემი წასვლა, მეგობრებისა და უთრიერთობის დასრულებას არ ნიშნავს. რა უნდა მოხდეს, რომ შენ ჩემს საუკეთესო მეგობრად აღარ მიმაჩნდე! ძმა რომ მყოლოდა, შენზე მეტად არ მეყვარებოდა, – ისეთი გულწრფელობით თქვა სანდრომ, რომ ტომასს ლამის ცრემლი მოადგა თვალზე.

– ეჰ, მეც ზუსტად მაგას ვგრძნობ, მაგრამ, ერთმანეთისგან ხომ შორს ვიქნებით?

– ჯერ არსად არ მივდივარ, ნუ დარდობ და, წავალ თუ არა, ეგეც არავინ იცის. ყველაფერი მამაჩემზეა დამოკიდებული... ისე, შენც რომ ლონდონში გაგეგრძელებინა სწავლა...

– უჰ, არ გამოვა ეგ ამბავი. მეც მდიდარი მამა კი არ მყავს. თანაც, მე აქ ძალიან მომწონს. დეასგან განსხვავებით, ჩემი ლინა აქ არის, – ნიშნის მოგებით გაუღიმა ტომასმა, – ეჰ, მღალატობ, ჩემო ძმაო... პირობას ვერ მოგცემ, რომ შენს სანახავად ხშირად ვივლი ლონდონში...

– ბილეთს მე გიყიდი ხოლმე, ძალიან რომ არ დაგაზარალო, – გაუღიმა სანდრომ, – საქართველოში კი აუცილებლად წამოხვალ და მთელი ზაფხული დარჩები. სვანეთში უნდა წაგიყვანო. ირლანდიელები და სვანები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, მოგეწონება.

– ლამაზი ქალები ჰყავთ სვანებს? – გაიკრიჭა ტომასი.

– წუთის წინ არ ამბობდი, ლინა მყავს აქო? ახლა სვანი ქალი მოგინდა? ეგრე არ გამოვა, ჩემო ძმაო. სვანი ქალები ცოტათი საშიშები არიან. ხანჯლის ტრიალიც ეხერხებათ და თოფის სროლაც.

– არც ირლანდიელი ქალები არიან ნაკლები, განსაკუთრებით – მათი მამები. ლინამ რომ მითხრა, სანადიროდ მივდივარო, ეგრევე თვალწინ დამიდგა ცხენზე ამხედრებული, შეიარაღებული მამამისი და შემაჟრჟოლა.

– შენც ხომ ირლანდიელი ხარ?

– რომ ვარ, მაგიტომაც შემაჟრჟოლა... ესე იგი, აეროპორტში უნდა წავიდეთ.

– რისთვის?

– როგორ თუ რისთვის, მამაშენს ხომ უნდა დავხვდეთ?

– არ არის საჭირო. მისამართი უკვე ჩავაწერინე, ტაქსის აიყვანს და მოვა.

– რესტორანში მაინც შევუკვეთოთ რამე. მაცივარში არაფერი გვაქვს.

– არ გინდა. მამაჩემის ხასიათი რომ ვიცი, თვითონ აარჩევს რესტორანსაც და საჭმელსაც. ამიტომ, წინასწარ მომზადებას აზრი არა აქვს...

– დალევა თუ უყვარს მამაშენს? – არ მოეშვა ტომასი.

– კი, მაგაზე უარს არასოდეს ამბობს, თუმცა, უფრო წრუპავს, ვიდრე სვამს და თვრება. ჩემთვის მთვრალი კოტე კიტია ცოტა ძნელი წარმოსადგენია. ვისკის კი საუკეთესოს ირჩევს.

– მამაჩემი კი ვისკის საერთოდ არ აღიარებს, ლუდი უყვარს. ერთმანეთი არ გავაცნოთ? დავამეგობროთ ეგენიც.

– ჯერ ჩამოვიდეს... – ამოიოხრა სანდრომ...

***

თიკოს გაუკვირდა კარზე ზარი. საათს შეხედა. ასე გვიან მარტო კოტემ იცოდა მოსვლა, მაგრამ, გაუფრთხილებლად? ერთი საათის წინ ისევ სცადა მასთან დაკავშირება და ისევ უშედეგოდ – კოტეს მობილური გამორთული ჰქონდა. ფეხის თითებზე აიწია და სათვალთვალოში გაიხედა...

– ლენუკა? ასე გვიან რამ მოგიყვანა, მშვიდობა გაქვთ? კოტეს შეემთხვა რამე?

ლენუკამ გაოცებით აიჩეჩა მხრები, ლაბადა და ჩანთა იქვე გასახდელში მიაგდო და გეზი სამზარეულოსკენ აიღო.

– მგელივით მშია, არაფერი გაქვს?

– ყველი უნდა იყოს ცოტა და გუშინდელი სალათა. არავის ველოდი და არაფერი მომიმზადებია, – თიკოს კინაღამ წამოსცდა, კოტეს არ ველოდიო, დროზე შეიკავა თავი.

– ჰო, სულ დამავიწყდა, პო პრაზნიკამ რომ ხარ დიასახლისი. დარეკე და პიცა შეუკვეთე, რა... სანამ მოიტანენ, სალათას შევჭამ. მართლა მაგრად მომშივდა... აეროპორტიდან მოვდივარ.

თიკოს ლამის სასალათე გაუვარდა ხელიდან:

– აეროპორტში რა გინდოდა, მიდიხარ სადმე?

– გოგო, რომ მივდიოდე, ახლა აქ ხომ არ ვიქნებოდი. კოტე გავაცილე.

– რა?!

– ვაიმე, თიკო, რა გჭირს?! გეძინა და მე გაგაღვიძე? კოტე გავაცილე-მეთქი. სანდროსთან გაფრინდა, დუბლინში.

– აი, ასე უცებ, ადგა და გაფრინდა?

– ჰო. მეც კი არაფერი ვიცოდი, თორემ, დილით ხომ გნახე და გეტყოდი. შენგან რომ წავედი, სახლში შევიარე და თავზე დავადექი, ჩემოდანში თავის ტანსაცმელს რომ ალაგებდა... უი, შენ არ იცი, რა დამემართა. ერთი წუთით წარმოიდგინე – შევდივარ ოთახში და ვხედავ: კოტე დგას და კარადიდან ტანსაცმელს ყრის საწოლზე... როგორ გგონია, რა ვიფიქრე? თან, ხომ გახსოვს, მთელი დღე ტელეფონს რომ არ პასუხობდა. როცა ვკითხე, რას აკეთებ-მეთქი, მივდივარო და, აი, მანდ „გავჭედე“ – ვიფიქრე, საყვარელთან გარბის და მტოვებს-მეთქი, – ლენუკას სიცილი აუტყდა.



თიკომ ძლივს მოახერხა, ნაძალადევად გაეღიმა. სახეზე ცარცის ფერი ედო.

– ალბათ, მაგარი სასაცილო ვიყავი. რა ვქნა, ხომ იცი, არ ვენდობი კოტეს, მაგრამ, ახლა ლამის სანდრო დაიფიცა, არ მყავს საყვარელიო.

თიკომ ისევ დაკარგა ფერი.

– ესე იგი, სანდროსთან წავიდა?

– ჰო. პრინციპში, ეს კარგია. ხომ უნდა ჩააკითხოს ბავშვს. თანაც, მისი ახლა აქ არყოფნა ძალიან მაწყობს.

– რატომ?

– დაგავიწყდა, რაზე ვილაპარაკეთ დღეს? სანამ კოტე ჩამოვა და ვფიქრობ, ეს ორ-სამ დღეში არ მოხდება, ჩვენ იმ ამბავს მოვაგვარებთ. დრო ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. ხვალვე დავურეკავ ბეჟანს და შენთვის სამსახურს ვთხოვ.

თიკო ისევ კოტეზე ფიქრობდა, ამიტომ, ლენუკას ნათქვამიდან მხოლოდ „ბეჟანი“ გაიგონა.

– რა თქვი, ვის დავურეკავო?

– ბეჟანი ჰქვია იმ ჩემს თაყვანისმცემელს... რა გაცინებს? სახელი კი ჰქვია ცოტა უცნაური, მაგრამ კარგი ტიპია, მართლა...

– თუ კარგი ტიპი იყო, რატომ ცოლად არ გაჰყევი?

– კინაღამ გავყევი... კინაღამ... – აკისკისდა ლენუკა, – პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ტიპია, მთავარია, რომ სამსახურში აგიყვანოს და ჩვენი საქმე გააკეთოთ.

– ოჰ, ლენუკა, ლენუკა... რაღაც შარში უნდა გამხვიო, გული მიგრძნობს, – ამოიოხრა თიკომ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## იოსებ (თამაზ) ხარებაძის გახსენება



უსასრულო ტკივილითა და სევდით სავსე ორმოცი დღეა, რაც ჩვენგან წახვედი და დიდი სევდა და ტკივილი დაგვიტოვე.

ღმერთს ვევედრებით, შენს სახელზე დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

**მეუღლე, შვილი, დედმამიშვილები**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **რა სიხშირით უნდა მოვრწყა გრევილეა?**

პასუხი: აქტიური ზრდის პერიოდში გრევილეა რეგულარულად მორწყეთ რბილი წყლით. ამ დროს მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზამთრობით, როცა ზრდა შენელდება, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზაფხულში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ სპეციალური თხევადი სასუქით. ეს სწრაფად მზარდი მცენარე მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე მიწაში ჩარგეთ.

კითხვა: **რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება პატარძალას?**

პასუხი: პატარძალას ანუ იმპატიენსს კაშკაშა სინათლე არ უნდა მოაკლოთ, ოღონდ, შუადღის მზეს მოარიდეთ. მას უყვარს სიგრილე, მაგრამ ოთახის ტემპერატურაზეც ძლებს. ზამთარში მინიმუმ 13-14 გრადუსი სჭირდება. კარგი იქნება, თუ მცენარეს მზიან სასტუმრო ოთახში დადგამთ.

კითხვა: **რა ზომის იზრდება ჟასმინი?**

პასუხი: ჟასმინი სიმაღლეში 2-3 მეტრიც იზრდება, თუმცა, შეგიძლიათ, გასხლათ და ღეროები კარკასს შემოახვიოთ. გასხვლა სასურველია დაყვავილების შემდეგ. დიდი მცენარე, საჭიროების შემთხვევაში, გადაჭრასაც იტანს. შეგიძლიათ ის საკიდი კალათიდანაც გადმოუშვათ და ნაკლებად დაიკავებს დიდ ტერიტორიას.

კითხვა: **მონსტერას ფოთლებმა მოიწყინა, როგორ გამოვაჯანმრთელო?**

პასუხი: მონსტერას დიდ, ჯანსაღ ფოთლებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, ოღონდ, ზაფხულში თაკარა მზე არ მოსწონს. სასურველია, თუ ფოთლებს რეგულარულად გაუწმენდთ სველი ნაჭრით. თბილ ამინდში ტენიანობის გასაზრდელად ხშირად დანამეთ. გაზაფხულზე გადაჭერით, რათა ძალიან არ გაიზარდოს; გადაჭრიდან მალე გვერდითი ყლორტებიც ამოუვა.

კითხვა: **მგონი, ჩემი ზამბარული ია ლპობას იწყებს, ხომ ვერ მეტყვით რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

პასუხი: ალბათ, მორწყვისას ფოთლები დაუსველეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, ეს მცენარე დალპეს ან დაავადდეს. ჩამოცვენილი ყვავილები და დაზიანებული ფოთლები მალევე მოაშორეთ. მორწყვისას ქოთანი ლამბაქზე დადგით და წყალი პირდაპირ მიწაზე დაუსხით, შემდეგ კი დაწრიტეთ. თუ მიწა ზედმეტად დასველდა, შეიძლება ფესვებიც დაულპეს, ამიტომ მორწყვიდან მორწყვამდე მიწა შეაშრეთ. რაც უფრო გრილა, მიწა მით უფრო მშრალი უნდა იყოს.

კითხვა: **როგორ უნდა მოვუარო ქრიზანთემას, რომ არ დაავადდეს?**

პასუხი: ქრიზანთემა ქოთანში დიდხანს ვერ ცოცხლობს, ამიტომ, მიწის განოყიერება არ სჭირდება. მოაშორეთ გამხმარი ყვავილები – ასე მცენარე არ დაავადდება და მეტ კოკორს გაშლის. კოკრების გასაშლელად ქრიზანთემას კაშკაშა სინათლე სჭირდება, ოღონდ, არა მწველი მზე.

კითხვა: **რა პირობებში ხარობს კარგად ანანასი და ვარგისია თუ არა საკვებად ოთახის პირობებში გაზრდილი ანანასის ნაყოფი?**

პასუხი: ანანასისთვის საუკეთესო პირობებია სითბო, კარგი განათება, საშუალო ტენიანობა და კარგი დრენაჟის მქონე მიწა. ოთახის პირობებში ნაყოფის დამწიფებას რამდენიმე თვე სჭირდება, ის საკმარისად ვერ იზრდება და საკვებადაც უვარგისია.

კითხვა: **მაინტერესებს, როცა აცივდება ცრუ არალია ხშირად უნდა მოვრწყა ხოლმე?**

პასუხი: ცრუ არალია ანუ დიზიგოტეკა სიმშრალეს უფრო იტანს, ვიდრე ზედმეტ წყალს. მიწას შეშრობა უნდა აცადოთ. უკვე დეკემბრიდან, მთელი ზამთრის განმავლობაში წყლის რაოდენობა უნდა შეამციროთ. ფოთლები რბილი წყლით დაუნამეთ ხოლმე, თორემ, მუქ ფოთლებზე თეთრი ლაქები უშნოდ დაჩნდება.

**მოამზადა თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა გამომძიებელს უფლება, საქმე გამოიძიოს თავისი შეხედულებისამებრ, მხოლოდ პირის დადანაშაულების კუთხით და უგულებელყოს (უარი განაცხადოს) პირის გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ გამომძიებელს ამგვარი უფლებამოსილება არ აქვს; ის ვალდებულია, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა ბრალდებულს უფლება, უშუალოდ მოიპოვოს მტკიცებულება და დამოუკიდებლად წარადგინოს ეს მტკიცებულება სასამართლოში?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, ის უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისთვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ რეგულირდება კანონით ბრალდებულის მიერ ადვოკატის აყვანის პროცედურა და აქვს თუ არა ბრალდებულს უფლება, უარი განაცხადოს გამომძიებლის მიერ შეთავაზებული ადვოკატის აყვანაზე?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული, მისი ახლო ნათესავი, ბრალდებულისთვის ადვოკატის ამყვანი სხვა პირი და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ბრალებულს არათუ უფლება აქვს, უარი განუცხადოს გამომძებელს შეთავაზებული ადვოკატის აყვანაზე, არამედ, გამომძებელს არ აქვს უფლება, შესთავაზოს ბრალდებულს რომელიმე კონკრეტული ადვოკატის აყვანა.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება ბრალდებულის მიერ ადვოკატის აყვანა იმ შემთხვევებში, როდესაც კანონით სავალდებულოა, რომ ბრალდებულს იცავდეს ადვოკატი?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, ბრალდების მხარე ან მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ბრალდებულისთვის ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით, ასევე, ბრალდებულს უფლება აქვს, უშუალოდ მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

# როდის იწვევს გაზის პედალი მეტი საწვავის მოხმარებას და რა წვრილმანი და ძნელად საპოვნელი პრობლემაა ავტომობილის გაჩერების მიზეზი



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

*ხშირად ავტომობილი იმაზე მეტი ბრუნით მუშაობს, ვიდრე ამას მძღოლი გაზზე ფეხის მიდგმით არეგულირებს. მაღალ ბრუნებზე მუშაობის დროს კი, სისტემას მეტი საწვავი მიეწოდება. შესაბამისად, მსგავსი პრობლემა პირდაპირ კავშირშია ეკონომიურობასთან. სწორედ ამ თემაზე საუბრობს ამჯერად მევლუდ მელაძე:* ავტომობილს ძალიან ხშირად უჩნდება ისეთი პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ხელოსნებსაც კი უჭირთ და დიდხანს გვიწევს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოვასწოროთ ის. სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ მძაფრდება, როცა პრობლემა ელექტროსისტემებს ან ძრავას სექტორს უკავშირდება, ეს მაშინ, როცა სავალ და მექანიკურ ნაწილებში ნებისმიერი პრობლემა შედარებით იოლად ამოსაცნობია. ერთ-ერთი რთულად მოსაგვარებელი პრობლემა ისიცაა, როცა ძრავა მოულოდნელად მაღალ ბრუნზე იწყებს მუშაობას. მაღალ ბრუნებზე მუშაობა ზოგჯერ არასტაბილურია და მიზეზი კი, ხშირ შემთხვევაში, ისეთი წვრილმანი შეიძლება იყოს, რომლის პოვნაც თითქმის შეუძლებელია, მით უმეტეს, კომპიუტერული დიაგნოსტიკური ხელსაწყოების ჩარევით.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– რა შეიძლება, იყოს ამის მიზეზი?**

– მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ, მინიმუმ 50-60 პროცენტით, ასეთ დროს დამნაშავეა ძრავას შემშვებ კოლექტორში „დაუპატიჟებლად" მოხვედრილი ჰაერი. მოდი, გავერკვეთ, რას ნიშნავს ეს. შემშვებ კოლექტორს მრავალი სხვადასხვა ტიპის წვრილი თუ მსხვილი მილი უერთდება, მით უმეტეს, თანამედროვე ავტომობილებში. ეს მილები უზრუნველყოფს სხვადასხვა მოწყობილობის ერთმანეთთან შეთანხმებულ მოქმედებას. სპეციალური ხელსაწყოები, ამ მილების გავლით, გაზის პედალზე ფეხის დაჭერის და გაშვების დროს, ძრავას მიერ შესრუტული ჰაერისა ნაკადს ზუსტად ითვლის. ხშირ შემთხვევაში, მიზეზიც სწორედ რომელიმე ამ მილის დაზიანებაა. ძრავას სექტორში მაღალი ტემპერატურის გამო, დროთა განმავლობაში, ეს მილები გამოშრება და მწყობრიდან გამოვა.

**– საჭიროა კონკრეტული პატარა მილის პოვნა?**

– მილის კი არა, ამ რომელიმე მილზე გაკეთებული ხვრელის ***(იცინის).*** ამიტომაც, ვამბობ, რომ მსგავსი პრობლემების პოვნა და აღმოფხვრა დიდ მოთმინებასთანაა დაკავშირებული. შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ მილები მწყობრში იყოს, მაგრამ, ძრავას შემშვები კოლექტორის რომელიმე სარქველი არ იყოს ჰერმეტულად დახურული, ანდა, რომელიმე იმ დეტალის ჰერმეტულობა იყოს დარღვეული, რომელსაც აღნიშნული მილები უერთდება. პრობლემის საპოვნელად მოგიწევთ ყველა ამ მილის სათითაოდ მოხსნა და ოდნავ გაჭიმვა, რათა ნახოთ, არის თუ არა ის დაზიანებული. ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, დაქოქილი მანქანის კარგად მიყურადებითა და გაზის ინტენსიური მომატებით, გაიგონოთ შეპარული ჰაერის სტვენა და მიაგნოთ კონკრეტულ ადგილს, საიდანაც ჰაერი იპარება.

**– შეიძლება, რომ მაღალ ბრუნებზე მუშაობის მიზეზი შეპარული ჰაერის გარდა, სხვა რამეც იყოს?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიზეზი ბევრნაირი შეიძლება იყოს, გააჩნია, რა სისტემითაა აღჭურვილი ავტომობილი. ეს, შეიძლება, იყოს როგორც შედინებული ჰაერის ნაკადის გამზომი, რომელიც დაზიანდა, ისე შემშვებ კოლექტორზე დამონტაჟებული ეგრეთ წოდებული „დროსელი". ანუ, სარქველი, რომელიც გაზზე ფეხის მიჭერასთან ერთად მოდის მოქმედებაში. თუმცა, შესაძლოა, გაზზე ფეხის მიჭერის დროს ბოლომდე არ იკეტებოდეს და ჰაერს აპარებდეს. „დროსელში" რამდენიმე მილი და სარეგულაციო მოწყობილობა შედის, რომელსაც, შეიძლება, დაზიანებული აქვს დამცავი რეზინები ან საფენები და აქედან ხდება „უცხო" ჰაერის ჩადინება. ჯამში, ნებისმიერი გარედან ჩადინებული ჰაერი ძრავასთვის ნიშნავს იმას, რომ რაღაც დოზით, გაზზე ფეხი მიჭერილი გაქვთ და, შესაბამისად, ბრუნიც მაღალია. ვინაიდან ზემოხსენებული ჰაერის ჩადინების ნებისმიერი წყარო შეიძლება მერყეობდეს, ასევე, მერყევი და არასტაბილურია ძრავას მუშაობაც. შესაბამისად, კომპიუტერიც ვერ საზღვრავს ჰაერისა და საწვავის ნარევის ზუსტ დოზას და ავტომობილი მეტი საწვავის მოხმარებას იწყებს.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: თუ სახლში ორი ძაღლია, როგორ ავარიდოთ მათ ურთიერთობას უსიამოვნო ინციდენტები?**

**პასუხი:** იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები, უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი წესებისა. მაგალითად, თუ გსურთ, რომ სახლში ზრდასრული ძაღლი მიიყვანოთ, მაშინ თქვენი ძაღლი და ახალი ძაღლი ერთმანეთს უნდა გააცნოთ ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ერთად ასეირნოთ და ეცადოთ, ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ. არ დაუშვათ, რომ მათ შორის იერარქიული დამოკიდებულება გაჩნდეს. მას შემდეგ, რაც ერთმანეთს შეაჩვევთ, ერთდროულად წაიყვანეთ სახლში. თუ რომელიმე ცხოველს ჩამოუყალიბდება ტერიტორიალური ინსტიქტი, ამ დროს უმჯობესია, ისინი ერთად გადაიყვანოთ ისეთ ადგილას, რომელიც ორივესათვის უცხო იქნება. ასე უკეთესად ყალიბდება კეთილი ურთიერთდამოკიდებულება.

**კითხვა: მინდა, ეზოსთვის დიდი ტანის ძაღლი შევიძინო. მაინტერესებს ასეთ ძაღლებზე რას გვეტყვით?**

**პასუხი:** დიდი ტანის ძაღლები ძალზე ეფექტური, ყოვლისშემძლე და ღონიერები არიან. ისინი ხშირ შემთხვევაში, თავიანთი გიგანტური ექსტერიერით ისეთი ადამიანების ყურადღებას იქცევენ, რომელთათვისაც ასეთი გოლიათის ყოლა დაუშვებელია. არ არსებობს ცუდი ძაღლი, არსებობს ცუდი პატრონი! დიდი ტანის ძაღლის შეძენამდე აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მას კინოლოგის პროფესიონალური წვრთნა ესაჭიროება. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კანონმდებლობის თანახმად, გიგანტ ძაღლებს პატრონი როგორც იარაღს, ისე იფორმებენ. დიდი ძაღლის პატრონთა 90 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოთხფეხა მეგობრის გვერდით საიმედოდაა დაცული. ეს მართლაც ასეა. ძნელად მოიძებნება დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელიც შეძლებს წინ აღუდგეს კანე კორსოს, ბულმასტიფს, ბორდონულ დოგს, მასტინოს, კავკასიურ, გერმანულ და აზიურ ნაგაზებს.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ბეწვის ცვენა დაეწყო უკვე ორი კვირაა. რას გვირჩევთ?**

**პასუხი:** შემოდგომის დადგომასთან ერთად, გეთანხმებით, რომ დამახასიათებელია ბეწვის ცვენა, რაც განპირობებულია შემოდგომის „ლინკის" პერიოდით. ამ დროს აუცილებელი და მნიშვნელოვანია ცხოველის დაბალანსებული კვება, რომელიც მდიდარი იქნება მინერალებითა და ვიტამინებით. ასევე, სასურველია, თუ მას დამატებით მისცემთ ვიტამინების კომპლექსს. ვიტამინები აღნიშნული „ლინკის" პერიოდის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად შეამცირებს. ასე რომ, სასურველია, გაითვალისწინოთ ეს და თუ არ გსურთ, ბეწვი ხშირად ნახოთ ოთახში მიმოფანტული, შემოდგომის პერიოდში თქვენს ოთხფეხა მეგობარს მიეცით ვიტამინების კომპლექსი, რომელსაც ვეტერინარი დაუნიშნავს.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №29-38(717)**

***

მეორე დღეს, ზუსტად დათქმულ დროს ვლად რიმსკის ოფისთან გავაჩერე მანქანა. იარაღი სავარძლის ქვეშ კარგად დავმალე და ყოფილი სინაგოგის შენობაში შევედი. კართან რომა აკოინიკოვი დამხვდა. როგორც კი ცარიელი დარბაზი გადავჭერით, მომიბრუნდა და მკითხა:

– იარაღი გაქვს?

– რა თქმა უნდა – არა! – კატეგორიული ტონით ვიუარე.

– მაპატიე, მაგრამ უნდა გაგჩხრიკო! – მივხვდი, ეს ტურა ბოლომდე არ მენდობოდა. პიჯაკი გამისინჯა და რიმსკის კაბინეტში შემიძღვა, რომელიც საკმაოდ დიდი იყო იმისთვის, რომ მხოლოდ კაბინეტის ფუნქცია შეესრულებინა. დივანსა და სავარძლებზე რამდენიმე კაცი იჯდა. თავად „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლი, ფართო მაგიდასთან მჯდომი, სკამიდან წამოდგა და, როცა ხელი ჩამოვართვი, თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა. თვითონ 37-39 წლის იქნებოდა; მაღალი იყო, მხრებგანიერი, ქერა და ხორბლისფერსახიანი. ასპიტის ქვასავით ჭრელი თვალები ჰქონდა და, რომ არა უნდო გამოხედვა, ვლად რიმსკიზე ვიტყოდი, რომ ის საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი იყო.

– ალექსანდრ ორლოვი, ვარვარა ტრავიანსკაიას მეგობარი! – ასე წარმადგინა რომა აკოინიკოვმა თავის მოძღვართან.

– როგორც მითხრეს, წარმოშობით რუსი ხართ, არა? – მკითხა ვლად რიმსკიმ გამართული უაქცენტო რუსულით, როცა მის წინ სკამზე ჩამოვჯექი.

– დიახ, ჩემი წინაპრები ლონდონში სწორედ რუსეთიდან ჩავიდნენ. მეც იქ დავიბადე.

– ძალიან კარგი. აქ რამ ჩამოგიყვანათ?

– გადავწყვიტე, ჩემი წინაპრების სამშობლოში მეცხოვრა.

– ლონდონში ოჯახი არ გაქვთ? – ახლა ჩემი პირადი ცხოვრებით დაინტერესდა.

– არა, მარტოხელა ვარ.

– „სახალხო ტაძარში“ მოსვლა გადაწყვიტეთ? – მკითხა კვლავ და „ჭრელი“ მზერით შემათვალიერა.

– ეს შემთხვევით მოხდა. ვარვარა ანტონოვნას რჩევით თქვენს ქადაგებას დავესწარი და გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ.

– როგორც ვიცი, გინდათ, რომ პირად დაცვაში აგიყვანოთ, ასეა?

– თუ თქვენი სურვილიც იქნება, ამ მოვალეობას თავს გავართმევ! – წარმოვთქვი თავდაჯერებულად.



– თურმე წარსულში მოკრივე ყოფილხართ.

– დიახ. მართალი მოუხსენებიათ.

– თუმცა, ჩემთვის ყველაზე მთავარი ერთგულებაა და მერე – სხვა დანარჩენი.

– ეს ჩემთვის ცნობილია!

– როგორ გგონიათ, შეძლებთ, ერთგულება დამიმტკიცოთ?! – ვლად რიმსკის სიტყვებში შეფარული მუქარა ამოვიკითხე... ნეტავ, რის თქმას ცდილობს-მეთქი, გავიფიქრე... თუმცა არ შევყოყმანებულვარ, ისე განვუცხადე...

– ყველაფრისთვის მზად ვარ!

– სიკვდილისთვისაც?! – ისე გამოსცრა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ერთ წამს ისიც კი ვიფიქრე, რომ მათ ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდნენ... მაგრამ ჩემი როლი ბოლომდე უნდა მეთამაშა, ამიტომ მშვიდად მივუგე:

– სიკვდილისთვისაც!

– ესე იგი, იმ ადამიანისთვის, ვისაც თითქმის არც კი იცნობთ, სიკვდილს შეძლებთ?! – მომეჩვენა, რომ მისი პირით სიკვდილის ანგელოზი მესაუბრებოდა.

– მზად ვარ, არა ერთი ადამიანისთვის, არამედ იმ დიდი იდეისთვის მოვკვდე, რომელსაც ახლახან ვეზიარე! – ცოტა პათეტიკურად გამომივიდა, მაგრამ ეს „შემართება“ ჩვეულებრივი ამბავი იყო რიმსკის ქადაგებით აღტკინებული მასისთვის... თუმცა, არა ჩემთვის. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემი გადაჭარბებულობისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ვერაფრით ვხვდებოდი, რატომ წამოიწყო სიკვდილსა და თავგანწირვაზე საუბარი ვლად რიმსკიმ. მეგონა, რომ ეს ჩემს შესაშინებლად გაკეთდა. მაგრამ, როცა იქ მყოფებიდან ორი მამაკაცი წამოდგა და კაბინეტი დატოვა, რომა აკოინიკოვმა კი კარადიდან ერთი ჭიქა და მუყაოს ყუთით ყურძნის წვენი გამოიღო – მივხვდი, რომ საქმე ძალიან სერიოზულად იყო და ოდნავ დავიძაბე. თეთრთავამ წვენი ჭიქაში ჩაასხა და ჩემ წინ, მაგიდაზე ხმაურით დადგა. „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლი წამოდგა, ჯიბიდან პატარა ფლაკონი ამოიღო, რომელშიც გაურკვეველი ფერის გამჭვირვალე სითხე ესხა, თავი გაჭირვებით მოხსნა და ერთი წვეთი ჭიქაში ჩაასხა, მერე ცივი მზერით ჭიქისკენ მიმანიშნა.

– ამ ჭიქაში ახლა ციანიდი ჩავასხი... არცთუ მცირე დოზით. ამას რომ გამოცლით, თუ ძალიან ძლიერი ორგანიზმი არ გაქვთ, მოკვდებით. თუ დალევთ, თქვენს ერთგულებაში დავრწმუნდები... თუ არადა, აქედან მიბრძანდებით და „სახალხო ტაძრისკენ“ გზას სამუდამოდ დაივიწყებთ!

„აი, თურმე, როგორი ყოფილა „სახალხო მკურნალი“ და „ღვთის რჩეული“ ვლად რიმსკი, ანუ ყოფილი იანის დრიზულისი!“ – გამიელვა გონებაში და გავიფიქრე, რომ, თუმცა ჩემზე გამოცდილი ანესთეტიკებისა და ტრანკვილიზატორების დიდი დოზებიც კი აბსოლუტურად უეფექტო იყო, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, შხამი მომრეოდა... მაგრამ მერე თავი ავიყვანე, ჭიქა ხელში ავიღე და სანამ პირთან მივიტანდი, კიდევ ერთმა აზრმა გამისერა გონება – იქნებ ეს ცრუმეტყველი ყველაფერს მიხვდა და ჭიქაში სასიკვდილო დოზაზე მეტიც კი ჩამისხა, რათა ასე მომიშოროს თავიდან-მეთქი... ამიტომ ცოტა ხანს შევყოვნდი.

– ხომ არ შეგეშინდათ?! – მკითხა „მამა“ ვლადმა ცინიკური გამომეტყველებით.

„რაც არის, არის, – გავიფიქრე, – უკან დასახევი გზა მაინც არ მაქვს!“ ჭიქა მოვიყუდე და წვენი დიდი ყლუპებით, ერთი ამოსუნთქვით ჩავიყვანე ბოლოში.

ვლად რიმსკი ახარხარდა, იქ მსხდომი სამი მამაკაცი ფეხზე წამოდგა და ღიმილით მომიახლოვდა. ერთ-ერთმა მათგანმა მხარზე დამკრა ხელი და მითხრა: „ახლა ერთ-ერთი ჩვენგანი ხარ!“ დანარჩენები ხელის ჩამორთმევით შემოიფარგლნენ.

– აბა, როგორ ხარ, ალექსანდრ! – მამა ვლადი თავის ადგილს დაუბრუნდა.

– იმ ადამიანის კვალობაზე, რომელმაც ესესაა ციანიდი დალია, არა მიშავს!

რიმსკი კვლავ ახარხარდა.

– ყოჩაღ! – შემაქო, როცა სიცილით გული მოიჯერა. – ახლა კი კარგად მომისმინე: ახლახან შენ მხოლოდ ძილის წამალი მიიღე! დღეს ასე გადავწყვიტე! თუმცა, ციანიდით გამოცდა ეგორ კაზაკოვმაც ჩააბარა და ერთი თვე ლოგინად იყო ჩავარდნილი. იცი, შენ რატომ გაგიმართლა? დასაკარგავი დრო არ მაქვს... თუმცა, არ იცოდი, ჭიქაში რა ესხა. ასე რომ, ხვალ დილიდან აქ გამოცხადდები და შენი მოვალეობის შესრულებას შეუდგები... იარაღს რომან ნიკალაევიჩი მოგცემს. ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული... ჩვენი იდეის გარდა, ყველაფერი უნდა დაივიწყო და იცოდე, მიუხედავად იმისა, რომ შხამით გამოცდა საკმაოდ წარმატებულად ჩააბარე, თვალს არ მოგაცილებ! – ამ სიტყვებით ფეხზე წამოდგა, ხელი გამომიწოდა და მითხრა: – ხვალამდე თავისუფალი ხარ!

## მეორე ნაწილი

იმ დღის შემდეგ, როცა „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლის, ვლად რიმსკის გამოცდა ჩავაბარე და მისი პირადი მცველი გავხდი, ორმა თვემ სწრაფად გაირბინა. დილიდან საღამომდე მის გვერდით ვიყავი, შაბათის ქადაგების შემდეგ კი მშენებარე რიმგოროდში მივდიოდით ხოლმე ორი-სამი დღით. საეჭვო არაფერი შემიმჩნევია და არც მე ვაძლევდი ჩემს „სულიერ მოძღვარს“ ეჭვიანობის საბაბს. ამიტომ თანდათან მისი ნდობით აღჭურვილი პირი გავხდი.

ნასტია კოვალენკოს ნახვა მხოლოდ ერთხელ მოვახერხე, ისიც შუაღამისას, როცა რიმსკი საცხოვრებელ კომუნაში, ანუ ორსართულიან კოტეჯში მივიყვანე, სადაც მასთან ერთად მისი წითელკარველებიც ცხოვრობდნენ.

მიხაილი, თუმცა ბერლინის შტაბ-ბინიდან დაბრუნდა, მაგრამ თვალით არ მინახავს, მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრებოდი, ისიც იშვიათად. ეს იმიტომ კეთდებოდა, რომ ვლად რიმსკის და მის „თვალყურ“ რომას ეჭვი არ აეღოთ. გუმანით ვგრძნობდი, რომ იმ სურიკატა აკოინიკოვს თვალში არ მოვდიოდი და შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ მითვალთვალებდა კიდეც. თუმცა, ვარვარა ანტონოვნას სამ დღეში ერთხელ ვხვდებოდი მის ბინაში, იშვიათად – ჩემთან...

ეგორ კაზაკოვი აღარ გამოჩენილა და არც კი ახსენებდნენ რიმსკის გარემოცვაში... ეს სიჩუმე, რატომღაც, ავისმომასწავებლად მეჩვენებოდა... მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი, ვის ემუქრებოდა ბედისწერა – წითელკარველებს, მე თუ თვით ეგორს.

ბოლოს, „წითელ კარავში“ კვლავ აღდგენილმა ვარვარა ტრავიანსკაიამ გამომიცხადა, რომ „კომუნაში“ უნდა გადასულიყო საცხოვრებლად და თვალცრემლიანი შემევედრა, ჯობდა, შეხვედრებისთვის მოგვეკლო. მეც ეს მინდოდა, რადგან „შეკვეთილი“ რომანი აღარ გამომდიოდა და, ქალი რისი ქალია – ალბათ სიცივეს მამჩნევდა. ამ ორი თვის განმავლობაში გამუდმებით ნასტიაზე ვფიქრობდი და სულ ის მედგა თვალწინ. ჩვენი შეხვედრის დროს მომეჩვენა, რომ ჩვეულებრივზე მეტად სევდიანი იყო.

დღეები დღეებს მისდევდა და არაფერი იცვლებოდა „მამა“ ვლადის ქადაგებების ჩათვლით, რომელსაც ორატორი მეტი და მეტი აბსურდით ტვირთავდა და გაოცებული ვაკვირდებოდი, როგორ თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა მისთვის თავგადაკლულ ფანატიკოსთა რიგები. ასე გრძელდებოდა, სანამ ერთი უცნაური ამბავი არ შემემთხვა.

იმ საღამოსაც ვლად რიმსკი საცხოვრებელ კოტეჯამდე მივაცილე და მისი ბრონირებული „მერსედესის“ მარკის მანქანიდან ჩემს „ნისანში“ გადავჯექი, რომელსაც იმ კოტეჯის ეზოში

ვტოვებდი ხოლმე. ის-ის იყო, უნდა დამეძინა, რომ შორიახლო ტაქსი გაჩერდა და ვარვარა ანტონოვნა გადმოვიდა. საბედნიეროდ, ვერ შემნიშნა, ორსართულიანი ხის სახლის შესასვლელში ისე გაუჩინარდა. ეს ქალი ამ დროს აქ რას აკეთებს? – გავიფიქრე და გადავწყვიტე, დავლოდებოდი და მეთვალთვალა. მანქანა ეზოდან გამოვიყვანე და ქუჩის ბნელ მონაკვეთში „ჩავუსაფრდი“. დაახლოებით ერთი საათი გავიდა, მაგრამ ვარვარა არ გამოჩენილა. „ეტყობა, ძველი რომანი ახალი ძალით განახლდა“, – დავასკვენი ბოლოს და გამახსენდა, როგორი განსაკუთრებული სითბოთი ექცეოდა „სულიერი მოძღვარი“ „წითელ კარავში“ გაწევრიანებულ ორ ქალბატონსაც. ამ მელას, მგონი, ერთდროულად სამ ქალთან აქვს სასიყვარულო ურთიერთობა-მეთქი, გავიფიქრე და მანქანის დასაქოქად გასაღებს წავეტანე თუ არა, რომა აკოინიკოვის თეთრი თავი გამოჩნდა – დამფრთხალი სინდიოფალასავით იგრძელებდა კისერს, გარემოს ზვერავდა და ფრთხილად გადაადგილდებოდა. გუმანით მივხვდი, რომ რაღაცას ხლართავდა და, როცა თავის ძველისძველ „ოპელში“ ჩაჯდა და დაქოქა, გადავწყვიტე, უკან მივყოლოდი. ასეც მოვიქეცი და ისეთი დისტანცია დავიკავე, რომ არ შევემჩნიე. „ოპელი“ მოსკოვის ცენტრალურ ქუჩაზე გავიდა. ერთი-ორჯერ მანქანების კოლონაში თვალთახედვის არედან დამეკარგა. სიჩქარეს მოვუმატე და შევამჩნიე, რომ ძველმა „ოპელმა“ სოლიანკას ქუჩისკენ გადაუხვია. მეც მივყევი. მცირე ხანს იარა, მოედანს წრე დაარტყა და კრასნოხოლმსკაიაზე გავიდა. ჩემს გასაკვირად, აკოინიკოვმა ეკლესიის თუ მონასტრის შორიახლოს გააჩერა მანქანა და კვლავ არემარეს დაზვერვით ღვთის სახლისკენ აიღო გეზი. გაკვირვებას გასაქანი არ მივეცი, მანქანა მოშორებით დავაყენე და კისერწაგრძელებულ სურიკატას ავედევნე. მაგრამ, რომა აკოინიკოვი ტაძრის ეზოში არ შესულა. მაღალ ღობეს ამოეფარა და ცხაურიანი კარიდან მონასტრის ეზოში თვალთვალი განაგრძო. სამი შავად ჩაცმული ღვთის მსახური გავარჩიე სიბნელეში. ისინი იდგნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ. ოდნავ წინ წავიწიე და ბერებს დავაკვირდი... განცვიფრებისგან ლამის წამოძახილი აღმომხდა, როცა ერთ-ერთმა მათგანმა ეგორ კაზაკოვის ხმით დაილაპარაკა. „აი, თურმე ვის უთვალთვალებს ეს ტურა!“ – ხესთან გადავინაცვლე, ამოვეფარე და დაველოდე, რა მოხდებოდა. ღვთის მსახურებმა საუბარი დაასრულეს, ორმა მათგანმა მონასტრის ეზო დატოვა, ხოლო მესამე – ეგორ კაზაკოვი – უკან, მონასტერში შებრუნდა. ვხედავდი, როგორ იდგა კიდევ ცოტა ხანს ჩასაფრებული რომა აკოინიკოვი ღობესთან, მერე უხმაუროდ გამობრუნდა, მანქანაში ჩაჯდა და მობილურით ვიღაცას დაურეკა. ორწუთიანი საუბრის შემდეგ, რომა იქაურობას გაშორდა. მე კი ცოტა ხანს კიდევ ვიდექი ნანახით გაკვირვებული, მერე მოულოდნელი გადაწყვეტილება მივიღე და მონასტრისკენ გავემართე. ტაძარში თამამად შევაბიჯე, რადგან ვიცოდი, რომ რომა აკოინიკოვი მე არ მითვალთვალებდა, სხვა „საზრუნავი“ ჰქონდა. საკურთხეველთან მაღალი ბერი იდგა და ხმადაბლა ლოცულობდა.

– მამაო! – ჩემი ხმა ზარივით გაისმა ცარიელ ტაძარში.

ელდანაკრავივით შემობრუნდა. მის თვალებში გაკვირვება და მოულოდნელობა ერთდროულად ამოვიკითხე.

– ეს შენ ხარ?! – შევატყვე, ოდნავ გაბრაზდა.

– დიახ, მე ვარ! – ვუთხარი და მისკენ ნელი ნაბიჯით წავედი.

– ნოვოსპასკის მონასტერში რამ მოგიყვანა?! თუმცა ვხვდები... ახლა რაღა უნდა იმ ცრუმეტყველს?

– რიმსკის არ გამოვუგზავნივარ! – თავი გავიქნიე, თუმცა მაინც უნდოდ შემომხედა.

– გავიგე, ჩემი ადგილი დაგიკავებია...

– მართალია.

– აქ რატომ მოხვედი, ჩემგან რა გინდა?!

– მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ რომა აკოინიკოვი გითვალთვალებს. წეღანაც აქ იყო. მომეჩვენა, რომ კარგი განზრახვა სულაც არ აქვს.

გოლიათმა ბერმა დაკვირვებით შემათვალიერა, მოკლე წვერზე ხელი ჩამოისვა და გაეღიმა.

– გაფრთხილებისთვის გმადლობ!.. თუმცა ღვთის განგებას ვერავინ გაექცევა.

– მიკვირს, აქ რომ გხედავ, – არ დავმალე ჩემი გაოცება.

– რატომ? წელიწად-ნახევარი ეშმაკის მსახური ვიყავი და მინდა, ცოდვები მოვინანიო, – მის სახეზე გულწრფელი სინანული ამოვიკითხე და ვკითხე:

– დიდი ხანია, ამას მიხვდი, ეგორ?

– მამა სერაფიმე! – გამისწორა შეცდომა და განაგრძო: – საკმაოდ... მაგრამ ცდუნება მქონდა – მინდოდა, ცოდვილი ვარვარასთვის მეცოცხლა, გამენებივრებინა... კეთილი განზრახვა მამოძრავებდა. ეს დიდი შეცდომა იყო... მაგრამ იქნებ ახლა შენც ეს გინდა?

– ამ „მიზნისგან“ ძალიან შორს ვარ, მამაო სერაფიმ!

– კარგია, კარგი მიზნები თუ გაქვს... მე ორ თვეს მორჩილად ვიყავი. სულ ორი დღეა, ბერად მაკურთხეს და სახლი მომცეს. ხედავ, რა მოკლე დროა? მაგრამ, თუ ღირსეულად ილვაწებ – დაგიფასდება!

– ამას რატომ მეუბნები, მამაო?

– თავიდანვე ეჭვი მქონდა, შენ ის არ ხარ, ვისადაც თავს ასაღებ.

– ასე რატომ ფიქრობ?

– შენნაირები და ჩემნაირები ადვილად სამართავნი არ არიან და იმიტომ!

– გმადლობ ამ სიტყვებისთვის, მაგრამ...

– მაგრამ გიკვირს, არა?

– დიახ. იმ კაცისგან ამ სიტყვების მოსმენა, ვისაც თავი გაუტეხე, ცოტა უჩვეულოა.

მამა სერაფიმს გაეღიმა.

– კარგია, რომ ასე მოხდა... იქნებ სწორედ ამან მომცა ბიძგი, რომ ბოროტებას გავრიდებოდი... კიდევ რამის თქმა ხომ არ გინდა... უნდა ვილოცო!

– არა, სულ ეს არის, რის თქმასაც ვაპირებდი. დამლოცე, მამაო!

– ღმერთმა დაგლოცოს, შვილო!

გამოვტრიალდი და გასასვლელისკენ გავემართე, გზაში მისი ხმა წამომეწია:

– ადვილად არავის ენდო!

მივხვდი, საკუთარი თავიც იგულისხმა... შევჩერდი და მივბრუნდი.

– ღვთის მსახურს ვენდობი, მამაო.

– ეს ცოტა უცნაურად მეჩვენება იმ კაცისგან, ვისაც რიმსკის „საკმეველი“ აქვს ნასუნთქი.

გავხევდი. გამახსენდა, რომ ყოველი ქადაგებისას რიმსკის რჩეულები გრძელ, არომატულ ჩხირებს ახრჩოლებდნენ, რომლებსაც გამაბრუებელი სურნელი ჰქონდა. ეს კი რაღაც რიტუალის ნაწილი მეგონა აქამდე...

– ღვინო სვი, ბევრი ღვინო... სუფთა და წითელი! – გამაწყვეტინა ფიქრი კვლავ მოძღვრის სიტყვებმა.

გარეთ გამოსულს, განუწყვეტლივ ეგორ კაზაკოვის, ანუ მამა სერაფიმის სიტყვები მიტრიალებდა თავში. „აი, თურმე, რატომ იხრჩობოდა ღვინოში რიმსკის პირადი მცველი“, – მხოლოდ ახლა ჩავწვდი ამ საიდუმლოს.

როგორც კი საჭეს მივუჯექი, მობილური მოვიმარჯვე და ნასტიას დავურეკე.

– გისმენ, ალექსანდრ!

– ნასტია, შენი ნახვა მინდა... რაც შეიძლება ჩქარა!

– კლინიკაში ვარ. მამა იყო ცუდად, გუშინ დავაწვინეთ...

– რომელ კლინიკაში ხარ, ხომ არაფერი გჭირდება, წამოგიღებ?

– არაფერი... მამა უკვე კარგად არის, გამოსვლას ვაპირებდი. „ამერიკულ სამედიცინო ცენტრში“, შმიდტოვსკის სამში გამომიარე.

– დამელოდე, მალე მოვალ!

მანქანას სწრაფად ვმართავდი და კლინიკამდე რაც შემეძლო, მოკლე დროში მივედი. ნასტია შესასვლელთან დამხვდა.

– რა მოუვიდა მამაშენს? – ვკითხე, როცა მანქანაში ჩაჯდა.

– ბოლო დროს გული აწუხებს...

– ალბათ, შენ გამოც ნერვიულობს.

– ჩემ გამო რატომ უნდა ინერვიულოს? – შევატყვე, ოდნავ იწყინა.

– არ ვიცი, მაგრამ, მე რომ მყავდეს ასეთი ლამაზი ქალიშვილი და შენსავით მარტოდმარტო დადიოდეს, მეც ვინერვიულებდი.

– რას გულისხმობ? – ვითომ ვერ მიხვდა, რაზე გადავკარი.

– კარგად იცი, რასაც.

– გათხოვებას აღარ ვაპირებ!

– ძალიან ცუდი! ნებისმიერ ქალს გვერდით მამაკაცი სჭირდება, ვინც მასზე იზრუნებს.

– ძალიან გაცვეთილი სიტყვებია, ბევრჯერ მომისმენია.

– ნებისმიერი ჭეშმარიტების გამომხატველი ფრაზა გაცვეთილია იმიტომ, რომ ხშირად იმეორებენ... მაგალითად, ასეთი ფრაზა ავიღოთ: არ ღირს გულგატეხილობა, თუ პირველად არ გაგიმართლებს.

ნასტიას გაეღიმა, არაფერი მიპასუხა და მცირე პაუზის შემდეგ მკითხა:

– რამე ახალია?

– ჰო... ეგორ კაზაკოვს უთვალთვალებენ.

– რატომ?

– ალბათ იმიტომ, რომ ნოვოსპასკის მონასტერში ღვთის მსახურია და ეს ფაქტი რიმსკის ძალიან არ აძლევს ხელს.

– რა თქმა უნდა, მას ხომ ჩრდილი მიადგება მრევლის თვალში, როგორც სულიერ წინამძღოლს.

– ახლა ჩემთან ავიდეთ, თითქმის 14 საათია, არაფერი მიჭამია... ასე მგონია, შამფურზე წამოცმულ ერთ მთლიან ხბოს შევჭამ... დანარჩენს შინ გეტყვი.

– ხორცისმჭამელები არ მიყვარს, – ნასტიამ ირიბად შემომხედა.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.



– მე კი ვეგეტარიანელებს ვუყურებ ირიბად.

– ხედავ, როგორ განვსხვავდებით? – გაეღიმა და ახლა თბილი მზერა შემავლო.

– კარგია, რომ არ მგავხარ.

– სახლში ხორცი გაქვს? – რამეს მოგიმზადებ.

– ახლა სამზარეულოში ტრიალისთვის გვიანია, ჯობია, რამე მზა ვიყიდო, – ვუთხარი და მანქანა სუპერმარკეტთან შევაჩერე.

– შენ რა წამოგილო? – ვკითხე, სანამ გადავიდოდი.

– რაიმე სალათა, უმჯობესია სოკოსგან იყოს..

რაც შემეძლო, სწრაფად ავარჩიე კერძები, კონტეინერებში შევაფუთინე და ნახევარ საათში უკვე შინ ვიყავით. ნასტიამ კერძები თეფშებზე გადმოალაგა, დანა-ჩანგალი დააწყო და მაგიდასთან მოიკალათა.

– რას დალევ, ნასტია?

– შავ ღვინოს! – არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა.

– ოჰო, როგორც ვხედავ, რიმსკის „საკმევლის” ანტიდოტის შესახებ შენც გცოდნია...

– ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობ? – განცვიფრებული მომაჩერდა.

– იმაზე, რის თქმასაც დღეს შენთვის ვაპირებდი; იმედია, „კოსმოპოისკის“ თანამშრომლებსაც დააინტერესებს – რიმსკის სურნელოვანი ჩხირების საიდუმლო გავიგე.

– რა საიდუმლო? – ნასტია ცნობისმოყვარეობისგან დაიძაბა.

– ის, რომ მათ რაღაც საიდუმლო ნივთიერებისგან ამზადებენ, რომელსაც ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება შეუძლია და შესაძლოა, ეს იყოს კიდეც ის ერთადერთი მიზეზი, რომლითაც ვლად რიმსკიმ, ანუ იანის დრიზულისმა, ამდენი ხალხის გაბრიყვება მოახერხა.

– საშინელებაა! – ჩაილაპარაკა ნასტიამ.

– გეთანხმები... და, რომ ამ საშინელებაში ყურებამდე არ ჩაეფლო, შავი ღვინო უნდა სვა... რაც შეიძლება დიდი რაოდენობით. აი, რატომ იყო კაბანი ასეთი დაუმორჩილებელი და თავნება! მე კი ვერაფრით ვხსნიდი რუსი კაზაკოვის სამხრეთელებისთვის ასე საყვარელი სასმლით გატაცებას...

– საოცარია! – ნასტია ჩაფიქრდა. – ნეტავ, საიდან მოაქვს ეს ნივთიერება ვლად რიმსკის?

– აი, ამის გაგება კი იმას ნიშნავს, რომ ძაღლის თავი აღმოვაჩინეთ, ანუ ის რვათვალა ობობა, რომელიც ქსელის შუაგულში ზის და პერიოდულად რიმსკისნაირებს ჩეკავს.

ნასტიამ ორი ლუკმა ძლივს გადაყლაპა, ღვინო დააყოლა და შეფიქრიანებულმა მითხრა:

– ეს რა გაუფრთხილებლობაა, ალექსანდრ, რიმსკის ყოფილ პირად მცველთან მაინც არ უნდა გაგემჟღავნებინა შენი საიდუმლო.

– კარგი რა! რუსული ცნობილი გამოთქმის არ იყოს: „ვინც არ რისკავს, ის არც შამპანურს სვამს!“ ასე რომ, ამ მცირე რისკით საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიპოვე. თანაც, ბავშვობიდან პატივისცემით ვეპყრობოდი ბერებს. ვიცი, რომ მამა სერაფიმი ჩემს საიდუმლოს არავის გაუმხელს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ახლა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო, მტრად იქცა იმ პერსონისთვის, ვისაც ადრე საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს საიდუმლოს გამჟღავნება არ უწერია.

– ლოგიკურია, – ჩაილაპარაკა ნასტიამ და ღვინის ჭიქა ფსკერამდე გამოცალა. – ძალიან ჭკვიანი ხარ, ალექსანდრ.

– ვიცი, ძვირფასო. ეს პირველი თბილი სიტყვებია, რომლებიც შენი ლამაზი ბაგიდან მოვისმინე... თუმცა, ემოციებს არ ავყვები, იქნებ ეს ღვინის ბრალია.

– ჰო, „ბორდო” საუკეთესო ღვინოა ღვინოებს შორის.

– ეს ცოტა საკამათო თემაა, – მივუგე და გავიფიქრე, რომ ჩემთვის ყველაზე საუკეთესო ღვინო, რომელიც კი ოდესმე დამილევია, ციცქა იყო... ჩვენებური, ქვემოიმერული.

– ამ დღეებში გადავიღალე... მინდა, ცოტა მოვდუნდე, – ჩაილაპარაკა ნასტიამ და ცარიელი ჭიქა ჩემკენ გამოსწია.

– თუ ასეა, კიდევ დაგისხამ, – ვუთხარი და ჭიქა შევუვსე.

– შენ, შენ რატომ არ სვამ?

– მართალია, ალკოჰოლი არ მერევა, მაგრამ შინ ხომ უნდა მიგიყვანო, „გაიმ“ რომ გამაჩეროს და ტესტი ჩამიტაროს, ხომ ჩამომართმევენ მართვის მოწმობას?!

– ამაღამ აქ დავრჩები! – წარმოთქვა ნასტიამ და ისე გაწითლდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრეს.

– ხომ არ მომეჩვენა?! – ყურებს არ დავუჯერე და ალბათ, სიხარულით ამიციმციმდა თვალები, რადგან ნასტიამ სწრაფადვე დააყოლა: – ძალიანაც ნუ გიხარია, შენს ოთახში არ დავიძინებ!

– კარგი, როგორც გინდა, თუმცა ეს არც მიფიქრია! – მოვიტყუე, რადგან მაშინვე ნასტიას გაშიშვლებული, სრულყოფილი სხეული დამიდგა თვალწინ. თუმცა თავი იმით დავიმშვიდე, რომ იმ ღამეს მარტო არ ვიქნებოდი და არც ვარვარას „მსუყე“ სხეულის მოფერება მომიწევდა, რაც უკვე გულს მირევდა.

– ჩვენთან დეიდა ჩამოვიდა კალუგიდან სტუმრად. დედა მარტო არ იქნება, – ნასტიას სიტყვები თავის მართლებასავით ჟღერდა, – თანაც, არავინ იტყვის: „აი, ჩვენი მეზობელი ნასტია კოვალენკო ღამის 3 საათზე ვიღაცამ „ჯიპით“ მოიყვანა!“..

– ჯერ არ მეძინება, იქნებ ტელევიზორს ვუყუროთ და რაიმე საინტერესოზე ვისაუბროთ, – ვუთხარი და წამოვდექი.

– კარგი, – ნასტიამ თეფშები დარეცხა და მისაღებში გავედით. ტიტას ფორმის ორი ჭიქა და ღვინის ახალი ბოთლი გამოვიღე.

– კარგი გემოვნება გაქვს – საუკეთესო ღვინოა, თითქოს ჟოლოს არომატი გაჰკრავს და ენას სასიამოვნოდ აშრობს... კარგი დასალევია.

– ჰო, გემოვნებას არ ვუჩივი... ღვინოებსა და ადამიანებშიც კარგად ვერკვევი.

– ხვალ ვარვარას არ ხვდები? – მკითხა და, ჩემს გასაკვირად, მის თვალებში ნამით გაელვებული ეჭვი დავლანდე.

– საინტერესო რამეზე ვისაუბროთ-მეთქი, რომ გითხარი, ვარვარა ანტონოვნა არ მყავდა მხედველობაში. თანაც, კარგად იცი, რომ მასთან საქმის გამო ვიყავი.

– შე „საწყალო“, რამხელა მსხვერპლი გაიღე! – ირონიით მოექცა ტუჩები.

– ნასტენკა, მგონი, მართლა სასმელი მოგეკიდა. ჯობია, აღარ დალიო, მეწყინა მისი უადგილო ხუმრობა.

– არა, მართლა, მითხარი – ვარვარა მოგწონს? – მკითხა და გამომცდელად შემომხედა.

„მგონი, ეჭვიანობს, – გამკრა გუნებაში, – არა, ნამდვილად ეჭვიანობს“.

– ვარვარა ის ქალი არ არის, ვინც თავს დამაკარგვინებს.

– როგორი უნდა იყოს „ის ქალი“, ვინც თავს დაგაკარგვინებს?

– ნატიფი აღნაგობის, გრძელი, მაღალი ფეხებით, სავსე მკერდით, აბრეშუმივით ნაზი კანით და მეტყველი თითებით... შავი თმა და შავი თვალებიც თუ ექნება...

– სულ ეს არის? – გაეღიმა, რადგან მისი გარეგნული მონაცემები აღვწერე.

– არა, მე ჭკვიანი, თავშეკავებული, პრინციპული, ცოტა მელანქოლიური ქალები მომწონს. სასურველია, განათლებულიც იყოს.

ნასტია წამოდგა, სინათლე გამორთო, გვერდით მომიჯდა და მხარზე ჩამომეყრდნო.

– იცი, ალექსანდრ, დავიღალე...

ნასტენკა შეუბრალებლად მომხიბვლელი იყო... თეთრი, უზადო კანი ტელევიზორის შუქზე მართლაც აბრეშუმივით უელავდა. არცთუ სქელ, მაგრამ კოხტად მოყვანილ ბაგეზე ვნება ცეცხლს მიფიცხებული კატასავით თვლემდა... თავი ველარ შევიკავე, თავი ავუწიე და ტუჩებში ვაკოცე. ისიც დამყვა. ხელით მისი ღილები მოვძებნე, ნელ-ნელა შევუხსენი, ბლუზა მხრებზე გადავუცურე და მკერდისკენ ჩავეპარე კოცნით. უცბად, მარცხენა მხარეს, მკერდთან ახლოს ტატუს მოვკარი თვალი – ეს პეპელა, პატარა, ლურჯად და მწვანედ მოხატული ფრთებით – სად მინახავს?!

– რა მოხდა, ალექსანდრ?! – ნასტია წამოდგა, სწრაფად გაისწორა ბლუზა, ღილები შეიკრა და შუქი აანთო, – მაპატიე, მართალი იყავი, სასმელი ბევრი მომივიდა.

– მე კი არ მინდა, რომ ამით ვისარგებლო და ხვალ დილით შენს სახეზე წყენა ამოვიკითხო, – წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი.

ნასტია გაბუტულივით ჩამოჯდა სავარძელზე, თავი ხელებს შუა მოიქცია და ჩაილაპარაკა:

– არ უნდა დავრჩენილიყავი! უკანასკნელი ქარაფშუტასავით მოვიქეცი.

– თავს ნუ იდანაშაულებ, ყველაფერი ჩემი ბრალია... სიმართლეს გეტყვი: თავს ვერ შევიკავებდი, რომ არა ერთი მოგონება...

– რა მოგონება?! – ნასტიამ სწრაფად წამოსწია თავი და ხელები მუხლისთავებზე დაიწყო.

– იმ ზაფხულს ზღვაზე ვისვენებდი, – წამოვიწყე მძიმედ, – მაშინ 22 წლისაც არ ვიქნებოდი. დილით ამინდი აირია, ტალღები ზვირთებად იქცა და შუადღის შემდეგ ზვირთები შტორმად გადაქცევას ლამობდნენ. მე კი ძალიან მიყვარს აღელვებულ ზღვაში გაცურვა... როცა მაღალი ტალღებია, წყალი უფრო მიზიდავს, ექსტაზში მაგდებს, ადრენალინით მავსებს... უფრო აზარტული ვხდები. შუადღისას პლაჟზე გავედი. ტყვიისფერი ღრუბლებით მოქუფრული ცა ზღვას შავად ღებავდა... ქაფიანი ტალღები ნაპირს წალეკვით ემუქრებოდა... თუმცა კანტიკუნტად დამსვენებლები მაინც იყვნენ. შორიახლო დედა-შვილს გაეშალა პირსახოცები. რუსულად საუბრობდნენ. მათი ხმამაღალი საუბრიდან მივხვდი, რომ დედა ქალიშვილს, რომელიც ასე, 16-17 წლისა უნდა ყოფილიყო, წყალში შესვლას უშლიდა. გოგონა ჯიუტობდა, რადგან საღამოს იქიდან უნდა გამგზავრებულიყვნენ და ცურვას ემურებოდა. ბოლოჯერ შევალო, – გადმოუგდო დედას და ზღვაში შეაბიჯა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**
აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.
დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.
მოქმედებს შეღავათები.
**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# მკვლელი რეცენზია

## რობერტ კოლბი



არტურ პაიკი თეატრალურ წრეებში ძალიან პოპულარული და „წონიანი“ კრიტიკოსი იყო. რეჟისორებს, სცენარისტებს, დამწყებ და უკვე სახელმოხვეჭილ მსახიობებს ბომბის აფეთქებაზე მეტად ეშინოდათ მისი რეცენზიების. თუ რომელიმე სპექტაკლს გაანადგურებდა – მორჩა, იმ სპექტაკლს სამუდამოდ მოხსნიდნენ და აღარც გაისხენებდნენ. არტურს საკმაოდ ბევრი ადამიანის ცოდვა ედო სინდისზე: ვინ – გალოთდა, ვინ – განარკომანდა, ვინ – სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. პაიკი ამაზე ნაკლებად დარდობდა. მას მიაჩნდა, რომ უნიჭო ადამიანის სიკვდილიც კი არ არის დიდი დანაკლისი საზოგადოებისთვის. ამის გამო, უმრავლესობას სძულდა კრიტიკოსი და, თუ კისერს მოიტეხდა, არათუ არავინ იდარდებდა, ბევრს გაუხარდებოდა კიდეც. 53 წლის პაიკი კი საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნებოდა და სიამოვნებით ეძლეოდა ამქვეყნიურ სიამეებს...

ტელეფონის ზარმა მჭახედ და შეუფერებლად ადრე დარეკა... პაიკმა სცადა, ყურადღება არ მიექცია, მაგრამ, ვიღაც უზრდელი აშკარად არ აპირებდა თავის დანებებას. ბუზღუნით ადგა. მზად იყო, თავხედისთვის თავისი ადგილი მიეჩინა.

– ალო, ვინ ლაპარაკობს? – ჩასძახა გაღიზიანებულმა.

– მისტერ პაიკ, მისტერ პაიკ... – გაისმა ქალის ნაზი ხმა, – ბარბარა გარდნერი ვარ... არ გახსოვართ? მთავარი როლი შევასრულე „შუაღამის სიმღერაში“ და, მერე, როცა თქვენ ცუდი რეცენზია დაწერეთ, ჟურნალისტებთან სასტიკად გაგლანძღეთ.

ბარბარა გარდნერი... როგორ შეეძლო ასეთი ლამაზმანის დავიწყება. ფეხები უსასრულობიდან ეწყებოდა, მაღალი მკერდი თითქოს მოსაფერებლად უხმობდა კაცს. მრგვალი და მადის აღმძვრელი თეძოები ჰქონდა... პაიკმა მაშინ თითქმის ინანა, ცუდი რეცენზია რომ დაწერა, მერე კი თავი იმით დაიმშვიდა, რომ, ახალგაზრდა მსახიობის ქება იმიტომ არ იყო გამართლებული, თავში აუვარდებოდა და მისი მსახიობური წინსვლა ამით დაზარალდებოდაო სწორედ ეს უთხრა ბარბარას და, შეეცადა, ძალიან თავაზიანი ყოფილიყო.

– ოო, რას ბრძანებთ, მისტერ პაიკ! მე სულაც არ ვარ თქვენზე გაბრაზებული ან ნაწყენი. პირიქით, სწორედ იმიტომ ვრეკავ, რომ ბოდიში მოგიხადოთ იმისთვის, რაც მაშინ ჟურნალისტებთან ვთქვი... მინდა, ჩვენ შორის გაუგებრობა აღარ იყოს. რას იტყოდით, ერთად რომ გვევახშმა დღეს საღამოს? ნიუ-არკიში ვცხოვრობ. ჩვენი „პალას ოტელის“ შეფ-მზარეული თავისი საქმის ნამდვილი დიდოსტატია. მისი არაჩვეულებრივი კერძების საჭმელად საიდან აღარ ჩამოდიან. ნუ მეტყვით უარს. შეგვიძლია, ყავა ჩემთანაც დავლიოთ. შეიძლება, ცუდი მსახიობი ვარ, მაგრამ, ყავას არაჩვეულებრივად ვამზადებ, – აჟღურტულდა ქალი.

ეს უკვე მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მიპატიჟება. პაიკი გაიბადრა. წარმოიდგინა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბარბარას ბინაში ყავის სმას. ქალთა სქესის მიმართ გულგრილი არასდროს ყოფილა, მით უფრო, აღაფრთოვანა ოცდახუთი წლით უმცროსი, ლამაზი ქალის ყურადღებამ. მაგრამ, ერთი პრობლემა იყო: ნიუ-იორკიდან ნიუ-არკამდე ორი საათის სავალი იყო. იმ საღამოს კი ბროდვეიზე „ძველი ისტორიების“ პრემიერა უნდა შემდგარიყო ნორა მასტერსის მონაწილეობით მთავარ როლში. პაიკის რეცენზიას გამომცემლობა იმავე დღეს ბეჭდავდა, რომ დილისთვის მთელ თეატრალურ საზოგადოებას წაეკითხა... მაგრამ, მშვენიერ ბარბარასთან შეხვედრაზეც როგორ ეთქვა უარი?! ასეთი ლამაზი ქალი ეპატიჟებოდა პაემანზე. უნიჭო მასტერსს რა უნდა ეთამაშა ისეთი, რომ სექსუალური ბარბარასგან მიღებული სიამოვნება დაეჩრდილა? მით უმეტეს, რომ, დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბოლოს ქალთან იწვა... უცებ გადაწყვიტა, როგორ მოიქცეოდა და სახე გაუბრწყინდა:

– დიდი სიამოვნებით ვივახშმებ შენთან ერთად, მშვენიერო ბარბარა. რაც შეეხება წყენას, სულაც არ მწყენია, რაც ჟურნალისტებთან ჩემზე თქვი. იმედი მაქვს, მშვენიერ საღამოს გავატარებთ...

არტური შესანიშნავ გუნებაზე დადგა. დაჯდა და მასტერსზე რეცენზიის წერა დაიწყო. ნორა უკვე მეოთხე სეზონს ხსნიდა ბროდვეიზე და ყველა სპექტაკლში ერთნაირი იყო, ახლა რატომღა მოახდენდა საოცრებას? ერთი საათი დასჭირდა გამანადგურებელი რეცენზიის შესათითხნად – „...ისეთი მოსაწყენი იყო, რომ უკანა რიგებში მსხდომ მაყურებელს ჩაეძინა კიდეცო“... – ასე დაასრულა სტატია და, კმაყოფილმა, საქმის წარმატებით დასრულების აღსანიშნავად, საუკეთესო ვისკი დალია. იმ ბიჭს დაურეკა, რომელსაც რედაქციაში წერილებს ატანდა ხოლმე, დაარიგა, რომელ საათზე უნდა მიეტანა რეცენზია, ფულიც მისცა და თავად სააბაზანოში შევიდა, თან, რომელიღაც მელოდიას უსტვენდა. იცოდა, რეცენზიის „ბრმად“ დაწერა საკმაოდ საშიში და სარისკო იყო, მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩიტი ბდღვნად ღირდა. პაიკმა მთელი საღამოს გეგმა დასახა: აი, ხედავდა კიდეც, როგორ სვამდნენ ერთად ყავას... „პალას ოტელში“ თავისუფალი ნომრები ალბათ იქნებოდა და, ბარბარასთან გატარებული ვნებიანი საღამოს შემდეგ, ღამესაც იქვე გაატარებდა...

ლანჩი თავის საყვარელ კაფეში მიირთვა, მერე ქალაქში ყველაზე პრესტიჟულ საპარიკმახეროს მიაკითხა, გაიპარსა და თმაც მოდურად შეიკრიჭა; მერე „ბოსის“ მაღაზიას მიაკითხა, ახალი კოლექციიდან პიჯაკი და პერანგი შეიძინა; ძალიან მოდურ სამგზავრო ჩანთასაც დაადგა თვალი... ბევრი არ უფიქრია, ისიც შეიძინა და გამგზავრებამდე დარჩენილი ორი საათი სახლში, სრულ სიმშვიდეში გაატარა. ზუსტად 4-ზე პორტიემ დაურეკა, თქვენი მანქანა გარეცხილია და სადარბაზოსთან დგასო. პაიკი უკვე დარწმუნდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. ნორა მასტერსს პირველივე სეზონზე გამოუტანა განაჩენი: რომ საშინლად უნიჭო იყო – არავითარი იმპროვიზაცია; რომ ჯულიეტასაც და მაკბეტსაც ერთნაირად თამაშობდა...

6 საათზე „პალას ოტელში“ იყო. ნიუ-იორკიდან ორი საათის სავალზე მდებარე ქალაქში არასდროს ყოფილა. სასტუმროს რესტორანი საკმაოდ პრესტიჟულად გამოიყურებოდა. ოფიციანტს ჰკითხა, მე ხომ არავინ მელოდებაო და კოქტეილი შეუკვეთა... ქალის მხრიდან დაგვიანებაში არაფერი იყო გასაკვირი, ეს დამაინტრიგებელიც კი იყო, მაგრამ, ნელ-ნელა ნერვიულობა დაეტყო. მეოთხე ჭიქა კოქტეილზე მიხვდა, რომ ბარბარა აღარ მოვიდოდა. იმასაც მიხვდა, რომ ქალმა ასე გადაუხადა სამაგიერო იმ რეცენზიისთვის... სახლში დაბრუნებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო – ასეთი მთვრალი საჭესთან ვერ დაჯდებოდა, ის კი არა, ნომერშიც სასტუმროს პერსონალის დახმარებით ავიდა, საწოლზე მიეგდო და ხვრინვა ამოუშვა. დილით თავის ტკივილმა გააღვიძა. პირში საშინელ სიმშრალეს გრძნობდა და საფეთქლები უხურდა. ყველაზე მეტად კი შეურაცხყოფის განცდა აწუხებდა – ასე დამცირებულად თავი არასდროს უგრძნია. რა თქმა უნდა, სასტიკად ანანებდა ბარბარას ამ იდიოტურ ხუმრობას – პაიკი მას ისეთ დღეში ჩააგდებდა, ვერც ერთი რეჟისორი ვერ გაბედავდა მის აყვანას რომელიმე, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო როლზეც კი...

მექანიკურად ჩართო ტელევიზორი. დიქტორის ხმა თავის ტკივილს უფრო უძლიერებდა. სიტყვების აზრს მოგვიანებით ჩასწვდა და კანი დაუბუსუსდა:

„... თავბრუდამხვევი წარმატება!.. ახალგაზრდა, დიდი იმედების მომცემი ბარბარა გარდნერი „ბისზე” შვიდჯერ გამოიძახეს. მან მთავარი როლი შეასრულა ბროდვეიზე დადგმულ პრემიერაში – „ძველი ისტორია“. გუშინ დილით, ადრიანად, მასტერსი, რომელსაც უნდა შეესრულებინა ეს როლი, თავისი მანქანით ავარიაში მოყვა და დაიმტვრა. სპექტაკლი რომ არ გადადებულიყო, როლი ბარბარამ, მისმა დუბლიორმა შეასრულა და ეს ნამდვილი ტრიუმფი იყო, ნიჭისა და სამსახიობო ოსტატობის ტრიუმფი!.. – ასე შეაფასეს კრიტიკოსებმა ბარბარას თამაში. რაც შეეხება ცნობილ თეატრალურ კრიტიკოსს მისტერ არტურ პაიკს... სკანდალი ატყდა თეატრალურ სამყაროში – მას თაღლითობაში ადანაშაულებენ... არტურ პაიკი, როგორც გაირკვა, თავის კრიტიკულ რეცენზიებს ისე წერდა და აქვეყნებდა, რომ სპექტაკლებს საერთოდ არ ესწრებოდა. მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი ერთდროულად რამდენიმე დრამატურგმა, რეჟისორმა და მსახიობმა შეიტანა. პაიკს ის გაზეთიც უჩივის, რომელიც წლების განმავლობაში რეცენზიებს უბეჭდავდა....“

პაიკს თითქოს ურო ჩაარტყეს თავში. ბარბარა იმაზე გამჭრიახი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდა – მან ხელის ერთი აქნევით გაანადგურა მტერი. პაიკი მიხვდა, რომ მისი კარიერა დასრულდა, კარიერასთან ერთად კი – ცხოვრებაც... ბარბაცით მივიდა ფანჯარასთან, რაფაზე აფორთხდა და გადახტა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-38(717)**

„ჩემი ვაჟკაცი, საცოდავი მამა, – იმეორებდა მერაბი და თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, – ტანჯვაში, უპატრონოდ, ცხრა მთას იქით ამოხდა სული და ძაღლივით დამარხეს. მანძულიას ნაშიერო, თუ ცხოვრობ ამქვეყნად, შენც იმ დამპალი თესლიდან ხარ აღმოცენებული, როგორც შენი მშობელი და მიფრთხილდი! კაცი ხარ თუ ქალი, სადაც არ უნდა იყო, მოგძებნი და ისე ამოგხდი სულს, როგორც ეს მამაშენმა გაუკეთა მამაჩემს. არ დაგინდობ და, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, რომ სიკვდილი მოგენატრება“.

მერაბ გამრეკელი ამ მონოლოგს დაუსრულებლად იმეორებდა, თან დიდი სისწრაფით მიაქროლებდა „ვოლგას“. ავტოინსპექტორები ნომრით ცნობდნენ თავიანთ კოლეგას და, სიჩქარის გადაჭარბების მიუხედავად, მის გაჩერებას არც ცდილობდნენ. გორს რომ უახლოვდებოდა, ერთ-ერთი სოფლის გადასახვევიდან, მოულოდნელად გამოვარდა ველოსიპედზე მჯდარი ბავშვი. ბავშვამდე ორმოცდაათიოდე მეტრი იყო დარჩენილი. საათში ას ოცი კილომეტრით მოძრავ „ვოლგას“ სულ რაღაც წამ-ნახევარი სჭირდებოდა ამ მანძილის გასავლელად და ბიჭის გასატანად. მერაბისგან ხელმარცხნივ, შემხვედრი მიმართულებით, ტანკების კოლონა მოემართებოდა – ისინი სასწავლო პოლიგონიდან ბრუნდებოდნენ თავიანთ ნაწილში. პირველ ტანკამდეც ორმოცდაათი მეტრი აშორებდა „ვოლგას“ და, მერაბს მკვეთრად მარცხნივ რომ შეეტრიალებინა საჭე, შუა ტრასაზე გამოვარდნილ ველოსიპედისტ ბავშვს ასცდებოდა, მაგრამ, ტანკს შეასკდებოდა და ისე გაბრტყელდებოდა, როგორც მატარებელგადავლილი ხუთკაპიკიანი. დრო არ ითმენდა. გადაწყვეტილება წამის მეასედში იყო მისაღები. ან სხვა უნდა მოეკლა მერაბს, ან თვითონ უნდა მომკვდარიყო. მაიორმა მეორე ვარიანტი აირჩია: მარცხნივ აილო საჭე და ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა, რომ არ გაჰქცეოდა. „ვოლგამ“ მოხდენილი მანევრი გააკეთა, მანქანა ბავშვს ასცდა, შემდეგ ოდნავ მარჯვნივ გადაუხვია, გასწორდა და ტანკების კოლონას დიდი სისწრაფით, მილიმეტრებში ჩაუქროლა. მერაბმა სიჩქარე დააგდო და ერთი კილომეტრი ისე გაიარა. მერე „ვოლგა“ გზის პირზე გააჩერა, თავი ხელებში ჩარგო და სიმწრისგან ატირდა... „მამა, მამა, ჩემო ვაჟკაცო მამა...“ – იმეორებდა მილიციის გმირი მაიორი და ნერვებს ვერ იოკებდა. მერაბი ასეთ მდგომარეობაში დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში იმყოფებოდა. შემდეგ დამშვიდდა. სახეზე წყალი შეისხა. სული მოითქვა და გზა განაგრძო.

საღამოს 9 საათი სრულდებოდა, გაგრაში რომ შევიდა. ის თამარის ოფიციალური საქმრო იყო და თავისუფლად შეეძლო, ანჩაბაძეების სახლში დარჩენილიყო, თანაც, თამარიც ძალიან ენატრებოდა. მიუხედავად ამისა, პირველად მამობილს სცა პატივი და ძია ასთამურის სახლისკენ გაემართა.

– ხომ გითხარი, ძია ასთამურ, ჯერ აქ მოვა-მეთქი. წააგე სანაძლეო და მერაბი დღეს ჩვენთან დარჩება, – უთხრა თამარმა გოლიათ მეტყევეს, როდესაც მერაბი სახლში შევიდა. საცოლე მაიორს კისერზე ჩამოეკიდა.

– მართალი ხარ, წავაგე, – ხალისიანად მიუგო ასთამურმა თამარს, – მაგრამ, ჯერ იყავით, მომენატრა მერაბი, თანაც, მინდა, ერთად ვივახშმოთ.

თერთმეტს გადაცილებული იყო, როდესაც მერაბი და თამარი ასთამურისგან წამოვიდნენ.

– მოდი, სოჩაში წავიდეთ, – შესთავაზა თამარმა მერაბს.

– ჯერ სახლში მივიდეთ და ქალბატონი მართა გავაფრთხილოთ, – მიუგო მერაბმა.

– დედა წინასწარ გავფრთხილე. ასე მითხრა, – თუ გინდათ, დილამდე ისეირნეთ, მაგრამ მერაბი დაღლილი იქნება და დროზე მოიყვანე სახლშიო. დაღლილი ხარ?

– ძალიან მომენატრე, – მიუგო მერაბმა თამარს და „ვოლგა“ სოჭისკენ გააქროლა.

თამარი უჩვეულოდ თამამად იქცეოდა: მერაბს ეხუტებოდა და წელზე ხელს ხვევდა. მიუხედავად ამისა, მაიორს გონებაშიც არ გაუვლია, მიღებული ტრადიციის ზღვარს გასცდენოდა და კოცნაც კი არ უცდია; მეტიც, ჯერ ღამის ორი საათიც არ იყო, რომ თამართან ერთად გაგრაში დაბრუნდა, რამაც გოგონა გაანაწყენა კიდეც.

– მერაბ, შვილო, როგორ ხარ? – გადაეხვია მართა სასიძოს და სახლში შეიყვანა. თამარის გაბუტულ სახეს რომ შეხედა, გაეცინა და მერაბს უთხრა:

– ასე მითხრა, სოჩაში მთელი ღამე ვისეირნებთო და, ასე ადრე რომ მოიყვანე, ალბათ, იმიტომაა გაბუტული, ხომ?

მერაბმა სასიდედროს ღიმილით, უხმოდ დაუქნია თავი.

– დავიღალე და დავწვები, – გამოაცხადა თამარმა და საძინებლისკენ გაემართა.

მერაბს გაეღიმა. გაეღიმა მართასაც და ქალიშვილს მიაძახა:

– ღამე მშვიდობისა, თამარ, ტკბილ ძილს გისურვებ!

თამარი უხმოდ შევიდა საძინებელში, მართამ კი მერაბს უთხრა:



– ვახშამი გაწყობილი მაქვს. წამოდი, სამზარეულოში გავიდეთ. ერთი ბოთლი წითელი ღვინო მაქვს და ცოტას მეც დავლევ.

სასიძო და სასიდედრო მაგიდას მიუსხდნენ და ვახშამსა და ღვინის სმას შეუდგნენ.

– თამადა მე ვიქნები, – თქვა მართამ, ღვინით სავსე ჭიქა ასწია და მერაბი ადღეგრძელა: – გაგიმარჯოს, შვილო, გაიხარე! შენი თავი ღმერთმა გამოგვიგზავნა...

სამზარეულოში მოღიმარი თამარი შემოვიდა. მერაბის გვერდით მოკალათდა და თქვა:

– უჩემოდ ქეიფობთ?

– გელოდებოდით. ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. ერთი ჭიქა წითელი ღვინო მოგიხდება. მერაბი ადღეგრძელე და დალიე, – უთხრა მართამ თავის ქალიშვილს და ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა.

თამარმა საქმრო ადღეგრძელა, ღვინო დალია და მერაბს ისეთი ალერსიანი მზერა მიაპყრო, რომ მაიორი უხერხულობისგან წამოწითლდა.

გვიანი ვახშამი რომ დაასრულეს, დილის ოთხი საათი სრულდებოდა. მართამ სასიძოს ლოგინი გაუშალა. დედა-შვილმა მას ძილი ნებისა უსურვა და დასაძინებლად გავიდნენ. დაწვა მერაბიც, მაგრამ, კარგა ხანს არ დაეძინა. ის კვლავ რობერტ მანძულიაზე ფიქრობდა და შურისძიების სურვილი კლავდა. შემდეგ დამშვიდდა და ჩაეძინა.

მეორე დილით მართამ გაშლილი სუფრა დაახვედრა ახალგაღვიძებულ მერაბსა და თამარს. სამივემ ერთად ისაუზმა, შემდეგ კი დანიშნულებმა ზღვისპირას გაისეირნეს. სახლში რომ დაბრუნდნენ, ასთამური დახვდათ. ისადილეს და ოთხივე სოხუმში გაემგზავრა სპექტაკლზე დასასწრებად.

„რომეო და ჯულიეტას“ პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა, დიდი წარმატებით დასრულდა და დარბაზში შეკრებილი ხალხი ნახევარი საათის განმავლობაში უკრავდა ტაშს. გაგრაში რომ დაბრუნდნენ, ჯერ ასთამური მიიყვანეს სახლში, შემდეგ შინისკენ გაემართნენ და უკანა სავარძელზე მოკალათებულმა თამარმა თქვა:

– რა მშვენიერი ამინდია. სოჩაში ხომ არ გავისეირნოთ?

– დაგავიწყდა, შვილო, რომ მერაბი ქუთაისში მიემგზავრება? სანამ ჩვენ წავალთ-წამოვალთ, გათენდება კიდეც და ცოდოა, დაისვენოს, – უთხრა მართამ ქალიშვილს.

მერაბს ხმა არ ამოუღია. ამის გამო თამარი გაიბუტა, მაგრამ მართამ უთხრა:

– ნუ მიწყენ, შვილო, მაგრამ, რომ არ გითხრა, არ შეიძლება. ამ ბოლო დროს ძალიან შეგეცვალა ხასიათი და ჭირვეულობ. ასე არ შეიძლება. ნუ გავიწყდება, რომ მილიციელის ცოლი უნდა გახდე და ბევრი რამის მოთმენა მოგიწევს. ისე ვერ იცხოვრებ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანების ცოლები ცხოვრობენ. ყოველთვის იქ ვერ წახვალ და იმას ვერ გააკეთებ, რაც შენ მოგინდება. მერაბი ხალხის უსაფრთხოებას ემსახურება. მტკიცე ზურგი სჭირდება და ეს როლი შენ უნდა შეასრულო. ექიმი იყო ცხონებული მამაშენი, მაგრამ, მერაბივით, ისიც ხალხს ემსახურებოდა და, შენსავით რომ კაპრიზობა დამეწყო, რა გამოვიდოდა?

– მამაჩემის ბედი ღმერთმა აშოროს მერაბს, – თქვა გაბუტულმა თამარმა. მართას კი გაეღიმა და დაამატა:

– თუმცა, თავიდან მეც ვბრაზობდი ხოლმე. ერთხელ ისე გავმწარდი, რომ ჩემს ოთახში ჩავიკეტე, ავტირდი და არავის ვიკარებდი.

– რატომ? ეგ ამბავი რომ არ ვიცი? – გამოცოცხლდა თამარი.

მართას გაეღიმა და თქვა:

– ახალდაქორწინებულები ვიყავით. მამაშენმა შვებულება აიღო და მოსკოვში ვაპირებდით გამგზავრებას. თვითმფრინავის ბილეთებიც უკვე ჯიბეში გვედო და ჭკუაზე არ ვიყავი სიხარულისგან. გამგზავრების წინა დღეს მამაშენი სასწრაფოდ გამოიძახეს სამსახურში. უკან რომ დაბრუნდა, მითხრა:

– მართა, ძვირფასო, სასწრაფოდ სვანეთში უნდა გავფრინდე. ვერტმფრენი მელოდება და ორი წუთით შემოვირბინე სახლში, რათა ეს შენთვის მეთქვა, რომ არ გენერვიულა. ერთი იქაური დათვმა დატორა და სასწრაფო ოპერაცია აქვს გასაკეთებელი.

– მერე, მოსკოვი? – ამოვილუღლუღე მე.

– მოსკოვში ხომ ხვალ საღამოს მივფრინავთ. ხვალ დილით  დავბრუნდები, – მომიგო მან, მაკოცა და წავიდა.

მამაშენი ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა. თან, ის დათვის დატორილი სვანი ჩამოიყვანა და სოხუმის საავადმყოფოში დააწვინა. თურმე, ძლივს გამოჰგლიჯა ის კაცი სიკვდილს. იქ კი იმიტომ დარჩა, რომ იმ მაღალმთიან სოფელში ექთანიც კი არ ჰყავდათ და ვერავინ მოუვლიდა. ნაოპერაციები ავადმყოფის გადმოფრენა კი არ შეიძლებოდა. ღამეებს თვითონ უთევდა, საწოლიდან არ შორდებოდა და გადაარჩინა.

– რომ დაბრუნდა, რა გითხრა? – ჰკითხა თამარმა.

– თავზე ხელი გადამისვა, მაკოცა და მომიბოდიშა.

– მაშინვე შეურიგდი?

– არც არასდროს გავბუტულვარ. ძალიან მიყვარდა, თანაც, კეთილ საქმეს ემსახურებოდა. საკმარისი იყო, ის დამენახა, მისი ხმა გამეგონა, ან შემხებოდა, რომ სიმშვიდით ვივსებოდი.

– მოსკოვში გაემგზავრეთ? – დაინტერესდა მერაბი.

– ცოტა მოგვიანებით გავემგზავრეთ და კარგი დროც გავატარეთ. ბედნიერი, ძალიან ბედნიერი ვიყავი, – ნაღვლიანად თქვა მართამ, შემდეგ გაიღიმა და დაამატა: – ახლაც ბედნიერი ვარ. თქვენ რომ გიყურებთ, გული სიხარულით მევსება და ძალები მემატება.

სახლში შუაღამისას დაბრუნდნენ, მსუბუქად ივახშმეს და დასაძინებლად დაწვნენ. დილის ხუთის ნახევარი იყო, მერაბს რომ გაეღვიძა. ადგა და ჩაიცვა. შემდეგ ფრთხილად გამოვიდა ოთახიდან, რომ მართა და თამარი არ გაეღვიძებინა. თუმცა, მართა უკვე ფეხზე იყო, თანაც საუზმეც გამზადებული ჰქონდა და მერაბი მაგიდასთან მიიპატიჟა:

– მოდი, შვილო, ისაუზმე და ისე წადი.

მერაბს არ შიოდა, მაგრამ, სასიდედროს ხათრი არ გაუტეხა და ისაუზმა. შემდეგ ეზოში ჩავიდა. მართამ მანქანამდე მიაცილა. ამ დროს ხალათში გამოწყობილი თამარი გამოჩნდა და საქმროს უთხრა:

– გამოუმშვიდობებლად მიდიოდი?

– შენი გაღვიძება არ მინდოდა, – მიუგო მერაბმა, – დაიძინე. საღამოს ჩამოვალ და სოჩაში გავისეირნოთ. ნახვამდის, წავედი.

მაიორი მერაბ გამრეკელი ქუთაისის თეატრთან რომ მივიდა, პოდპოლკოვნიკი ნოდარ შავიძე უკვე იქ ელოდებოდა.

– დილა მშვიდობისა, ნოდარ. დიდი ხანია, მელოდები? – ჰკითხა მერაბმა შავიძეს.

– გაგიმარჯოს. ათი წუთიც არაა, – მიუგო შავიძემ, – დაიძარი და უკან გამოგყვები.



მერაბი და ნოდარი ათ წუთში მივიდნენ დანიშნულების ადგილზე. ქუთაისის მილიციის სამმართველოს თანამშრომლები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულები და ახალ უფროსს ეზოში დახვდნენ ჩამწკრივებულები. მაიორმა და პოდპოლკოვნიკმა გვერდიგვერდ გააჩერეს „ვოლგები“, მანქანებიდან ერთდროულად გადმოვიდნენ და შენობის შესასვლელისკენ გაემართნენ. მილიციელებმა მხედრული სალამი მისცეს ახალმოსულებს, მერაბმა და ნოდარმაც სალმითვე უპასუხეს. გამრეკელი წამით შეყოვნდა და მილიციელებს უთხრა:

– ზუსტად ორმოცდახუთ წუთში მილიციის უფროსის კაბინეტში გელოდებით განყოფილების უფროსებსა და მათ მოადგილეებს. არ დაიგვიანოთ. ცხრა საათზე ვიწყებთ თათბირს.

მაიორი წინ წასულ შავიძეს კართან წამოეწია და ისინი ერთად შევიდნენ შენობაში. სამორიგეოსთან მათ ნოე ბუცხრიკიძე შემოხვდათ, რომელიც კიბეებზე აპირებდა ასვლას. მერაბმა ის გააჩერა და, ჯერ ხელი ჩამოართვა, შემდეგ კი უთხრა:

– გამარჯობა, ნოე, როგორ ხარ?

– გაგიმარჯოს, ბატონო მერაბ. ფიქრებში ვიყავი გართული და ვერ შეგამჩნიეთ. როგორ ბრძანდებით?

– არა მიშავს, – მიუგო მერაბმა. შემდეგ ნოდარ შავიძეზე მიუთითა, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა ნოეს და უთხრა: – გაიცანი. ეს ნოდარ შავიძეა,  თქვენი ახალი უფროსი.

ნოე მხედრულად გამოეჯგიმა პოდპოლკოვნიკს. სალმითვე უპასუხა ნოდარმაც. შემდეგ ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– მერაბმა ძალიან გაქოთ. იმედია, მომავალშიც ასე გააგრძელებთ.

– დიახ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! ძალებს არ დავზოგავთ, რომ ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ.

– ლეიტენანტო, ცხრა საათზე ჩემს კაბინეტში გელოდებით თათბირზე.

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, არ შეიძლება, რომ თათბირს არ დავესწრო და მოგვიანებით გამოვცხადდე?

– რატომ, მოხდა რამე?

– ოპერაციას ვატარებთ, უნდა გავიდე და ცხრისთვის უკან დაბრუნებას ვერ მოვასწრებ. ბიჭები უკვე ადგილზე არიან. ჩასაფრება მოვაწყვეთ და მე მელოდებიან.

– კაბინეტში ავიდეთ და მომახსენეთ, რა ხდება, – უთხრა შავიძემ ნოეს, მერაბი წინ გაატარა, რომ გზა ეჩვენებინა და ბუცხრიკიძესთან ერთად უკან გაჰყვა მაიორს.

მისაღებში რომ შევიდნენ, მათ ტუტრუცანა შეეგება და შავიძეს უთხრა:

– რაფრა იქნება, უფროსო, ჩემი საქმე, მიშობთ და ახალი სეკრეტარშა მოგყავთ თუ დავრჩე პოსტზე?

ტუტრუცანას სტატუსის შესახებ შავიძეც ინფორმირებული იყო და გულში გაეცინა, ტუტრუცანას კი კოპებშეკრულმა უთხრა:

– თქვენი მოვალეობა შეასრულეთ და როცა დამჭირდებით, გიხმობთ.

– აბა, ნოე, თქვი, რა ხდება, – უთხრა შავიძემ ბუცხრიკიძეს, როდესაც კაბინეტში შევიდნენ.

ლეიტენანტმა გამრეკელს შეხედა და თქვა:

– ბატონო მერაბ, 5 სექტემბერს, თქვენ რომ თბილისში გაემგზავრეთ, მეც სახლში წავედი. ძალიან დაღლილი ვიყავი და მეძინებოდა. ღამის პირველ საათზე დედაჩემმა გამაღვიძა და მითხრა, ნონა მიხელაშვილს შენთან სასწრაფო საქმე აქვსო. ნონა „ბენო ურიას“, იგივე ბენიამინ ხუხაშვილის მეუღლეა. ხუხაშვილი აფთიაქარია, მთელი ქუთაისი იცნობს და ჭომაზე ცხოვრობენ. ნონამ მომიყვა, რომ წინა დღით მისი შვილი, მიხეილი გაუტაცებიათ. იმავე ღამეს კი ოთხი კაცი ბენო ურიას აფთიაქში მისულა და უთქვამთ, რომ, თუ ის 8 სექტემბერს, ანუ დღეს, დილის 10 საათზე, მათ ნახევარ მილიონ მანეთს არ მისცემს, მის შვილს მოკლავენ. ბოროტმოქმედებს უთქვამთ, ჩვენ თვითონ მოვალთ დათქმულ დროს და ფული გაამზადე. თუ მოგვატყუებ ან მილიციაში განაცხადებ, შენი შვილის თავს „პასილკით“ გამოგიგზავნითო. აფთიაქარს ცოლისთვის აუკრძალავს ჩვენთან მოსვლა, ნონა კი ჩემთან მოვიდა და დახმარება მთხოვა. ის დედაჩემს იცნობს და, გაუგია, რომ დამაწინაურეს. მე იმავე ღამეს შევხვდი ბენო ურიას და ოქმის გარეშე დავკითხე. თავიდან ის ყველაფერს უარყოფდა და კინაღამ თავისი ცოლი მოკლა, შემდეგ კი ყველაფერში გამომიტყდა და მითხრა, ფულის ნაწილი უკვე ვისესხე, ნაწილსაც მომიტანენო. ბენოსთან ლაპარაკს რომ მოვრჩი, დავემუქრე: თუ ცოლს ხელით შეეხები ან ბოროტმოქმედებს შეატყობინებ, რომ მილიცია ყველაფრის საქმის კურსშია, იცოდე, ციხეში  ამოგალპობ-მეთქი.

– ჩემი და ჩემი ოჯახის მტერი ხომ არ ვარ, დეგენაცვლე, – მითხრა ბენომ, – კარგი იყო, რომ ეს ამბავი თქვენს ყურამდე არ მოსულიყო, მაგრამ, რადგან ყველაფერი იცით, ისე მოვიქცევი, როგორც მეტყვით.

ერთი სიტყვით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ბენო ურიამ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი იცნო და დანარჩენებიც დაწვრილებით ამიწერა. სამნი ქუთაისელები არიან: ბიძაშვილები – ვალიკო და ვარლამ შენგელიები და ნუგზარ ბებია; ერთი კი – სამტრედიელია, ვინმე უშანგი პატარაია.

– ესე იგი, პატარაია, ხომ? – გაიმეორა შავიძემ, მერაბს გადახედა და ნოეს ჰკითხა: – ბოროტმოქმედების ვინაობა როგორ დაადგინე?

– სამტრედიაში გამომძიებლად ვმუშაობდი



და ერთ-ერთი საქმის ძიებისას იმ პატარაიას მეზობელს, ინფორმაციის სანაცვლოდ, ციხე ავაცილე. ბევრი არაფერი ჰქონდა დაშავებული და, რომ იტყვიან, „დავავერბოვკე“. პირველად სწორედ მისგან შევიტყვე უშანგი პატარაიას შესახებ. მაშინ ის ციხეში იჯდა, ახლა ერთი თვის გამოსულია. ჰოდა, ის ჩემი „დავერბოვკებული“ მოვძებნე და სწორედ მან მითხრა დანარჩენი ბოროტმოქმედების ვინაობაც. ის ბიჭი ნუგზარ ბებიას იცნობს და, შენგელიებთან ერთად, ორჯერ სამტრედიაში ჩასულა ციხიდან ახალგამოსულ პატარაიასთან. იმ ბიჭისა და ბენო ურიას აღწერილობები ერთმანეთს ერთი-ერთში ემთხვევა და შენგელიებზე ამ გზით გავედით. სამივე ქუთაისელი მეთვალყურეობის ქვეშაა. უშანგი პატარაია კი არ ჩანს და ამიტომ არ ავიყვანეთ ქუთაისელები. ჩემი ვარაუდით, ოთხივე ერთად მივა დღეს აფთიაქართან და ბანდიტებს ჭომაზე დავაპატიმრებთ.

– პრინციპში, სწორი გადაწყვეტილებაა, – უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა შავიძემ და თქვა: – პატარაია რომ ფულის ასაღებად თვითონ არ მოვიდეს, მაშინ?

– ესეც ნაფიქრი მაქვს, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ამ შემთხვევაში, დანარჩენ ბანდიტებს „კუდზე დავასხდებით” – ვფიქრობ, რომ ისინი პატარაიასთან მიგვიყვანენ და აყვანის ოპერაციას ადგილზე ჩავატარებთ.

– სხვა გზა არ არის, – თქვა ჩაფიქრებულმა შავიძემ, საათს დახედა და გამრეკელს უთხრა:

– ცხრას თხუთმეტი წუთი უკლია. ბანდიტებთან შეხვედრამდე საათი და თხუთმეტი წუთი რჩება. წავედით, მერაბ.

– წავედით, – მიუგო მაიორმა პოდპოლკოვნიკს.

– იარაღი გაქვს?

– მაქვს.

შავიძემ პისტოლეტი შეამოწმა და, რომ დარწმუნდა, წესრიგში იყო, წამოდგა და მერაბს უთხრა:

– როგორ გგონია, მოვა ჩუქჩა შეხვედრაზე?

– ძნელი სათქმელია. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ – ხომ იცი, რა ნაგლი და დაუნდობელია.

– მაგას რა დამავიწყებს. მოკლედ, წავედით. თათბირს მოგვიანებით ჩავატარებთ და მეც მოგვიანებით წარმადგენ.

ნოე ბუცხრიკიძე მშვიდად უსმენდა მერაბსა და ნოდარს და, მიხვდა, რომ ისინი კარგად იცნობდნენ სამტრედიელ ბანდიტ უშანგი პატარაიას, მეტსახელად „ჩუქჩას“ და გამრეკელს ჰკითხა:

– უშანგი პატარაია ადრე დაჭერილი გყავთ?

– ჰო, ცხრა წლის წინ მე და ნოდარმა ავიყვანეთ ნახალოვკაში. ძებნილი იყო და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწია. პოდპოლკოვნიკი მკლავშიც კი დაჭრა.

– ისტორიები – მერე. გავედით, – თქვა შავიძემ და კარისკენ გაემართა. მერაბმა თვალი ჩაუკრა ნოეს და ორივე ნოდარს გაჰყვა.

მისაღებში რომ გავიდნენ, პოდპოლკოვნიკმა ტუტრუცანას უთხრა:

– ყველანი გააფრთხილეთ, რომ თათბირი გადაიდო და მოგვიანებით ჩატარდება, რომ დავბრუნდები, მაშინ.

– სა მიხვალთ, უფროსო, საქეიფოდ? – ჰკითხა ტუტრუცანამ შავიძეს, რადგან, კუტუბიძის დროს მიჩვეული იყო ასეთი კითხვების დასმას და ინსტინქტურად წამოსცდა. რამდონია ხშირად დილიდანვე მიდიოდა ხოლმე საქეიფოდ.

შავიძემ უხმოდ შეუბღვირა მდივანს და გავიდა. ტუტრუცანამ კი ფანჯრიდან გადაიხედა და შავიძის „ვოლგით“ მიმავალ მილიციელებს რომ მოჰკრა თვალი, ჩაილაპარაკა: „მოვა ახლა თვრალი, მიხმობს და მეტყვის რამდონიასავით: რაფრა კარგი და ლამაზი ხარ, ჩემო გოგოო, არა, არა, ყველა კაცი ერთნაირია და ყველას ის უნდა შენგან“.

ჩუქჩას აყვანის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ნოე ბუცხრიკიძის განყოფილების თანამშრომლებმა ერთი გასროლის გარეშე შეიპყრეს ოთხივე ბანდიტი. ჩუქჩა პირადად მალხაზ ჯიბუტმა აიყვანა. ხელბორკილები დაადო და პისტოლეტი აართვა. მალევე იპოვეს და გაათავისუფლეს აფთიაქარის შვილიც, რომელიც ერთ-ერთ სარდაფში ჰყავდათ გამომწყვდეული ბოროტმოქმედებს.

შუადღე ახალი დამდგარი იყო, როდესაც ოპერაციის მონაწილეები მილიციის სამმართველოში დაბრუნდნენ და ბანდიტები მოიყვანეს. შავიძემ ნოეს ხელქვეითები ეზოში, პლაცზე დაამწკრივა და თითოეულ მათგანს პირადად გადაუხადა მადლობა, ბუცხრიკიძეს კი უთხრა:

– ცალ-ცალკე საკნებში გამოამწყვდიეთ. აზრზე მოვიდნენ და მოგვიანებით ჩავატაროთ საგამოძიებო მოქმედება. თხუთმეტ წუთში კი თათბირზე გელოდები.

მერაბს შავიძის წარსადგენად თხუთმეტი წუთი დასჭირდა. შემდეგ, მილიციის ახალი უფროსის ნებართვით, ნოე წაიყვანა და ძმები ბეშქენაძეების სათითაოდ ამოყვანა დაავალა. ჯერ უფროს ძმას ელაპარაკნენ, შემდეგ – უმცროსს. თავდაპირველად ჯიმშერს ისტერიკა დაემართა, როდესაც გაიგო, როგორ გააცურა ის გამრეკელმა, ბოლოს კი დამშვიდდა და მერაბს უთხრა:

– რაც იყო იყო, ბოლო-ბოლო, თქვენი საქმე გააკეთეთ, მაგრამ, პირობას მაინც ნუ დაალღვევთ და ბოლომდე ნუ გამაბოზებთ.

– მე ასე არ ვფიქრობ. თქვენ, უბრალოდ, ჩემს ფანდზე წამოეგეთ და ნებაყოფლობით არავინ დაგიბეზღებიათ, თუმცა, დაურ ბუთბა ნამდვილად იმსახურებს ამას, – უთხრა მერაბმა ჯიმშერ ბეშქენაძეს და დაამატა: – რაც შეეხება პირობასა და შეთანხმებას, ჩვენ მას არასდროს დავარღვევთ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ არ დაარღვიეთ ის. შეგიძლიათ, წახვიდეთ, მაგრამ, ძველი ცხოვრება სამუდამოდ დაივიწყეთ და პატიოსან გზას დაადექით. პირობით სასჯელს მიიღებთ და ამით დავუსვათ წერტილი თქვენს ცუდ ცხოვრებას.

– როდის გამიშვებთ?

– ახლავე.

– ჯემალს რა მოელის?

– ჯემალი ციხეში ჩაჯდება, მაგრამ, მასაც მინიმალურს მისცემენ, – თქვა გამრეკელმა და დაამატა: – კიდევ ერთი, ჯიმშერ: აქედან რომ გახვალთ, ყურადღებით იყავით. გამორიცხული არ არის, რომ დაურ ბუთბამ თქვენთან კონტაქტი სცადოს. გახსოვდეთ, ის ძალიან საშიში, ვერაგი ბოროტმოქმედია და არავის დაგინდობთ. კარგი იქნება, თუ სამი-ოთხი კვირით სადმე წახვალთ, ასე ვთქვათ, „ფსკერზე დაწვებით“.

– მერე, ჯემალი? მას ხომ პატრონობა უნდა?

– ჯემალს ციხემდე არავინ განახვებთ და ეს არცაა საჭირო. მას ჩვენ ავუხსნით ყველაფერს. თქვენ კი ჩემი რჩევა გაითვალისწინეთ. შევთანხმდით?

– შევთანხმდით, – მიუგო ჯიმშერ ბეშქენაძემ გამრეკელს და დაამატა: – ზემო იმერეთში ავალ, იქ ჩემი შორეული ნათესავი ცხოვრობს და მასთან გავჩერდები.

ჯიმშერ ბეშქენაძის გათავისუფლების პროცედურა ნახევარ საათში დასრულდა. მერაბმა და ნოემ მას ხელი ჩამოართვეს, წარმატება უსურვეს და გაუშვეს. ამასობაში 3 საათი შესრულდა. მერაბმა სიგარეტი გააბოლა და ნოეს უთხრა:

– გილოცავ, ძმაო! სულ რაღაც ოთხი დღის დანიშნული ხარ და უკვე წარმატებას მიაღწიე. ბედი გწყალობს.

– გმადლობთ, ბატონო მერაბ. თქვენ რომ არა, ახლაც უმუშევარი ვიქნებოდი.

– მაგრამ, შენ რომ არა, ქუთაისში დღესაც რამდონია იბოგინებდა და უარესი ბარდაგი იქნებოდა, – მიუგო მერაბმა და საათს დახედა: – დიდი დრო გასულა. უნდა გავემგზავრო. გაგრაში ვიქნები, ამ ტელეფონზე (მაიორმა ბუცხრიკიძეს ანჩაბაძეების ბინის ტელეფონი დაუტოვა) და, თუ რამე საგანგებო მოხდა ან დაგჭირდი, დამირეკე. 14 სექტემბერს კი თბილისში, საღამოს 8 საათზე, რესტორან „არაგვში“ მოდი ჩემს ქორწილში. ცოლი მომყავს და დაპატიჟებული ხარ.

– მე, ბატონო მერაბ? უხერხულია... – დაიბნა ნოე ბუცხრიკიძე.

– ლეიტენანტო, წინააღმდეგობა არ გაბედო, იცოდე. ეს ბრძანებაა და უსიტყვოდ უნდა შეასრულო, – ხუმრობით დაუქნია თითი მერაბმა ნოეს და დაამატა: – ცოლი ან საცოლე არ გყავს?

– საცოლე მყავს. სულ მალე დაქორწინებას ვაპირებთ.

– რა ჰქვია?

– თამარი.

– ჩემს საცოლესაც თამარი ჰქვია. ჰოდა, შენ და თამარს გელოდებით ჩემს ქორწილში. ნოდარ შავიძე უკვე გაფრთხილებული მყავს და ერთად ჩამოხვალთ, ის წამოგიყვანთ. ახლა კი ჩემს თამართან წავედი. ნახვამდის, – უთხრა მერაბმა ნოეს, გადაეხვია და გაგრაში გაემგზავრა.

მერაბისა და თამარის ქორწილამდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ამიტომ, მაიორმა ეს დრო სულ თამარს მიუძღვნა და დან-

იშნულები შავიზღვისპირეთში მოგზაურობდნენ მერაბის „ვოლგით“. ქორწილებმაც ბრწყინვალედ ჩაიარა – ორი დღე გადაბმულად იქეიფეს და სუფრებს გენერალი კოტე თავართქილაძე თამადობდა. მოადგილეობას კი მას სოხუმის თეატრის მთავარი რეჟისორი უწევდა. 18 სექტემბერს ორივე ახალდაქორწინებული წყვილი აფხაზეთში დაბრუნდა. ლია და მერაბ მხეიძე სოხუმში დასახლდნენ, ლიას მამიდის ბინაში, თამარი და მერაბ გამრეკელი კი გაგრაში დარჩნენ და თაფლობის თვე ანჩაბაძეების სახლში გაატარეს. მართა, ხელი რომ არ შეეშალა ცოლ-ქმრისთვის, დროებით ასთამურ შამბასთან გადავიდა საცხოვრებლად. თუმცა, გოლიათ მეტყევესთან ერთად თითქმის ყოველდღე აკითხავდა სიძესა და ქალიშვილს.

– ძალიან ბედნიერი ვარ, მერაბ. უზომოდ მიყვარხარ, – უმეორებდა ხოლმე თამარი მერაბს და ეხუტებოდა.

მაიორის შვებულება დასასრულს უახლოვდებოდა. 29 სექტემბერს წყვილი თბილისში გამგზავრებას გეგმავდა, რადგან, პირველ ოქტომბერს სამსახურში უნდა გასულიყო.

– მიყვარხარ, მერაბ, ძალიან მიყვარხარ, – უთხრა ახალგამოღვიძებულმა თამარმა ქმარს, როდესაც მერაბმა მას ლოგინში ყავა მიუტანა. შემდეგ კედლის კალენდარს შეხედა და ნაღვლიანად დაამატა, – რა მალე გადის დრო, ზეგ უკვე მივემგზავრებით.

– ისევ ჩამოვალთ. ყავა დალიე, თორემ, გაცივდება, – ალერსიანად მიუგო მერაბმა თამარს, გააბოლა და დაამატა: – დღეს შენთვის სიურპრიზი მაქვს.

– რა სიურპრიზი? – გახალისდა თამარი.

მაიორმა მეუღლეს ბილეთები აუფრიალა და უთხრა:

– აი, ეს სიურპრიზი.

– ეს რა არის?

– ბილეთები.

– რა ბილეთები? თქვი, მერაბ. ნუ მაწვალებ.

– ამ საღამოს ლენინგრადში მივფრინავთ, ორ ღამეს საუკეთესო სასტუმროში გავატარებთ და იქიდან პირდაპირ თბილისში ჩავფრინდებით. ჩვენს „ვოლგას“ კი ჩემი მოადგილე, კოტე სოხაძე წაიყვანს, რომელიც ხვალ ჩამოვა აქ. ასე რომ, მოემზადე, ძვირფასო, ხუთი საათისთვის ადლერის აეროპორტში უნდა ვიყოთ, ექვსზე კი მივფრინავთ.

– მერაბ, საყვარელო! – წამოიძახა გახარებულმა თამარმა და ქმარს კისერზე ჩამოეკიდა.

ამ დროს ქუჩიდან გულბათ მარგიანმა დაიძახა. მერაბმა ის სახლში შემოიპატიჟა, მისალებში შეეგება და ჰკითხა:

– ხომ მშვიდობაა, გულბათ?

– „ჩეპე“, მერაბ. ათი წუთის წინ სამსახურში მივედი და სოხუმიდან დარეკეს. რკინიგზის სამხრეთ გადასარბენთან რომ სახლებია, ერთ-ერთ მათგანში სამი გვამია აღმოჩენილი.

– ვისი გვამებია?

– ერთი დაურ ბუთბას ცოლია, დანარჩენი ორი კი – არ ვიცი, მორიგემ თქმა ვერ მოასწრო, კავშირი გაწყდა. მე იქ მივდივარ და, შენც ხომ არ წამოხვალ? არ შეგაწუხებდი, მაგრამ, რადგან ბუთბას ცოლზეა ლაპარაკი, ვიფიქრე, მერაბს ვეტყვი-მეთქი.

– სწორადაც მოიქეცი. აქ იყავი, ხუთ წუთში მოვალ და წავიდეთ, – უთხრა მერაბმა გულბათს და საძინებელში შევიდა.

– რა მოხდა, საყვარელო? – იკითხა თამარმა.

– სოხუმში უნდა წავიდე, ძვირფასო. რაღაც მოხდა და მალე დავბრუნდები, შენ კი მოემზადე, – მერაბმა თამარს აკოცა. საათს დახედა და დაამატა, – ცხრის ნახევარია. მაქსიმუმ ორზე აქ ვიქნები. შენ კი დედას დაურეკე და უთხარი, რომ მივფრინავთ.

– კარგი, გელოდები, – უხალისოდ მიუგო თამარმა და მეუღლეს ნაღვლიანი მზერა გააყოლა.

გულბათი და მერაბი კაპიტნის „ვოლგაში“ ჩასხდნენ და მარგიანმა მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

– მაინც, რა უნდა მომხდარიყო? – ჰკითხა მერაბმა გულბათს.

– წარმოდგენა არ მაქვს და მეც ძალიან მაინტერესებს, – მიუგო გულბათმა, – დაურ ბუთბას ცოლი ვის ან რატომ უნდა მოეკლა? ბევრი მტერი კი ჰყავს იმ კაციჭამიას, მაგრამ მისი შიშით მის ცოლს ვერავინ შეეხებოდა, ასეთი ადამიანი ნამდვილად არ მეგულება აფხაზეთში.

– თვითონ დაური ხომ არ მოკლავდა?

– დაური? – გაოცდა მარგიანი.

– ჰო, დაური.

– არა მგონია, მერაბ. ბანდიტია, მანიაკი ხომ არა. ცოლს რას ერჩოდა?

– ეჭვიანობის ნიადაგზე.

– გამორიცხულია. ჯერ ერთი, მისი ცოლი პატიოსანი ქალი იყო; თანაც, მასეც რომ არ ყოფილიყო, დაურის შიშით მის ცოლს ვინ მიეკარებოდა? არა, აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს.

– ბუთბას ცოლი იმ სახლში ცხოვრობდა?

– არა, – მიუგო გულბათმა, – სოხუმში ცხოვრობდა, მაგრამ, სხვაგან. უფრო სწორად, ბუთბების სახლში, დაურის ძმასთან, ლორიკთან ერთად. ლორიკი ხომ გახსოვს?

– კი. დურბინდით რომ დადის და ამბობს, დომარის მკვლელს ვეძებო.

– ჰო, სწორედ მაგასთან ერთად.

– ლორიკი ხომ არ იზამდა ამას?

– არა, რას ამბობ! არ მგონია.

– აბა, რა უნდა მომხდარიყო? მაშინ, გამოდის, რომ რაღაც შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე, – თქვა მერაბმა, – ისე კი ძალიან საეჭვოა ის ფაქტი, რომ ბუთბას ცოლი სხვაგან მოკლეს. თუ ბუთბებთან ცხოვრობდა, სხვაგან რა უნდოდა?



– მაგაში კი მართალი ხარ. აქაური წესებით, ქალი მარტო არსად მიდის ქმრის გარეშე, რომ არავინ იჭორაოს. მით უმეტეს, დაურის ცოლი არ იზამდა ამას.

– ერთი სიტყვით, მივალთ და გავიგებთ. ასე კი მარჩიელობა გამოგვდის, – თქვა მერაბმა და გაჩუმდა.

შემთხვევის ადგილს რომ მიუახლოვდნენ, მერაბმა და გულბათმა უამრავ მილიციელს მოჰკრეს თვალი, რომლებიც ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ. იქვე იდგა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრისა და სოხუმის მილიციის სამმართველოს უფროსის მანქანები. გულბათმა „ვოლგა“ მოშორებით გააჩერა და მილიციელები ფეხით გაემართნენ შემთხვევის ადგილისკენ. ერთ-ერთმა რიგითმა მარგიანი რომ დაინახა, გამოეჯგიმა. გულბათმა კი ჰკითხა:

– რა მოხდა, ვინ მოკლეს?

– დაურ ბუთბა, მისი ცოლი და ჯონდო სარია, ამხანაგო კაპიტანო! – მკვირცხლად მიუგო რიგითმა გულბათს.

მარგიანმა იფიქრა, მომეჩვენაო და რიგითს უთხრა:

– ბუთბა, მისი ცოლი და მესამე ვინ თქვი?

– ჯონდო სარია, უფროსო, – გაუმეორა რიგითმა.

– ვინ ჯონდო სარია?

– ექსპერტი რომ იყო, უფროსო, გეცოდინებოდათ იქნება. ხუმრობა იცოდა მაგან.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# აკაკი წერეთლის

## ცრემლიანი და ტკივილიანი მონატრება

შვილო, აკაკი! შენი უეცარი გარდაცვალებიდან დღემდე, შენი მშობლების თვალებზე ცრემლი არ შემშრალა. ჩვენ ხომ სამყარო თავზე დაგვექცა და უფსკრულში ჩაგვიტანა, მაგრამ, ვსუნთქავთ და, რომ ვსუნთქავთ, თავი გვეზიზღება.



ჩვენ შენთან მოვალთ 30 სექტემბერს და მოგილოცავთ დაბადების დღეს.

შვილო, ძალიან გვენატრები, გაუსაძლისია ეს მონატრება. მონატრებაზე ძნელი და გარდაცვალებაზე შემზარავი არაფერი ყოფილა.

ექიმი იყავი, სიცოცხლის ფასი იცოდი და შენი მადლიერი პაციენტები დღემდე გულისტკივილითა და ცრემლებით გიხსენებენ. ყველას გვენატრები. 30 სექტემბერი, ჩემო პირველო სიხარულო, შენი დაბადების დღეა. 30 სექტემბერს შენი უბედური დედა შენთან მოვა და შენს სურათს დაჰკოცნის და ცრემლებით მოგილოცავს დაბადების დღეს უშენოდ.

უფალს ვევედრები, ნათელში გამყოფოს და ზეციური სასუფეველი დაგიმკვიდროს, ამქვეყნად კი შენი ხსოვნა, მოგონება და არდავიწყება იყოს – გვჯერა, რომ ასე იქნება.

**შენი მშობლები – ციალა და თენგიზ წერეთლები**

# ვინ არის ის ცნობილი ქართველი ქალი, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ნარკომანიისა და პროსტიტუციისთვის დააპატიმრა მილიციამ



*პუბლიკაციის გმირების ვინაობა შეცვლილია და მათი ვინმესთან მიმსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.*

### გაძევება

1977 წლის 18 მაისს თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ოპერრწმუნებულმა, მილიციის კაპიტანმა, 28 წლის გურამ ნოდიამ წყნეთში, ერთ-ერთი პარტიული მაღალჩინოსნის პირად აგარაკზე ექვსი ადამიანი დააპატიმრა. მათ შორის ერთი – ოცდაერთი წლის გოგონა. დაპატიმრებულები ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ და მათგან ამოღებული იქნა ოცდახუთი გრამი ოპიუმი; შპრიცები და ორი ცალი „ვალტერის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლოდ ვარგის მდგომარეობაში, 70 ცალ ვაზნასთან ერთად. გურამ ნოდია და მისი სამი კოლეგა იმ დროს შეიჭრნენ აგარაკზე, როცა „კაიფში“ მყოფი სამი ახალგაზრდა კაცი ჯგუფური მამათმავლობით, ხოლო ორი ახალგაზრდა კაცი და გოგონა კი, ჯგუფური სექსით იყვნენ დაკავებულები. მილიციელებმა ექვსივე ახალგაზრდა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წაიყვანეს, შემდეგ მილიციის სამმართველოში მიიყვანეს და შესაბამისი ოქმები შეადგინეს. დაკავებულებმა, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, აღიარეს ნარკოტიკების მიღების, მამათმავლობის, ჯგუფური, გაუკუღმართებული სექსისა და იარაღების უკანონოდ ფლობის ფაქტები. ექვსივე მათგანი წინასწარი დაკავების საკნებში მოათავსეს და დაიწყო გამოძიება. მეორე დღეს, ანუ 19 მაისს, მოსკოვიდან თბილისში სამმართველოს უფროსი დაბრუნდა. საღამოს კი კაპიტანი გურამ ნოდია დაიბარა და უთხრა.

– რაც გუშინ მოხდა, დაივიწყე და უჩუმოდ აღარასდროს გაბედო მსგავსი ოპერაციის ჩატარება. ვინ მოგცა იმის უფლება, რომ მაღალი თანამდებობის პარტიული ამხანაგის აგარაკზე შეიჭრა და იქ აურზაური მოაწყო. წადი ახლა და იმუშავე.

გურამ ნოდია კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი იყო და ერთ კვირაში პარტიაში უნდა მიეღოთ. მაღალი პროფესიონალიზმის გარდა, მას პარტიის რწმენაც გააჩნდა. პიროვნულად პატიოსანი, უშიშარი და პრინციპული ადამიანი გახლდათ. მან გაოგნებულმა შეხედა პოლკოვნიკს და პირდაპირ მიახალა:

– შეიარაღებული ნარკომანების, პიდარასტებისა და პროსტიტუტკების დაპატიმრება თუ აურზაურის მოწყობაა, ბანდიტებთან შეტაკება, ალბათ, მესამე მსოფლიო ომი იქნება. თქვენს ლოგიკას რომ მივყვეთ, მილიციამ გულზე ხელები უნდა დაიკრიფოს და მშვიდად ადევნოს თვალყური, თუ როგორ იხრწნება და ნადგურდება ქვეყანა.

– ხმა, კრინტი! ვის უბედავ შე ლაწირაკო?

– მე კომუნისტი ვარ და კანონს ვიცავ. ლაწირაკები და მლიქვნელები კი თქვენკენ მოიკითხეთ. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, – არ შედრკა ნოდია. სამმართველოს უფროსის კაბინეტი დატოვა და სახლში წავიდა.

20 მაისს გურამ ნოდია საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მისაღებში მივიდა და პირველი მდივნის სახელზე განცხადება დატოვა. ექვსგვერდიან განცხადებაში ყველაფერი დაწვრილებით იყო აღწერილი და კაპიტანი მოითხოვდა ამ შეჩერებული საქმის გამოძიების განახლებას. ასევე, მილიციის სამმართველოს უფროსის დასჯას, რომელმაც ყველა ბოროტმოქმედი გაუშვა. სამხილები მოსპო და საქმე გაანადგურა. იმავე საღამოს, ნოდია საკუთარ ბინაში აიყვანეს და პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიყვანეს. ბინიდან კი ხუთასი ამპულა მორფი და „ტეტესა“ და „ბერეტას“ სისტემის პისტოლეტები ამოიღეს. შემდეგ გაასამართლეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საქმე კი ის გახლდათ, რომ ექვსივე დაკავებული მაშინდელი ქართული პარტიულ-ნომენკლატურული ელიტის წარმომადგენელთა შვილები იყვნენ და ნოდია მათი მამების ძალისხმევით, ყოვლად უსამართლოდ ჩასვეს ციხეში. მილიციის ყოფილი კაპიტანი ურალში, ქალაქ სვერდლოვსკში მდებარე, ყოფილი ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებისთვის განკუთვნილ კოლონიაში მოათავსეს. მე-13 საპყრობილე მკაცრი რეჟიმის დაწესებულება იყო და იქ სისასტიკე სუფევდა. ორთვე-ნახევრის შემდეგ, ანუ 1977 წლის 16 აგვისტოს, გურამ ნოდია კოლონიიდან გაიქცა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

**სამი ახალგაზრდა კაცი მამათმავლობით, ორი ახალგაზრდა კაცი და გოგონა კი ჯგუფური სექსით იყვნენ დაკავებულნი**

### სახელმწიფოს მტერი

საქართველოში განცდილი გულაცრუებისა მიუხედავად, გურამ ნოდიას მაინც დიდი რწმენა ჰქონდა კომუნისტური იდეალების მიმართ და მართალია, ძებნილი იყო, მაგრამ ბრძოლას განაგრძობდა. მან სამი, ერთნაირი შინაარსის წერილი გააგზავნა საკავშირო „ცეკაში“ (კრემლში), უშიშროების კომიტეტში („კაგებეში“) და შინაგან საქმეთა სამინისტროში. ყოფილი კაპიტანი პარტიულ-ნომენკლატურული ელიტის დამნაშავე, მექრთამე წარმომადგენლების დასჯას მოითხოვდა და კონკრეტულ გვარებსა და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობებსაც ასახელებდა. ასე განვლო ექვსმა თვემ და როდესაც იატაკქვეშეთში მყოფი ნოდია დარწმუნდა, რომ სასიკეთოდ არაფერი იცვლებოდა, მან იმ დროისთვის უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა. კარგად შენიღბული, გრიმირებული ყოფილი მილიციელი „ამერიკის ხმის“ მოსკოვის ბიუროს კორესპონდენტს, სარა ბეილს დაუკავშირდა და მას ორსაათიანი აუდიო და ვიდეოინტერვიუ მისცა. ამ ინტერვიუში ნოდია პირდაპირ აცხადებდა, რომ კომუნისტი იყო და დაწვრილებით ყვებოდა თავის ისტორიასა და საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ეს იყო იდეოლოგიური ბომბი, რომელიც ამერიკელებმა დიდი წარმატებით გამოიყენეს. „საბჭოთა კომუნისტი კაპიტნის აღიარება“ ამერიკელებმა ყველა წამყვან რადიოსა და ტელევიზიაში გაუშვეს. საკავშირო ხელმძღვანელობა შოკში იყო. მოსკოვში საქართველოს პირველი და მეორე მდივნები დაიბარეს და შეახურეს. გურამ ნოდია კი სახელმწიფოს მტრად გამოაცხადეს. მის საქმეს „კაგებემ“ მოჰკიდა ხელი და მასზე უკვე ნადირობა დაიწყეს.

### პოპულარული შოუ

1978 წლის იანვარში კანადის სპეცსამსახურებმა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნით, ნოდია ჯერ ფინეთში გაიყვანეს არალეგალურად, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაამგზავრეს და ქვეყნის მოქალაქეობა მიანიჭეს. მილიციის ყოფილი კაპიტანი ჯერ ინკოგნიტოდ ცხოვრობდა იქ და სწავლობდა. შემდეგ ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა, პარალელურად კი, წიგნი დაწერა, რომელშიც საბჭოთა პარტიულ-ნომენკლატურული ბოსების მანკიერებას დაწვრილებით ამხელდა. 1980 წელს კი ნოდია „თეთრ სახლში“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რონალდ რეიგანს შეხვდა და მისგან მადლობის სიგელი მიიღო. იმავე წელს ნოდიამ პოპულარული პოლიტიკური შოუ გააკეთა ერთ-ერთ ტელევიზიაში და წამყვანი ადგილი დაიკავა პოლიტიკური შოუ-პროგრამების რეიტინგებში. 1983 წელს, 34 წლის ნოდიამ იქორწინა და ქალაქ სიეტლში გადავიდა საცხოვრებლად. მასზე ორჯერ წარუმატებელი თავდასხმა განხორციელდა და ორივე შემთხვევაში, ის სიკვდილს გადაურჩა. „პერესტროიკის“ დროს კი, მასზე ნადირობა შეწყდა და მას პირადი დაცვაც მოუხსნეს, რომელიც სპეციალურად ჰყავდა გამოყოფილი.

დღესდღეობით გურამ ნოდია კვლავ შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ისევ ტელეწამყვანია და მისი შოუ კვლავ დიდი წარმატებით გადის ტელევიზიაში.

***P. S.** მილიციის ყოფილი კაპიტანი ექვსჯერ იყო ჩამოსული საქართველოში და 1991 წელს ის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასაც კი შეხვდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 1977 წელს, წყნეთში დაპატიმრებული გოგონა დღეს ერთი ძალიან ცნობილი ადამიანის მეუღლეა და ქართველი საზოგადოება მას ძალიან კარგად იცნობს.*

**ნიკა ლაშაური**

# ძაღლისა და ცოლების გამო დაწყებულ კონფლიქტს კინაღამ მამაკაცი ემსხვერპლა

გულ-მკერდის არეში მძიმედ დაჭრილი ილია ქ-ძე საავადმყოფოში ოჯახის წევრებმა მიიყვანეს. მას გადაჭრილი თოფით ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული: ერთი – გულში, მეორე კი – ხერხემალში. ქირურგიული ოპერაციის შემდეგ ექიმებმა დაჭრილი მამაკაცის გადარჩენა შეძლეს, თუმცა, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, დაზარალებული მიყენებული დაზიანებისგან სამუდამოდ დაინვალიდდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ოპერატიული ინფორმაცია შევიდა პოლიციის განყოფილებაში. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის ვინაობა და ინციდენტის დეტალები, რის შემდეგაც სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა. დაჭრილი მამაკაცის ოჯახის წევრებისგან ცნობილი გახდა, რომ ილია ქ-ძეს სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა 41 წლის ნოდარ გ-შვილმა, რომელიც სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე დააკავეს.

როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, ორი მამაკაცის დაპირისპირების მიზეზი აღმოჩნდა მონადირის ჯიშის ძაღლი, რომელიც ნოდარ გ-შვილმა ილია ქ-ძისგან 2 000 დოლარად შეიძინა. შეთანხმების მიხედვით, ნოდარ გ-შვილს თანხა ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადა, მაგრამ, საბოლოოდ, მან არც თანხა გადაიხადა და არც ძაღლი დაუბრუნა პატრონს. მამაკაცები არალეგალურად აჩხუბებდნენ ძაღლებს და ამ გზით ერთად შოულობდნენ ფულს ფსონებით, რომლებსაც სეირის მოყვარულები დებდნენ და სწორედ ეს გახდა დაპირისპირების მიზეზი. კონფლიქტს დაემატა დაძაბული ურთიერთობა მათ ცოლებს შორის, რომლებსაც, ასევე, ერთად ჰქონდათ პატარა ბიზნესი. გამოძიების მიერ მოწმის სახით დაკითხულმა ილია ქ-ძის მეუღლემ სამართალდამცველებთან განაცხადა, რომ ნოდარ გ-შვილი თავისმა ცოლმა ნინო კ-ავამ წააქეზა.

**მიყენებული დაზიანების გამო დაჭრილი მამაკაცი სამუდამოდ დაინვალიდდა**

ამონაწერი ლეილა კ-შვილის ჩვენებიდან:

„ნოდარი და ილია ერთმანეთს ჩვენ, მეუღლეებმა გავაცანით. მე და ნინოს ბავშვები ერთ სკოლაში დაგვყავდა, ჩვენ თავადაც ერთ უბანში ვართ გაზრდილები და ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობდით. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი მეუღლეები ნადირობითა და ძაღლებით იყვნენ გატაცებულები, ჩვენი მეშვეობით ისინიც დაუკავშირდნენ ერთმანეთს და მალე ძალიან დაახლოვდნენ კიდეც. მე და ნინოს ერთად გვქონდა გახსნილი მეორადი ტანსაცმლის საწყობი, რომლისთვისაც ორივემ ავიღეთ საბანკო კრედიტი. მე ჩემი ვალი ექვს თვეში დავფარე. შემდეგ საქმეები ცუდად წაგვივიდა და საწყობი დავხურეთ. ნინომ კი ბანკში კრედიტის გადახდა ვერ შეძლო და ამაში მე მადანაშაულებდა. რამდენჯერმე მითხრა კიდეც, შენ უფრო მეტს იღებდი მოგებიდან, ვიდრე მე და ამიტომაც დამედო ვალებიო. ამ თემაზე ვერ მოვრიგდით და ერთმანეთს საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებით დავშორდით, რაც სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ნოდარმა ჩემი მეუღლის კუთვნილი ძაღლი შეიძინა. ფული ორ თვეში უნდა დაეფარა, მაგრამ, მერე თანხის დაბრუნებაზე საბოლოოდ თქვა უარი; ნინომ კი შემოგვითვალა, ამ თანხას იმ ვალში გიქვითავთ, თქვენ გამო რომ დაგვედოო“.

ქალების კონფლიქტში მამაკაცებიც ჩაერთნენ. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ერთ დღეს, სახლში დაბრუნებულ ნოდარ გ-შვილს ცოლი ატირებული დახვდა და უთხრა, რომ ლეილა კ-შვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ინციდენტს ჰყავდა თვითმხილველები და ნინო კ-ავას სახეზეც ეტყობოდა ფიზიკური ძალადობის კვალი. აღელვებულმა ნოდარ გ-შვილმა ყოფილ პარტნიორსა და მეგობარს დაურეკა და ცოლი სასტიკად გაულანძღა. ამ ინციდენტს მეორე დღეს მამაკაცებს შორის ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა, თუმცა, თვითმხილეველებმა მოჩხუბრები გააშველეს და დააშოშმინეს. იმავე საღამოს, გვიან ღამით, ილია ქ-ძეს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ნოდარ გ-შვილი მიადგა სახლში.

ამონაწერი მოწმის, მანონ ლ-შვილის ჩვენებიდან: „ილია ჩემი ნათესავია. იმ საღამოს, როდესაც ეს ინციდენტი მოხდა, მასთან ვიყავი სახლში ჩემს მცირეწლოვან შვილთან ერთად. მე არ ვიცოდი, ვინმესთან კონფლიქტი თუ ჰქონდა. როცა კარზე ჩემთვის უცნობმა მამაკაცმა დარეკა, მე და ლეილა ეზოში ვიყავით. იქვე იყო ჩემი 5 წლის შვილიც. ლეილა სახლში შევიდა და ქმარი გააფრთხილა, რომ გარეთ არ გამოსულიყო. ჭიშკართან მდგარი კაცი უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა. ლეილამ თქვა, პათოლოგიური სიმთვრალე აქვსო და კარი არ გაუღო. ნასვამი კაცი ღობეზე ახტა და ისე აპირებდა ეზოში გადმოძრომას. ამ დროს სახლიდან ილიაც გამოვიდა, მამაკაცი ღობეზე ბოლომდე არ იყო გადმოსული – ცალი ფეხი და ხელი ეზოსკენ ჰქონდა, მეორე ხელი და ფეხი კი – ეზოს გარეთ. ილიას დანახვაზე მან ყვირილი დაიწყო, ილია ჭიშკრისკენ წავიდა და ლეილაც უკან გაჰყვა. უცებ თოფის ორჯერ გასროლის ხმა გავიგონე და ილია ძირს დაეცა, ის კაცი კი ღობიდან გადახტა და გაიქცა. გასროლის ხმაზე ეზოში ილიას მეზობლები შემოცვივდნენ და მათი დახმარებით წავიყვანეთ დაჭრილი საავადმყოფოში. ჩემთვის დანაშაულის მიზეზი და დამნაშავის ვინაობა მოგვიანებით გახდა ცნობილი.”

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულში ეჭვმიტანილი ნოდარ გ-შვილი ცხელ კვალზე, რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიებამ შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინა თოფი და ცალი ფეხსაცმელი, რომელიც ნოდარ გ-შვილს გაქცევისას დარჩა შემთხვევის ადგილზე. დაკავებულ ნოდარ გ-შვილს ჩადენილი დანაშაულის უარყოფა არც უცდია, მან აღიარა ჩადენილი დანაშაული და თავისი ქმედება აფექტურ მდგომარეობაში ყოფნით ახსნა, რაც არ დადასტურდა. გამოძიების მასალებით, ნოდარ გ-შვილი ილია ქ-ძეს ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ მიადგა სახლში, თუმცა, მოწმეთა განცხადებით, ის მთელი დღე იმუქრებოდა ყოფილი პარტნიორის მოკვლით. გამოძიებით ისიც დადგინდა, რომ, სწორედ ამ მიზნით გაემგზავრა ის აგარაკზე, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ და სადაც ის ინახავდა სანადირო აღჭურვილობას, მათ შორის – თოფს. ასევე, გაირკვა, რომ მან ინციდენტის დღეს სპეციალურად გაიარა 120 კილომეტრი სანადირო თოფის ჩამოსატანად, რომელიც შემდეგ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფს, შემთხვევის ადგილზე დარჩა. ნოდარ გ-შვილის მეუღლის მიმართ მკვლელობის წაქეზების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას მოითხოვდა დაზარალებული მხარე, თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა დაზარალებული მხარის ადვოკატის მოთხოვნა, განსასჯელი ნოდარ გ-შვილი კი დამნაშავედ ცნო ჩადენილ დანაშაულში და მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რა მოხდა ამ დღეს

### 29 სექტემბერი

1399 – ინგლისში პლანტაგენების დინასტია შეცვალა ლანკასტერების დინასტიამ.

1650 – ვინმე ჰენრი რობინსონმა ლონდონში გახსნა პირველი „გაცნობის სააგენტო”.

1829 – დაარსდა ლონდონის პოლიცია „სკოტლენდ იარდი“.

1885 – ინგლისში, ბლეკპულში, ამოძრავდა მსოფლიოში პირველი ელექტროტრამვაი.

1916 – ჯონ როკფელერი გახდა პირველი ადამიანი, რომლის ქონებამ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

### 30 სექტემბერი

1452 – გერმანიაში, მაინცში, იოჰან გუტენბერგმა, პირველმა დაბეჭდა ბიბლია.

1791 – ვენაში შედგა მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერა.

1846 – მასაჩუსეტსელმა ექიმმა მორტონმა პირველად გამოიყენა გაუტკივარება – ანესთეზია კბილის ამოღებისას.

1882 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეპლტონში, მდინარე ფოქს-რივერზე ამუშავდა პირველი ჰიდროელექტროსადგური.

### 1 ოქტომბერი

1661 – ინგლისში შედგა იახტების პირველი შეჯიბრება.

1869 – ვენაში გამოუშვეს პირველი საფოსტო ღია ბარათები.

1931 – საბჭოთა კავშირში დაიწყო რეგულარული ტელემაუწყებლობა.

1946 – დასრულდა ნიურნბერგის პროცესი, სადაც გაასამართლეს ფაშისტი დამნაშავეები.

1977 – პელემ დატოვა დიდი ფეხბურთი.

### 2 ოქტომბერი

1187 – ეგვიპტის სულთანმა, სალაჰ-ადდინმა, ჯვაროსნებს წაართვა იერუსალიმი.

1555 – ივანე მრისხანის ჯარებმა შტურმით აიღეს თათრეთის სახანოს დედაქალაქი – ყაზანი.

### 3 ოქტომბერი

1929 – სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფომ მიიღო ოფიციალური სახელი – იუგოსლავია.

1932 – გაზეთ „თაიმსის“ დიზაინერმა შეიმუშავა ცნობილი შრიფტი – Times New Roman.

1935 – იტალიის ჯარები შეიჭრნენ ეთიოპიაში.

1990 – გაერთიანდა გერმანია.

### 4 ოქტომბერი

1675 – ჰოლანდიელმა მეცნიერმა ქრისტიან ჰიუგენსმა დააპატენტა ჯიბის საათი.

1830 – გამოცხადდა ბელგიის დამოუკიდებლობა.

1957 – კოსმოსში გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

1993 – სამთავრობო კრიზისი და „თეთრი სახლის“ შტურმი მოსკოვში.

### 5 ოქტომბერი

1908 – ბულგარეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1914 – მსოფლიოში პირველ საჰაერო ბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახნენ ფრანგული და გერმანული თვითმფრინავები.

1921 – ლონდონში გაიხსნა პირველი საერთაშორისო პენ-კლუბი.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ტანით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა



2. მიახატეთ ფეხები და გამოკვეთეთ თავი



3. მიახატეთ თვალები და ცხვირი



4. შემდეგ „თმა"



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## დათვალე ფიგურები



# ლომი და გლეხი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ლომს გლეხის ქალიშვილი შეუყვარდა და ცოლობა სთხოვა. გლეხს არ უნდოდა ქალიშვილი მხეცზე გაეთხოვებინა, მაგრამ შიშით ვერც უარის თქმას ბედავდა. ბოლოს ისღა უთხრა: ჩემს ასულს ცოლად მაშინ გაგატან, თუ კბილებსა და ბრჭყალებს დაიძრობ, საპატარძლოს კბილებისა და ბრჭყალების სიკვდილივით ეშინიაო. ლომს ძალიან უყვარდა გლეხის გოგო და ადვილად დასთმო კბილებიც და ბრჭყალებიც. კაცსაც ეს უნდოდა და ლომი ხომ კარზე მიადგა, სულ ჯოხის ცემით დაიფრინა.

ვინც საკუთარ ღირსებას არ უფრთხილდება, რა გინდ ძლიერიც უნდა იყოს, მაინც დამარცხდებაო.

## რიცხვრებუსი

7,,,, 1,,, 7,,,, 10,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| პატარა კატა | | რეპტილია<br>მშობელი | | ანიმაციური ფილმი „... და ჯერი“ |
| | | | | |
| | | | | შეიარაღებული ბრძოლა ორ ქვეყანას შორის |



ახალი წელი გურიაში

მაუგლის გამზრდელი მგელი
ძუაც. ბალანის ფაფარის
პაპა ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“
თოფის სახეობა
სახარების ერთ-ერთი ავტორი
პაუზა
ფეხბურთელი
ხოტბა შეასხა ანუ?
მწერების ყუთი
ხელოვნური თმა
(......) ტიკიტავი
ქალაქი ბოლივიაში
ჩვენთან ახლოს
არსაკიძე
ძალიან ბევრი
დომინოს „ჩიხი“
ძალიან მსუბუქი
წყალთან მობინადრე ფრინველი
პატიმრის „ბინა“
ტოკიოს აეროპორტი
ჩინური სამაგიდო თამაში
მწვანილი
კლდე ასეთიც არის
(.......) პუგაჩოვა
ყვანჩალა
დაღესტნელი
(......) კალანდაძე
ბატკანი
ფედერიკო გარსია....
დუმბაძის მილიციელი
თანხმობა
ცხენია ასეთი
(.......) გურგულია
„სახე“ ინტერნეტში
უარის სიტყვა
ძვ. ფეხბურთელი გივი....
ვიბრაცია
ძველი იტალიელი ფეხბურთელი
ფსკერი ანუ?
(.......) ფიტცჯერალდი
წყვილი
ლენინის გაზეთი
ცხარე საკმაზი
პოეტი (.......) მირცხულავა
ორ ბუშს შუა
საწვალებელი
(.......) გარდნერი
კინოვარლამი
ლალიძის ოპერა
რუსული მანქანა
ავტორბოლა
გულწრფელი
შეყვარებული
(........) ბადურაშვილი
ფრანგი მწერალი პიერ.....
სამოსის ნაწილი
ფართობის საზომი
შტრაუსის ცეკვა
ჩვენი ქალაქი
ფრინველის ფრჩხილი
აფრიკაშია (......) დ’ივუარი
საზიდარი
შუშა
დიდი ჯამი
(.......)-კვესი
მოკლე მანძილზე
იალქანი
თხრილი
ესპანელი მხატვარი
კომუნისტების პატარა ბელადი
ფართობის საზომი
პუშკინის ზღაპრის გრძნეული ქალი
ფინურ-კარელიური ეპოსის ნაწილი
გრამატიკული კავშირი
თევზის ძვალი
ჩვენი ქალაქი
მარიამის ვარიაცია
წყლის ორმო
მაუგლის მეგობარი პითონი
შექსპირის ეპოქის დრამატურგი
კინორეჟისორი (.......) დოლიძე
(.....) მორჩილაძე
ცხიმის სახეობა
მეტყველების ნაწილი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | | | | | 7 | 8 | 4 | | | | | | | 12 | | | | | | | 3 | 4 | | | | | | | |
| | | | | 6 | 3 | 3 | 4 | 5 | 1 | 1 | 2 | 8 | 9 | 9 | 9 | 10 | 11 | 3 | 12 | 9 | | 11 | 12 | 13 | 10 | 10 | 3 | 2 | 1 | 1 | | | |
| | | | | 2 | 7 | 6 | 4 | 4 | 5 | 6 | 6 | 11 | 10 | 10 | 10 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 10 | 1 | 2 | 3 | 3 | 3 | 12 | 11 | 10 | 4 | 3 | 2 | 1 |
| | | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 3 | 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 16 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 18 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 23 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 25 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 24 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 21 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 3 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 4 | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 5 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 8 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 10 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 16 | 4 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 17 | 4 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 14 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 3 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 1 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 5 | 3 | | 8 | 4 | | 9 |
| | 8 | 4 | 1 | | 9 | | 5 | |
| 9 | | | | 4 | | 1 | | 8 |
| 5 | | 6 | | 8 | | | 1 | |
| | 9 | | 2 | | 7 | | 8 | 3 |
| | | 8 | 6 | 1 | 4 | 5 | | 7 |
| | 5 | | 7 | | | 9 | 4 | 1 |
| 1 | | 9 | 8 | | 5 | 7 | | 6 |
| | | | | 9 | 1 | | 3 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 6 | | 3 | | | 9 | 4 |
| | 1 | | | | 7 | | | 3 |
| | 3 | | 1 | | | 6 | | |
| | | 7 | | 2 | | 4 | 8 | 1 |
| | | 1 | | | | | 2 | |
| | 9 | | | 1 | | | 6 | |
| | | 5 | | 4 | | 9 | | 7 |
| 1 | | 9 | | 5 | | 8 | | |
| | 8 | | 9 | | | 5 | | 2 |

# რა სხვაობაა სმასა და ქეიფს შორის და სადაურია ყველაზე ცნობილი ეკრანული თამადა ზურა ნიჟარაძე

**მსახიობი ზურა ნიჟარაძე განსაკუთრებულად უყვარს ქართველ მაყურებელს, უფრო მეტად კი, მისი თამადობით წარმოთქმული სადღეგრძელოები. თუ რა არის მის ხასიათში სვანური და რა ქუთაისური, ამას ჩვენს ინტერვიუში თვითონ გვიამბობს ცნობილი მსახიობი, ნიჟარაძეების გვარის ისტორიასთან ერთად და იმასაც დასძენს, თუ რა აქვს მას საამაყო.**

**ზურა ნიჟარაძე**: ყველა ნიჟარაძე უშგულიდანაა წამოსული. როგორც ამბობენ, 3 ძმანი ყოფილან. მათგან ერთი აჭარაში დაფუძნებულა, მეორე – იმერეთში და მესამე სვანეთში დარჩენილა.

იმერეთში ნიჟარაძეები თავადები იყვნენ, თავისი გერბიც ჰქონდათ. იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის კარზე ყოფილა სოლომონ ნიჟარაძე, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის მაშინდელი იმერეთის სამეფოში. ის იყო დესპანი, მხედართმთავარი, გამოჩენილი და მიღებული პიროვნება.

**– თქვენ სადაური ნიჟარაძე ხართ?**

– მე იმერელი ნიჟარაძე გახლავართ. მეჩვიდმეტე საუკუნეში წამოსულა ჩემი შტო იმერეთში, კერძოდ, მაღლაკის ნიჟარაძეების შტოს მივეკუთვნები. ჰქონდათ თავისი სასახლე, ზედა და ქვედა მაღლაკში ძალიან ბევრი მიწა იყო მათ მფლობელობაში. არსებობს კიდევ სხვა სოფელი – საყულია, მათაც ჰყავდათ ნიჟარაძეების თემი. მინდა გითხრათ, რომ მომღერალი აჩიკო ნიჟარაძეც მაღლაკელი ნიჟარაძეების შტოს წარმომადგენელია, ისევე როგორც მსახიობი ეკა ნიჟარაძე და მომღერალი სოფო ნიჟარაძე.



**კოტე მახარაძემ გვითხრა, თამადას როგორც კი დასჭირდება თქმა, „მომისმინეთ“, ის თამადად აღარ ვარგაო**

**– მოკლედ, ხელოვნებისთვის ყოფილხართ ნიჟარაძეების ეს შტო მოვლენილები.**

– პატრიარქმა, როცა ნიჟარაძეების გვარი დალოცა, ერთ-ერთი ორგანიზატორი მეც ვიყავი. სადაც გავიცანი კახელი ნიჟარაძეებიც, რაჭველი ნიჟარაძეებიც. ეტყობა, ზოგი ზედსიძედ წავიდა, ზოგი კიდევ რაღაც... რაჭაში მაგალითად ნიჟარაძეების 3 ოჯახია. ზოგადად, ნიჟარაძეების გვარი, როგორც ვიცი, მოიცავს 1 900-მდე სულს.

**– ღმერთმა გამრავლოთ!**

– გაიხარეთ *(იცინის)*.

**– დედა სადაური გყავთ?**

– დედა წყალტუბოდანაა, ქობულაძის ქალი. ასევე, საკმაოდ ცნობილი გვარის წარმომადგენელი. დედაჩემის წინაპრები ლეჩხუმიდან, კერძოდ, დეჩიდან და მექვენადან წამოსულები არიან.

**– ხასიათით უფრო იმერელი ხართ თუ სვანი?**

– შემიძლია გითხრათ, რომ ჩემს შემთხვევაში, არის ნაზავი. არსებობს საოცარი რამ, რასაც გენეტიკა ჰქვია. სულგრძელიც ვარ, მომთმენიც, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი, რომლის იქითაც, უკვე ვსვანდები. თუმცა, იმერული ხასიათი სვანურისაგან განსხვავდება. მე იქ დავიბადე, გავიზარდე, ყველაფერი ქუთაისის, ქუთაისური მაქვს, მაგრამ ზოგჯერ რაღაც მომენტში საკუთარ თავს ვიჭერ და ვასკვნი, რომ, რაც მე ახლა გავაკეთე, ეს იმერულ ხასიათში არ არის. სვანები რატომღაც ასოცირდებიან მარტო გადარეულ ხალხთან. მე ასე არ მიმაჩნია. როცა ჩხუბი მოუვათ, მაშინ „გავსვანდები" და რაღაცეებს ამბობენ. არ არის ეგრე... მე ვამბობ, რომ მაინცდამაინც ჩხუბთან არ ასოცირდებიან სვანები. ისინი გულუბრყვილო ხალხია, მე ძალიან ბევრი სვანი ძმაკაცი მყავს. თუ სვანი ხელს ჩამოგართმევს და გეტყვის: შენ ჩემი ძმა ხარო, ჩათვალე, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ის შენი ძმა იქნება და სიტყვას არ გადავა, თავს შეაკლავს და არ გადავა! გულუბრყვილონი არიან, ზოგადად. იმიტომ არის ამდენი ანეკდოტი სვანებზე. რასაც ეუბნები, სჯერა, რადგან ვერ წარმოუდგენია, რომ ადამიანმა, რომელსაც ვაჟკაცი ჰქვია, ტყუილი იკადროს. მე უშგულიდან წამოსული ნიჟარაძე ვარ. ეს ზემო სვანეთია, ის ადამიანები დინჯები, გაწონასწორებულები და სხვანაირები არიან. მათ სჯერათ, რასაც ელაპარაკები, მაგრამ თუ შეგატყვეს, რომ ცუღლუტობ, რაღაცეებს ეშმაკობ და აფერისტობ, მაშინ მოგაჭრიან ხელს, კლდიდან გადაგაგდებენ, ან რაღაცას გიზამენ, რადგან ეს მათი ტრადიციაა. ეს ჩვენი ხალხია, ეს საქართველოა.

**– რამდენი წელია, რაც თბილისში ჩამოხვედით საცხოვრებლად?**

– 1998 წლიდან, 16 წელია, თბილისში ვცხოვრობ. ისე, ქუთაისიდან ვარ. იქ დავიბადე და გავიზარდე. სვანეთში არაფერი გვაქვს, სტუმრად თუ წავალ იქ გადაღებაზე, ან მეგობრებთან. ქუთაისში მაქვს სახლი, იქ ვცხოვრობდი 16 წლამდე. დედა იქ მყავს, ძმა, სამეგობრო ძალიან დიდი. ქუთაისთან ძალიან მჭიდროდ ვარ. ქუთაისელი ვარ.

**– ქუთაისსაც თავისი ხაისათი აქვს. როგორია ქუთაისური ხასიათი?**

– ქუთაისური ხასიათი ისტორიამ განაპირობა. ვისაც იუმორი გააჩნია, ეს არის ქუთაისი და გურია. ისტორიულად და გეოგრაფიულად, ამ ადამიანებს არასდროს ჰქონდათ ბევრი შემოსავალი. ქართლსა და კახეთში უფრო ნოყიერი და შემოსავლიანი მიწებია. იმერეთსა და გურიაში სულ სიდუხჭირე იყო. დავით კლდიაშვილი გაიხსენეთ. გურიაში კიდევ, როგორი გაჭირვება იყო. თან, ქუთაისი ხერხემალია, დასავლეთიდან წამოსული ადამიანი ქუთაისში ჩერდება. ამ ადამიანებმა სიდუხჭირისგან თავის გატანაში გამოსავალი მოძებნეს – იუმორით შეხედეს საკუთარ მდგომარეობას. ქუთაისში დაიბადა იუმორი, ეს ჩემი აზრია. გურიაშიც ასე იყო. გაჭირვებას შეხედეს იუმორით.

**სვანები დინჯი, გაწონასწორებული და სხვანაირი ხალხია. მათ სჯერათ, რასაც ელაპარაკები, მაგრამ თუ შეგატყვეს, რომ ცუღლუტობ, რაღაცეებს ეშმაკობ და აფერისტობ, მაშინ მოგაჭრიან ხელს, ან კლდიდან გადაგაგდებენ, ან რაღაცას გიზამენ**

**– ეს, ალბათ, ისტორიულად... დღეს?**

– 21-ე საუკუნეა, ქართველი ერი რომანტიკულობით ხასიათდება. რამდენისგან გამიგია ის თბილისი თბილისი აღარ არის, ის ქუთაისი ქუთაისი აღარ არისო, იმიტომ რომ, ის სხვა დრო იყო და იმ ეპოქამ თავისი კვალი დატოვა. თუმცა, გენეტიკურად, რაც არის ქუთაისში, ხელოვნების აკვანი... ერთმა ნიჭიერმა კაცმა მითხრა, რომ ძალიან დიდი ქარხანაა ქუთაისში ნიჭიერების და თბილისს ამარაგებსო; ჯორჯ ბალანჩინი, ზაქარია ფალიაშვილი, დები იშხნელები... დანარჩენებზე აღარაფერს ვამბობ. იუმორი ახლაც არის ქუთაისში, მაგრამ არ არის იმდენი საშუალება, რომ ქუთაისში მოახდინო საკუთარი თავის რეალიზება.

**– გადაცემა „სადღეგრძელოდან" თქვენი პერსონაჟი – თამადა განსაკუთრებით პოპულარულია.**

– კი, თამადა პოპულარულია, ძალიან. ადამიანები „საქართველოს თამადას" და ასეთ რაღაცეებს ამბობენ ჩემს დანახვაზე. ქართული სუფრა მე ძალიან მიყვარს. ოღონდ, მარტო „სმა-ჭამა დიდად შესარგი... " – არა. თუ ქართულ სუფრასთან არ არის სიმღერა, ლექსი, ცეკვა, იუმორი დიდი დოზით, მე ეგეთ სუფრას ვუწოდებ მხოლოდ დალევას და არა – ქეიფს. მე დალევა არ მიყვარს, მე მიყვარს ქეიფი. თუ სუფრასთან ისეთი ხალხი ზის, ვისაც არ აქვს იუმორი და მოსმენის კულტურა, ასეთებთან შეხება თითქმის არა მაქვს. თუ შემთხვევით მოვხვდი ასეთ სმაზე, ბოდიშს ვიხდი, რაღაცას ვიმიზეზებ და იქაურობას ვტოვებ.

მიყვარს და ხშირად მიწევს თამადობა. ალბათ, 10 სუფრიდან 9-ზე მაინც თამადა ვარ. მანამდეც ასე იყო, ვერ დავაბრალებ, რომ მაინცდამაინც „სადღეგრძელოებმა" იმოქმედა. ჩემს წრეში, მანამდეც სულ თამადა ვიყავი.

**– პირიქით ხომ არ მოხდა: სულ თამადა რომ იყავით თქვენ წრეში, იმიტომ ხომ არ გახდით ეკრანული თამადაც?**

– სრულიად შესაძლებელია ***(იცინის).*** ჩემი ინიციატივით არასდროს ვდგები თამადად. როცა თამადა ხარ, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. თუ ვინმემ ხმას აუწია, სიტუაცია დაიძაბა, ეტყობა, შენ ვერ ხარ კარგი თამადა. რეჟისორივითაა თამადა. თეატრალურში გოგი ქავთარაძის ჯგუფში ვსწავლობდი. ერთხელ ეროსი მანჯგალაძის თასი მოვიგეთ და კოტე მახარაძემ გვითხრა, თამადას როგორც კი დასჭირდება თქმა: „მომისმინეთ", ის თამადად აღარ ვარგაო. იმდენად საინტერესოდ უნდა წარმართო სუფრა, რომ შენი სადღეგრძელოს წამოწყებას ხალხი ელოდებოდეს.

**– ვინმე ცნობილი თამადა თუ გახსენდებათ.**

– ჩემი მეგობარი, სულხან მამისეიშვილი იყო იმერეთში ცნობილი თამადა. 4 წლის წინ გარდაიცვალა 44 წლის ასაკში. მასთან სუფრაზე მოხვედრა მართლა ზეიმი იყო. ძალიან განათლებული, კარგი მოსაუბრე იყო და იუმორის გრძნობა ჰქონდა ისეთი, რომ სუფრის წევრები მესამე სადღეგრძელოს შემდეგ ველარაფერს მიირთმევდნენ.

**– თქვენს წინაპრებში იყვნენ თამადები?**

– მამა არ იყო მოლაპარაკე კაცი. თამადობაც არ უყვარდა, არც მას და არც ბაბუას. მამა 44 წლის გარდაიცვალა. მინდა შევძლო ცხოვრება ისე, როგორც მან მითხრა – მადლი ვქნა და არ დაველოდო სარგებელს. ასე გაიზარდა მამაჩემი, ასე გამზარდა მე და ასე გავზრდი ჩემს შვილებს, როცა მეყოლება ***(იცინის).*** ჩემს გვარში ყველა ასე გაიზარდა. ნიჟარაძეებში არავინაა ისტორიულად მოღალატე, ან ცუდის ჩამდენი. ეს მაქვს სატრაბახო. არავინ გვყავს ისეთი, ვინც შეიძლება, გვარს ან სამშობლოს არცხვენდეს.

**ეკა სალაღაია**

**ამბობენ, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალი სეზონი წინა სეზონებისგან რადიკალურად განსხვავებული იქნებაო და დიდ სიურპრიზებს გვპირდებიან. პროექტში უამრავი სიახლეა, რომელსაც ყოველ ორშაბათს გაგაცნობთ. თუმცა, მანამდე მოცეკვავე მზია ორველაშვილი პირადი ცხოვრების ახალ დეტალებს გვიმხელს, რომელიც გასულ თვეს გათხოვდა და ცოლად გაჰყვა პროექტის უკრაინელ ქორეოგრაფს, 28 წლის საშა ოხრიმენკოს.**

# რა სიურპრიზებს უკეთებს მზია ორველაშვილს უკრაინელი ქორეოგრაფი ქმარი და რატომ მალავდნენ სიყვარულს ისინი დიდი ხნის განმავლობაში

**— „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალი სეზონი იწყება, სადაც ბევრი სიახლეა. მათ შორის შენს პირადშიც, თუმცა ჯერ პროექტის შესახებ ვისაუბროთ.**

— ერთი, რაც შემიძლია დაზუსტებით ვთქვა, ეს იქნება ყველაზე გამორჩეული სეზონი. ძალიან მაგარი გუნდი შედგა, სადაც ყველა ცეკვავს. არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, რომ წინა სეზონებში რამე პრობლემა ჰქონდათ ვარსკვლავებს, მაგრამ ახლა იქნება მართლაც განსხვავებული, რასაც შოუ და სანახაობა ჰქვია.

**— საკუთარ თავსა და ახალ პარტნიორზე რას იტყვი?**

— მე ძველებურად ფორმაში ვარ და გაორმაგებული ენერგიით ვუერთდები პროექტს. რაც შეეხება ჩემს პარტნიორს, ზურა მანჯავიძეს – ძალიან მონდომებულია და კარგად ცეკვავს. ამბობს, რომ ყველაფერს გააკეთებს კარგი შედეგის მისაღებად. ვისაც უნდა და შრომობს, ყოველთვის აღწევს მიზანს.

**— წინა პროექტში გუგა კუზანოვის მეწყვილე იყავი, ადვილი იყო?**

— მე და გუგა დავმეგობრდით, თუმცა კატა-თაგვივით ვიყავით კვირიდან კვირამდე. სულ ჯაჯღანებდა, დაღლილი იყო და სულ დასვენება უნდოდა. მე კიდევ არც ერთი წუთით არ ვაძლევდი მოდუნების საშუალებას.

**— ამბობენ, პროექტში ბევრი სიახლეაო, მართალია?**

— დიახ. რა ვიცი... ის არის, რომ უამრავი სიურპრიზი იგეგმება. ამბობენ, თვით მონაწილეებიც გაოცებული დარჩებიან, ისეთ სანახაობას ვპირდებითო. მაგრამ, ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია და არც ვიცი, სიმართლე გითხრათ.

**— ახლახან მსოფლიოს საუკეთესო ორმოცდაათეულში შეხვედი და რა განცდაა?**

— ყველასთან სიამაყით ვყვები და მინდა, თქვენც გითხრათ, რომ მე ვარ ერთადერთი ქართველი, საქართველოში დაბადებული გაზრდილი, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია მსოფლიო ასპარეზზე. რა თქმა უნდა, არიან წყვილები, რომლებიც საქართველოს სახელით ასპარეზობენ, თუმცა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიოს 50 საუკეთესო წყვილთა შორის, ჩემი სახელი და გვარი ფიქსირდება. ამისთვის ბევრი ვიშრომე, ვიბრძოლე და დამიფასდა. როცა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობა შემომთავაზეს, უარი ვთქვი, თუმცა, დედაჩემის დაჟინებული თხოვნა თუ მოთხოვნა იყო, რომ ჩამოვსულიყავი, რის გამოც ოჯახთან მქონდა კონფლიქტი. მაგრამ, ბოლოს დავთანხმდი და მეორე სეზონიდან პროექტს შემოვუერთდი.

**— რომელმაც, პრაქტიკულად, დიდი წარმატება მოგიტანა და ყველასთვის ცნობილი და საყვარელი გაგხადა, განსაკუთრებით ერთი ადამიანისთვის საყვარელი.**

— საშა, ჩემსავით, მეორე სეზონზე შემოუერთდა პროექტს. საერთოდ, ერთი ნახვით შეყვარების არ მჯერა, მაგრამ, როცა საშა შემოვიდა და გამაცნეს, მაშინვე თვალები გამიბრწყინდა. თუმცა, როგორც ქართველ ქალს შეჰფერის, თავი შევიკავე ზედმეტი ემოციებისგან. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი მეგობრობა, ოღონდ, ვინმეს რომ ენახა ჩვენი მიმოწერა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ ეს არ იყო უბრალოდ მეგობრების კონტაქტი ერთმანეთთან.

**— როდის დაგვირგვინდა თქვენი ურთიერთობა?**

— 27 აგვისტოს უკრაინაში მოვაწერეთ ხელი და ქორწილიც გადავიხადეთ. მაგრამ, საშას სურვილია, რომ საქართველოში დავიწეროთ ჯვარი და კიდევ ერთი ქორწილი აქაც გადავიხადოთ.

**— ესე იგი, წინ გველის უკრაინელი ქორეოგრაფისა და მისი ქართველი მოსწავლის ქორწილი?**

— დიახ, ეს მისი გადაწყვეტილებაა. გვინდა, ტრადიციული და გრანდიოზული ქორწილი გავაკეთოთ.

**— შეყვარებულობის პერიოდი როგორი გქონდათ?**

— ჩვენ დიდხანს ვმალავდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ის კი არა, ერთმანეთსაც ვუმალავდით და მოგვიანებით, როცა საშა სიყვარულში გამომიტყდა და მითხრა, მიყვარხარო, მეც ველარ დავმალე ჩემი გრძნობები. თუმცა, ხალხთან ორივე თავს ვიკავებდით ზედმეტი სიახლოვისგან, მაგრამ ვილაცეები მაინც გვამჩნევდნენ. მაგალითად, ია სუხიტაშვილი, ეკო ფანგანი, ეკა ნიჟარაძე თავიდან სულ გადაკვრით გველაპარაკებოდნენ და მერე უკვე „გვბალეშჩიკობდნენ“ კიდეც. სხვათა შორის, საშა როგორც კი გავიცანი, მაშინვე ვიცოდი, რომ მე მას ცოლად გავყვებოდი (იცინის). მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, ძალიან ვმალავდით და ვასაიდუმლოებდით ჩვენს ურთიერთობას. თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს ჩვენი სამსახური იყო და არ შეიძლება სამსახურში, თანაც, შენს მასწავლებელთან რომანის გაბმა.

**მინდა გითხრათ, რომ მე ვარ ერთადერთი ქართველი, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია მსოფლიო ასპარეზზე**

**— ეს თემა ხელს გიშლიდათ და გაკომპლექსებდათ?**

— რა თქმა უნდა. შეიძლება, ასე არ გამოვიყურები, მაგრამ, ტიპური ქართველი ვარ ჩემი კომპლექსებით. სხვათა შორის, საშაც ძალიან ჰგავს ქართველს თავისი ხასიათით. მაგალითად, არ უნდა, რომ მოკლე კაბა მეცვას. ეს მე თვითონაც მაკომპლექსებს და არც მას სიამოვნებს ზედმეტად შეხსნილ-შემოხსნილი კაბები, იგივე მაკიაჟიც. როგორც წესი, ყოველდღიურობაში მეიქაფს არ ვიკეთებ, თუ გადაღება ან კონცერტი არ მაქვს. მაქსიმუმ ტუში ვიხმარო თვალზე. მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე ძალიან თამამი კოსტიუმებით მიწევს გამოსვლა, ეს სულ სხვა თემაა – ეს არის ჩვენი პროფესია, რომელიც ასეთ კოსტიუმებს და მაკიაჟს მოითხოვს, თორემ ქუჩაში თამამი ჩაცმის სტილი არ მაქვს. სულ მგონია, რომ ვიღაც რაღაცას მომაძახებს და ამიტომ დისკომფორტს არც საკუთარ თავს ვუქმნი და მით უმეტეს, არც საშას. ძალიან ბედნიერი ვარ, თავი ზღაპარში მგონია, ასეთი მეუღლე რომ მყავს.



**საშა როგორც კი გავიცანი, მაშინვე ვიცოდი, რომ მე მას ცოლად გავყვებოდი. მაგრამ, ძალიან ვმალავდით და ვასაიდუმლოებდით ჩვენს ურთიერთობას**

**— ხომ არ აპირებ უკრაინაში სამუდამოდ გადაბარგებას?**

— გადაბარგება, როგორც ასეთი, არ გვაქვს გეგმაში, თუმცა, პერიოდულად, რა თქმა უნდა, იქაც ვიქნებით და აქაც. უკრაინაში საშას ცალკე აქვს ბინა და შესაბამისად, ცალკე ვცხოვრობთ. მაგრამ, აქ მშობლებთან და შვილთან ერთად ვცხოვრობ, საშა კი თავის საცხოვრებელშია.

**— რას ნიშნავს თავის საცხოვრებელშია?**

— ის ქორეოგრაფებისთვის განკუთვნილ ბინაში ცხოვრობს სხვა ქორეოგრაფებთან ერთად, სადაც მთელი ღამე მუშაობენ და შესაბამისად, ჩემი იქ ყოფნა არ არის სასურველი. ამით ხელს შევუშლი მათ სამუშაო პროცესს. ამიტომ, იშვიათად ვრჩები მასთან.

**— წარმოუდგენელ რაღაცას მეუბნები. ძალიან სასაცილოა – ახალდაქორწინებული წყვილი პროფესიული საქმიანობის გამო ცალ-ცალკე ცხოვრობს. არ ეჭვიანობ, როცა ის იქ მარტოა?**

— მარტო არ არის. სხვა ქორეოგრაფებთან ერთად ცხოვრობს და შესაბამისად, საეჭვიანოც არაფერია, მით უმეტეს, მე საერთოდ არ ვარ ეჭვიანი. გარდა ამისა, ჩვენ მთელი დღე ერთად ვართ რეპეტიციებზე. დასვენების დღეებშიც სულ ერთად ვართ, ყველგან ერთად დავდივართ. სულ სიურპრიზებს მიწყობს, იცის, რომ რბილი სათამაშოები მიყვარს და შეუძლია, რესტორანში, ყვავილებთან ერთად, რამე სათამაშოც მომიტანოს.

**— ჰოროსკოპით რა ხართ შენ და საშა?**

— ორივე მორიელები ვართ. ამბობენ, ორი მორიელი ერთმანეთს ჭამს და ვერ უგებენო. მაგრამ მე და საშა გადასარევად ვუგებთ ერთმანეთს.

**— ჰო, მაგრამ, სამაგიეროდ, სექსში ეწყობიან გადასარევად. მორიელი ხომ ყველაზე სექსუალური ნიშანია?!**

— *(იცინის)* ვაიმე, რეებზე მელაპარაკები, ღმერთო ჩემო?! ახლა ჩემგან რას ელოდები, რომ ეს დავადასტურო? *(იცინის)* დიახ, ვადასტურებ ამ მოსაზრებას *(იცინის).*

**ბესო მახარაშვილი**

**მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში საქართველოს უამრავი მტრის მოგერიება უხდებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, ქართული სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა თავდაცვითი ღონისძიებების გატარებას. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო თავდაცვითი ნაგებობის, კედლის აგება, რომელიც ციხესიმაგრეების ერთობლიობისგან შედგებოდა. ასეთი ნაგებობის არსებობა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნამდვილად დასტურდება. თუმცა, რამდენად არის გასაზიარებელი ის აზრი, რომ თითქოსდა საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი ნაგებობა მეოთხე, მეექვსე საუკუნეებში არსებობდა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა და იმ მასშტაბების იყო, რომ პარალელი ჩინეთის კედელთანაც კი შეიძლება გავავლოთ, ამასთან დაკავშირებით ისტორიკოს აკაკი ჩიქობავას ვესაუბრეთ.**

# იყო თუ არა საქართველოში ჩინეთის კედლის მსგავსი დამცავი ნაგებობა, რომელიც თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორიას გასდევდა

**აკაკი ჩიქობავა**: საქართველოს საზღვრებთან ხშირად იქმნებოდა სხვადასხვა ტომების შემოსევის საფრთხე, იქნებოდნენ ესენი ჩრდილოელები, გოთები თუ სხვა ინდო-ევროპული ტომები, საუბარია მეოთხე-მეექვსე საუკუნეებზე. მოსაზრება, რომ ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე იყო თავდაცვითი კედელი, რომელიც გასდევდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას, არანაირი წყაროთი ან არქეოლოგიური მასალით არ დასტურდება. ანტიკურ წყაროებში არის საუბარი, მაგალითად, იუროპაახის გამოსასვლელებზე, იბერიის კარზე, კასპიის კარზე, იგივე დარუბანდის კარზე და ასე შემდეგ. ვარაუდობენ, თითქოს დარუბანდის კარით რომ შემოხვიდოდი კასპიის ზღვიდან, აქედან მოდიოდა კედელი და ლიხით უერთდებოდა დასავლეთ საქართველოს. ასეთი რამ არ არსებობდა. ლოგოგრაფოსებთან მხოლოდ კორაქსების კედელია ნახსენები. რეალურად, რაზეც შეგვიძლია საუბარი, ესაა მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩრდილოკავკასიელების შემოსევის საშიშროების გამო, ლევან მეორე დადიანის მიერ აგებული კედელი. მეჩვიდმეტე საუკუნეში რომ ნამდვილად არსებობდა ეს კედელი, ამას ადასტურებს შარდენის, კასტელის მონაცემები. რუს მეცნიერს, იური ვორონოვს აქვს ეს კედელი შესწავლილი. ის მასალას სათავისოდ იყენებს, თუმცა ეს სხვა თემაა. ისიც ამბობს, რომ კლისურა ნამდვილად ძველი კედლის ნაშთებზე არის აშენებული, თუმცა არავითარი რეალური საბუთი არ არსებობს ამის მტკიცებისა. მეჩვიდმეტე საუკუნეში კი იმდენად მძლავრი იყო შემოსევები ოდიშის სამთავროზე ჩრდილოკავკასიიდან, რომ სასწრაფოდ გახდა საჭირო დამცავი მექანიზმის არსებობა. კედელში სათოფურები არის ჩატანებული, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთისკენ იმზირება, რაც ადასტურებს, რომ საფრთხე ამ მხრიდან მოდიოდა. სამაგრების აშენება იმდენად სწრაფად უნდა მომხდარიყო, რომ ზოგიერთ მათგანს საძირკველიც კი არ აქვს. ისტორიულად დასტურდება, რომე მეთხუთმეტე საუკუნიდან იწყება ჩრდილოკავკასიელი ტომების ჩამონოლა დასავლეთ საქართველოში. ჩვენი წელთაღრიცხვით 131 წელს კაპადოკიის ლეგატი ფლავიუს არიანე მოგზაურობს ამ მხარეში. ის ოფიციალურ პატაკს აბარებს რომის იმპერატორს. მისი ნაშრომი ცნობილია პერიპლუსის სახელით. ის გადასცემს იმპერატორს ინფორმაციას არსებული ციხეების, ჯარისკაცების, მოსახლეობისა და ასე შემდეგ შესახებ. ასეთი მასშტაბების კედილი რომ არსებულიყო საქართველოში, ფლავიუს არიანე არ გამორჩებოდა. უნდათ, რომ მეორე ჩინეთის კედელი აღმოაჩინონ, მაგრამ ასე არ არის. წარმოიდგინეთ, ამ დროს საქართველო ერთიანი სისტემაც კი არ იყო. დაშლილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ნაწილებად. იყო კოლხეთისა და ეგრისის სამეფოები. დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის გავლენა იყო აღმოსავლეთში კი – სპარსეთის. თუმცა, ისინი თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. იმიტომ, რომ საშიშროება, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა, ორივეს აზიანებდა. ამიტომ, ზოგჯერ სპარსეთი უხდიდა ბიზანტიას ფულს და ზოგჯერ პირიქით, ამ ტერიტორიის გასამაგრებლად. იმის მიხედვით, თუ ვინ იდგა იმ პერიოდში ამ ციხესიმაგრეებში და დამცავ ზოლში.



**სამაგრების აშენება იმდენად სწრაფად უნდა მომხდარიყო, რომ ზოგიერთს საძირკველიც კი არ აქვს**

როცა მურვან ყრუმ საქართველოში ილაშქრა, იბერიიდან დაედევნა არჩილს და მირს, რომლებიც ციხეგოჯში გამაგრდნენ. ჯუანშერის ცნობით, კლისურამდე ეგრისია, რომელიც ქართლის საერისმთავროს ექვემდებარება. კლისურას იქით არის აფხაზეთის ტერიტორია. ლეონ მეორის დროს, ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამეფო. აქ დიდია ბერძნებისა და ბიზანტიელების გავლენა და ამიტომ ეს ტერიტორია იწოდება საბერძნეთად. მურვან ყრუმ დაანგრია ციხეგოჯი, შევლო კლისურა (ანუ დაანგრია) და მიადგა ანაკოფიის ციხეს, სადაც ის დამარცხდა. მირი ბრძოლაში დაიღუპა, არჩილი გადარჩა, მურვან ყრუ კი უკან გაბრუნდა. ხსენებულ კლისურას, თუ გინდა, კედლად აღიქვამ, მაგრამ საერთოდ ის გამაგრებულ ადგილს ნიშნავს. მდინარე კელასური და ეს ადგილი იყო ის ტერიტორია, სადაც საზღვარი გადიოდა. იქით კი, როგორც აღვნიშნე, იყო ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორია. ამ ადგილას, რა თქმა უნდა, რაღაც გამაგრება იარსებებდა, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც ეს სურთ, რომ წარმოიდგინონ. კლისურა მეტად გამაგრებულ ადგილს ნიშნავს. თუმცა, დამცავი ზოლი ნამდვილად არსებობდა, მხოლოდ ეს იყო ციხესიმაგრეებისგან გაკეთებული ზოლი. როცა ცენტრმა გადაინაცვლა ეგრისის სამეფოს შიდა ტერიტორიაზე, ციხეგოჯი გახდა ეგრისის დედაქალაქი. იმიტომ რომ, უფრო დაცული ყოფილიყო, აშენდა დამცავი ზოლი, რომელიც იწყებოდა შორაპნიდან, ზესტაფონის რაიონიდან და მასში სხვადასხვა ციხე შედიოდა. გზადაგზა გვხვდებოდა საგანგაშო მდგომარეობისთვის შექმნილი სხვადასხვა ციხე-კოშკი. ადრეფეოდალურ და ფეოდალურ ეპოქაშიც თუ მტერი ქვეყანაში შემოვიდოდა და დაამარცხებდა ჯარს, თუნდაც 20 ან 50-ათასიანსაც კი, იმ შემთხვევაში, თუ ის ციხესიმაგრეებს ვერ აიღებდა, მთელი ქვეყნის ტერიტორია დაპყრობილად არ ითვლებოდა. ამიტომაც ააგეს ეს ციხეები საზღვრებთან, კონკრეტული ტერიტორიების გასამაგრებლად და დასაცავად. დაახლოებით მეოთხე, მეექვსე საუკუნეებში ასეთი სამაგრებია ჩრდილო-დასავლეთით. მაგალითად, ნოქალაქევიდან მოყოლებული, იქვეა სოფელი კოტიანეთი, ზემო სორტა, შხეფი, საკალანდარიშვილო – სენაკის რაიონში, კიდევ პატარ-პატარა კოშკები ზუგდიდამდე და ასე შემდეგ კოდორის ხეობამდე. ეს არ არის კედელი, ეს არის თავდაცვითი სისტემა, რომელიც შედგებოდა ციხესიმაგრეებისგან და ისინი უყურებდნენ ერთმანეთს. აქ არის რამდენიმე დიდი ციხე და პატარა კოშკები, რომელშიც, განგაშის შემთხვევაში, ცეცხლს ანთებდნენ და ასე ატყობინებდნენ თავისიანებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სენაკის რაიონში არის მისი ნაწილი შემორჩენილი და ნაგებობები სამი-ოთხი კილომეტრითაა ერთმანეთისგან დაშორებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლევან დადიანის პერიოდში აგებული კედელი ვორონოვს აქვს შესწავლილი. მის მიხედვით: კედელი იწყებოდა მდინარე კელასურის მარცხენა ნაპირზე, ზღვის შესართავთან, მიუყვებოდა კელასურის ხეობას, შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთისკენ, გადაკვეთდა მდინარეებს მაჭარასა და კოდორს. ეს არის კოდორის ხეობის ზედა ნაწილი, რომელიც მაშინაც აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა. აქედან ის მიუყვებოდა ფანავის ქედს, გადაკვეთდა მდინარე მოგვს და ქვემოთ ჩამოდიოდა ოჩამჩირესთან, გალისღამდე აღწევდა. კედელი უწყვეტი არ იყო. თუ მას კლდე ან სხვა ბუნებრივი ზღუდე შეხვდებოდა, კედლის აშენების საჭიროება აღარ იყო. ის თითქმის ას კილომეტრს აღწევდა. კელასურის კედელში არსებულ კოშკებს შორის 279-დან 275 კელასურ-ტყვარჩელის მონაკვეთზე მოდის. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს არის ჩრდილო-დასავლეთიდან მოსალოდნელი შეტევების თავიდან ასაცილებლად. კოშკებს შორის მანძილი 40-დან 120 მეტრამდეა. იქ, სადაც ბუნებრივი პირობების გამო კედელი არ იყო, დაშორება 300-დან 1 000 მეტრამდე აღწევდა. კოშკი ოთხკუთხა ფორმის იყო, სიმაღლით – 4-6 მეტრი.

ეს საკითხი ქართველ მეცნიერებსაც აქვთ შესწავლილი, თუმცა შედეგები გამოცემული არ არის. მათგან ერთი გუძა აფაქიძეა, რომელიც ახლა პეტერბურგში ცხოვრობს. მეორე ავთო თორდია, რომელიც ზუგდიდში ცხოვრობს. ის ზუგდიდის მუზეუმის დირექტორი იყო, მანამდე კი, საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის მუზეუმში მუშაობდა.

**– ახლა რა მდგომარეობაშია ეს კედელი თუ იცით?**

– ახლა რა მდგომარეობაშია, არ ვიცით, რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზეა. რასაც გეუბნებით, ეს არის 70-80-იან წლებში ნანახის შედეგები იური ვორონოვის, ქართველთაგან კი – გუძა აფაქიძისა და ავთანდილ თორდიას მიერ.

**ქეთი კაპანაძე**

**ექიმი-პარაფსიქოლოგის, დალი ავაგუმაშვილის მისაღებში, რომელიც არატრადიციული მეთოდებით კურნავს ხალხს, ყოველთვის ცოცხალი რიგია. მასთან დახმარების სათხოვნელად უცხოეთიდანაც კი ჩამოდიან. ქალბატონი დალი ასუფთავებს დაბინძურებულ აურას ნეგატიური მუხტისგან, ხსნის დაღლილობის სინდრომს, სტრესს, დეპრესიას, შიშებს, თქვენ წარმოიდგინეთ, ხელმოცარულ ბიზნესმენებსა და ოჯახური კონფლიქტებით თავმობეზრებულ ადამიანებსაც ეხმარება პრობლემების მოგვარებაში.**

# შიში ორგანულ დაავადებებსაც იწვევს, უპირველესად კი, თირკმელებს უტევს!

**– ქალბატონო დალი, თქვენზე ლეგენდები დადის... ამბობენ, რაც კი წინასწარ უთხარით პაციენტებს პირად პრობლემებთან დაკავშირებით, ყველაფერი აუხდათ...**

– ხშირად ვიკავებ ხოლმე თავს, რადგანაც ზოგიერთებს მკითხავი ვგონივარ, არადა, ამ უნარს მარჩიელობასთან საერთო არაფერი აქვს. ინფორმაციას სპონტანურად ვიღებ, საჭიროებისამებრ, როცა უფალს ვინმეს გაფრთხილება სურს და არა შეკვეთით.

**– ვიცი, რომ არაჩვეულებრივი შედეგები გაქვთ სტრესის, დეპრესიის, ნევროზების მკურნალობაში, უამრავი ადამიანი გემადლიერებათ, როგორ ახერხებთ მათ გამოჯანმრთელებას?**

– ლოცვის ძალა სასწაულებს ახდენს. დაბინძურებული აურის გასუფთავებით ადამიანს უამრავ პრობლემასთან გამკლავება შეუძლია. გახსოვდეთ, გადატანილი სტრესი უკვალოდ არ ქრება, არადა ბევრს ჰგონია, რომ უსიამოვნებამ უკვე ჩაიარა და ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. სინამდვილეში ის აურას ნეგატიური ენერგიით აბინძურებს, რაც დროთა განმავლობაში უთუოდ იჩენს ხოლმე თავს.

**– რა სახით?**

– ეს არის წარუმატებლობა კარიერასა და პირად ცხოვრებაში, ბიზნესში, შინაგან ორგანოთა დაავადებები, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, აკვიატებული შიშები, დეპრესია, ნევროზი და ასე შემდეგ.

**– როგორც ვიცი, შიშს უამრავი დაავადების გამოწვევა შეუძლია...**

– თანამედროვე ადამიანის ყოფა და მომავალი ჩვენში იმდენად არასტაბილურია, რომ ხალხს უამრავი რამის ეშინია – უფულობის, უპერსპექტივობის და ასე შემდეგ. გამოუვალი ვითარების გამო იმდენად ითრგუნებიან, რომ თუ დროულად ვერ დააღწევენ თავს ამ მდგომარეობას, შიში ორგანულ დაავადებებს გამოიწვევს, უპირველესად კი, თირკმელებს „ურტყამს!..“ ზოგ შემთხვევაში, ორგანიზმს ისე ფიტავს და ასუსტებს, რომ ქრონიკული დაღლილობის სინდრომი ვითარდება.

**– ბიზნესმენებს რით ეხმარებით?**

– წარუმატებლობის მიზეზი ბიზნესშიც, ხშირად, უფლის მცნებათა დარღვევის შედეგია. ამას წინათ ერთი ახალგაზრდა კაცი დამიკავშირდა კიევიდან. კინაღამ გაკოტრდა იმის გამო, რომ საკუთარ სიხარბესა და ამპარტავნებას ვერ სძლია. ამ თვისებათა წყალობით, დაშვებულმა შეცდომებმა მისი ბიზნესი ჩიხში შეიყვანა, მაგრამ ჩემი რჩევები გაითვალისწინა, აურა გავუსუფთავე და წარმატებამაც არ დააყოვნა – ვალები გაისტუმრა და გაკოტრებას გადარჩა. რამდენიმე დღის წინ დამირეკა გახარებულმა, ახალი მაღაზია გავხსენიო. საერთოდ, წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი ჩვენშია. კიეველმა ბიზნესმენმა საკუთარი ამპარტავნება დაამარცხა, თავდაჯერებულობასა და სიჯიუტეზე უარი თქვა, პარტნიორების აზრი გაითვალისწინა, ანუ პიროვნულად შეიცვალა – აღმოფხვრა წარუმატებლობის მიზეზი და შედეგიც მიიღო.

**– ოჯახურ კონფლიქტებს როგორ აგვარებთ?**

– როგორც უკვე გითხარით, საჭიროების შემთხვევაში, სპონტანურად ვიღებ ინფორმაციას და ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის



გზას ვპოულობ უფლის ნებით. ამასთან აუცილებელია დაბინძურებული აურის გასუფთავება ლოცვის ძალით, რომელიც მართლა სასწაულებს ახდენს!..

*დალი ავაგუმაშვილის ყოფილი პაციენტები:*

თეონა მ-ძე: ჩემმა საქმრომ, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ვხვდებოდი, სრულიად მოულოდნელად, სხვა შეირთო ცოლად. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი.

**– რატომ მიგატოვათ?**

– არ ვიცი, უსამართლოდ მომექცა... ძლიერმა სტრესმა ლოგინად ჩამაგდო. გიჟივით ვიქცეოდი, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, აგრესიას ვეღარ ვაკონტროლებდი, გავბოროტდი.

**– როგორ მოხვდით ქალბატონ დალისთან?**

– დაქალმა მითხრა, დალის მეტი ვერავინ გიშველისო. არ მოვყვებოდი, სიცოცხლე მქონდა მობეზრებული, მაგრამ ისე ტაქტიანად მომიდგა, რომ დამითანხმა.

**– რით დაგეხმარათ ქალბატონი დალი?**

– ჯერ აურა გამისუფთავა, ენერგეტიკულად გამაძლიერა და ამიხსნა, რომ სიყვარულის მოკვლა არ შეიძლება, გაბოროტება და აგრესია მორალურად დამანგრევდა და პირად ცხოვრებაში კარგს არაფერს მომიტანდა. მირჩია, ეს გრძნობა სხვაზე გადამეტანა, ყოფილი საქმროსთვის კი ბედნიერება მესურვებინა. თუ მართლა გიყვარს, ვერ გაბოროტდები, გაუშვი ის კაცი შენი ცხოვრებიდან და ბედს ეწევიო, მითხრა. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეც მოხდა! დღეს ღმერთს მადლობას ვწირავ, მაშინ რომ არ გავთხოვდი, რადგანაც ვეღარ შევხვდებოდი ადამიანს, რომელიც ჩემი მეუღლეა.

**ნელი ვ-შვილი**: ქმარს ადრევე გავშორდი. ერთადერთი შვილი დამრჩა ამ ქორწინებიდან. მეორედ აღარ გავთხოვილვარ. ბიჭს მარტო ვზრდიდი, დამხმარე არავინ მყავდა. ორ ადგილას ვმუშაობდი, რის გამოც შვილისთვის დრო აღარ მრჩებოდა. უყურადღებოდ დარჩენილი მოზარდი ცუდ წრეში მოხვდა.

**– ძნელია უმამოდ ბიჭის გაზრდა...**

– სწავლაზე გული აიყარა, სკოლაში იშვიათად მიდიოდა, ხშირად ჩხუბობდა. ერთხელაც მძიმედ დაჭრილი მომიყვანეს სახლში მეზობლებმა. სამწუხაროდ, ექიმებმა ვერ გადაარჩინეს. წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოვჩნდი. ამქვეყნად სრულიად მარტო დავრჩი, ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

**– ვინ მიგიყვანათ ქალბატონ დალისთან?**

– კარის მეზობელმა, რომელიც ჩემი ტანჯვა-წამების მოწმე იყო. ღრმა დეპრესიაში ჩავვარდი, სიცოცხლის ყოველი წამი აუტანელი გახდა.

**– ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

– ქალბატონი დალის ლოცვის ძალამ ფეხზე წამომაყენა, ენერგეტიკულად გამაძლიერა. მან მე სიყვარულის ჭეშმარიტი არსი დამანახვა და რწმენაში შემიყვანა. ახლა უკვე მწამს, რომ ჩემს ბიჭს უთუოდ შევხვდები, დღედაღამ ვლოცულობ მისი სულის გადასარჩენად და ვგრძნობ, რომ გვერდით მყავს.

**ნოდარ ჩ-ვა**: სამსახურის დაკარგვამ თითქოს სტიმული მომცა და საკუთარი საქმე წამოვიწყე. მშობლების ბინა გავყიდე, ორი მეგობარი წილში ჩავსვი და მათი კაპიტალიც სარფიანად დავაბანდე. თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ წლების მერე, სერიოზული პრობლემები შემექმნა და ქალბატონ დალისთან მივედი დახმარების სათხოვნელად.

**– შეძლო ქალბატონმა დალიმ თქვენი დახმარება?**

– არ ვიცი, როგორ ახერხებს, მაგრამ ისეთ კონკრეტულ რჩევებს იძლევა, თუ დაიჯერებ და ყველაფერს სათანადოდ გააკეთებ, გამოსავალს უთუოდ იპოვი. მე ჭკუა მეყო და გავითვალისწინე, რაც მითხრა... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღემდე ვმეგობრობთ. უკვე წესად მაქვს, სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მივიღებ, ჯერ დალისთან მოვდივარ კონსულტაციისთვის. იმდენად მჯერა მისი, რომ, რასაც არ მირჩევს, არასდროს ვაკეთებ.

***P. S.* *ქალბატონი დალი წინასწარ ჩაწერის გარეშე არავის იღებს. ჩაწერა ხდება ტელეფონით ყოველდღე, დილის 9 საათიდან 16 საათამდე (უფრო გვიან ნუ დარეკავთ), კვირის გარდა.***

**საკონტაქტო ტელეფონები: 2-96-79-00, 599-10-73-06, 551-40-20-80, 599-05-75-00, 593-17-51-17.**

**დიზაინერ თამუნა ზაუტაშვილის აქსესუარები, განსაკუთრებით კი ყვავილებიანი ქუდები, „აბადოკები," უკვე 11 წელია, რაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, ევროპის ბევრ ქვეყანასა და ამერიკაში, ასევე, რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მის მომხმარებლებს შორის ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანია.**

# როგორ აღმოჩნდა თამუნა ზაუტაშვილის ქუდი შერონ სტოუნის პირად კოლექციაში და რატომ უკვეთავენ მას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან აქსესუარებს

**თამუნა ზაუტაშვილი**: სამხატვრო აკადემია მაქვს დამთავრებული. სპეციალობა – მონუმენტური დეკორატიული მოხატვა, ზურაბ წერეთლის კათედრა. ბავშვობიდან მიყვარდა კერვა, ქსოვა, ქარგვა. ნემსის, ძაფის, ჩხირებისა და ყაისნალის ხელში დაჭერა ბებიამ მასწავლა. არადა, 6 წლის ვიყავი, როცა ის გარდაიცვალა. როდესაც გავთხოვდი, ჩემი მამამთილი ზურაბ წერეთლის მეგობარი იყო და მითხრა: მოდი, არ გვინდა სტანდარტული სპეციალობის არჩევაო და ჩემი გაბარიტების ადამიანმა მონუმენტურ დეკორატიულ მოხატვაზე გავაკეთე არჩევანი. მაგრამ, ყველაზე კარგი ჯგუფი მყავდა, ძალიან კარგად მახსენდება ის დრო. პარალელურად, სულ რაღაცეებს ვაკეთებდი, დაბადების დღეებზე ვასაჩუქრებდი მეგობრებს, ნაცნობებს. მერე, იცით, რა დავაფიქსირე?! საქართველოში ხელთნაკეთ ნივთს დიდად არ აფასებენ. ამიტომ, ახლა, როცა ეს საქმე უკვე ბიზნესად ვაქციე, მირჩევნია, გავყიდო ჩემი ნივთი და აღებული ფულით ვუყიდო საჩუქარი. რა თქმა უნდა, ახლო მეგობრებს არ ვგულისხმობ, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან: რას გავაკეთებ, რამე ახალი ხომ არ გავაკეთე, როდის მოვა მათი დაბადების დღე, რომ ჩემი მოულოდნელობიდან გამომდინარე, რაღაც გავუკეთო.



ერთ-ერთ მაღაზიაში შევედით სუვენირების საყიდლად. მკითხეს: ეს ქუდი სად იყიდეთო. ჩემი შეკერილია-მეთქი და იმდენი ფული გადამიხადა მაღაზიის მენეჯერმა ქუდსა და ჩანთაში, რომ ახალ წლამდე პარიზში დავრჩით

**– როგორ იქცა საყვარელი საქმე ბიზნესად?**

– 2003 წელს ვიყავი პარიზში. იქ ჩვენი მეგობრები ცხოვრობენ და მე და ჩემი მეუღლე მივდიოდით მათთან შობის დღესასწაულის შესახვედრად. ჩემი შეკერილი ვარდებიანი ქუდი მეხურა. ერთ-ერთ მაღაზიაში შევედით სუვენირების საყიდლად და უცებ, იქ მყოფმა ადამიანებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს. ბოლოს მკითხეს: ეს ქუდი სად იყიდეთო. ჩემი შეკერილია-მეთქი და იმდენი ფული გადამიხადა მაღაზიის მენეჯერმა ქუდსა და ჩანთაში, რომ ახალ წლამდე პარიზში დავრჩით. თან, მაშინდელი ნამუშევარი დღევანდელისგან ძალიან განსხვავდება: ახლა უფრო დახვეწილია, შიგნიდან, გარედან ისეთი დამუშავებულია... რომ ჩამოვედი თბილისში, მეგობრებს მოვუყევი. ერთი მეგობარი ამერიკის საელჩოში მუშაობდა და შემომთავაზა, იქ გამეკეთებინა გამოფენა. გამოვფინე: ქუდები, მოქსოვილი ჟილეტები, საყურეები, მძივები, ყველაფერი, რის გაკეთებაც თვე-ნახევარში შევძელი. დღე და ღამე არ მძინებია. საბოლოოდ, გამოფენამ ძალიან კარგად ჩაიარა. იქიდან ერთი პატარა პარკი წამოვიღე, რომელშიც ორი ცალი სამაჯური ეგდო. ყველაფერი გავყიდე. იმხელა თანხა ავიღე, მივხვდი: საყვარელ საქმეს შეეძელო, შემოსავალი მოეტანა. ასე, ნელ-ნელა აეწყო საქმე. ერთხელ მეგობარს ეკეთა ქორწილში ჩემი დამზადებული „აბადოკი," რომელიც „ფეშენ-ვიქის" ორგანიზატორმა ნახა. დამიკავშირდა და შემომთავაზა მოდის კვირეულზე გამოსვლა. 2010 წლიდან მუდმივად გამოვდივარ „თბილისის ფეშენ-ვიქზე": ეს ბევრ რამეში დამეხმარა. იქ ჩამოდიან ბაიერები, ზოგიერთს უკვე პირადად ვიცნობ. ძალიან ბევრს აქვს თავის პირად კოლექციაში ჩემი ბროშები, ქუდები. 11 წელი გავიდა მას მერე, რაც ჩემი პირველი ვარდებიანი ქუდი გავყიდე და ამდენი ხნის შემდეგაც ის არავის მობეზრებია, დღემდე ყველას უნდა. ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც იქცა. მინდა, რაღაც სიახლე მოვიგონო, ბევრ რამეს ვცვლი, ვანახლებ, მაგრამ ყველას მაინც ვარდებიანი ქუდები უნდა.

**– როგორც ვიცი, უკვე რამდენიმე წელია, შენი ქუდები მილანში, ევროპის სხვადასხვა ქალაქში, ასევე, ამერიკაში წარმატებულად იყიდება.**

– ეს ყველაფერი 2012 წელს დაიწყო და სწორედ მაშინ გადავდგი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მილანში ტარდებოდა კონკურსი დიზაინერებს შორის, სახელწოდებით „ახალი სახელები". ახალი წლის ღამეს გავიმარჯვე ამ კონკურსში. მანამდე, ანუ 2012 წლის დასაწყისში მილა ანუფრიევამ, რომელიც ძალიან ცნობილი მოდის კრიტიკოსია, „ფეისბუქზე" შემიკვეთა ქუდი. თავიდან არც ვიცოდი, ვინ იყო, მერე გავიგე, რომ მილანში ცნობილი მოდის კრიტიკოსია, რომელიც ლაგერფილდს უწუნებს კოლექციებს. მოკლედ, მოდის სფეროში მის სიტყვას დიდი ძალა აქვს. გავუგზავნე ქუდი და ხელთათმანი, გაგზავნის ფულიც თვითონ გადაიხადა. შემდეგ კიდევ რამდენიმე ნივთის გაგზავნა მთხოვა. როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაფერი კონკურსისთვის უნდოდა. გავუგზავნე „აბადოკები", ქუდი, სხვადასხვა ნივთი. საბოლოოდ, ამ კონკურსში გავიმარჯვე და არ იცით, რა ხდებოდა – ახალ წელს, 12 საათს შევხვდი კომპიუტერთან შეკვეთების მიღებაში. კონკურსში გამარჯვებამ იმხელა დაინტერესება და პოპულარობა მომიტანა, მაისის ბოლომდე გათვლილი მქონდა ყოველი დღე და ღამე. არანაირად არ ველოდებოდი გამარჯვებას, ჩასვლაც კი ვერ მოვახერხე. მილასთან კონტრაქტიც „სკაიპით" გავაფორმე.



ალა პუგაჩოვას აქვს ჩემი ვარდებიანი „აბადოკი"

**– რას გულისხმობს ეს კონტრაქტი?**

– მილა ანუფრიევამ კონტრაქტი კონკურსში გამარჯვების შემდეგ, იანვრის შუა რიცხვებში გამიფორმა. მე მის გარეშე აღარ შემიძლია ოფიციალურად, ჩემი იარლიყით გავყიდო ნივთები, შევიტანო მაღაზიებში. IMARIKA – ეს არის მილანში ძალიან ცნობილი ბუტიკი, სადაც „ჰუსეინ ჩალაიანის," „არმანისა" და სხვა ძალიან ცნობილი ბრენდების გვერდით დევს ჩემი ქუდები. თუმცა, კერძო შეკვეთების გაკეთებას არავინ მიკრძალავს. ამ ქალს რამდენიმე მაღაზია აქვს მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და იმ ქსელებშია ჩემი აქსესუარები. როდესაც შოურუმიდან არის დაკვეთა, მაშინაც ამ ქალბატონის დახმარებით ვაკეთებ ყველაფერს. ასე უფრო მშვიდად ვარ, თან მარკეტინგში დიდად ვერ ვერკვევი. ოქტომბრის ბოლოს ჩემთან ჩამოდის თბილისში და პირადად შევხვდებით ერთმანეთს. ერთი წელი დარჩა და დიდი სიამოვნებით გავაგრძელებ მასთან ჩემს კონტრაქტს. არსად დარღვეულა ჩემი უფლებები, პირიქით, მაქსიმალურად ხელს მიწყობს. უბრალოდ, ოფიციალურად ვერ შემაქვს სადმე მაღაზიაში, თორემ არ მზღუდავას, რომ კერძოდ სადმე გავგზვნო ჩემი ნამუშევარი და თუნდაც იარლიყი გავუკეთო. თან, გარკვეული რაოდენობა უზრუნველყოფილი მაქვს. ავიღებ თუ არა პირად შეკვეთას, იქიდან იმხელა შეკვეთა მომდის, რომ ჩემთვის სავსებით საკმარისია.

**– ქართველი და უცხოელი მომხმარებლის მოთხოვნები, ალბათ, განსხვავებულია.**

– აქ, ძირითადად, შავსა და ნაცრისფერს ითხოვენ, უცხოეთიდან კი ისეთ ფერებს მიკვეთავენ, ზოგჯერ ვფიქრობ, როგორ ვიშოვო ეს ფერები-მეთქი. ფასებიც, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. თბილისში ვარდებიანი ქუდი ღირს – 150 ლარი, რუსეთში – 200 დოლარი, ხოლო მილანში – 200 ევრო. როდესაც მილანის „ფეშენ-ვიქის" შოუ-რუმი მიკვეთავს, მაშინ ფასი იკლებს, ოღონდ უკვე 20 ცალი იგზავნება. მიხარია, რომ ჩემი აქსესუარები არაერთხელ მოხვდა „მილანის ფეშენ-ვიქის" შოუ-რუმში, თუმცა მე ჯერჯერობით ვერ მოვახერხე ჩასვლა. მაქვს ერთი შავი ქუდი, რომელიც საკმაოდ ძვირად – 1 000 დოლარად გაიყიდა და სულ 4 ცალი მაქვს გაკეთებული.

**– როგორც ვიცი, შენი ქუდების მფლობელი ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანია, მათ შორის შერონ სტოუნი, ალა პუგაჩოვა და ასე შემდეგ.**

– შერონ სტოუნს, როდესაც თბილისში იყო ჩამოსული, ჩემი ქუდი უყიდეს და აჩუქეს. რა თქმა უნდა, მესიამოვნა, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, უფრო მეტად მიხარია, როცა სიმსივნით დაავადებულ ადამიანს ახურავს ჩემი ქუდი. რაც შეეხება ალა პუგაჩოვას, მას აქვს ჩემი ვარდებიანი „აბადოკი". ნაცნობისგან მოსკოვში, იუდაშკინთან საჩვენებლად მოხვდა ჩემი 9 ნივთი,

(გაგრძელება 81-ე გვერდზე)

**„პირველი ვიცე-მის საქართველო 2013“, სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ მოდელი, ელენ გამყრელიძე, ცოტა ხნის წინ ბაქოში იმყოფებოდა სილამაზის საერთაშორისო კონკურსზე – „მის გლობალ ინთერნეიშენელ“, სადაც ის საუკეთესოთა ოცეულში მოხვდა. სამომავლოდ კი, მომხიბვლელი „მისი“, რომელიც რამდენიმე წლის წინ მაყურებელმა „იღბლიანი ბორბლიდან“ გაიცნო, „მის უნივერსზე“ მიემგზავრება.**

# რა აკრძალვები ჰქონდა საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე ელენ გამყრელიძეს და ვინ მოჰპარა მას „აიპადი“ და კაბა

**ელენ გამყრელიძე**: ცოტა ხნის წინ ვიყავი საკმაოდ პრესტიჟულ კონკურსზე – „მის გლობალ ინთერნეიშენელი“, რომელიც ბაქოში ჩატარდა, რადგან, კონკურსის ჩატარების ლიცენზია აზერბაიჯანელებმა იყიდეს. წელს ეს კონკურსი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ყველაზე მეტი კონკურსანტი – 80 გოგონა იღებდა მონაწილეობას და, თანაც, საიუბილეო თარიღი ჰქონდა. ბაქო ძალიან მომეწონა, ლამაზი ქალაქია და, რაც მთავარია, ქართველები უყვართ. იქაურები, როგორც კი გაიგებდნენ, რომ ქართველი ვიყავი, მაშინვე სხვებისგან გამომარჩევდნენ და მგულშემატკივრობდნენ, რაც დიდ სტიმულს მაძლევდა და უფრო მეტად თავდაჯერებული ვხდებოდი.




**– როგორ ცხოვრობდი და თუ ელოდებოდი ოცეულში მოხვედრას?**

– პირველ დღეს სამი გოგონა ვიყავით ერთ ოთახში: მე, „მის პანამა“ და „მის საბერძნეთი.“ არც ერთმა არ იცოდა ინგლისური და ვერაფერს ვაგებინებდი, დამტანჯეს. შემდეგ სხვა გოგონები გავიცანი, ვისთანაც დალაპარაკებას შევძლებდი და მათთან გადავედი საცხოვრებლად. ბევრი საერთო ენა გამოვნახეთ და დავმეგობრდით. დაახლოებით 15 გოგონა ვიყავით, ჩვენი ჯგუფი გვქონდა, რომელშიც საკმაოდ ლამაზი გოგონები იყვნენ და, ყოველთვის, როცა რაღაც შემოთავაზება იყო, ჩვენი ჯგუფიდან ირჩევდნენ. გარდა ამისა, როდესაც 80 გოგონადან რამდენიმე უნდა წასულიყო სადმე, რაღაც შეხვედრაზე ან გადაღებაზე, იმ რამდენიმეში ყოველთვის ვიყავი. რვა გოგონაც რომ აერჩიათ, იმათშიც აუცილებლად ვხვდებოდი, ანუ, ყოველთვის გამომარჩევდნენ ხოლმე და ეს კიდევ უფრო თავდაჯერებულს მხდიდა. არ მინდოდა, კონკურსიდან ხელცარიელი წამოვსულიყავი, ამიტომ, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი, დანარჩენი კი უკვე ჩემზე აღარ იყო დამოკიდებული. ხუთეულში მოხვედრა ძალიან რთული იყო, თუმცა, ვფიქრობდი, რომ უნდა მოვხვედრილიყავი – სულ ფორმაში ვიყავი, დიდ ყურადღებას ვიქცევდი, ყველგან მეძახდნენ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაღაცაში არ მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ, საბოლოოდ, „მის ავსტრალიამ“ გაიმარჯვა, რომელიც საკმაოდ გვიან ჩამოვიდა – სულ ხუთი დღე იყო ჩვენთან და, ვერც იმას ვიტყვი, რომ აქტიური იყო, ხშირად ეძახდნენ გადაღებებზე ან ირჩევდნენ შეხვედრებზე წასაყვანად. მართალია, ლამაზი გოგონა იყო და თოჯინასავით სახე ჰქონდა. მაგრამ, არაკონტაქტური იყო. სხვათა შორის, „მის ავსტრალიას” მე ვასწავლიდი სიარულს. ორგანიზატორი მოვიდა ჩემთან და მთხოვა: ძალიან ლამაზად დადიხარ და, იქნებ, გოგონებს დეფილეს გაკვეთილები ჩაუტაროო. ხუთეულში შევიდა კიდევ ერთი გოგონა, რომელიც, ვერც კი მივხვდით, იქ საიდან გაჩნდა – არავინ იცოდა, ვინ იყო, საიდან მოვიდა და, საერთოდ, ჩვენთან ერთად თუ იყო ეს ორი კვირა. ოცეულში მოხვედრა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო. მე ყველაფერი გავაკეთე, მეტი აღარ შემეძლო...

**– როგორი რეჟიმი გქონდათ?**

– დილის 8 საათზე ვდგებოდით, თმასა და მაკიაჟს ვიკეთებდით და მერე მივდიოდით გადაღებებზე და ვარჯიშებზე. თუ ღამე ოთხი საათი მაინც მეძინა, მიხაროდა – გამოვიძინე-მეთქი. გარკვეულწილად, სტრესულიც იყო, უბრალოდ, ეს 15 გოგონა ერთმანეთთან ისე კარგად ვიყავით, რომ დიდად არ გამჭირვებია. მთელი ამ დღეების განმავლობაში ბევრ ადგილას ვიყავით: წაგვიყვანეს ალიევის მუზეუმში, რომელიც ძალიან ლამაზია; ასევე, გავიცანით იქაური მინისტრები. ქართველი რომ ვიყავი, ყველა მე მაქცევდა ყურადღებას – „გრუზინკა, გრუზინკას“ იძახდნენ. მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ძალიან უყვართ საქართველო. პრეზიდენტის გარდა, თითქმის ყველა მინისტრი გავიცანით, რადგან, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები კონკურსის კარგად ჩატარებაში. ვისაც გვარჩევდნენ, ისინი დავყავდით პოლოს საყურებლად. სპონსორებისთვის გვქონდა გადაღებები, ასევე, ჩვენება, სადაც გამოვიტანეთ ბეწვის ქურქები. ძირითადად, სულ რეპეტიციები გვქონდა. საკმაოდ დიდი სცენა იყო და გავდიოდით რეპეტიციებს – ვინ სად უნდა დამდგარიყო. მაგრამ, მონაწილეები ყოველდღე ჩამოდიოდნენ, ბოლო დღესაც კი ჩამოვიდა ერთი გოგონა, ეს მთელ სცენარს ცვლიდა და თავიდან ვიწყებდით გადაწყობას.

**– რამე აკრძალვები გქონდათ?**

– ღამით არ შეგვეძლო გასვლა, ასევე, დალევა – ამის ინტერესი არც მქონია. სხვა არაფერში გვზღუდავდნენ, მათ შორის, არც კვების მხრივ. რადგან პირველად ტარდებოდა ბაქოში კონკურსი, ცოტა ორგანიზებაში ჰქონდათ პრობლემები, სხვა მხრივ ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა.



**მე ვასწავლიდი „მის ავსტრალიას“ სიარულს. ორგანიზატორი მოვიდა ჩემთან და მთხოვა: ძალიან ლამაზად დადიხარ და იქნებ გოგონებს დეფილეს გაკვეთილები ჩაუტაროო**

**– რამე ინციდენტი ხომ არ მომხდარა?**

– მომპარეს კაბა და „აიპადი“. სასტუმრო სამჯერ შევიცვალეთ და ბოლოს ოთახში იმასთან მოვხვდი, ვისთანაც სიის მიხედვით მომიწია – „მის სენეგალთან“, რომელიც ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდა. ბოლო ოთხი დღე მასთან ერთად ვიცხოვრე, მთელი ღამე „სკაიპში“ ელაპარაკებოდა ვიღაცეებს და არ მაძინებდა. ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, რომ გარეთ გავსულიყავი. ბოლო დღეს, მახსოვს, როგორ ჩავდე ჩანთაში „აიპადი“ და ოთახიდან გამოვედი. თბილისში რომ დავბრუნდი, მაშინ აღმოვაჩინე, რომ აღარ მედო. დავრეკე სასტუმროში – „მის სენეგალი“ ისევ მანდ ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ წასული იყო. „ფეისბუქზეც“ მივწერე და არ მპასუხობს. რაც შეეხება კაბას, გამოსვლის შემდეგ ყველამ ერთად დავკიდეთ – რომ წამოვიდოდნენ, წამოგვიღებდნენ, მაგრამ, ყველაფერი ვიპოვე, იმ კაბის გარდა. სხვებმაც დაკარგეს ფინალის დღეს, ბევრმა ნაციონალური კაბა დაკარგა, უბრალოდ, ხელს ვერავის დავადებდით.

**– ვინ იზრუნა შენს გარდერობზე?**

– „მარიონელამ“ გამატანა საღამოს და კოქტეილის ძალიან ბევრი კაბა; ასევე, ნაციონალური კაბა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. სულ მათი კაბები მეცვა და ძალიან მოსწონდათ. ფინალზეც „მარიონელას“ წითელი კაბა უნდა მცმოდა, ძალიან ეფექტური და ლამაზი იყო და, ერთი სული მქონდა, როდის ჩავიცვამდი. მაგრამ სპონსორმა უარი მითხრა. იმდენი ვეხვეწე... არა მხოლოდ მე, ყველას უარი უთხრეს, რადგან, სპონსორმა ჩაგვაცვა თავისი კაბები. ძალიან ლამაზი კაბა იყო, სადმე რომ ჩამეცვა, ლამაზად ვიქნებოდი, მაგრამ, სცენაზე, თან – ფინალურ საღამოზე, სადაც 70 ათასი კაცი მიყურებდა, არ იყო ეფექტური. თან, დაძაბული ვიყავი, ხელებს ვერ ვამოძრავებდი, ცოტა დიდიც მქონდა, თუმცა მათ ეს არ აინტერესებდათ.

**– როგორც ვიცი, შეყვარებულმა ჩამოგაკითხა ბაქოში და ბევრ რამეში გეხმარებოდა.**

– ფინალის დღეს ჩამოვიდა. არ მეგონა, თუ საფინალო შოუმდე ვნახავდი. მინდოდა, დარბაზში შემოსულიყო და რეპეტიციაზე ჩემთან ერთად ყოფილიყო. ამიტომ, იქ ყველას ვუთხარი, რომ საქართველოდან ჩემი წარმომადგენლები იყვნენ. „ბეიჯები” დაჰკიდეს მას და მის მეგობარს და ისხდნენ ასე პირველ რიგში, ბოლოს კი ჟიურის სკამებზე აღმოჩნდნენ. მისი იქ ყოფნა ჩემთვის ძალიან დიდი სტიმული იყო. მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე საკუთარი თავის რწმენა არ მაკლია, კიდევ უფრო თავდაჯერებული ვიყავი და, თან – ბედნიერი, რადგან, ვიცოდი, რომ იქ იყო. თორმეტი დღე არ მყავდა ნანახი და ძალიან მენატრებოდა – ამდენ ხანს მის გარეშე არ ვყოფილვარ. ახლა ამერიკაში წავიდა სასწავლებლად და, იმედია, შევეგუები – ვიცი, რომ ასე უკეთესია ჩვენი მომავლისთვის, ამიტომ, გაგებით ვეკიდები ამ საკითხს.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ დაამსხვრია წმინდა ნინოს ლოცვით ღმერთმა კერპები არმაზის მთაზე

***დაახლოებით 323 წელს, ზოგი მეცნიერის აზრით 316-317, ან 319-320 წელს, წმიდა ქალწული ნინო სომხეთის მხრიდან მოადგა საქართველოს. სომხეთის მეფეს თრდატს სასწაულებრივად გადაურჩა მოციქულთასწორი.***

***წმიდა ნინოს მცხეთაში, ქართლის სახელმწიფოს დედაქალაქში ეგულებოდა ერთ-ერთი უმთავრესი და უდიდესი სიწმინდე ქრისტიანობისა - უფლის კვართი.***

ამქვეყნიურ ცხოვრებაში სულ რამდენიმე ნივთია დაკავშირებული მაცხოვართან. ჯვარი, რომელზეც გააკრეს; სამსჭვალები, რომლითაც გააკრეს; არდაგი (სუდარა), რომელშიც გაახვიეს გარდამოხსნის შემდგომ და რომელზეც აღდგომის დროს სასწაულებრივად აღიბეჭდა მისი გამოსახულება. კიდევ რამდენიმე ხელთუქმნელი ხატი, რომელზეც სასწაულებრივად დაიხატა მაცხოვრის გამოსახულება, როდესაც ქრისტემ სახეზე მიიდო კვართი უფლისა.



უკერველი კვართი უფლისა იყო ერთადერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მატერიალური „ქონება“ ქრისტესი, რომელიც მას განკაცების ჟამს, ამქვეყნად ჰქონდა და რომელიც დარჩა მისი ჯვარცმისა და ამაღლების შემდგომ კაცობრიობას.

უკერველი კვართი უფლისა, გადმოცემით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა პატარაობისას მოუქსოვა იესოს. კვართი ქრისტესთან ერთად იზრდებოდა...

არც ქისა ჰქონია ქრისტეს, არც სახლი, არც კარი, არც ნავი, არც... არაფერი. მხოლოდ კვართი ემოსა... და ეს კვართი, – სასწაულთმოქმედი, რომლის შესახებ საუკუნეებით ადრე არსებობდა წინასწარმეტყველება, რომელიც არ განუკვეთავთ, არ დაუჭრიათ, რადგან ეკლესიის განუყოფლობის სიმბოლოა, – მაცხოვრის ნებით, ერგო საქართველოს...

მცხეთა ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქი იყო იმ პერიოდში, მსოფლიოში ცნობილი. ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელი აინტრესებდა ქალწულ ნინოს და გაიგო, რომ ქართლში, მცხეთაში იყო ის გადაბრძანებული ჯვარცმის მერე.

შემდეგ სასწაულიც მოხდა, სიონის მთაზე ჩაეძინა ქალწულს და სიზმარში მარადი ქალწული მარიამი გამოეცხადა, რომელმაც გადასცა ვაზის ჯვარი და მცხეთისკენ გამოაგზავნა ძალიან ახალგაზრდა მოციქულთასწორი. არაერთი ხიფათი და განსაცდელი გადაიტანა მოციქულთასწორმა ნინომ, სანამ საქართველოს საზღვრებს მოაღწევდა.

როგორც ვთქვით, წმინდა ნინო სასწაულებრივად გადაურჩა სომხეთის გამხეცებულ და ქრისტიანთა დევნის გამო გარეულ ღორს დამსგავსებულ მეფე თრდატს და გამოემართა ქართლისაკენ. ოთხი თვე გამოიზამთრა დაბა ორბანთში, სომხეთ-ქართლის საზღვართან და ივნისში კვლავ წამოვიდა საქართველოსკენ.

ჯავახეთის ზეგანზე მიადგა ფარავნის ტბას. იქიდან ჩანდა მარადიული ყინულით დაფარული კავკასიის მთები. ჯავახეთის მთებშიც სიცივე იყო, ფარავნის ტბა ხომ 2000 მეტრის სიმაღლეზეა. შეძრწუნდა და შეეშინდა ახალგაზრდა მოციქულთასწორს. ორი დღე დაჰყო ტბასთან, ისვენებდა. მეთევზეებს საჭმელი სთხოვა. იქვე იყვნენ მწყემსები, რომლებსაც დიდი ცხვრის ფარა ჰყავდათ და დარაჯობდნენ საქონელს. თან, ლოცულობდნენ, მიმართავდნენ ქართველთა ძველ კერპებს – არმაზსა და ზადენს. მშვიდობიანად დაბრუნების შემთხვევაში, შესაწირს აღუთქვამდნენ.

წმიდა ნინომ ცოტა სომხური იცოდა, სარა ნიაფორისგან ჰქონდა ნასწავლი, რომელსაც ადრე ემონაფებოდა, იერუსალიმში. მწყემსთა შორის ერთი აღმოჩნდა სომხურის მცოდნე და მას ჰკითხა, სადაურები ხართო.

– სხვადასხვა დაბიდან, ელარბინიდან, საფურცლიდან, ქინძარიდან და რაბატიდან დიდი ქალაქის მცხეთისა, „სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ,“ – დაასრულა სიამაყით თავის დედაქალაქზე სომხურის მცოდნე ქართველმა მწყემსმა.

– სადაა მცხეთა? – იკითხა მოციქულთასწორმა.

– ფარავნის ტბას რომ მდინარე გამოუდის, იმას თუ გაყვები, მიგიყვანს მცხეთაში, – უპასუხა მწყემსმა. ფარავნის ტბიდან გამომავალი პატარა მდინარე ფარავანი სოფელ ხერთვისთან უერთდება მტკვარს და მცხეთისკენ მიჰყვება.

წმიდა ნინომ ქვა დაიდო სასთუმლად, როგორც ოდესღაც ისრაელის მამამთავარმა იაკობმა და დაიძინა. იაკობივით გამოცხადება იხილა ახალი ისრაელის – საქართველოს სულიერმა დედამთავარმა. გამოეცხადა მას საშუალო სიმაღლის კაცი, მისცა ბეჭედდასმული გრაგნილი და უთხრა, მიართვი ეს მცხეთაში წარმართთა მეფესო. წმინდა ნინო ატირდა და ევედრებოდა:

– უფალო, მე ქალი ვარ, უცხო და უმეცარი. არ ვიცი მათი ენა, როგორ მივიდე უცხო ქვეყანაში და უცხო ხალხთან?



მაშინ ქრისტემ გაუხსნა წერილი და წააკითხა. დაწერილი იყო ლათინურად და ზედ იესოს ბეჭედი იყო დასმული. ათი წინადადება ეწერა:

ა. სადაც იქადაგება ეს სახარება, იქვე ახსენებენ ამ ქალს.

ბ. არც მამაკაცება არსებობს და არც დედაკაცება, არამედ თქვენ ერთნი ხართ.

გ. წადით და მოიმოწაფეთ ყოველნი წარმართნი და ნათელი ეცით მათ, სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა.

**მს განცხადება უკვე კონკრეტული დავალება იყო, საკმაოდ რთული – მეფის მოქცევა ქრისტიანობაზე**

დ. ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.

ე. სადაც იქადაგება სახარება სასუფევლისა, იქაც ითქმება ყველა სოფელში.

ვ. რომელიც თქვენ მოგისმენთ და შეგიწყნარებთ, მე შემიწყნარებს, და რომელი მე შემიწყნარებს, შეიწყნარებს ჩემს მომავლინებელს.

ზ. ძალიან უყვარდა მარიამი უფალს, რადგან მარად ისმენდა მის ჭეშმარიტ სიტყვებს.

თ. არ შეგეშინდეთ მათი, რომლებიც შეძლებენ თქვენი ხორცის მოკვლას, მაგრამ სულს ვერ მოკლავენ.

ი. უთხრა მარიამ მაგდალინელს იესომ: „წადი დედაკაცო და ახარე ჩემს დებს და ძმებს“.

კ. იქადაგეთ სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ეს იყო მეორე გამოცხადება წმინდა ნინოსათვის. პირველად ხომ იერუსალიმში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იხილა, რომელმაც გამოაგზავნა ჩრდილოეთის ქვეყანაში. მეორე გამოცხადებაში მას თავად მაცხოვარმა აუწყა, რომ მისი სახარება გადაეცა მცხეთაში წარმართი ქართველების მეფისთვის.

მუხლი „ა“ პერიფრაზია მარიამ ბეთანიელის მისამართით ნათქვამი ქრისტეს სიტყვებისა (მათე, 26. 13), თუმცა აქ უკვე წმინდა ნინოს შეეხება და ნიშნავს, რომ ქართლში ქრისტეს რჯულის გავრცელების გამო, ქართველთა განმანათლებელ ნინოს არასდროს დაივიწყებენ.

მუხლი „ბ“ ნიშნავს, რომ მანამდე მამაკაცსა და დედაკაცს შორის არსებული სხვაობა ქრისტიანობაში აღმოფხვრილია და უფლის წინაშე ყველა თანაბარია.

დანარჩენი მუხლები ქრისტიანობის ქადაგებას შეეხება (მუხლი „ე“ ისევ წმიდა ნინოს). ეს გამოცხადება უკვე კონკრეტული დავალება იყო, საკმაოდ რთული – მეფის მოქცევა ქრისტიანობაზე.

წმიდა ქალწულმა შველა ითხოვა უფლისგან და გაუდგა გზას მდინარე ფარავნის დინების მიმართულებით. გზაში მრავალი დაბრკოლება შეხვდა და ბევრჯერ შეაშინეს მხეცებმა. როცა მდინარემ აღმოსავლეთით გადმოუხვია, წმიდა ქალწულს შეხვდნენ თანამგზავრები. ასე მოაღწია ქართლში ქალაქ ურბნისს, სადაც ნახა წარმართი ქართველები.

ურბნისში ებრაული თემი არსებობდა. წმიდა ნინომ ებრაული იცოდა და ერთი თვით დარჩა ამ ქალაქში.

ერთ დღეს მთელი ხალხი ურბნის ქალაქისა დაიძრა სამეფო ქალაქ მცხეთისკენ, სავაჭროდ და არმაზის კერპისთვის მსხვერპლის შესაწირად.

წმიდა ნინოც მათ წაჰყვა. როცა მოაღწიეს მცხეთას, მოგვთა ხიდიდან, პომპეუსის ხიდსაც რომ უწოდებდნენ, წმიდა ნინო ხედავდა წარმართთა ცდომილებას და ცრემლს ღვრიდა მათთვის, იგლოვდა თავის უცხოობას.

მეორე დღეს გაისმა საყვირების ხმა და უამრავი ადამიანიც ახმაურდა. შემდეგ ხალხი აჩოჩქოლდა და გაიწ-გამოიწია სწრაფად. ქართლის დედოფალი ნანა გამოვიდა. ხალხი უკან გაჰყვა. ფერადი ნაჭრებითა და ყვავილებით შემკობილ ქუჩებში მიედინებოდა ხალხი და ხმამაღლა, აღტაცებით აქებდა მეფეს. მაშინ გამობრძანდა დიდებული შესახედაობის, ბრწყინვალედ მოსილი მეფე ქართლისა – მირიან მესამე.

ჰკითხა წმინდა ნინომ გვერდით მდგომ ებრაელ ქალს, რა ხდებაო.

**(გაგრძელება 86-ე გვერდზე)**

# რატომ აწამეს სასტიკად რომის იმპერატორი ჰელიოგაბალი

იმპერიის პერიოდში რომში იჭრება აღმოსავლური კულტები, რომელთა თაყვანისმცემელი ბევრი იმპერატორი ხდება. საიმპერატორო სასახლეებში, ზნეობის სრული გახრწნისა და ისეთივე სრული დაუსჯელობის პირობებში, ეს კულტები, რომლებისთვისაც უცხო არ იყო თვითგვემა, ზოგჯერ შერყვნილ-სადისტურ ელფერს იძენდა.

უცნობი რომაელი მწერალი თავის წიგნში – „ავგუსტების ცხოვრების აღწერა", ასე აღწერს იმპერატორ კომოდუსის (ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის მეორე ნახევარი) „ღვთისმოსაობას":

„იზიდას სახელის სადიდებელ მღვდელმსახურებას ის იმდენად დიდ პატივს სცემდა, რომ მთელი თავი გადაიპარსა და ანუბისის გამოსახულებას ატარებდა. შემდგომში სისხლმოწყურებულმა ბელონის მსახურებს უბრძანა, საკუთარი ხელით მიეყენებინათ ჭრილობა თავიანთ სხეულზე. იზიდას ქურუმებს ის აიძულებდა, სასიკვდილოდ ერტყათ მკერდზე ფიჭვის გირჩები. როდესაც ის ანუბისის გამოსახულებას ატარებდა, იზიდას ქურუმებს გადაპარსულ თავებზე მტკივნეულ დარტყმებს აყენებდა კერპის დრუნჩით. ქალის ტანსაცმლით შემოსილი, ან ლომის ტყავში გახვეული თავისი კომბლით არა მარტო ლომებს, არამედ ადამიანებსაც ხოცავდა. ვისაც სუსტი ფეხები ჰქონდა და სიარული არ შეეძლო, გიგანტებად გამოაწყობდა, მუხლებს ქვემოთ კი ჩვრებისა და ტილოების საშუალებით დრაკონებად გადააქცევდა; შემდეგ მათ ისრებს ესროდა და კლავდა. მან მიტრას სახელის სადიდებელ მღვდელმსახურებას ადამიანთა ნამდვილი ხოცვა-ჟლეტით წარუშლელი ჩირქი მოსცხო!"

იგივე წიგნი მოგვითხრობს ადამიანთა მსხვერპლშეწირვებზე, რომელსაც მარკუს ავრელიუს ანტონინი ახორციელებდა – ის უფრო ჰელიოგაბალის სახელითაა ცნობილი. იმპერატორს შემთხვევით არ მიუღია მეტსახელი – იგი სირიის პროვინციაში გაიზარდა, სადაც ფინიკიური მზის ღმერთის – ელა-გაბალის თანაჟღერადობის გამო ბერძნულ სიტყვა „ჰელიოსთან" – მზე, რომაელებმა მას ჰელიოგაბალი უწოდეს. ის 14 წლის ასაკში გახდა იმპერატორი. მოზარდმა ყველა თავის წინამორბედს გადააჭარბა სრულიად ფანტასტიკური გაუკულმართებული გარყვნილებით, სალოცავების წაბილწვით და სახელმწიფო თანამდებობების ვაჭრობით. მან რელიგიური რეფორმაც ჩაატარა, რითაც თავისი ღმერთი, რომელიც რომაელთათვის აბსოლუტურად უცხო იყო, განადიდა და იმპერიის ყველა ღმერთზე მაღლა დააყენა:

„როგორც კი ჰელიოგაბალი რომში შევიდა... მან ჰელიოგაბალი იმპერატორის სასახლის წინ – პალატინის გორაკზე აკურთხა და ტაძარი აუშენა. ის ისწრაფოდა ამ ტაძარში გადაეტანა ღმერთების დედის ნაძერწი გამოსახულება, ვესტასა და პალადას ცეცხლი და საღვთო ფარები. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც ღრმა თაყვანს სცემდნენ რომაელები. ის ცდილობდა, რომ რომში ერთადერთი თაყვანსაცემი ღმერთი ყოფილიყო ჰელიოგაბალი. გარდა ამისა, ამბობდა, რომ აქ უნდა გადმოეტანათ იუდეველთა და სამარიტელთა რელიგიური წეს-ჩვეულებები და ასევე, ქრისტიანული ღვთისმსახურებაც – იმისთვის, რათა ჰელიოგაბალის ქურუმებს ხელთ სჭეროდათ ყველა კულტის საიდუმლოებანი..."



ჰელიოგაბალი ადამიანების მსხვერპლშეწირვასაც ახდენდა და ამისთვის მთელ იტალიაში ყველაზე წარჩინებულ და ლამაზ ჭაბუკებს არჩევდა, რომელთაც დედ-მამა ცოცხალი ჰყავდათ – იმისთვის, რათა ორივე მშობლის მწუხარება გაეძლიერებინა. მას გვერდით ჰყავდა და ყოველდღიურად მოქმედებდნენ ყველა ჯურის მაგები. ის კი ამხნევებდა მათ და მადლობას სწირავდა ღმერთებს, რომლებიც მისი წარმოდგენით, მისი მეგობრები იყვნენ. იმავდროულად კი, ბავშვთა შიგნეულს აკვირდებოდა და თავისი ტომის წეს-ჩვეულებების მიხედვით, შესაწირ ცხოველებს აწამებდა.

ჰელიოგაბალმა ხელისუფლების სათავეში ოთხი წელი „გაძლო" და თვრამეტი წლისა აღესრულა. ის ოცნებობდა, თავისი სიკვდილიც ისე მოეწყო, როგორც ერთგვარი რიტუალი:

„სირიელმა ქურუმებმა უწინასწარმეტყველეს, რომ მას ძალისმიერი სიკვდილი მოელოდა. ამიტომ, მან წინასწარ მოამზადა აბრეშუმის მეწამული და ალისფერი მასალისგან დაგრეხილი თოკები, რათა აუცილებლობის შემთხვევაში, – სიცოცხლე ყულფში თავგაყოფილს დაემთავრებინა. მან ოქროს მახვილებიც დაამზადებინა, რათა მათი ჩაცემით გაეგმირა თავი, თუ ამას რომელიმე ძალა აიძულებდა. „კატის თვალებში" (ძვირფასი ქვა), ზურმუხტსა და ცირკონში შხამები ჰქონდა გამზადებული, რათა თავი მოეწამლა, თუკი სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა. მან ძალზე მაღალი კოშკიც ააშენებინა, რომლის ქვემოთაც ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ფილები დააგებინა, რათა საჭიროების შემთხვევაში, კოშკიდან გადმოხტომით მოეკლა თავი. მაგრამ ისე მომკვდარიყო, რომ მისი სიკვდილი ძვირად ღირებული და მდიდრულად გაწყობილი ყოფილიყო – ეთქვათ, რომ არავინ მომკვდარა ისე, როგორც ის".

ჰელიოგაბალის სიკვდილი სინამდვილეში რიტუალურ ხასიათს ატარებდა – ამაზე მისმა მკვლელმა შეთქმულებმა იზრუნეს. მაგრამ, ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ამას იმპერატორი ვარაუდობდა:

„უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ხერხით მოკვდინებულ იქნენ გარყვნილებაში მისი თანამონაწილენი; მათგან ნაწილი ისე მოკლეს, რომ სიცოცხლისთვის აუცილებელი ორგანოები მოკვეთეს. სხვებს წელსქვემოთ სხეული გაუგმირეს, რათა სიკვდილი მათი ცხოვრების წესის შესატყვისი ყოფილიყო. ამის შემდეგ ჰელიოგაბალისათვისაც მოიცალეს და იქ მოკლეს, საითკენაც გარბოდა. შემდეგ მის გვამს ყველას დასანახად მიათრევდნენ ქუჩებში. ჯარისკაცებს, მისი საბოლოო შებღალვის მიზნით, სურდათ, გვამის კლოაკაში (სიბინძურის სადინარი მიწისქვეშა არხი დიდ ქალაქებში) ჩაეგდოთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს კლოაკა გვამს ვერ იტევდა და ემილის ხიდიდან ჩააგდეს ტიბრში. თანაც, წინასწარ სიმძიმე შეაბეს, რათა გვამი არ ამოტივტივებულიყო და არასოდეს ყოფილიყო დამარხული. მაგრამ, სანამ მის გვამს ტიბრში ჩააგდებდნენ, ის ცირკის მთელ სივრცეზე ათრიეს. მისი სახელი ანტონინი, რომელსაც ასე უდრეკად იყო ჩაჭიდებული და სურდა ანტონინის შვილად ჩაეთვალათ, სენატის გადაწყვეტილებით ყველგან იქნა ამოშლილი... სიკვდილის შემდეგ მას ნათრევს, ბინძურს და მრავალ სხვა სახელს უწოდებდნენ იმის მიხედვით, თუ რომელ მოვლენას, შემთხვევას იხსენებდნენ მისი ცხოვრებიდან. ის ერთადერთი იყო ხელისუფალთაგან, რომლის გვამიც ქუჩებში ათრიეს, კლოაკაში ჩააგდეს და ტიბრში მოისროლეს".

ჰელიოგაბალი მესამე საუკუნეში გამოასალმეს სიცოცხლეს. შესაძლოა, ის რომის იმპერატორთაგან ბოლო იყო, ვინც ადამიანთა მსხვერპლშეწირვას ეწეოდა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ტ | | | | ბ | ო | ს | ნ | ი | ა | | ა | | ი |
| კ | ა | რ | ა | ტ | ე | | | პ | | | რ | ა | მ | ო | ნ |
| | მ | ა | ტ | ე | რ | ი | კ | ი | | ნ | ი | ნ | ა | კ | ა |
| მ | ა | დ | ე | რ | ა | | უ | რ | ა | | ნ | ო | დ | ა | რ |
| | ლ | ი | ლ | ო | | უ | ლ | ტ | ი | მ | ა | ტ | უ | მ | ი |
| ნ | ა | ც | ა | რ | ი | | ე | ი | რ | ი | | ნ | | ი | |
| | | ი | ვ | ი | ს | ა | მ | | ი | ნ | უ | ა | დ | | შ |
| ფ | ხ | ა | | | ო | რ | ა | ს | | ე | | კ | უ | ჭ | ი |
| | უ | | ა | ს | კ | ი | ნ | კ | ი | ლ | ა | | ნ | | რ |
| | ლ | ი | ნ | ა | რ | ე | ს | ი | | ი | ნ | ა | დ | ა | მ |
| | ო | | ს | ტ | ა | ლ | ი | ნ | ი | | ი | რ | უ | გ | ა |
| კ | | ბ | ა | ი | ტ | ი | | ე | ბ | რ | ა | ე | ლ | ი | |
| ო | ზ | ე | რ | | ე | | ა | რ | უ | ა | | მ | ა | ლ | ე |
| მ | | ბ | ი | ს | | კ | რ | ი | ტ | ი | კ | ა | | ა | |
| უ | პ | ე | | ა | ბ | რ | ა | | | ა | | რ | უ | ს | ო |
| ნ | | რ | | ნ | ი | ე | პ | ს | ი | | ლ | ე | გ | ი | ა |
| ა | მ | ი | რ | ა | ნ | ი | | პ | ე | ქ | ო | | ა | | ზ |
| | | | | | ა | ს | ო | ი | ლ | | პ | ე | ნ | ს | ი |
| | | | | | | ე | | კ | ი | ი | | ი | დ | ა | ს |
| | | | | | ა | რ | ი | ა | | ფ | ა | ფ | ა | რ | ი |
| | | | | | ლ | ი | ა | | პ | ო | | ო | | დ | |
| | | | | | ი | | რ | ე | | ც | ი | რ | კ | ი | |
| | | | | | ბ | ო | დ | ვ | ა | | ა | ი | ა | ნ | |
| | | | | | ი | | ი | ა | ქ | | რ | ა | ც | ი | ა |



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 |
| 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 7 | 4 | 8 | 9 | 3 |
| 2 | 6 | 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 7 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 5 | 4 | 2 | 6 | 3 | 8 |
| 4 | 3 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 2 | 6 | 9 | 1 | 7 | 3 | 8 | 4 |
| 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 6 | 9 | 5 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 5 | 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 | 5 | 4 | 8 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 3 |
| 1 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 3 | 6 | 8 | 7 |
| 6 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 8 | 2 | 7 | 6 | 9 | 3 | 1 |
| 3 | 9 | 7 | 5 | 4 | 1 | 8 | 6 | 2 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. ცხვირის რგოლის 2. სიტყვას „ჯენტლმენი" (ინგლისელებს აქვთ ასეთი გამოთქმა: „ჯენტლმენი ის არის, ვინც ამ სიტყვას არასდროს ხმარობს"). 3. ძაღლების მარხილში. 4. ადოლფს (როგორც ჩანს, რუსებიც კი დარწმუნებულები იყვნენ გერმანიის გამარჯვებაში). 5. ღვთაებას. 6. ინკვიზიციის მიერ გამოტანილი უმაღლესი სასჯელი – კოცონზე დაწვა. 7. „მოკრივეთა აჯანყებას". 8. რკინიგზის ვაგზალი (პირველად გაიხსნა ლონდონში). 9. საპონტონო ხიდს (ხიდი ნავებზე). 10. „არამამაკაცური" ქცევით.**

**ჯგუფი „სფარქლი,“ ალბათ, ყველას გახსოვთ – პროექტ „X ფაქტორის“ შემდეგ, გოგონებმა მთელი საქართველოს გული მოინადირეს. მათ ერთმანეთი „ახალ ხმაში“ გაიცნეს. მიუხედავად კონკურენციისა, მაინც დამეგობრდნენ და ჯგუფიც შექმნეს. ვისაც მათთან ურთიერთობა ჰქონია, დამეთანხმება, რომ ეს გოგონები ძალიან მხიარულები, ენერგიულები და პოზიტიურები არიან. „სფარქლი“ ქართულად „ბრწყინვალეს“ ნიშნავს. ჯგუფის სახელწოდებიდან გამომდინარე, თავადაც ნამდვილად ბრწყინავდნენ დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე თვეების განმავლობაში. ტრიოს შემადგენლობა ასეთია: 21 წლის ნინი გველესიანი, 19 წლის ანი ჩხეიძე და 16 წლის სალომე მერებაშვილი.**

# რა შეტყობინებებს უგზავნიდნენ თაყვანისმცემლები ჯგუფ „სფარქლის“ წევრებს და რა სერიოზული შემოთავაზება მიიღეს მათ „რუსთავი 2-დან“

**ნინი**: პირველად ერთმანეთს „ახალ ხმაში” შევხვდით, სამივე დათო ფორჩხიძის გუნდში ვიყავით. მე და სალომე ერთმანეთს ვუწევდით კონკურენციას. მას შემდეგ დავმეგობრდით, როდესაც გავიგეთ, რომ „X ფაქტორი” იწყებოდა, გადავწყვიტეთ, სიახლე შეგვეტანა ჩვენს შემოქმედებაში და შევქმნეით ჯგუგი „სფარქლი“ და გავედით ქასთინგზე, რომელსაც კიდევ ერთი წარმატება მოჰყვა.

**– თუმცა, მხოლოდ თქვენ არ მეგობრობთ, ოჯახის წევრებიც დააახლოვეთ ერთმანეთთან...**

**სალომე**: დიახ, ოჯახებით დავმეგობრდით და დღემდე გრძელდება ეს ურთიერთობა. ჩვენ თუ ვერ ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს, სამაგიეროდ, ჩვენი მშობლები იკრიბებიან ***(იცინის).*** ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეგვიწყონ, პროექტის შემდეგ ერთმანეთი რომ არ დავკარგოთ. ძალიან უნდათ, რომ ისევ ჯგუფად დავრჩეთ და ერთად გავაგრძელოთ წინსვლა.

**– ანუ, მომავალშიც ტრიო გვეყოლება „სფარქლის“ სახით?**

**ანი**: აუცილებლად. ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით მაინც. გვინდა, რომ დიდხანს შევინარჩუნოთ ერთმანეთი. თუ გამოგვივა, ვიქნებით ერთად, თუ არა და დაშლაზე მარტივი არაფერია ***(იცინის).***

**ნინი**: საქართველოში მსგავსი ჯგუფების დეფიციტია, ამიტომ, უფრო მეტად გვინდა, რომ არ დავკარგოთ ერთმანეთი.

**– რა სიახლეა „X ფაქტორის“ შემდეგ თქვენს შემოქმედებაში, გეგმავთ რამეს?**

**ანი**: სიახლე ჯერჯერობით ისაა, რომ სექტემბრიდან იწყება ახალი პროექტი – „ბრავო“, რომელიც, „რუსთავი 2-ის” ეთერში გავა. ამ პროექტში მიგვიწვიეს ჩვენ და „X ფაქტორის“ კიდევ რამდენიმე მონაწილე. ამიტომ, ცოტა ხანს კვლავ ვიქნებით ეკრანზე.

**– სიმღერის გარდა, კიდევ რა ხდება თქვენს ცხოვრებაში?**

**ნინი**: 21 წლის ვარ და ვსაწვლობ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მეოთხე კურსზე გადავედი და წელს ვამთავრებ, რაც ძალიან მიხარია. სიმღერით საქართელოში ვერ იცხოვრებ, ამიტომ, სამივეს არჩეული გვაქვს პროფესია.

**სალომე**: ჩემი ასაკი რომ გითხრათ, გაგიკვირდებათ, არავის არ სჯერა, 16 წლის რომ ვარ – პატარა ბავშვი, სკოლის მოსწავლე ***(იცინის).*** 54-ე საჯარო სკოლაში ვსწავლობ, სხვათა შორის, კარგი მოსწავლე ვარ. რა პროფესიის მინდა ვიყო, ჯერ არ ვიცი, ცოტა მიჭირს გადაწყვეტილების მიღება. სხვა მნიშვნელოვანი არაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში. ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი, იმიტომ რომ, ყველანაირად ცდილობენ ხელის შეწყობას და მეც არ ვუცრუებ მათ იმედებს.

**ანი**: 19 წლის ვარ, „ილიაუნში” ვსწავლობ, მეორე კურსზე ვარ. სამი დედმამიშვილი ვართ – და-ძმა მყავს.

**– თქვენ გარდა, ოჯახში კიდევ ვინმე მღერის?**

**ნინი**: ჩემთან არავინ მღერის, მე კი ბავშვობიდან მიყვარდა სიმღერა. 5 წლის ვიყავი, პედაგოგთან რომ მიმიყვანეს. ქალბატონ მანანა ჟღერიას დამსახურებაა, რაც დღეს ვიცი – ბავშვობიდან დღემდე, ის არის ჩემი პედაგოგი. ბევრ პროექტში მიმღერია, მაგრამ, ყველაზე სერიოზული „X ფაქტორი“ იყო, რომელმაც სამივეს პოპულარობა მოგვიტანა.

**სალომე**: ჩემს ოჯახშიც მხოლოდ მე ვმღერი.



**ნინი: „სამი მომღერალი ერთად სცენაზე ძალიან რთულია, რადგან, უფრო კრიტიკულად გაფასებს საზოგადოება, სინქრონს, ყველაფერს ყურადღებას აქცევენ; სულ სხვაა, როდესაც მარტო მღერი“**

ბავშვობაში ხშირად ვღიღინებდი ხოლმე, მაგრამ, ისეთი უცნაური ხმა მქონდა, ბოხი და ჩახრინწული, რომ, ვერავინ წარმოიდგენდა, ოდესმე თუ ვიმღერებდი. თურმე, მამა ფიქრობდა: საწყალი ბავშვი როგორ უნდა სიმღერა და ნიჭი არა აქვსო ***(იცინის).*** 5 წლის ვიყავი, ცეკვაზე რომ შემიყვანეს, იქვე იყო ანსამბლ „ნერგების“ სტუდია, სადაც დედამ ისე, სხვათა შორის შემიყვანა – ცოტა ხანს იარეო ***(იცინის)*** და ამის შემდეგ თავი აღარ დამინებებია სიმღერისთვის

**ნინი: „სიმღერით საქართველოში ვერ იცხოვრებ, ამიტომ, სამივეს არჩეული გვაქვს პროფესია“**

**ანი**: ჩვენთან ბაბუაა მომღერალი, „ერისიონში” მღეროდა. კოსმოსში გაგაზავნილი „ჩაკრულოს” ხმებიდან ერთ-ერთი ბაბუაჩემის ხმაცაა. გენეტიკურად გვაქვს მუსიკალური ნიჭი. 3 წლის ასაკში, სამუსიკო ბაღში შემიყვანეს. ძალიან პატარა ვიყავი, როცა ოჯახის წევრები მიხვდენენ, რომ რაღაც ნიჭი მქონდა, ამიტომ შემიწყვეს ხელი და მოვედი აქამდე. მათი ხელშეწყობით მივაღწიე ცხოვრებაში ყველაფერს.

**– გოგონებო, ძალიან მალე შეაყვარეთ ხალხს თავი, ალბათ ხშირად გრძნობდით მათ მხარდაჭერას...**

– ძალიან დიდ სტიმულს გვაძლევდნენ. რომ არა მათი მხარდაჭერა, ამდენს ვერ შევძლებდით. სასწაულია, როდესაც პირველ ნაბიჯებს დგამ და თითქმის მთელი ერი გვერდში გიდგას, ვერ გადმოგცემთ, ეს რა ემოცია იყო.

**სალომე**: პროექტის მიზანი სწორედ ისაა, რომ ხალხმა გაგიცნოს და შეგიყვაროს. როდესაც შრომა გიფასდება, ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება.

**ნინი**: როდესაც სამი მომღერალი ერთად დგას სცენაზე ძალიან რთულია, რადგან, უფრო კრიტიკულად გაფასებს საზოგადოება – სინქრონს, ყველაფერს ყურადღებას აქცევენ. სულ სხვაა, როდესაც მარტო მღერი. ძალიან მიხარია, რომ ხალხმა შეგვიყვარა.

**– პოპულარობის შემდეგ სერიოზული შემოთავაზებები ხომ არ მიგიღიათ?**

– შემოთავაზება ბევრი იყო, არაერთ კონცერტსა და კორპორაციულ საღამოებზეც მიგვიწვიეს. დღესაც არის რაღაცეები, მაგრამ, ჯერ არ გვინდა, რომ ვთქვათ. ერთი კარგი საქმისთვის ვემზადებით და, თუ გამოგვივა, აუცილებლად გეტყვით.

**– დარწმუნებული ვარ, თქვენი თაყვანისმცემლების რიცხვიც გაიზრდებოდა. პირად ცხოვრებაშიც შეიცვალა რამე?**

**სალომე**: ჩვენი ჯგუფის პლუსი, შეიძლება ითქვას, კიდევ ის იყო, რომ სამივე თავისუფალი ვიყავით. ჩემი და ნინის ცხოვრებაში არც არაფერი შეცვლილა, მაგრამ, ანი ამას ვერ იტყვის ***(იცინის).***

**– ანი, მაშინ, პირადად შენ გკითხავ: „X ფაქტორმა“ ბევრი რამ მოგიტანა – პოპულარობა, ხალხის სიყვარული... კიდევ რა კუთხით შეცვალა შენი ცხოვრება?**

**ანი**: პროექტში გავიცანი ადამიანი, რომელიც დღეს გვერდით მყავს და რომელთან ერთადაც ძალიან ბედნიერი ვარ. „X ფაქტორმა“ მაპოვნინა ეს პიროვნება.

**სალომე**: რაც შეეხება თაყვანისმცემლებს, ძალიან ბევრი შეტყობინება მოგვდიოდა და ეს დღემდე გრძელდება. ხშირად გვწერენ, რომ მოვენატრეთ და ელოდებიან კვლავ ჩვენს გამოჩენას. გვთხოვენ, რომ არ დავიშალოთ. ასეთი შეტყობინებებიც მოგვდის: გვიყვარხართ „სფარქეეეელ“ ***(იცინის)!***

**– კონცერტიდან გამოსვლის შემდეგ, პირველი, რასაც აკეთებდით, კულისებში რა იყო?**

– პირველი, რასაც ვაკეთებდით, იყო ის, რომ ვურეკავდით მშობლებს და ვეკითხებოდით, მოეწონათ თუ არა ჩვენი გამოსვლა. თუ გვეტყოდნენ: „ჰო, კარგი იყო,“ – ესე იგი, საშინლად ვიმღერეთ ***(იცინის).***

**ეთო ხურციძე**

**მომღერალი მარიამ კახელიშვილი, საზოგადოებამ შოუ-კონკურსებიდან გაიცნო და განსხვავებული შესრულების მანერისა და ძლიერი ხმის გამო შეიყვარა. მარიამი საკმაოდ კომუნიკაბელური, მხიარული და თბილი ადამიანი აღმოჩნდა. როგორც თავად ამბობს, მიზანდასახულია და სჯერა, რომ თავდაუზოგავი შრომით წარმატებებს აუცილებლად მიაღწევს, თუმცა, მაინც ფიქრობს, რომ საქართველოში თავისი შესაძლებლობები ამოწურა და, უნდა, რომ უცხოეთში მოსინჯოს ძალები.**

# როდის ხვდება მარიამ კახელიშვილი სხვა განზომილებაში და რატომ არის ის ამბიციური მომღერალი

**მარიამ კახელიშვილი**: ძალიან მიზანდასახული ადამიანი ვარ და, ვცდილობ, იმას მივაღწიო, რასაც მიზნად დავისახავ. მიმაჩნია, რომ შრომის გარეშე წარმატება არ მოდის – ეს გათავისებული მაქვს და შრომა არასდროს მეზარება. ბავშვობაში მინდოდა და ვოცნებობდი, პოპულარული და ცნობადი ადამიანი გავმხდარიყავი და ეს ოცნება საკმაოდ პატარა ასაკში ამიხდა. ქუჩაში რომ დავდივარ, უცხო ადამიანებისგან უდიდეს სითბოს ვგრძნობ და ეს მახარებს. თუმცა, მინდა, ჩემი კარიერა უცხოეთში გავაგრძელო და ეს მიზანიც დასახული მაქვს.

**– ხალხმა პროექტ „ნიჭიერიდან" გაგიცნო, შემდეგ, ამას მოჰყვა „ევროვიზია", ბოლოს კი – „X ფაქტორი". რატომღაც, მგონია, ამ კონკურსებმა გული გატკინა და ამას შენი ცრემლებითა და ემოციით გამოხატავდი. ფიქრობ, რომ კონკურსებში ბედი არ გწყალობს?**

– სწორედ ასეა, კონკურსებში ბედი არ მწყალობს და ამას მივეჩვიე, თუმცა, პოპულარობა უდავოდ მომიტანა. „X ფაქტორშიც" იმიტომ გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება, რომ თავი შემეხსენებინა მსმენელისთვის. „ნიჭიერიდან" „X ფაქტორამდე" საკმაოდ გავიზარდე, უფრო დავიხვეწე და უფრო გაზრდილი მიხილა ხალხმა.

**– არ გეწყინოს, მაგრამ, კონკურსებიდან ბევრმა, როგორც ამბიციური მარიამი, ისე დაგიმახსოვრა.**

– მართალია, ეს მეც გავიგე და ვაღიარებ, ამბიციური ნამდვილად ვარ. ჯანსაღი ამბიცია ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს და ამაში ბევრი დამეთანხმება. ისიც გავიგე – თავში აუვარდა პოპულარობა მარიამსო, მაგრამ, ვინც მიცნობს, ასე არ ფიქრობს. როცა ვმღერი, სხვა განზომილებაში ვხვდები და ემოცია მეძალება; თუ ამას გულისხმობენ, როცა ამბობენ, თავში აუვარდაო, ვერ გეტყვით. როცა სცენაზე ვდგები, მიკროფონს ვიღებ ხელში და ვიწყებ სიმღერას, ამ დროს აბსოლუტურად თავისუფალი ვარ და ირგვლივ ველარაფერს ვხედავ. ზუსტად იმ ემოციას გადმოვცემ, რასაც შიგნიდან განვიცდი და არასდროს ვთამაშობ. მართლა გული მაქვს ნატკენი კონკურსებიდან და, ვფიქრობ, უცხოეთში წავიდე, იქ ვისწავლო, მივიღო მონაწილეობა კონკურსებში და იქ ვცადო ბედი. ამას წინათ მკითხეს, რომელ უცხოელ მომღერალთან ისურვებდი დუეტის ჩაწერასო და ამაზეც დავფიქრდი.

**– მერე, რა მოიფიქრე?**

– ბიონსეთან ჩავწერდი დიდი სიამოვნებით დუეტს. სცენაზე მე და ბიონსე – ორი გიჟი, ემოციური და ორიგინალური მომღერალი – მაგარი ტანდემი ვიქნებით ***(იცინის).*** სხვათა შორის, ყველა მეუბნება, არაკავკასიური ხმა გაქვს, უფრო ზანგურიო, მე კი ვხუმრობ, ეტყობა წინა ცხოვრებაში ზანგი ვიყავი-მეთქი ***(იცინის).*** გარეგნობითაც მულატს მამსგავსებს ბევრი. ვფიქრობ, ამ გარეგნობითა და ხმის ტემბრით უცხოეთშია უცილებლად შემამჩნევენ და დამაფასებენ.

**– მაინც, რომელ ქვეყანაში აპირებ ძალების მოსინჯვასა და სწავლის გაგრძელებას?**



**ცვალებადი ხასიათი მაქვს, ზოდიაქოთიც სასწორი ვარ და უნდა ნახოთ როგორ ვმერყეობ, და ვიწონები აქეთ-იქით**

– ამერიკა და ინგლისი მაქვს ამ ეტაპზე ამორჩეული და, ვნახოთ, კიდევ დავფიქრდები, ჯერ დრო მაქვს. ამერიკის „X ფაქტორში" დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას და, ვფიქრობ, ჩემს ხმასა და შესრულების მანერას იქ მაინც დააფასებენ. ამისთვის თავდაჯერებულობა არ მაკლია და არც ჩემს შესაძლებლობებში მეპარება ეჭვი. დამიჯერეთ, სულ ვმღერი, ვღიღინებ, მუსიკისა და სიმღერის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია – სცენა და მიკროფონი ჩემი სტიქიაა. თუმცა, იყო პერიოდი, როცა არ მემღერებოდა და ამ პერიოდის გახსენება არ მინდა, მაგრამ, ესეც დავძლიე. ყველაზე მეტად სცენაზე დგომა მიყვარს და ამ დროს არც დეპრესია და არც არაფერი აღარ მახსოვს ქვეყანაზე.

**– დღეს მარიამ კახელიშვილი არსად ჩანს. სად ხარ და რას აკეთებ?**

– ხომ იცით, საქართველოში როგორც ხდება – უცბად გახდები პოპულარული და მერე უცბადვე მიგივიწყებენ. მართალია, მცნობენ, ვუყვარვარ და მაფასებენ, მაგრამ, არ ხდება არაფერი ისეთი, სადაც გამოვჩნდები და

**ამერიკის „X ფაქტორში" დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას და ვფიქრობ, ჩემს ხმას და შესრულების მანერას, იქ მაინც დააფასებენ**

ხალხს თავს შევახსენებ. სიმართლე გითხრათ, მეშინია, დრო უქმად არ დავკარგო და არ ჩამოვრჩე, თორემ, ხომ იცით, ერთი თუ აგერია ნაბიჯი, მერე ცხოვრებას ველარ დაეწევი. ვფიქრობ, კლიპები გადავიღო და ავტვირთო სოციალურ ქსელში, მერე კი უფრო მეტად გავაქტიურდე. დიდ დროს ვატარებ კომპიუტერთან, ყველა გზავნილს ვკითხულობ – მაინტერესებს, რას ფიქრობენ ჩემზე და ჯანსაღ კრიტიკასაც მშვიდად ვიღებ. ზოგი ძალიან ცუდ რამეებს მწერს, მაგრამ, გულთან არ მიმაქვს. არ დამავიწყდება, ჩემზე ეწერა: რა არის, ეს გოგო ვერ მღერის, კივის და სცენაზე რა უნდაო. გული დამწყდა, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ შურიანი ადამიანი წერდა და არც კი მიპასუხია. ან, რა უნდა მიმეწერა? ასეთ რამეს ისინი წერენ, ვისაც ჩემი ნიჭიერება შურს და ასეთს რა უნდა ვუთხრა? შურიანს არ უნდა გასცე პასუხი – მე ასე ვფიქრობ. 14 წლის ასაკში გავხდი პოპულარული და, რომ არ მოველოდი, ერთ დილასაც, მივხვდი, რომ ყველამ იცოდა ჩემი სახელი და გვარი და ყველა მცნობდა. ნიჭიერი რომ არ ვყოფილიყავი, ასე ხომ არ მოხდებოდა?! მე არ ვამბობ, ყველაზე ნიჭიერი ვარ-მეთქი, უბრალოდ, რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ და, მგონი, არც ურიგოდ. საქართველოში ჩემი თავი ამოვწურე და ამიტომ მინდა უცხოურ კონკურსებში გამოსვლა. საკუთარი თავის იმედი რომ არ მქონდეს, ამას არ გავაკეთებდი, მაგრამ, სხვა გზა არ მრჩება. დღეს კი მეგობრების წრეში ვმღერი, ვერთობი და ვმეცადინეობ. აბიტურიენტიც ვარ და მომავალში კონსერვატორიაში მინდა ჩავაბარო.

**– ემოციური ადამიანი ხარ. წარუმატებლობის დროს დეპრესიაში ხშირად ვარდები?**

– ხშირად არ მაქვს დეპრესიული „შემოტევები", მაგრამ, მადლობა ღმერთს, როცა მქონია, დიდხანს არ გაგრძელებულა. ცვალებადი ხასიათი მაქვს, ზოდიაქოთიც „სასწორი" ვარ და, უნდა ნახოთ, როგორ ვმერყეობ და ვიწონები აქეთ-იქით ***(იცინის).*** საყვარელმა ადამიანმა ან მეგობარმა რამე რომ მაწყენინოს, ეგრევე „ვიგრუზები" და ეს ჩემს განწყობას დიდხანს გაჰყვება.

**– შეყვარებული გყავს? რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– შეყვარებული ახლა არ მყავს და პირად ცხოვრებაშიც სიმშვიდეა, თუმცა, თაყვანისმცემლების სიმცირეს არ განვიცდი. მართალია, სანთლებით ცეცხლოვან გულებს არ მინთებენ სახლის წინ და ციდან ბუშტებს არ ყრიან ჩემს ეზოში, მაგრამ, ყურადღებით მანებივრებენ.

**– თავად თუ ხარ რომანტიკული?**

– ძალიან რომანტიკული ადამიანი ვარ და გვერდითაც ასეთი რომანტიკული ადამიანი მჭირდება. იცით, რა? რომ ვაკვირდები, პრინცები აღარ არიან, არც თეთრი ცხენით და არც უცხენოდ ***(იცინის).***

**– რადგან აკვირდები, ესე იგი, პრინცს მაინც ელოდები?**

– შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ, ჯერ არ ჩანს და, იმედია, მალე გამოჩნდება ***(იცინის).*** ის ადამიანი იქნება ჩემი პრინცი, ვინც გამიგებს, გვერდში დამიდგება, ვეყვარები, დამაფასებს და ჩემს სიხარულსა და ტკივილს გაიზიარებს. არ მხიბლავს ერთი დღით შეყვარებები, მინდა, ჩემი რჩეული ცხოვრების ბოლომდე ჩემი ერთგული და გულშემატკივარი იყოს.

**ნონა დათეშიძე**

**„ახლა რომ მკითხონ, რისთვის მიყვარს ჩემი სამშობლო, ვუპასუხებ: ქართველი ხალხი მიყვარს სიგიჟემდე, სწორედ იმ კულტურული სიღრმისა და მრავალფეროვანი, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, რომელიც ასე ძალიან ჰგავს მისსავე უნიკალურ ბუნებას; ქართული ცეკვის, სიმღერისა და პოეზიის გამო, რომელიც საუკეთესო საუნჯეა მთელ დედამიწაზე; იმ მომავლის გამო, რომელზეც უიმედოდ შეყვარებული მძევალი ვარ და მჯერა, რომ მომავალი აშკარად უკეთესი იქნება...“ – ეს ამონარიდია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ჩვენი თანამედროვე მწერლისა და მხატვრის, დათო გაჩეჩილაძის ინტერვიუდან, რომელიც როგორც სამაჩაბლოს, ასევე აფხაზეთის ომის მონაწილეა.**

# რა ისტორიული ფაქტების თვითმხილველი გახდა აფხაზეთის ომში დათო გაჩეჩილაძე და ვინ იყო 70 წლის ქართველი მზვერავი – „კუკუნია“, რომელიც დე გოლის მთავრობას საფრანგეთში კორესპონდენტის სახელით ემალებოდა და რომლის გადაბირებაზეც თავად ლავრენტი ბერია ზრუნავდა

### ნათლის რაინდები

აფხაზეთში რომ წავედი, უკვე 17 წლის უმცროსი ლეიტენანტი ვიყავი. ამ წაგებულ ომში თუკი რამით შეგვიძლია, ქართველებმა ვიამაყოთ, ეს არის ჩვენი, ცალკეული მებრძოლის გმირობა და მათი ღირსეული საქციელი... მაშინ ახალი გახსნილი იყო ტელეკომპანია „იბერვიზია“, რომლის ჟურნალისტური სახეები ვიყავით 16-18-20 წლის ახალგაზრდები. ჩვენი ასაკი და გულწრფელობა მაყურებელში დიდ ნდობას იწვევდა. ამის გამო მალე გავხდით პოპულარულები. ასეთივე გულწრფელები და ალალები ვიყავით, როდესაც ომში წავედით. ცხინვალში, რომ წავედი 15 წლის ვიყავი. ჩემთან ერთად იყო არაჩვეულებრივი ადამიანი, ლევან ხიმშიაშვილი. მოგვცეს ავტომატები, დაგვახურეს ჩაფხუტები, ჩაგვაცვეს ჯავშან-ჟილეტები, დაგვაყენეს გზაზე: თუ ვინმე აივლის-ჩაივლის, გაჩხრიკეთო. ის გზა მეათეხარისხოვანი იყო, არავინ დადიოდა. მოგვბეზრდა, მოგვშივდა და გადავიპარეთ ერთ-ერთ ეზოში, ვაშლის ხეზე ავძვერით და გემრიელად შევექცეოდით. ამ დროს გამოვარდა სახლის პატრონი, მოხუცებული კაცი თოფით, დაგვიძახა: აიტ, თქვე მამაძაღლებო. ჩვენ იმის მაგივრად, რომ გვესროლა, ჩამოვხტით ხიდან და გავიქეცით. შინაგანად იმდენად პატიოსნები, უბრალოები ვიყავით, რომ ფიქრად არ მოგვსვლია მშვიდობიან მოსახლეზე ძალა გვეხმარა. მოგვერიდა უფროსი ადამიანის, მერე რა, რომ ოსი იყო, ისიც ჩვენი მიწის შვილი იყო და დღემდე ჩვენი მაშინდელი საქციელი ვაჟკაცურად მიმაჩნია. ორივე ომის განმავლობაში არაერთ ვაჟკაცს შევხვედრილვარ. მე მათ „ნათლის რაინდები“ დავარქვი და მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო საშკა იოსელიანი, რომელსაც ყველგან მუდმივად შემოჰქონდა სინათლე. არ არსებობდა პოზიცია, ყველაზე კრიტიკული ადგილი, სადაც ცეცხლი იყო გახსნილი და არ მისულიყო. არასდროს ისროდა, იარაღსაც სიმბოლურად ატარებდა. მისი იარაღი მხოლოდ ვიდეოკამერა იყო. მახსოვს, მარტი იყო, აფხაზეთში ვიყავით გადაღებაზე მებრძოლებთან ერთად. შემთხვევით გადავეყარეთ აფხაზების ოთხკაციან შეარაღებულ ჯგუფს, რომლებიც, აშკარად, ადგილობრივი აფხაზები იყვნენ, მათ შორის, სავარაუდოდ, ორი მამა-შვილი იყო. ჩვენ ისეთ ადგილას ვიყავით, რომ თავისუფლად შეგვეძლო მათი ლიკვიდაცია, აშკარა უპირატესობა გვქონდა. ერთმა ჩვენმა მებრძოლმა იარაღი შეაყენა, საშკამ უთხრა: ესენი დღეს სხვა ადამიანებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, მათი დახოცვა მკვლელობა იქნება და მძიმე ცოდვად დაგვაწვებაო. საშკას იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, მებრძოლმა დაუთმო, გაითვალისწინა მისი აზრი და ჩვენმა რაზმმა სხვა მიმართულებით განაგრძო გზა. პასუხი კითხვაზე – უნდა დაინდო თუ არა მტერი, რამდენიმე დღეში ცხოვრებამ გამცა. ახლა ჩვენ ვიყავით მტრის სამიზნეზე, მტრის სნაიპერმა ჩემს წინ და უკან მოკლა ორი ჩვენი მებრძოლი ღია მინდორზე, ფაქტობრივად, დაუცველ პოზიციაზე, მისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე არ მესროლა. დღემდე არ ვიცი, რატომ არ მესროლა, მაგრამ, მგონია, რომ არსებობს ომისა და სამყაროს დაუწერელი კანონები... ოჩამჩირეში კასპის ბატალიონმა ერთ-ერთი სახლის ჩხრეკის დროს მიაგნო 13 წლის აფხაზ გოგონას. ცოტა ნასვამები, გალიზიანებულები იყვნენ ბიჭები და დააპირეს გოგონასთან ურთიერთობის დამყარება. ამ გოგონას მამაც და ბიძაც ბოევიკები იყვნენ. მახსოვს, გააფთრებული საშკა როგორ გადაუდგა ბიჭებს, გადაეფარა გოგონას და თქვა: ამ ასაკის გოგონა თბილისში მყავს, ვინც მას შეეხება, ის შეარაცხყოფას მიაყენებს ჩემს შვილს. ეს ჩემი შვილია და არავინ გაბედოს მისთვის ხელის ხლებაო. საშკა ზნეობრივად იმდენად ძლიერი პიროვნება გახლდათ, იმდენად შთამბეჭდავი იყო მისი ნათქვამი, რომ შეიარაღებულმა, შეზარხოშებულმა, ალგზნებულმა ჯარიკაცებმა ვერ შეძლეს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. გამოვიყვანეთ ის გოგონა, ერთი კვირის შემდეგ კი გავუგზავნეთ მშობლებს. დაახლოებით ერთი თვის თავზე ამ გოგონას ბიძისგან მოწერილი პასუხი მოგვიტანა ქართველების ოჯახმა, რომელთა დახვრეტასაც აპირებდნენ დაქირავებული ბოევიკები და იმ გოგონას ბიძამ გადაარჩინა. სწორედ მან გამოუგზავნა საშკას წერილი, სადაც ეწერა: „შენ ჩემი მტერი იყავი, მაგრამ ჩემი ძმა გახდი, თუმცა, დღეიდან ისევ მტრები ვართ...“



**საფრანგეთში, დე გოლის მოსვლის შემდეგ, ლავრენტი ბერიას ჩაუვარდა ტყვედ, რომელიც პირადად იყო დაინტერესებული მისი გადაბირებით. ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, შემდეგ გადაასახლეს**

ამ ომში ყველას ღირსებაზე საუბარს ერთიორი სტატია არ ეყოფა, თუმცა, მინდა გავიხსენო ერთი მომენტი. სოხუმის ანძის დასაზვერად წავედით 12-კაციანი ჯგუფი, რამზიკა რუხაძის მეთაურობით. ანძაზე დაგვხვდა მხოლოდ ერთი ბერძენი ტექნიკოსი, ეთერის სომეხი ინჟინერი და აფხაზი დარაჯი. ანძაზე იმ დროს საეთერო გადამცემი იყო, ტელევიზია კი მინისტრთა საბჭოს შენობიდან მაუწყებლობდა, რომელსაც აფხაზები აკონტროლებდნენ. არ იყო აპარატურა, არც კამერა, არც ვიდეომაგნიტოფონები. მადლიერებით უნდა გავიხსენო სოხუმის საუკეთესო ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები: სოხუმის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ლექტორი, გია გვაზავა და უდიდესი ერუდიციის ინტელიგენტი, პატრიოტი ბატონი ვახტანგ ყოლბაია. ძალიან გვეხმარებოდა სოხუმის კოლორიტი, მსახიობი დიმა ჯაიანი, რომელიც ამერიკული ფორმით დადიოდა და გულს უხეთქავდა რუსებს. ამ ადამიანებმა საკუთარი სახლიდან მოგვიტანეს ვიდეოკამერა, ვიდეომაგნიტოფონები. სწორედ ამ საყოფაცხოვრებო აპარატურით გავიდა ეთერში პირველი არხის გადაცემები, აღდგა ტელემაუწყებლობა და შესაძლებლობა მოგვეცა, ეთერში გასულიყო სოხუმის განცხადებები. მე, როგორც იქ მყოფ ერთადერთ ჟურნალისტსა და სამხედროს, მხვდა პატივი, სოხუმში გამომეცხადებინა კომენდანტის საათი. ჩემთან ერთად იყო კოკა ყანდიაშვილიც, მაშინ ორივენი ძალიან პატარები ვიყავით – ენთუზიაზმითა და რწმენით ვმუშაობდით. ანძის გათავისუფლებიდან ერთი საათის შემდეგ, სოხუმიდან წამოვიდა აფხაზების ავტობუსი ტერიტორიის გასანეიტრალებლად და ანძის დასაცავად. ზაზა გაბუნიამ, არაჩვეულებრივმა ვაჟკაცმა, სოხუმელმა ჯარისკაცმა მუხა ესროლა ავტობუსს, რომელშიც ბოევიკები ისხდნენ. ავტობუსს უკან მოჰყვებოდა „უიგული“, მასში 4 აფხაზი ოფიცერი იჯდა. მოხდა სამწუხარო რამ: მათ ისროლეს და მოგვიკლეს ზაზა. ოთხივე ჩაგვივარდა ტყვედ. ერთ-ერთის სახელი და გვარი იყო: ბაგრატ საყვარელიძე. ბებია მყავს საყვარელიძე, ეს იმერული გვარია, თავადური წარმოშობის. ჩვენს ქვეყანას ორი პატრიარქი ჰყავდა საყვარელიძე, უდიდესი მადლი ტრიალებს ამ გვარში, ბაგრატი კი არის სახელი იმ მეფის, რომელმაც გააერთიანა საქართველო... ამან, რა თქმა უნდა, იმოქმედა ჩემზე, ვკითხე: ბაგრატ, ქართველი ხარ? არა, აფხაზი ვარ. ქართული გესმის – მესმის, მაგრამ ქართულად არ ვისაუბრებო, – ასეთი იყო მისი პასუხი. ვთხოვე: თქვი, რომ ჯარში წაგიყვანეს, ასრულებ შენს სამხედრო მოვალეობას, ციხეში გადაგიყვანენ, გაგასამართლებენ, მერე ქართველ ტყვეში გაგცვლიან, ცოცხალი გადარჩები-მეთქი. ის ამაყად და თავდაუხრელად, გამუდმებით იმეორებდა: აფხაზი ვარ და ჩემს სამშობლოს ვიცავ. ის ბიჭი ჩვენთვის შეიძლება მიუღებელ პოზიციაზე იყო, მაგრამ იმავდროულად ამ პოზიციის ღირსეული დამცველი გახლდათ.

### ქართველი მზვერავი

ამ ომში შევხვდი გასაოცარ ადამიანს, გასაიდუმლოებულ პიროვნებას, ვფიქრობ, ამდენი წლის მერე შეიძლება, მასზე ვისაუბრო. ეს იყო გიორგი ქაჯაია, მეტსახელად „კუკუნია“, „ბაბუ“, რომელიც იმ დროს 70 წლის იყო. აფხაზეთში გახლდათ დაბადებული, მამამისი ბაქოში ნავთობმრეწველი იყო და როცა კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება შემოიჭრა, ოჯახი გერ-

მანიაში წავიდა ემიგრაციაში. ბატონმა გიორგიმ დაამთავრა გერმანიის სამხედრო სასწავლებელი და როგორც თავად ყვებოდა: „როდესაც ჰიტლერი მოვიდა ხელისუფლებაში, ორი გზა მქონდა – როგორც უცხოელი უნდა წავსულიყავი სხვა ქვეყანაში, მეძებნა თავშესაფარი, ან გამხდარიყავი გერმანიის შეარაღებული ძალების ოფიცერი და მებრძოლა საქართველოს წითელი საბჭოთა ოკუპაციისგან დასახსნელად“. მან მეორე გზა აირჩია. გიორგი ქაჯაია უნიკალური ადამიანია, რომელმაც მიაღწია გერმანიის სამხედრო პოლიციის აბვერის უფროსის, პაპა შულცის მოადგილის თანამდებობას. ის იყო „აბვერის“ კადრების განყოფილების გამგე. საფრანგეთში დე გოლის მოსვლის შემდეგ ლავრენტი ბერიას ჩაუვარდა ტყვედ, რომელიც პირადად იყო დაინტერესებული მისი გადმობირებით. ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, შემდეგ გადაასახლეს. ჰიტლერის სრული მარცხის შემდეგ  გადაიბირეს, „ენკავედეს“ პოლკოვნიკის წოდებით გაათავისუფლეს და საბჭოთა სადაზვერვო საქმიანობაში ჩაერთო. მან შესანიშნავად იცოდა ქართული, რუსული, მეგრული, გერმანული, ინგლისური. რადგან საფრანგეთში რეზიდენტი იყო, იმალებოდა და ჟურნალ „ლე ბურჟეს“ კორესპონდენტის სახელით სტატიებს აქვეყნებდა, ამიტომ შესანიშნავად იცოდა ფრანგულიც. მსახურობდა ომანში, ვიეტნამში, ყველა ცხელი წერტილი ჰქონდა მოვლილი, პროფესიონალი იყო. როცა ასაკში შევიდა, აფხაზეთში ჩამოვიდა და იქ ცხოვრობდა. მან მასწავლა კოდური ცვალებადი პაროლები, საგუშაგოზე საიდუმლო პუნქტის მოწყობა, შეიარაღებისა და სურსათ-სანოვაგის მარაგის შექმნა, მტერთან ნდობაში შესვლის ფსიქოლოგიური ხერხები – ბევრი რამ, რაც დღესაც ძალიან მადგება ყოფით ურთიერთობებში. ეს იყო კაცი, რომელიც აბსოლუტურად ბუნებრივად გადადიოდა რუსეთის მხარეს, როგორც რუსი ოფიცერი. შედიოდა კონტაქტში მათ გენერალიტეტთან და მოჰქონდა აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია მათი განლაგების, ტაქტიკის, ქმედებების შესახებ. სამწუხაროდ, კიტოვანისა და მთავარსარდლობისგან ეს კაცი დაუფასებელი იყო. მახსოვს, კიტოვანს რუკა მიუტანა მტრის განლაგების ზუსტი მონაცემებით და მან ზედაც არ დახედა: ეს რეები დაგიჯღაბნიაო. რაც შეეხება ჩვენს გაცნობას, ჟურნალისტები ვიყავით შეკრებილები: მე, გიორგი შარაძე – მწერალ გურამ შარაძის ვაჟი, რომელმაც გადასარევად იცოდა ფრანგული, მე გერმანული სკოლა მქონდა დამთავრებული და ჩვენი ორი მეგობარი: დათო კვიჟინაძე – ამერიკული ტელევიზიიდან **WTN** და პავლიკა ზაკალაშვილი. მოკლედ, ოთახში შემოიყვანეს ტყვეები. ერთ-ერთი აფხაზეთის ყოფილი კულტურის მინისტრის, ავიძბას შვილი, მუსიკოსი, რომელიც სნაიპერს მალავდა თავისი სახლის სხვენზე. არ გვინდოდა, ჩვენი საუბარი გაეგო, ამიტომ ერთმანეთში  გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურად ვსაუბრობდით. ამის შესახებ გიორგი ქაჯაიას უთხრეს. ის ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან და სუფთა გერმანულით მითხრა: თუ გინდა, გასწავლო ამ გაუგებრობაში როგორ მოიქცე, გამომყევი. მივხვდი: ეს იყო ჩემთვის გარკვეული ტესტი, რომელიც უნდა ჩამებარებინა. მოგვიანებით, როცა მას ინტერივიუ ვთხოვე, მითხრა: გასაიდუმლოებული პირი ვარ, მნიშვნელოვანი ინფორმაციები მაქვს, ამიტომ თავდაცვის მინისტრისგან აიღე ნებართვაო. კიტოვანს სიცილად არ ეყო: ჩაწერე, ეგ ვინლა არისო... და ამ დროს ბატონ გიორგის შესრულებული აქვს უნიკალური სპეცოპერაციები. ერთ-ერთს მოგიყვებით: როცა კოხორაში შეიპყრეს რომან გვენცაძე და მისი მოადგილე, ზილგბერტ ხაჟალია, მან გადაიცვა სამღვდელო ანაფორა, ჩემი თვალით ვუყურე, როგორ გაიკეთა გრიმი, ასე შევიდა ლოთი ქობალიას სამხედრო ბაზაზე, ნდობაში შევიდა მის რაზმელებთან და პირადად ესაუბრა გვენცაძესა და ხაჟალიას. ეს ხდებოდა ომის დაწყებამდე. შემდეგ თამაზ ნადარეიშვილის სპეც-ხაზიდან პირდაპირ დაუკავშირდა უშიშროების მინისტრს და მოახსენა: სად მდებარეობდა ბანაკი, რამდენი კაცი იყო დაცვაში – ეს იყო ფასდაუდებელი ინფორმაცია, რამაც ხელი შეუწყო ოპერაციის წარმატებით განხორციელებასა და უსისხლოდ ჩატარებას.

**გარდატეხა**

როგორც ჟურნალისტი და სამხედრო კიდევ ერთი ისტორიული ფაქტის მომსწრე გავხდი. 6 ივლისი იყო, ცაგერაში, სოფელ ტამიშთან ახლოს ბატონი ჯაბა იყო თავის შტაბში. მისი დაცვის უფროსი, თამაზ ფანჩულიძე, მეტსახელად „წესრიგა“, დაჭრილი იყო, ყავარჯნებით დაყვებოდა უკან. ჟურნალისტებიც იქ ვიყავით. ამ დროს შემოვიდა 4 სამარშრუტო მანქანა – დაახლოებით 40 მებრძოლით. გადმოვიდა ლოთი ქობალია, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ჩვენმა ბიჭებმა შეაყენეს იარაღი, მეორე მხარეც ანალოგიურად მოიქცა. ამ დროს გამოვიდა ბატონი ჯაბა და ლოთისკენ პირისპირ შესახვედრად გაემართა. როგორც კი ბიჭებს გაუსწორდა, „წესრიგამ“ თქვა: თქვენ წინ ჯაბაა და ვინმეს რომ იარაღი გაგივარდეთ, იცოდეთ, თავებს წაგაცლითო. ავტომატი განმუხტა, ძირს დააგდო და ჯაბას თან გაჰყვა. იგივე გააკეთეს ლოთის მებრძოლებმაც. მე, როგორც ცნობისმოყვარე ჟურნალისტი, უკან გავყევი, ბატონ ჯაბას დაახლოებით 3-4 ნაბიჯის მანძილზე მივყვებოდი. ჯაბამ ლოთის ხელი გაუწოდა, მანაც ჩამოართვა, სიყალბის გასანეიტრალებლად ჯაბამ მკლავზე მოქაჩა, ჩაეხუტა, გადაკოცნა და სიცილით უთხრა: დილის 4 საათზე რომ დამეცი შუაგულ რუსთაველზე, პლეხანოველი კაცი ვარ, რა გეგონა, არ გაგებინებდი პასუხსო. ქობალიამ პასუხის თქმაც ვერ მოასწრო, რომ გაისმა ხმა: შენ გენაცვალე, ძმაო და პირველი სანდრო ბრეგვაძე, მეტსახელად „ბაჭია“ წამოვიდა შესარიგებლად. მას  მიბაძეს სხვებმა. საბედნიეროდ, ოთხი დღე ერთად ვიყავით, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ოთხი დღე... დღემდე მაქვს დროშა შენახული, სადაც ყველა მებრძოლის ხელმოწერაა – ეს ის ისტორიული დროშაა, რომელიც ტამიშზე,  მისი გათავისუფლების შემდეგ აფრიალდა. ტამიშის აღების შემდეგ, რაც მოხდა, ამან საერთოდ შეცვალა ადამიანებისადმი ჩემი დამოკიდებულება და საერთოდ ცხოვრება. ჩვენ ვნახეთ ქართველი ქალის შეურაცხყოფილი, მკერდმოჭრილი, მამაკაცის ასომოჭრილი და 9 თვის მკვდარი ბავშვის სხეულები ტამიშის ბაზარში ჩამოკიდებული რუსული წარწერით: „იყიდება ახალი ქართული ხორცი“ – ეს იყო კულმინაციური წერტილი, რამაც ომისადმი ჩემი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა. როცა შენი მეგობრები კვდებიან, ხედავ, როგორ მიფრინავს მათი ხელი, ფეხი, შეუძლებელია, ომის მომხრე იყო – ასე ფიქრობს ყველა ომის ნამდვილი მონაწილე ვეტერანი. ნამდვილი მეომარი ყველაზე დიდი მშვიდობისმყოფელია... ომიდან 19 წლის დავბრუნდი. მახსოვს, თბილსის საძმო სასაფლაოზე აღდგომის დღეს ძალიან წვიმდა, 100 დაღუპული მეგობრის, 100 მებრძოლოს საფლავი რომ ჩამოვიარე და ყველგან თითო შესანდობარი შევსვი, ბოლოს ცუდად გავხდი, გრძნობა დავკარგე და ცხონებულ ლადო კოსტავას საფლავზე ჩამეძინა. მეგობრებმა მიპოვეს და სახლში წამომიყვანეს – ეს დღე იყო ჩემთვის გარდამტეხი. სამი დღე მეძინა და მივხვდი: იცხოვრო ომით – ცხოვრებაში ვერაფერს შეძლებ. თუმცა, იმ ბიჭების ხსოვნა არასდროს გამნელებია.

**ნათია უტიაშვილი**

(74-ე გვერდიდან)

# როგორ აღმოჩნდა თამუნა ზაუტაშვილის ქუდი შერონ სტოუნის პირად კოლექციაში და რატომ უკვეთავენ მას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან აქსესუარებს

მან კი ყველა შეიძინა პირადი კოლექციისთვის. მერე უცნაური რაღაც მოხდა: მის ჩვენებაზე პოდიუმზე ერთ-ერთ მოდელს ეხურა ჩემი ქუდი. როგორც შემდეგ გავიგე: იუდაშკინმა ალა პუგაჩოვასაც აჩუქა ჩემი „აბადოკი”. რა უნდა გამეკეთებინა, აზრი არ ჰქონდა. რუსეთში კი არა საქართველოშიც მომხდარა ასეთი რაღაც. დიზაინერს პირადი კოლექციისთვის უყიდია ჩემი ნივთი და შემდეგ ჩვენებაზე გამოუყენებია – ხმაც არ ამომიღია. გარდა ამისა, რუსეთში ბევრ ცნობილ ადამიანს აქვს ჩემი აქსესუარები: ანა ვოლკოვას, ასევე ნადია რუჩკას „ბლესტიაშიდან“ – ჩემი ქუდიც აქვს და აბადოკიც. მსახიობ ოლგა სუტულოვას, სტიჩკინის მეუღლეს ქორწილში ეკეთა ჩემი „აბადოკი”. ლანა კამილინას სალონშიც არის ჩემი ნივთები – ყველაფერია და ორმაგი ფასი ადევს. იქ ნახულობენ და შემდეგ მიკვეთავენ „ფეისბუქის“ საშუალებით. სახასიათო ხელწერა მაქვს და ყოველთვის გამოარჩევ ჩემს ნამუშევარს. თბილისში ნაცნობსაც გაუკეთებია მსგავსი ქუდი, რომელსაც ნახევარ ფასად ყიდის – როგორ დავუშალო, თავისი გაჭირვება აქვს. ჩემსას და მისას ისედაც გაარჩევს ადამიანი. თან, ვიღაცას შეიძლება, მოსწონს ჩემი ქუდი და ვერ ყიდულობს. ის კი ნაკლები ხარისხის არის, ნაკლები ღირს და ადვილად ყიდულობენ.

**– მამაკაცებისთვის არ აკეთებ აქსესუარებს?**

– საქართველოში – არა. თუმცა, ერთი მამაკაცია მოსკოვში, რომელიც ბეწვის კეპებს მიკვეთავს. თავისი სალონი აქვს, საკმაოდ ცნობილი და იქაც იყიდება... გარდა ამისა, მარჯანიშვილის თეატრისთვის ვაკეთებ ქუდებს. ყველაზე მეტად თეატრისთვის მუშაობა მიყვარს და კიდევ ჩვილი ბავშვებისთვის. წარმოიდგინეთ: რამდენიმე დღის პატარა გოგონა და 80 წელს გადაცილებული ქალბატონი, ორივე თავზე ჩემი ვარდებიანი ქუდებით – ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. ხშირად მაქვს შეკვეთები პატარძლებისგან, არამარხვის პერიოდში ჩვეულებრივი ბუმია. ზოგჯერ მხვდებიან ექსტრავაგანტური პატარძლები, რაც ძალიან მახარებს. ერთ გოგონას ჩემი ხელით გავუკეთე ვერცხლის გვირგვინი. ვერცხლის მავთული გავაკეთებინე ოქრომჭედელს, მერე დავგრიხე და სვაროსვსკის თვლები დავაწებე – ძალიან ლამაზი გამოვიდა. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ნამუშევარია.

**ნათია უტიაშვილი**

**სამყაროში ჰარმონია აღარ იქნებოდა, რომელიმე ერი განსაკუთრებით გამორჩეული და უნიკალური რომ ყოფილიყო. ყველას თავისი ადგილი აქვს, ამიტომაც მოგვწონს და გვიზიდავს თავისი მრავალფეროვნებით... ქართველებიც ამ სამყაროს ერთი ჩვეულებრივი „მარცვალი“ ვართ და, ზუსტად არც ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დანარჩენ „მარცვლებში“ არ ავირიოთ და არ დავიკარგოთ...**

# რა აკლია ქართველ საზოგადოებას ყველაზე მეტად და სად გახდა პარლამენტის თავმჯდომარე ავთო ვარსიმაშვილის მისახედი

**ავთო ვარსიმაშვილი:** ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ, რატომღაც, მიგვაჩნია, თითქოს მთელი სამყარო გვებრძვის, დარაზმულია ჩვენთვის „ქართველობის“ წასართმევად, რაც, რა თქმა უნდა, არ არის მართალი. სამყარო თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩვენ კი ზედმეტი აჟიტირებულობით ამ თემით ისევ საკუთარ თავს ვიზიანებთ.

**– მაინც, რისი წართმევა შეიძლება უნდოდეთ ჩვენთვის, რას ემუქრება მთავარი საფრთხე?**

– საუბარი, ძირითადად, სულიერებაზეა, რომელიც ძალიან აბსტრაქტული თემაა და, საერთოდაც, არავინ არაფერს გვართმევს. მივხედოთ ჩვენს თავს და ჩვენს საქმეს – ეს არის ყველაზე მთავარიც და მნიშვნელოვანიც. ნახევარი მსოფლიო მაქვს მოვლილი და დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად არავინ გვებრძვის. ის კი არა, მსოფლიოს მოსახლეობის ოთხმოც პროცენტზე მეტმა არც იცის, ვინ ვართ და სად არის საქართველო.



**იმის ამბიცია, რომ უნიკალურები და გამორჩეულები ვართ, გვავიწყებს მთავარს – დღეს, სამწუხაროდ, აღარ იქმნება „ვეფხისტყაოსანი“ და აღარ შენდება დავით გარეჯი**

**– მაგრამ, გვართმევენ ტერიტორიებს, სანამ ჩვენ „სულიერების გადარჩენაზე“ ვზრუნავთ...**

– დიახ, ტერიტორიებს გვართმევენ – ეს პოლიტიკური თემაა, მიზეზი კი – გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ გვიკავია – ვართ კარიბჭე და ამ კარიბჭის დაპყრობა უნდოდა ყველას, მათ შორის რუსებსაც. „გაიარ-გამოიარეს“ მდგომარეობაში ვიყავით მუდამ, რამაც ჩვენს ცხოვრებაში და ისტორიაშიც საკმაოდ საბედისწერო როლი ითამაშა. თანაც, როცა ტერიტორიებს გვართმევენ, ნაკლებად შეგვწევს ძალა, წინ აღვუდგეთ ამას; მთელი ენერგია გადაგვაქვს სხვაგან და ვლაპარაკობთ სწორედ „სულიერებას გვართმევენ“ თემაზე – აქ ვცდილობთ „გამოვუშვათ ორთქლი”. სამწუხაროდ, მეტის გაკეთება არ შეგვიძლია.

**– არის ქართველი ერი მართლაც განსაკუთრებული ან რაიმე ნიშან-თვისებით გამორჩეული?**

– არა. არავინ არ არის ზედმეტად გამორჩეული. ყველა ეროვნებას დედამიწაზე ჰარმონიულად აქვს ადგილი მიჩენილი, ყველა თავის თემას „უკრავს“ იმ დიდ მუსიკალურ სიმფონიაში, რომელსაც „სამყაროს სიმფონია“ ჰქვია. ხშირად ჩვენ თავად ვიგონებთ ჩვენს უნიკალურობას იმის შიშით, რომ რაღაც სულიერება არ წაგვართვან და ეს მარტო ქართველების სენი არ არის. ყველა პატარა ერს ახასიათებს იგივე.

**– იქნებ, ეს ამ პატარა ერების, მათ შორის ქართველების, თვითგადარჩენის ინსტინქტია?**

– უდავოდ ასეა. ამავე დროს გვაქვს დაუსაბუთებელი ამბიციები დღევანდელობასთან მიმართებაში. ჩვენ, საბედნიეროდ, მართლაც გვქონდა ოქროს ხანა, რომლითაც თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ როგორც ქვეყანამ, მაგრამ, გამოგვყვა იმის ამბიცია, რომ უნიკალურები და გამორჩეულები ვართ, რაც გვავიწყებს, რომ დღეს, სამწუხაროდ, აღარ იქმნება „ვეფხისტყაოსანი“ და არ შენდება დავით გარეჯი; ანუ, აღარ ვართ ისეთები, როგორებიც ვიყავით. მე ამას ვაბრალებ საუკუნეების წინ დამოუკიდებლობის დაკარგვას, რომელთან ერთადაც დავკარგეთ სახელმწიფოებრიობის განცდა – ამის გამო ხდება ეს ყველაფერი. ჩვენი საზოგადოება არ აზროვნებს სახელმწიფოებრივად, შესაბამისად, არ გვყავს ჩამოყალიბებული საზოგადოება სწორედ იმიტომ, რომ ყველგან და ყველაფერში არასახელმწიფოებრივად ვაზროვნებთ. ფასეულობებზე ლაპარაკიც ყალბია – ეს არის ლაპარაკი ლაპარაკისთვის. რეალურად, არათუ არ ვაფასებთ ამ ფასეულობებს, არც კი გვესმის მათი არსი. ზედაპირულად ვიცით რაღაც, მაგრამ, ის გენიალურობა, რაც ჩვენ სულიერებაში იყო, არ გვაქვს გააზრებული და შესრუტული, არ ზის ერის შეგნებაში. სამწუხაროდ, ასეთები ვართ. დავკარგეთ სახელმწიფოებრიობის, თავისუფლების, ჩვენი მისიის განცდა, თუმცა, ყველა დროში გვყავდნენ ადამიანები, რომლებიც სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდნენ თავისი ცხოვრების წესით... ქართველის ბუნება მაინც თავისუფლებისკენ მიილტვის; შოლტითა და შიშით რამის დანერგვა მასში ყოველთვის უარყოფით შედეგს გამოიღებს.

**– სად არის გამოსავალი?**

– გამოსავალი ინსტიტუციების შექმნაა, როცა კანონი იკანონებს და ყველას ეცოდინება, რომ მასზე დაკისრებულ საქმეს პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს. თუმცა, მე ამ ინსტიტუციების შექმნას პესიმისტურად ვუყურებ, ამას რამდენიმე თაობის შეცვლა დასჭირდება, იმიტომ, რომ ძალიან ბევრმა თაობამ იცხოვრა მონობაში.

**ფასეულობებზე ჩვენი ლაპარაკი ყალბია – ეს არის ლაპარაკი ლაპარაკისთვის. რეალურად, არც კი გვესმის ფასეულობების არსი და არც ის გენიალურობა გვაქვს გააზრებული და შესრუტული, რაც ჩვენს სულიერებაში იყო**

**– დაასახელეთ სამი ცუდი თვისება ქართველისა, რომელიც შეიძლება მას ნაკლად ჩავუთვალოთ.**

– უჰ, გამიჭირდება სამის ამორჩევა *(იღიმება)*, გაცილებით მეტია. თუმცა, არ მიმაჩნია, რომ ცუდით ვართ ვინმესგან გამორჩეული. ჩვენზე ზარმაცებიც მინახავს სხვა ერში, ჩვენზე გულღრძოებიც და არაკანონმორჩილებიც – ეს თვისებები ადამიანებშია და არა ერში. ალბანეთში, საბერძნეთში, იტალიაში უამრავი არაკანონმორჩილი ადამიანი მინახავს. არაფრით ვართ გამორჩეულები – არც ცუდით, არც კარგით. სრულიად განცვიფრებული და შოკირებული ჩამოვედი „ცივი“ და „გაყინული“ ესტონეთიდან. სულ მეგონა, რომ იქ ცხოვრობს ძალიან ცივი ხალხი, არადა, გამაოგნეს სტუმარმასპინძლობით. ჩვენ, შეიძლება, ვინმეზე მეტად არტისტულები ვიყოთ *(იცინის)*, უცხოსთან თავის გამოჩენა გვიყვარდეს, მაგრამ, ამაშიც გვყავს „კონკურენტები“ – იტალიელები, ესპანელები მექსიკელები – სამხრეთის ბინადარი ხალხი. იტალიელს ოღონდ ტრიბუნა დაანახვე, რომ უცხოელთან დაიწყოს მანჭვა-გრეხა, ისეთ საჩვენებელ გამოსვლას მოაწყობს, ვერავინ აჯობებს. ამიტომაც, განვმეორდები და ვიტყვი: ვერავინ ვერაფერს წაგვართმევს და არც გვართმევს, თუკი ჩვენ თვითონ არ დავთმობთ, როგორც დათმეს და დაკარგეს გენიალური კულტურა ბერძნებმა და ეგვიპტელებმა. ჩვენ ჯერ კიდევ ვართ მიბმული ჩვენს წარსულთან რაღაც ძაფებით და ეს უნდა გადავარჩინოთ. დღევანდელი იტალიელიც მხოლოდ ძაფებით არის დაკავშირებული იმ თავის დიდ კულტურასთან და, დღეს ყველა ნორმალური ადამიანი იტალიაში იბრძვის, რომ ეს ძაფებიც არ დაკარგოს. ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ, არა ისე – „ყველაზე მაგრები ვართ“ – ძახილით. ვიყოთ გულახდილები: ვართ დღეს ის ერი, რომელმაც დიდგორი მოიგო და ვარძია გააკეთა? – ნამდვილად არა... თურქეთის მაგალითი ნახეთ – როგორ გამოიყენა ბერძნული და ქართული კულტურები და თავის სამსახურში ჩააყენა. არადა, მომთაბარე, მებრძოლი ერი იყო, არაფერი შეუქმნია, მივიდა, დაიპყრო დიდი ბიზანტიის საუკეთესო ნაწილი და გაუფრთხილდა იმას, რაც დახვდა; ჩვენ კი ჩვენსას არ ვუფრთხილდებით. ძალიან ბევრი რამ არ ვიცით და ვერც ვისწავლით, იმიტომ რომ, ისევ მივდივართ საზოგადოების შეგნებამდე: საზოგადოება თუ არ ჩამოყალიბდა, არანაირი მესია ამ ქვეყანას არ უშველის. არსებობს ერთიანი საზოგადოებრივი აზრი? – არა! როგორ მივიღეთ დამოუკიდებლობა? – შემოვიდნენ ტანკები, ავიღეთ ჯოხები, ვურტყით ამ ტანკებს და დაიხოცნენ ადამიანები. ესტონეთშიც შევიდნენ ტანკები და უცდიდნენ მომენტს, რომ გადაევლოთ მთელი ესტონეთისთვის, მაგრამ ესტონელებმა ჩასჭიდეს ერთმანეთს ხელი და დაიწყეს სიმღერა. ჩემს მეგობარ ესტონელებს ვეუბნებოდი: როგორი ბედის ირონიაა – ქართველები თქვენზე უკეთ ვმღერით და თქვენზე უკეთესი სიმღერებიც გვაქვს, მაგრამ, დავიჭირეთ ჯოხები

## ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე, 16 წლის ოთო ღურწკაიას საუკეთესო ვოკალისტის ტიტული მიანიჭეს

***ზაფხულში ბულგარეთში ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მომღერლები და ვოკალისტები. მათ შორის იყო ყველასათვის საყვარელი კომპოზიტორის, ნანა დაუშვილის მოსწავლე, ოთო ღურწკაია, რომელმაც ფესტივალზე დიდ წარმატებას მიაღწია.***

**ნანა დაუშვილი** *(კომპოზიტორი):* ოთო ღურწკაია ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა ბულგარეთში სერთაშორისო კონკურსზე, საიდანაც წარმატებული დაბრუნდა. ამ კონკურსში მონაწილეობის უფლება მან თბილისში გამართულ კონკურსზე „ბრავოზე“ მოიპოვა, სადაც ის გრანპრის მფლობელი გახდა და წილად ხვდა ბულგარეთში გამგზავრება და კონკურში მონაწილეობა. ჟიურის წევრები იყვნენ როგორც ბულგარეთიდან, ასევე, ბელორუსიიდან და რუსეთიდან. კონკურენციაც საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოთო ღურწკაიას მიენიჭა საუკეთესო ვოკალისტის ტიტული; ასევე, გაიმარჯვა რამდენიმე ნომინაციაში და მიიღო მეორე საპრიზო ადგილი (პირველი არ გათამაშდა). ჟიურის წევრები აღაფრთოვანა მისმა შესრულებამ, მაგრამ, მოხდა ისე, რომ, იქ გაცივდა, მეორე ტურში ხმა წაუვიდა და ამის გამო აღმოჩნდა მეორე ადგილზე, თუმცა, გრანპრის მფლობელად მოიაზრებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ყველას მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა და ახლა ველოდებით სხვა კონკურსებზე მიწვევას. მინდა აღვნიშნო, რომ ის ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდაა. ოთო ჯერ 16 წლის არის და, დარწმუნებული ვარ, მას მართლაც დიდი მომავალი აქვს.



ოთოსთვის და ასევე ძალიან ნიჭიერი მომღერლისთვის, მაიკო ცქვიტიშვილისთვის, მე დავწერე სიმღერა, რომელსაც მალე მოისმენს ქართველი მსმენელი და შეიყვარებს. მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, გზა დავულოცო ნიჭიერ მომღერლებს, ასევე, ჩემი სტუდიის ყველა აღსაზრდელს, რადგან მათ შორის ბევრია სხვადასხვა მუსიკალური პროექტის გამარჯვებულიც, ფინალისტიც და, მჯერა, რომ მათ წინ არაერთი გამარჯვება და წარმატება ელით.

## ევროპის ოლიმპიური კომიტეტის დამკვირვებლები საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოვიდნენ

გასულ კვირას, საქართველოს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების საორგანიზაციო კომისიის წევრები ეწვივნენ. ევროპის ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ, ჯოზეფ ლიბამ და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის წევრებმა – კატერინა ნიცოვმა, კარეტოს სტრატოსმა და ჯორჯ ვისაცკიმ შეაფასეს, თუ როგორ მიდის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი – „თბილისი 2015-ისთვის" მზადება. მათ უმასპინძლა „თბილისი 2015-ის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ალექსი ახვლედიანმა.



მსგავსი მასშტაბური სპორტული ღონისძიება საქართველოში პირველად ტარდება და ის თბილისში 2015 წლის 25.07.2015-01.08-ში გაიმართება. ფესტივალის მსვლელობის დროს, საქართველოს 4 000-მდე სპორტსმენი ევროპის 49 ქვეყნიდან ეწვევა. სტუმრების საერთო რაოდენობა კი 7 000 მიაღწევს.

სტუმრებმა მოინახულეს ოლიმპიური სოფლისა და „ახალი თბილისის“ ტერიტორიები და საკმაოდ დადებითი შეფასებები დადეს. ასევე, დაათვალიერეს ყველა მშენებარე ობიექტი, სადაც ჩატარდება სპორტული შეჯიბრებები და ყველა ის ობიექტი, რომელიც შედის ინფრასტრუქტურაში.

შეხვდნენ თბილისის მერს და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელმძღვანელებს.

შეხვედრები გაიმართა ყველა დეპარტამენტთან, რომელიც ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებაზეა პასუხისმგებელი.

შეგახსენებთ, რომ ევროპული ოლიმპიური კომიტეტის წევრების ვიზიტი რეგულარულ ხასიათს ატარებს. ბოლოს ისინი თბილისს ამ წლის აპრილში ესტუმრნენ.

**მოამზადა ნათია უტიაშვილმა**

და მივეცით მტერს საბაბი; თქვენ კი სიმღერით გადაარჩინეთ ქვეყანა-მეთქი. არათუ გადაარჩინეს, განსაცვიფრებლად დალაგებული ქვეყანა შექმნეს. იქ ყველა სახელმწიფოებრივად აზროვნებს. ორი წლის წინ, როცა ძეგლების გადატანის საკითხთან დაკავშირებით რუსეთი ძალიან სერიოზულ პროვოკაციას აწყობდა, ერთ დილით ქვეყნის ყველა მოქალაქემ, ყველა ესტონელმა, ესტონეთის პრეზიდენტისგან მიიღო ესემესშეტყობინება: „არ აჰყვეთ პროვოკაციას." – და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მოსახლეობას სრული იგნორირება მოეხდინა იმ მარგინალური ჯგუფებისთვის, რომლებიც ქალაქში მაღაზიების ვიტრინებს ამტვრევდნენ. ვერაფერი ქნეს რუსებმა და გავიდნენ, – აი, ეს არის სახელმწიფოებრივი აზროვნება. ჩვენთან თანამდებობის დონეზეც კი არ არსებობს ეს შეგნება. ჩემს პრემიერას ესტონეთში კულტურის მინისტრი დაესწრო; ორას ოცი კილომეტრი გამოიარა, უყურა სპექტაკლს და ორას ოცი კილომეტრი გაიარა უკან. მაგრამ, მარტო ამაში არ არის საქმე. იქ კულტურის მინისტრები დადიან პრემიერებზე. სესილი გოგიბერიძის შემდეგ, საქართველოს კულტურის არც ერთი მინისტრი არ ყოფილა ჩემს თეატრში და, ვანო ზოდელავაც თბილისის უკანასკნელი მერი იყო, რომელიც მოდიოდა სპექტაკლებზე. იქ მოქმედი მინისტრი რომ მოვიდა, მას მოჰყვნენ იმის წინა და კიდევ იმის წინის წინა მინისტრებიც, ანუ სამი კულტურის მინისტრი მოვიდა ერთ სპექტაკლზე და გამიკვირდა. ასეთი სურათის წარმოდგენა ჩვენთან, საქართველოში, ძალიან რთულია ***(იცინის)*** – გოკა გაბაშვილი, ნიკა რურუა და მიშა გიორგაძე ერთად რომ მოვიდნენ პრემიერაზე... რა მიპასუხეს, იცით? რას ლაპარაკობ, როგორ შეიძლებოდა, არ მოსულიყვნენ; მაგათ რომ ახლა პრემიერებზე არ იარონ, დაამტკიცებენ იმას, რომ, მაშინ, როცა მინისტრობისას დადიოდნენ, დადიოდნენ იმიტომ, რომ მინისტრები იყვნენო. ამ შეგნებამდე მივალთ ოდესმე?! მეტსაც გეტყვით: ფინეთში, ჩემს სპექტაკლზე, ტაქსით მოვიდა ერთი ქალბატონი, მივიდა სალაროსთან და აიღო ბილეთი. ფესტივალის დირექტორი მეუბნება: იცი, ეს ვინ არის? ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარეაო. მერე, რას შვრები, არ მიხვალმეთქი? ჯერ მოიცადე, იყიდოს ბილეთიო. ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარეზეა საუბარი... ბილეთი რომ იყიდა, მერე მივიდა ფესტივალის დირექტორი და მეც წარმადგინა. ის ქალი სადღაც, მეცხრამეტე რიგში დაჯდა. სპექტაკლის შემდეგ პატარა ბანკეტივით იყო, ალაფურშეტი და, ფესტივალის დირექტორმა მე მკითხა – შეიძლება, ისიც დავპატიჟოო? ყველა თავისთვის იყო და თავისთვის იყო ეს ქალიც. იმდენად არავინ აქცევდა ყურადღებას, რომ, მივხვდი, იმ დარბაზში მარტო მე ვიყავი ისეთი, ვისაც მისი იქ ყოფნა აღელვებდა. ვერ მოვისვენე – მივდიოდი, ველაპარაკებოდი და, ერთი სიტყვით, მივხედე. რაში უნდა დამჭირდეს ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ, ჩემში იმდენად ძლიერად არის გამჯდარი „საბჭოთა დრაკონი“ და ისე ვარ დაჩვეული, რომ ჩინოვნიკი ყურადღების ცენტრში უნდა გყავდეს, შევწუხდი იქაურების უყურადღებობით. რატომ არ აქცევთ ამ ქალს ყურადღებას, თქვენი პარლამენტის თავმჯდომარეა-მეთქი, რომ ვუთხარი, მერე რა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეაო. აქ კი ჯერ არავინ მოვა და, თუ მოვა, ისეთი ამბით, მთელი თეატრი ფეხზე დგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანი ვართ ერთი ცირკის მონაწილენი, და თან, რაც ყველაზე ცუდია, მოგვწონს ჩვენზე ექსპერიმენტებს რომ ატარებენ. მერე რა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეა, მაგას იმხელა ხელფასს ვუხდით ჩვენ, ტაქსითაც უნდა მოვიდეს და ბილეთიც იყიდოსო – ასე აზროვნებენ ისინი და, ჩვენ როგორც ვაზროვნებთ, ეტყობა ქვეყანას...

**ნინო წულუკიძე**

# ბრძნული აზრები

**დიზრაელი**: უდიდესი სიკეთე, რომელიც შეგიძლია, სხვას გაუკეთო, იმას კი არ ნიშნავს, რომ გაუყო მას შენი სიმდიდრე, არამედ, დაეხმარო მას, საკუთარ თავში საკუთარი სიმდიდრე აღმოაჩინოს.

**ლაროშფუკო**: სიქველის სასახელოდ ის მაინც უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი უბედურება ადამიანებს მისი წყალობით კი არ ატყდებათ თავს, არამედ, მათი საკუთარი ცდომის შედეგად.

**ვოლტერი**: როცა არაფერი აქვთ სათქმელი, ყოველთვის ცუდად ლაპარაკობენ.

**ჰესე**: სიბრძნეა – იაზროვნო პესიმისტურად და იმოქმედო ოპტიმისტურად.

**ფულერი**: დაკარგული მეგობარი ორმაგი მტერია.

**ტოლსტოი**: რაც უფრო ადვილია მასწავლებლისთვის სწავლება, მით უფრო ძნელია მოსწავლეებისთვის სწავლა.

**მონტენი**: სხვას რომ ასწავლო, ამას უფრო მეტი ჭკუა სჭირდება, ვიდრე, თვითონ რომ ისწავლო.

**ტურგენევი**: კიცხვისა და გმობის უფლება მხოლოდ მას აქვს, ვისაც უყვარს.

**ადისონი**: ეჭვიანობის ავადმყოფობა ისეთი ბოროტხარისხიანია, რომ ყველაფერი მის საკვებად გადაიქცევა ხოლმე.

**ლაო ძი**: დაკმაყოფილდი საკუთარი თავით, მდიდარო!

**დემოკრიტე**: ადამიანებს კარგი სულიერი მდგომარეობა ექმნებათ ზომიერი სიამოვნებისა და ჰარმონიული ცხოვრებისგან. თუ უკმაყოფილება და ზედმეტობა ერთმანეთს ენაცვლება, სული დიდ რყევას განიცდის და ასეთი სულები არც მშვიდნი და არც ხალისიანად განწყობილნი არ შეიძლება იყვნენ.

**ჰელვეციუსი**: ის, ვინც ღრმად სწავლობს საკუთარ სულს, ხშირად იჭერს საკუთარ თავს შეცდომებში, რაც მას ძალაუნებურად თავმდაბალს ხდის – იგი საკუთარი განათლებით აღარ ამაყობს და საკუთარ თავს სხვაზე მაღლა არ აყენებს.

**ფრანსი**: რომ არ იცნობდე ეჭვიანობისგან გამომდინარე ტანჯვას, ან მღვდელი უნდა იყო, ან – ჯარისკაცი.

**რენანი**: მხოლოდ დრო არ კარგავს დროს.

**ბალზაკი**: დიდება არ არის მომგებიანი საქონელი – ძვირი ღირს და ცუდად ინახება.

**ზიმელი**: მდაბალს სურვილი აქვს, მაღალს გაუტოლდეს.

**ბუასტი**: გონებრივი სიამოვნებები ახანგრძლივებენ სიცოცხლეს, იმდენად, რამდენადაც გრძნობისმიერნი ამოკლებენ მას.

**სტენდალი**: ქალი ფიქრობს, რომ მარადისობა მისცა; მამაკაცს კი ჰგონია, რომ წუთი მიიღო.

# თუ გამოიცნობთ

1. 1942 წელს პანამის კუნას ტომის ინდიელებმა თავიანთი დროშის გაფორმებაში ცვლილება შეიტანეს. სვასტიკაზე, რომელიც მათ დროშაზე იყო გამოსახული, დაამატეს კიდევ ერთი გამოსახულება, იმ იმედით, რომ ფაშისტები მას არ ატარებენ, რადგან მუდმივ სურდოს იწვევს. **რისი გამოსახულება დაამატეს სვასტიკას?**

2. **რომელ სიტყვას** არ გამოიყენებენ ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენები?

3. ნებისმიერ მარხილში – ცხენის, აქლემის, ირმის და სხვა, შედის აღვირი. **რომელი მარხილის აღჭურვილობაში არ არის ის?**

4. რუსეთის არქივების გადახედვამ აღმოაჩინა ერთი საინტერესო ფაქტი: დიდი სამამულო ომის პირველ თვეში ახალდაბადებულ ბიჭებს ძალიან ხშირად არქმევდნენ... **რას?**

5. ლათინური მიტრას – ანუ გვირგვინის ფორმა სიმბოლურად ალის ენებს გამოხატავს, ხოლო სპარსულ მიტრას კი, ხშირად სწორედ ალის ენების გარემოცვაში გამოსახავენ. **რას წარმოადგენს სპარსული მიტრა?**

6. ამან უამრავი ადამიანი იმსხვერპლა ევროპაში. სევილიაში ეს უკანასკნელად 1781 წელს მოხდა, შვეიცარიაში – 1782 წელს, ავსტრიაში ეს 1748 წელს აკრძალა მარია ტერეზამ. **რა იყო ეს?**

7. მეცხრამეტე საუკუნეში ჩინეთში საზოგადოების გარკვეული ფენა აჯანყდა. თავიანთ ორგანიზაციას მათ უწოდეს „სამართლიანობის დასაცავად შემართული მუშტი“. **რას უწოდებენ ევროპელები ამ მოვლენას?**

8. **რომელი ნაგებობა გაჩნდა** მე-17 საუკუნეში ერთ ევროპულ დედაქალაქში, რომელსაც მოგვიანებით მიბაძეს სხვა დედაქალაქებმაც. ამ ნაგებობას ჰქონდა ორი ფუნქცია – თავისი პირველადი და საზოგადოებისთვის გასართობი.

9. **რას უწოდებენ** სამხედროები „ცოცხალ ხიდს“?

10. „პაპესა იოანე“ – ასე ჰქვია პაპ იოანე მერვეს შესახებ სტატიას „ვიკიპედიაში“, სადაც აღნიშნულია, რომ ის ბერძნებთან დამოკიდებულებაში გარკვეულ სისუსტეს იჩენდა. თუმცა, სხვა ვერსიით, ის უფრო სხვა სისუსტით გამოირჩეოდა. **რით?**

***პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე***

# ქალი და მამაკაცი

* არსებობს რიგი ქვეყნები, სადაც დღესაც კი მკაცრად იცავენ მამა-პაპათა ტრადიციებს. მაგალითად, ესპანეთის ქალაქ მაილდში ნეფე-დედოფალს უსხოვარი დროიდან კიდებენ თავდაყირა, თავებით ახლოს, მანამ, სანამ ერთმანეთს კოცნით არ შეაღონებენ. თუ ნეფე და დედოფალი ამის შემდეგ დაქორწინებას არ გადაიფიქრებენ, ღიმილით მიანიშნებენ სტუმრებს, რომ აზრი არ შეუცვლიათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, სუფრას მიუსხდნენ.

* ბრაზილიელი ინდიელების ზოგიერთ ტომში საქორწინო წინადადების შეთავაზების პირველობა დღემდე ქალებს ეკუთვნით – ქალი სასურველ საქმროს ფაფას უგზავნის. თუ მამაკაცი მიირთმევს ფაფას, ესე იგი, წინადადება მიღებულია; თუ მხოლოდ ნაწილს იგემებს – მოსაფიქრებლად დროს თხოულობს და, თუ პირს არ დააკარებს, ქალმა სხვა არჩევანი უნდა გააკეთოს.

* ერაყში გავრცელებული დროებითი ქორწინების სავსებით სამართლიანმა ფორმამ მრავალი ქვეყნის ქალბატონი აალაპარაკა. ასეთი ქორწინება, როგორც წესი, ერთი თვიდან რამდენიმე წელიწადს გრძელდება, ვადა კი შეთანხმებით დგინდება. ქალიშვილისთვის დროებითი ქორწინების ფორმა აკრძალულია.

* შიიტურ ცენტრში შეიქმნა ქვრივებისა და ცოლგაყრილთა რალაც გარკვეული ფენა, რომლებსაც ხელს აძლევთ ასეთი ქორწინება და გაცილებით ნაკლები პრეტენზიები აქვთ ერთმანეთის მიმართ. ზოგიერთი ქალი, რომელიც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა, ხელიდან არ უშვებს ასეთ შანსს და, შეიძლება, რამდენიმე ათეულჯერაც კი მოასწროს ქორწინების რეგისტრაციაში ყოფნა. საქორწინო ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ, ბავშვი, როგორც წესი, მამას რჩება.

* გერმანიის ქალაქ კასელში ოც ქალიშვილსა და ამდენივე ვაჟს ჩაუტარდათ მეტად ორიგინალური გამოცდა: ორი საათის განმავლობაში თითოეულ მათგანს უნდა დაეწერა თავს გადახდენილი რამდენიმე სასიყვარულო ისტორია და არც ერთხელ არ უნდა განმეორებულიყვნენ. ამასთან ერთად, დაცული უნდა ყოფილიყო პირობა, რომ ყოველი სასიყვარულო ისტორია ოც სტრიქონს არ ასცილებოდა. ფილოლოგებისა და პოეტებისგან შემდგარმა კომპეტენტურმა ჟიურიმ, როგორც იქნა, მოახერხა გამარჯვებულის გამოვლენა – გაიმარჯვა გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელმა, ერიკა შტრომმა, რომელმაც ორ საათში თვრამეტი სასიყვარულო თავგადასავალი აღწერა და, თანაც, არც ერთში არ განმეორებულა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლg1-b6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



კაცი სამოთხის კარს მიადგა, აკაკუნებს. გაუღეს კარი, რა გინდაო, ეკითხებიან.

– სამოთხეში მინდა მოვხვდე.




– აბა, გვითხარი, ცხოვრებაში რა სიკეთეები გიკეთებია.

– კი იყო... ვხედავ, რამდენიმე ხულიგანი ქალს ხელჩანთას ართმევს. მივედი, და ყველაზე მოსულ ტიპს ყბაში ვგლიჯე...

– ყოჩაღ! ეგ როდის მოხდა?

– ორი წუთის წინ.

***

„მე შენ შეგეჩვიე“ უფრო დამაჯერებლად ჟღერს, ვიდრე „მე შენ მიყვარხარ“.

***

გაიმართა ავტომობილების ტესტირება. ყველაზე საშიშ ავტომობილად დასახელდა რუსული „ოკა“ – სანამ მანქანაში სვამდნენ, მანეკენს ორივე ფეხი მოტყდა.

***

მაღაზიაში ცოლ-ქმარი კამათობს.

– მანტო არ მინდა, არ ჩავიცვამ, კურტკაში თავისუფლად ვგრძნობ თავს... კურტკას ვიყიდი.

– რა კურტკა?! აუცილებლად მანტო უნდა იყიდო, თანაც ძვირფასი... ხალხში ხომ უნდა გამოჩნდე – ჩემი დაქალების ქმრებს ასე აცვიათ, მეზობლის ნიკასაც... მე ვისზე ნაკლები ვარ?!

– ხომ არ დაგეხმაროთ, რა შეგირჩიოთ? – მიუახლოვდა მათ კონსულტანტი.

– საკვები ჩრჩილისთვის! – უპასუხა ქმარმა.

***

– ნუ მიყვირი, თორემ ავად გახდები?

– რით?

– ყბების მონგრევით და კიდურების გადამტვრევით?

***

მომავალმა მამამ გადაწყვიტა, ცოლის მშობიარობას დაესწროს... ცოლის ხელი ხელში დაიჭირა, უყურებს, უყურებს და... წაუვიდა გული. გამოიყვანეს ბლოკიდან... როგორც იქნა იმშობიარა ცოლმა და ქმარს ეუბნებიან.

– გილოცავთ, გოგონა შეგეძინათ!

– მადლობა ღმერთს, ჩემსავით მაინც არ გაწვალდება.

***

– რა საინტერესოა, არიან სამყაროში გონიერი არსებები?

– არიან.

– მაშინ, რატომ არ გვიკავშირდებიან?

– ისინი ხომ გონიერები არიან...

***

ქალი, როგორც შუქნიშანი – ჯერ ანთებს წითელს, მერე ყვითელს და ბოლოს მწვანეს.

კაცი კი, როგორც მძღოლი – ნებისმიერზე მიდის.

***

ქმარი შინ გვიან ღამით დაბრუნდა. ცოლს რომ ალიაქოთი არ აეტეხა, კედლის საათი სამი საათით უკან გადასწია, დაწვა და ცოლსაც გაეღვიძა...

– სად იყავი ამდენ ხანს? ოჯახზე საერთოდ არ ფიქრობ...

– რა გჭირს, შეხედე, ჯერ 12 საათია...

შეხედა ცოლმა საათს, 12-ია და უცბად დატკბა.




– ჰო, კარგი, რამე ხომ არ გინდა?

– წყალს თუ მომიტან...

გავიდა ცოლი სამზარეულოში და... საათი იქ 3-ს უჩვენებს. გამოვარდა გაბრაზებული საძინებლისკენ. ქმარმა საათის გადაწევა მოასწრო და ცოლს პირის გაღება არ აცალა:

– რა მოგივიდა, რად უნდა ერთი ჭიქა წყლის მოტანას 3 საათი?!

***

ახალგაზრდა სამხედრო კომისარიატში მიდის:

– მინდა, ფლოტში ვიმსახურო.

– ცურვა იცით?

– თქვენ რა, გემები არ გყავთ?

***

– დაიხსომეთ, წითელი ღვინო უხდება ხორცს, თეთრი – თევზთან უნდა მიირთვათ.

– არაყი?

– ო... ეს უნივერსალური სასმელია, ყველაფერზე მიდის, ტორტზეც კი...

## ცნობილი ადამიანთა ინამახვილოური გამონათქვამები

მეფე ერეკლეს დროს ქალაქში ერთი თავადიშვილი გარდაიცვალა, რომელმაც შემდეგი ანდერძი დაუგდო თურმე მეგობარს:

„ჩემი ყოფა-ცხოვრებიდგან რაც შენ გინდოდეს ჩემს შვილს მიეცი დანარჩენი კი შენ გქონდესო“.

ამ ანდერძის ძალით უმეტესი ნაწილი მამულისა მეგობარმა თვითონ დაიჭირა და მცირედი ნაწილი-ღა შვილს მისცა.

შვილმა იჩივლა სასამართლოში, მაგრამ გაამტყუვნეს. სასამართლოდან იგი მეფესთან წავიდა საჩივლელად. მეფემ განიხილა ანდერძი, დაიბარა მეგობარი და უბრძანა: ანდერძის ძალით: რაც შენ გინდა, ესე იგი, რაც შენ აირჩიე შენთვის, ის უნდა შვილს მისცე და დანარჩენი კი შენთვის უნდა დაიტოვოო.

***

ჩვენი სახელოვანი რიტორი პლატონ იოსელიანი ცოტა ხელმოჭერილი კაცი იყო და, რადგანაც ორი ათასის ჯორის ნალს (ჯორის ნალს ვერცხლის მანეთებს ეძახდა) ჯამაგირად ცოტაობდა და იზოგავდა, მესამე კლასით დადიოდა ხოლმე რკინის გზითა და თან თითქოს ჯავრი მოსდიოდა, სხვანი პირველსა და მეორე კლასით რად დადიანო:

– ბრიყვები, განა ისინი ჩემზე წინ ჩავლენ, რომ ასე იხარჯებიანო! – ბრძანებდა ხოლმე ფილოსოფოსი.

***

როგორც ცნობილია, იონა მეუნარგიამ გამოაქვეყნა თავისი თვალსაჩინო ნაშრომი „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“. აკაკის მახვილ ენას არ გამორჩენია ეს ფაქტი და რადგან გრიგოლ ორბელიანი გენერალი იყო იონას გენერლების მწერალი უწოდა, თან, შემთხვევას არ უშვებდა ამაზე არ ეოხუნჯა.

ერთხელ გოგებაშვილი დიდხანს სეირნობდა იონა მეუნარგიასთან ერთად კლუბში.




– რა ქენა, ამ გოგებაშვილს გენერლობა როდის მიუღიაო, – უთქვამს აკაკის.

# ქართველები აფრიკაში და „კაციჭამიების“ ფერხული

1979 წელს ანსამბლ „რეროში“ ვმღეროდი. აფრიკაში რომ წავიდნენ საგასტროლოდ, მეც წამიყვანეს.

უგანდაში ვართ. ანსამბლი გასასეირნებლად მიიწვიეს და მეც წამიყვანეს...

დაჟინებით გაგვაფრთხილეს: ახლა მივდივართ ნახევრად ველურ ხალხში; რაღა დაგიმალოთ და კაციჭამია ტომია. ქართველებს ეტანებიან ნამეტნავად, მით უმეტეს, ასაკით უმცროსები ურჩევნიათ და ფრთხილად იყავითო...

მივედით ამ ტომთან და აჰყდა ტამტამების რაკა-რუკი... ტყეში ვართ. კაციჭამიები ჯერ არაფერს აპირებენ, ცეკვავენ და როკავენ.

„ალბათ, ასე იმიტომ ცეკვავენ და ხტუნაობენ, კარგად რომ მოშივდეთ... მერე? რა – მერე? ყველაზე პატარა მე ვარ ასაკით და... ვაი, დედა...“ – ვფიქრობ გამწარებული.

ერთი მეგობარი მყავდა, ვასიკო, ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო. ცოტა სასმელი მოგვართვეს – ჩვენებურ ჭაჭას არ ჩამოუვარდებოდა სიმაგრით და, არ შევჟუჟუნდით?!

მოგეხსენებათ, მუსიკა ჩემი გატაცებაა. ვუპარტყუნეთ მე და ვასიკომ ამ ტამტამებს და მერე და მერე ცეკვაშიც აგყევით „უმცროსსასაკისჭამია“ შავებს. ჩაგვხვიეს ტალახისფერი ხელები და გვაჩაქჩაქებენ აქეთ-იქით („ფერხული“ გამახსენდა). ერთმა შავმა გვანიშნა (აბა, რუსული სად იცოდა), პიჯაკი გაიხადეთ და ისე იცეკვეთო (თვითონ ნიფხვისამარა იყო).

აზარტში შესულებმა, გავიხადეთ პიჯაკები და ისევ გატაცებით ვცეკვავთ.

ვცეკვავთ კარგია. მივიხედ-მოვიხედეთ და, სადაა ჩვენი ავტობუსი?! – წასულან... დავრჩით მარტო. მორიგი გაჟრჟოლება მოვასწარი

– ბიჭო, ვასიკო. ჩვენი ავტობუსი წასულა!

– გადღვუჩურჩულე მეგობარს.

ეს შავები უფრო გაგიჟდნენ, უმატეს ცეკვას და ტლინკაობას. შეჭმის აშკარა კანდიდატები ვართ. მთელმა განვლილმა ცხოვრებამ ჩაიარა ჩემ თვალწინ. რას შვრები ახლა?! მე




შენ გეტყვი, გახვალ გზაზე და „მარშრუტკას“ აუწევ ხელს. არა, შეგვჭამენ.

– ვასიკო, ახლავე გავ... იქცეთ აქედან... – ისევ ვუჩურჩულე ვასიკოს.

– კი, დროა უჟე! – ისე სერიოზულად და დინჯად დამეთანხმა, თითქოს ავლაბარში ვქეიფობდით.

წახვალ კაია, ვინ გიშვებს? – ჩაუჭიდებიათ ხელები მარწუხებივით და – კიდევ ვიცეკვოთო, – კრიჭავენ უჯანსალეს თეთრ კბილებს.

ესლა მინდოდა?! რა კარგი კბილები აქვთ ამ ამოსაწყვეტებს! გავიხედე, ერთი შავი დანას ლესავს. დამასხა ოფლმა.

– ე, ბიჭო, ვასიკო, დანას ლესავს ეს შობელძაღლი!

– მოიცა, რა! მაგათ დანით წვრილად დაჭრილი ადამიანები არ უყვართ, ველურები არიან, დაგვძიძგნიან.

ისეა დაპატარავებული შიშით, ძლივს ვიცანი ხმით...

– გავიქცეთ! – „შემომაპარა“ ვასიკომ.

– გავიქცეთ! – ვთქვი მტკიცედ, მაგრამ, ვინ გიშვებს? – უფრო მომიჭირა ხელი შავმა კაცმა, თან მიღიმის... რის ვაივაგლახით გავითავისუფლე თავი. ვასიკოც გამოეყო. განაგრძობენ როკვას. პიჯაკებს დავეძებთ.

– არიქა, ვასიკო, ჩქარა! ჯერ, ალბათ, არ შიათ ამ უპატრონოებს.

– კი, კი, წავიდეთ, დროა, – თქვა ვასიკომ და თავი პიჯაკში ჩამალა.

ერთი შავი გამოეყო სხვა შავებს და მოგვიახლოვდა – ჩემკენ მოდის კბილების კანკანით.

– ია დუბაი, ია დუბაი დობაბო, – მითხრა ზანგმა, – იუ ბაბო...

– რა უნდა ამას? – ვეკითხები ვასიკოს.

– ბაბოც რომ წამოგეყვანა სადესერტოდ, რა მოხდებოდაო, – „გადმომითარგმნა“ ვასიკომ.

– მოიცა, კაცო, რა დროს მასხრობაა? თუ გადარჩი, ჩემებს უთხარი, გმირულად შემოეჭამა მერაბი შავკანიან ვაჟკაცებს-თქო, – მოვასწარი გადაჩურჩულება.

ბოლოს გაირკვა, თურმე, ის „ზანგები“ რუსული ცეკვის ანსამბლის ბიჭები ყოფილან გადაცმულები და ასეთი „შტუკა“ ბევრს გაუკეთეს

...ექვსი კვირა ვუცადე ხმის დაბრუნებას...

**მომღერალ მერაბ სეფაშვილის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ დაამსხვრია წმინდა ნინოს ლოცვით ღმერთმა კერპები არმაზის მთაზე

(76-ე გვერდიდან)

– „მათი ღმერთების ღმერთი არმაზი იწვევს მათ, რადგან არ არსებობს მასზე ამაღლებული სხვა კერპი“, – უპასუხა ებრაელმა ქალმა. მოციქულთასწორიც სწრაფად გაემართა არმაზის სანახავად და აასწრო მათ. აივსო მთა ხალხითა და დროშებით, როგორც ველი ყვავილებით.

წმინდა ნინო შევიდა არმაზის ციხეში და დადგა ზღუდის ნაპრალთან, საიდანაც ჩანდა კერპი. უყურებდა გაკვირვებული, როგორი შიშით მიეახლებოდნენ მეფე-დედოფალი, დიდებულები და ხალხი კერპებს.

იდგა ერთი კერპი – კაცი სპილენძისა, ტანთ ეცვა ოქროს ჯავშანი, თავს ოქროს საომარი ჩაბალახი ეხურა. თვალები ჰქონდა ზურმუხტისა და ბივრილის (მწვანე და ცისფერი). ხელში ეჭირა ელვასავით ბრწყინვალე ხმალი, რომელსაც აქეთ-იქით იქნევდა. ხალხი შიშით ამბობდა: „ვაითუ დავაკლე ქება და დიდება დიდ არმაზს, ხომ არ შემაცდინეს მე ებრაელთა სიტყვებმა ან სპარსთა მოგვების მოსმენამ? იქნებ იპოვოს რამე ბიწი ჩემში და მცეს თავისი მახვილი, რომლისაც ყველას ეშინია“... და შიშით თაყვანსცემდნენ არმაზს.

არმაზის კერპის მარჯვნივ იდგა კერპი – კაცი ოქროსი, სახელი მისი იყო გაცი. და მარცხნით კაცი ვერცხლისა, სახელი მისი იყო გაიმ. ესენი ღმერთებად მიაჩნდა ხალხს ქართლში.

ტიროდა წმინდა ნინო ქართველი ხალხის ცდომილების გამო, რომელთაც მიეტოვებინათ დამბადებელი უფლის რწმენა და თაყვანს სცემდნენ ქვებსა და ხეებს, სპილენძის, რკინისა და რვალისგან გამოჭედილ კერპებს.

გაახსენდა წმიდა ნინოს ბიძამისის, იერუსალიმის პატრიარქ იობენალის სიტყვები მისდამი, იერუსალიმიდან მცხეთისკენ გამომგზავრებისას ნათქვამი: „წარგავლინებ სრულ მამაკაცს და მიდიხარ უცხო, ღვთისმოწინააღმდეგეთა ქვეყანაში“, ანუ ძლიერ ადამიანს გაგზავნი წარმართთა მხარეშიო.

აღაპყრო თვალები ზეცისკენ, ილოცა და ითხოვა: „გვიჩვენე მე, უფალო, ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, და ამ ხალხს, მაცხოვრება შენი, რათა ჩრდილოეთი და სამხრეთი იხარებდეს და ყოველმა ხალხმა მხოლოდ შენ გცეს თაყვანი, ქრისტე იესოს მიერ, ძისა შენისა, რომელსაც შვენის მადლობა და დიდება საუკუნოდ. ამინ“.

დაასრულა თუ არა ლოცვა, უცებ დასავლეთიდან ამოიჭრა ქარი, აჰყდა ქუხილი საზარელი ხმით. გამოჩნდა საშინელი ღრუბლები, რომლებიც მოისწრაფოდნენ იმ ადგილისკენ. ქარმა დასავლეთიდან მოიტანა მწარე და მყრალი სუნი. ამის ხილვაზე შეკრებილი ხალხი გაიქცა თავშესაფრის საძებნელად. მიეცათ დრო და როცა სახლებში შეაღწიეს, მოახლოვდა რისხვის ღრუბელი და საკერპეზე წამოვიდა ლიტრის ოდენა სეტყვა. სეტყვამ დალეწა და შემუსრა კერპები. ქარმა დაარღვია საკერპის ზღუდეები და გააბნია კლდეთა ნაპრალებში. ხოლო მოციქულთასწორი გადარჩა მშვიდობით იმ კლდის ნაპრალში, სადაც შესულიყო.

მეორე დღეს გამოვიდა მირიან მეფე, ხალხი და ეძებდნენ თავიანთ ღმერთებს, მაგრამ ვერ იპოვეს. გლოვობდა ხალხი და ამბობდა: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯანი და ჩვენი ღმერთი არმაზი მტრები არიან. ამან მასზე ზღვა მოაქცია, მან კი ახლა შური იძია“.

ღვთის რისხვის დღეს, როცა სეტყვა შეწყდა და სასტიკი ქარი დაცხრა, გამოვიდა წმიდა ნინო კლდის ნაპრალიდან და იპოვა ბივრიტის თვალი, აიღო და წავიდა კლდის ბოლოსკენ, სადაც იდგა ძველი ციხე და ხარობდა ძელქვა, მშვენიერი, მაღალი და რტომრავალი ხე. აქ, ოდესღაც ბარტამ მეფეს დასასვენებელი ადგილი ჰქონდა მოწყობილი. მივიდა ძელქვასთან, გამოკვეთა ხეზე ჯვარი და ლოცულობდა ექვსი დღე. მადლობდა ღმერთსა და ევედრებოდა, რათა წყალობით მოეხედა უფალს ქართველებისკენ.

როცა ეს მოხდა, იყო ექვსი საათი, მეექვსე დღისა, თაბორის მთაზე ფერისცვალების თვისა – აგვისტოსი. მაშინ, არმაზის მთაზე იცვალა ფერი ქართლის ცხოვრებამაც.

**გიორგი მახოზეშვილი**

აქცია
31 დეკემბრამდე

DREAM CARD

# ახალი საკრედიტო ბარათი
# უპრეცედენტოდ
# დაბალი საპროცენტო განაკვეთით!

?

იცოდით




!

განახევრებული %




ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

SOCIETE GENERALE 150 წლის

290 90 90
290 90 99

* 90 90

BR.GE



რატომ გადაიფიქრა თეკუნა გაჩეჩილაძემ ექიმობა და რა გავლენა იქონიეს კანტმა და ფროიდმა მისი პროფესიის არჩევაზე

გვ. 19



გვ. 78

რა შეტყობინებებს უგზავნიდნენ თაყვანისმცემლები ჯგუფ „სფარქლის“ წევრებს და რა სერიოზული შემოთავაზება მიიღეს მათ „რუსთავი 2-სგან“



რა აკრძალვები ჰქონდა საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე ელენ გამყრელიძეს და ვინ მოჰპარა მას „აიპადი“ და კაბა

გვ. 75

ISSN 1987-569X
9771987569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლ... თბილისი – შიგ ჩ...ლი ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * ...ექტემბერი – 5 ოქტომბერი * №39 * ფასი 1,50 ლარი